

K 142:336  
3

ଜ୍ଞାନାଲ୍ ପ୍ରେସ୍ସେଲ୍ୟୁ



ଜ୍ଞାନାଲ୍ ପ୍ରେସ୍ୟୁ  
ସମ୍ପଦପ୍ରକାଶନ

# ନାଈକାରୀତିହାସରେ ରା ନାବାଲାଚଳରେ

ଅଧ୍ୟାତ୍ମ

।

ДЖЕМАЛ НОГАИДЕЛИ



ИССЛЕДОВАНИЯ  
и  
ЗАПИСИ  
Х

Подготовка сборника к печати, редакция, предисловие,  
комментарии и примечания со словарем  
проф. И. В. Мегрелидзе

Батуми, 1971 г.

၁၀၈၅၂ ၆၃၇၁၇၀၇၀



# ნ უ რ პ ვ ე ვ ე ბ ე მ

## ვ

# ჩ ე ნ ე შ ე რ ე ბ ე მ

I

K 149336  
3

კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა,  
წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები ლექსიკონითურთ  
დაურთო პროფ. ი მ ს ე ბ მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ბ

გამომცემლობა  
„ს ა ბ ჭ ი თ ა ა ვ ა რ ა“  
ბათუმი  
1971




1) ქართული ვოლელობა  
2) იტალიური ვოლელობა



ქართული ვოლელობის ცნობილი შეცდევარის ჯე-  
მაღ ნოლაიდელის კრებული „ნარკევები“ და ჩანაწე-  
რების, წიგნი 1. შეიცავს ავტორის გამოკვლევებსა და  
შერიცხებს ქართული (აჭარული) კონვენციის და  
კელტიკის საკითხებზე.

კრებულს თან ახლავს პროფ. ოსებ შეგრელიძის  
შესხვალი შერიცხი — ქ. ნოლაიდელის ქხოვრება და  
მოღვაწეობა, კომენტარები და შენიშვნები ლექსიკო-  
ნითურთ.

სპეციალისტთა გარდა, ეს წიგნი სინტერესო იქნე-  
ბა მკითხველთა უამოთ შრისათვისაც.





## ჯემალ ნოღაიძესი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

მზიური საქართველოს ერთი ულამაზესი ნაწილთაგანი — პჟარა და მისი შრომისმოყვარე მოსახლეობა მრავალმხრივ შესწავლის ღირსია. წინამდებარე წიგნში აქარელთა ყოფისა და ისტორიული კულტურის რიგი საკითხია განხილული.

ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი დაიმსახურა აქარის ასტრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ. საქართველოს სარ მეცნიერებათა აკადემიის, ბათუმის სამეცნიერო-კულევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ყოფილმა გამგემ. ფილოლოგიურ-მეცნიერებათა კანდიდატმა, დოკ. ჭემალ (ჭიშერ) იჩეთის-ძე ნოღაიძელმა (1906-1966).

ჭემალ ნოღაიძელი დაიბადა ქობულეთის რაიონის ლელვას სასოფლო საბჭოს სოფელ წყავროეში. ის გახლდათ დედ-მამის მეშვიდე შეილი. სამი ასულისა და ხუთი ვაჟის აჩუ თუ ისე შეძლებულ შშობლებს — იჩეთ ოსმანის-ძე ნოღაიძელსა და ფეროზ ხასანის ასულ ხაბაშ-ნოღაიძელს — გაუკირდებოდათ შვილებისათვის განათლების მიცემა. რომ მათ იზეთის ძმა ჭემალი არ დახმარებოდა. ეს მით უფრო საკირო შეიქმნა. რაღაც 4 წლის ჭემალს მამა გარდაეცვალა.

ჭემალ ოსმანის ძე ნოღაიძელი (1883-1937) პაიდარ აბაშიძის თანამებრძოლი და ქართველი პატრიოტი იყო. მისი თაოსნობით გაიხსნა სკოლები 1916 წელს სოფ. ალამბარსა და 1917-ს სოფ. წყავროეში. უკანასკნელი მაშინ იჩეთ ნოღაიძელის სახლში მოთავსდა. ამ სკოლას მხოლოდ შემდევ აუგეს შენობა.

ჭემალ ნოღაიძელმა სწავლა მეზობელ ალამბრის სკოლაში დაიწყო.

ქველმოქმედ ადამიანთა დახმარებით, ალამბრის სკოლის მეორე კლასიდან ჭემალი გადმოიყვანეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ერთ სემესტრში სწავლის შემდევ ის ბათუმში წაიყვანეს და სწავლა იქ განაგრძო.



1923 წელს გაიხსნა ბათუმის პედაგოგიური ონსტიტუტი (რკ-ნიკუმი) აქარელთათვის პანსიონატით. ჯემალი მასში მოაწყების, სასწავლებელი მან 1926 წელს დაისრულა წარჩინებით. იგი ჩამინდებოდა იშვიათი აქარის კახაბრის სასოფლო საბჭოს სოფელზე მისურუალის წლიანი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

გრიგორი გრიგორი

1928 წელს კ. ნოღაიდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის, ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტი გახდა. მისი თანაკურსელები იყვნენ შემდეგ ცნობილი მეცნიერები და კულტურის მუშავები: ქეთევან ირემაძე, ქეთევან ცხადაძე, გრიგოლ ხავთასი, მამა დუდუჩივა, იოსებ მეგრელიძე, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, იაკობ ბალახაშვილი, კონსტანტინე გუგუშვილი, გრიგოლ კოკელაძე, კარლო კალანდაძე, თამარ დონდუა და სხვები. (სურ. 2). ისინი გამოირჩეოდნენ აკადემიური წარმატებითა და სტუდენტთა ორგანიზაციებში მონაწილეობით. ბეჭით სტუდენტთა შორის მოიხსენიებოდა ჯემალ ნოღაიდელიც.

ჩენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფის. როგორც კი მეორე კურსზე გადავიდით, სწავლების ჩევულებრივი ლაპტიური მეთოდი ე. წ. „აპტიური მეთოდით“ შევიცვალეს, დაგვუვეს ბრიგადებად და შემოილეს „კოლექტური ჩათვლები“.

1930 წლის ზაფხულში ჩენი უნივერსიტეტი ოთხ ინსტიტუტად დაინაწილდა:<sup>1</sup> სამეცნიალო, აგრონომიული, სოციალ-ეკონომიკური და პედაგოგიური ფაკულტეტის ცალ-ცალკე სპეციალურ ინსტიტუტებად იქცა. უნივერსიტეტის სტუდენტის მაგისტრებები და სათანადო ინსტიტუტის სტუდენტები ფილოლოგები, ისტორიკოსები და პედაგოგ-პედოლოგები (მაშინ ისწავლებოდა პედოლოგია). პედაგოგიური ისტიტუტის სათანადო ფაკულტეტის სტუდენტები გავხდით. კ. ნოღაიდელი და მისი თანაკურსელები ვითვლებოდით საქართველოს სსრ სახელმწიფო პედაგოგიური ონსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებად. უფრო აღრე პედაგოგიურ ფაკულტეტს. მც განკოფილების გარდა, ენათმეცნიერების დარგიც ჰქონდა, რომელზეც, როგორც დავინახავთ, სამი სტუდენტი ვირიცხებოდით.

საბედნიეროდ, შემდეგ ჩენი უნივერსიტეტი თავის უფლებებში აღდგა.

მიუხედავად მონდომებისა და სიბეჭიონისა, სიმართლე უნდა ით-

1. ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოცულ ისტორია, თბ., 1968, გვ. 52-53. მოძღვვის გვ. 54-ზე დასცეციალებისათვის ლენინგრადში მივლინებულთა შორის მსენიერების ისეთებიც, რომლებსაც ასპირანტურა იქ არ გაუკლიათ და არ ისახიერებიან რიგი ისეთები, რომლებიც ნამდვილად იქ იყვნენ!

ჭვას, სტუდენტობის პირველ თვეებში ჯემალი მომავალ მწერლერობაზე არ ფიქრობდა. ის დიდი სიამოვნებით იგონებოდა სკოლის დირექტორად გატარებულ ორ წელსა და გადაწყვეტილი ქართველი ისევ პედაგოგად ემუშავა აქარაში. წინამდებარე სტრიქონის აუტორი და თინათინ გონიაშვილი ჯერ კიდევ უნივერსატეტში მცხოვრილი ფაულტეტის ორ — ლიტერატურისა და ენათმეცნიერების განყოფილებაზე ვირიცხებოდით და ვსწავლობდით. ჯემალი პირადად ჩვენ დაგვიმეგობრდა, ჩვენთან ერთად დაესწრო რამდენიმე ლექციას ამ განყოფილებაზეც. იგი ჯერ არაბული ენით დაინტერესდა და შეძლებ ამავე მეორე დარგის მსმენელიც გახდა.

ჩვენ — სამ სტუდენტს, ენისა და ლიტერატურის განყოფილების მრავალრიცხოვან სტუდენტთაგან განსხვავებით, 1-3 კურსებშე<sup>1</sup> დამატებით გვეკითხებოდა: ენათმეცნიერება (გ. ახვლედიანი), საერთაშორისო და დიპლომატიური სამსახური (ე. ტატიშვილი), ქართული პალეოგრაფია და ნუმიზმატიკა (თ. ლიმოური), კლასიკური ფილოლოგიის სემინარი (გრ. წერეთელი), კანცური ენა (არნ. ჩიქობავა), სვანური ენა (ვ. თოფურია), სომხური ენა (ლ. მელიქესეთ-ბეგი), ინდური ენა (სანქტიტი; გ. ახვლედიანი), არაბული ენა (ა. შანიძე), სპარსული ენა (იუსტ. აბულაძე, ზოგჯერ — იური მარი), ლათინური ენა (ს. ყაუხესიშვილი), ბერძნული ენა (ათ. ჯვარშეიშვილი) და სხვა.

ერთსა და იმავე დროს ორ განყოფილებაზე სწავლა ჯემალსა და მე გაგებინელდა. მაგრამ იმის შიშით, რომ ლექციებზე დამსწრეთა სიმყირის გამო, ეს მეორე დარგი შეიძლებოდა შეემცირებინათ, აღარც ფაულტეტის ძირითადი — ენისა და ლიტერატურის განყოფილება დავტოვეთ და სამივემ ორივე განყოფილება დავისრულეთ. ამან უეპეველად კეთილმყოფელი გავლენა იქნია ჯ. ნოღაიდელისა და სხვათა შემდგომ მუშაობაზე. მნიშვნელობა პქონდა იმასაც, რომ ჩვენ, ჯერ კიდევ სტუდენტები, ვიგზავნებოდით სამეცნიერო მიელინებებში<sup>2</sup> და კონაწილეობდით სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის მუშაობაში. აქვე ვამოვიდა ჯემალი მოხსენებით აქარული კილოს ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ (იხ. იქვე). სტუდენტს უფრო სებმა დაკვირვებები მოუწონეს და მან მუშაობა განაგრძო, მან მალე გამოაქვეყნა წერილი „აქარელი ქალი და ქორწინების აღათი“.<sup>3</sup>

მაშინდელი სტუდენტები მატერიალურად არ ვიყავით უზრუნველყოფილი, მაგრამ ბევრს ვმუშაობდით. სტუდენტები, განსაკუთ-

1 თ. ბ. გონიაშვილი ენისა და ლიტერატურის ფაულტეტზე ერთი კურსით წინ იყო ჩვენზე, მაგრამ შეორე დარბაჟ სწავლის შესრულები მის ვარდა აღარავინ აღმოჩენილიყო და ის ჩვენ შემოვიყენოთ.

2 ჯ. ნოღაიდელი, აქარა დაალექტოლოგიურად, ზოგმი, 1936, შესავალი.

3 ქრებულ „რვა მარტ და ფრელ ქალი“, ბათუმი, 1928 წ., გვ. 24-25.

რებით მომავალი ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ერთ ჯგუფი, გარდა სავალდებულ საკურსო სწავლისა, სტუდენტთა უცხოურების წრებში იყო ჩაბმული და, აგრეთვე, ნშიონად ესწრებოდა ქართული სახეათმეცნიერო და საქართველოს საისტორიო და სუსტარიზაციული საზოგადოების სხდომებს, რომლებიც ისტორიული და მემკვიდრეობით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში.

თვით უნივერსიტეტში და გარეთაც გრძელდებოდა კაპათი მიხეილ ზანდუკელს, ვახტანგ კოტეტიშვილსა და თითოეული შათგანის მომხრეთა შორის ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგების ურთიერთობათა და სხვა საკითხებზე: იმართებოდა დისკუსიები ფილოსოფიისა და ესთეტიკის საკითხებზე შალვა ნუცებიძის, მოსე გოგიძერიძის, ბიძინა რამიშვილის, კოტე ბაქრაძის, სერგი დანელიას, სერგო ამაღლობელის, კონსტანტინე კაპანელისა და თითოეული შათგანის მომხრეთა შორისაც.

ამათ გარეშეც, ჩვენ მაშინ ჩაბმული ვიყავით შემოქმედებითი კოლეგტივების ბმ დისკუსიებშიც, რომლებიც იმართებოდა იმ გარდატეხის წლებში ე. წ. პროლეტარულსა და ე. წ. „მემარჯვენე“ თუ „მემარცხენე“ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს შორის, იმ ბობოქრულ კამათში, რომელიც მიმდინარეობდა კოტე მარჯანიშვილს, სანდრო ახმეტელსა და მათ მომხრეებს შორის. ყოველგარი გადაკარგების გარეშე ვამბობთ, რომ ახმეტელის დადგმებისაღმი საზღაპრო ინტერესისა და ხმაურის აღმდვრევლთა ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი სტუდენტობა იყო. ახმეტელის მაშინდელი სპეცტაციები: „აზორი“, „ლამარა“, „რღვევა“, „განგაში“, „თეთნული“, „ზაგშუკა“ ამ ახალგაზრდობის სისტემატური დასწრებისა და დიდი კოტე მარჯანიშვილის მომხრეებთან დაუსრულებელი დისკუსიების საგანი გახლდათ.

ს. ახმეტელმა ალღო აულო ყოველივე ამას, მან იწამა აფორიზდი: ვისკენაც ახალგაზრდობაა, მომავალიც მისიაო, და ახალგაზრდობა დაიახლოვა. აღნიშნულ დისკუსიებს ჭ. ნოლაიდელიც ესწრებოდა და ზოგჯერ კამათშიც მონაწილეობდა.

ჭ. ნოლაიდელმა 1931 წელს დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი და ბათუმს დაუბრუნდა. აქ იგი მოეწყო მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროს თანამშრომლად: დანიშნეს ქალთა ტექნიკუმის დირექტორის — ოლღა ჩხიფვიშვილის მოადგილედ.

ჭ. ნოლაიდელმა ხსნებულ ბიუროში განაგრძო, გააფართოვა და გააღრმავა სტუდენტობისას დაწყებული შემკრებლობითი და კალევა-ძეებითი მუშაობა, შექმნა პირველი საყურადღებო ნაშრომი:

„ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ქაფა აცხოვებიდან“ რომელიც სერგი მაკალათში ხელისუფლებითა და რედაქციით დაიბეჭდა. საყურადღებოა ის გარემოებრივი რომელი წიგნი საქართველოს სახელმწიფო გამომცემული 1935 წელს.

შემდეგი მომცემები

იმ ხანებში დაარსდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც ჯ. ნოღაიდელი 1935-1958 წლებში კითხულობდა საენათმეცნიერო დისტილინათა კურსებს.

1958 წლიდან გარდაცვალებამდე ჯ. ნოღაიდელი მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა იუდემის ბათუმის სამეცნიერო კალევით ინსტიტუტში ფოლკლორის განკოფილების გამგედ. ნაყოფიერი გამოდგა აქ მისი მოღვაწეობა; მან ახალგაზრდებიც შემოირჩინა, მათი მონაწილეობით აწყობდა მეცნიერულ ექსპედიციებს, აგროვებლენ ფოლკლორულს, ეთნოგრაფიულსა და დიალექტოლოგიურ მასალებს და შესწავლა-დამუშავებას აწარმოებდნენ.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჯ. ნოღაიდელი დაჯილდოებული იყო შესანიშნავი სმენითა და ხმით. ის ბრწყინვალედ ასრულებდა ქართულ ხალხურ, განსაკუთრებით აქარულ სიმღერებს, მას ამისი ჩვევები ოჯახში ჰქონდა მიღებული: მამამისი, ჩინებული შობლერალი იყო. მისი ყოფილი თანამომღერლები — უფროის ვაჟები და ნათესავ-მეზობლები — მამის გარდაცვალების შემდეგაც იქრიბებოდნენ. ჯემალიც მათთან ერთად მღეროდა.

ფოლკლორისტი ნოღარ შამანაძე სწორად აღნიშნავს: ჯემალ ნოღაიდელმა ხალხური მუსიკისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ბავშვობიდან შეისისხლხორცაო, მაგრამ იგი არ არის სწორი, როდესაც წერს, „თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს იგი (ჯ. ნოღაიდელი. — ი. მ.) ზე ფალიაშვილის გუნდში მღეროდა, მღილარ მშობლიურ მუსიკის დიდი კომპოზიტორის უშუალო ხელმძღვანელობით აუფლებოდა“<sup>1</sup>.

აქ გადაქარბებასთან გვაქვს საქმე: მაშინ ჯემალი თბილისში სულ ნახევარი წელიც არ ყოფილა და გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელი ერთ სემესტრში ამდენ გავლენას ვერ მოახდენდა ყმაწვილზე; ისე კი, რამდენადმე მაინც, ამ შემთხვევამაც გააღრმავა ჯემალში ამ საგნის სიყვარული და ცოდნაც. მან უეპევლად ხელი შეუწყო მას მუსიკალური ფოლკლორის მასალების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში.

ჯ. ნოღაიდელი იყო საერთოდ სათონ პიროვნება, ოჯახისათვეის თავდადებული და ნათესავთა მოსიყვარულე, ამხანგური და მეგობ-

1 „ლიტერატურული გაზეთი“, 1966 წ., 8 აგვისტო.

რის გამგები. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩვენ მასთან გადასტული სტუდენტობის წლები, ერთ პინაში ცხოვრების უზრუნველყოფა და შემდგომი უწყვეტი ურთიერთობა. მამის საქმეს ქართულ (აკარულ) დიალექტოლოგიაში ახლა აგრძელებს მისი ერთული უზრუნველყოფა — ნანული და სხვებიც, ხოლო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული შემცირებას მისივე კოლეგები, რომელთა შორის ჭ. ნოღაიდელის ყოფილი სტუდენტებიც გვხვდებიან.

ჭ. ნოღაიდელს პატივს სცემდნენ არა მხოლოდ მისი ნათესავები, მეგობრები და ამხანავები, არამედ ფართო საზოგადოებრიობაც.

აღსანიშნავია, რომ ჭ. ნოღაიდელის სამეცნიერო-კვლევითს, პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა რესპექტოვის ხელმძღვანელობამ. 1966 წლის 12 იანვარს აქარის ასტრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჯემალ ნოღაიდელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, დაჯილდოებული იყო მედლებითაც. იმავე წლის მარტის შუა რიცხვებში ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ჭ. ნოღაიდელის დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.

გუნდმა რომ იუბილარის საპატივუმულოდ სიმღერა დაიწყო, მიუხედავად უკვე მძიმე ავადმყოფობისა, ჭ. ნოღაიდელს გულმა არ შოუთმინა, მივიღა მომღერლებთან და ხმებს ხმა შეუერთა. შემდეგი სიმღერა მანეე დაიწყო. თურქთა მიერ აქარის დედა-საქართველოდან დროებით მოწყვეტის, მაშინ ხალხის გაჭირვებისა და ვენახის გადაშენების სევდიანი ჰანგი მხიარულით შეცვალა, ისევ ვენახი ახსნა:

„მოგნახე და აღგაღენე,  
შენს ძირ-კესობას ვენაცვალე!“...

და განახლებულ აქარას უმღერა!

ორი კვრის შემდეგ ჯემალი გარდაიცვალა!...

ჯემალ იზეთის ძე ნოღაიდელი იყო ჩვენი კულტურის ნაყოფიერი და უანგარო მოღვაწე, თაემდაბალი, იურიდიკული მოქალაქე და გულმართალი მეგობარი. საყურადღებოა მისი ლვაწლი აქარის ყოფისა და ზეპირსიტყვიერების, კილოსა და მისი ლექსიკის შესწავლის საქმესა და ახალგაზრდა კადრების მომზადებაში.

\* \* \*

წინამდებარე კრებულის თაობაზე უნდა აღნიშნოთ, რომ მასში შესული ნაშრომების ავტორმა გარდაცვალების წინ, თავისივე ოჯახის წევრების თანდასწრებით გვთხოვა და შემდეგ მო-

1 „ლიტერატურული განეთი“, 1966 წ., 8 აპრილი.

გვწერა კიდეც. რომ ჩვენ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობათ-  
ვის მოგვივლო.

ჭ. ნოღაიძელის გამოცემული და ჯერაც გამოცემული, მის პი-  
რად არქივში დაცული ნაშრომებისა და წერილების კუთხით უკავშირდებინა. რომ მათგან შეიძლება შედგეს კრებულების უკავშირდების უკავშირდებით „ნარკვევები და ჩანაწერები“.

გამოცემული ნაშრომების ისევ გამოქვეყნება გამოწვევულია  
იმითაც, რომ პირველი გამოცემები დაიბეჭდა უმთავრესად მცირე  
ტირაჟით. დღეს ისინი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმო-  
ადგენენ. ზოგი წერილი კი პირველად ქვეყნდება.

პირველ ტომში მოთავსდა ავტორის ეთნოგრაფიული (ხალხუ-  
რი მუსიკის ჩათვლით) და სხვა ხასიათის გამოკვლევები. — წერი-  
ლები, რეცენზიები, რომლებსაც დაერთო ჩვენი შესავალი ნარკვევი,  
კომენტარები, შენიშვნები და მოკლე ლექსიკონი. ცალკე წიგნად გა-  
მოიცემა ავტორის დალექტოლოგიური გამოკვლევები, აგრეთვე  
ცალკე უნდა დაიბეჭდოს უშუალოდ ჭ. ნოღაიძელის მიერ ან მისი  
ინიციატივით ჩაწერილი და ძირითადად გამოცემული ფოლკლო-  
რულ-დიალექტოლოგიური ტექსტები: — „აჭარის ხალხური სიტყ-  
ვიერება“, წიგნი I (ბათუმი, 1936), წიგნი II (1940), „Сказки Адже-  
арии“ (1952) და სხვა სათანადო რედაქციითა და შენიშვნებითურთ.

თუ გამოსაცემად მოშეადდება, შეიძლება, შერჩევით გამოქვე-  
ყნდეს: ჭ. ნოღაიძელის მიერ შინ თუ სამსახურებრივი წლიური გე-  
გმით დაწესებულებაში შესრულებული ნაშრომები, აჭარული კი-  
ლოს სალექსიკონო მასალა, ცალკეული წერილები და ფოლკლორუ-  
ლი ჩანაწერების ნაწილიც.

ასეთები დაცულია:

1 ჭ. ნოღაიძელის პირად არქივში (ოფახში).

2 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეც-  
ნიერო-კელევით ინსტიტუტში.

3 ჭ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგო-  
გიურ ინსტიტუტში.

4 აჭარის სახელმწიფო მუზეუმში და სხვაგანაც.

ყოველივე ეს თემატიკურად ასეთ სახეს ღებულობს:

1 აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა (ბარათები რამდენიმე  
ყუთში).

2 თურქთა ბატონობა აჭარაში (6 გვ.).

3 ერთი ზღაპრის შესახებ („დეკამერონის“ I, IX ზღაპრის აჭა-  
რული პარალელი — „ვაჭარი“ 12 გვ.).

4 თვითმოქმედი კოლექტივის საოლქო დათვალიერება (5 გვ.).

5 მენებლიანობა (27 გვ.).

6 ექსპედიცია კვანის ხეობაში (13 გვ.).

7 „ზე“ — „ზა“ თანდებული აქარულში.

8 მეგრულ-ქანური ფენა აქარულში ინახება ზემომარტინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

9 ცხოველთა ეპონი (აქარული მასალების მიხედვით, 56 გვ.).

10 შრომის ლექსები და სიმღერები (გურიის მასალების მიხედვით, 42 გვ.).

11 საწესჩვეულებო სიტყვიერება (82 გვ.).

12 აქარული ნადური (ყანური) ლექსები და სიმღერები (97 გვ., შდრ. ქვემოთ № 4).

13 სამიწათმოქმედო შრომის ლექსები და სიმღერები (ზოგადი დახასიათება, 60 გვ.).

14 გამოცანები (170 გვ.).

15 მაგიური პოეზია (128 გვ.).

16 ზოგიერთი ძველი მავნე ჩვეულების შესახებ აქარაში (20 გვ., ოჯახშია) და სხვა.


დასახელებულ ნაშრომთა ერთი ნაწილი მხოლოდ ნედლი მასალის სახითაა შემონახული და ზოგიერთი, შედარებით დამთავრებული ნაშრომის ან წერილის ძირითადი ნაწილი, ან კიდევ შინაარსი მასალითურთ, შესულია აეტორისავე უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომებში. მაგ., გამოქვეყნებული წერილიც კი, „აქარული ქალი და ქორწინების აღათი“ (იხ. ციტ. კრებული „8 მარტი და აქარული ქალი“, 1928, გვ. 24-26) არ შეგვაჭებს გამოსაცემ კრებულებში, ვინაიდან ეს წერილი შესულია ქვემოთ მოთავსებულ ნაშრომში (იხ. — „ქალის მდგომარეობა“), ანდა კიდევ ნაშრომი „აქარული კილოს თავისებურებანი“ (ბათუმის სამასწ. ინსტიტუტის შრომები, 1. 1941, გვ. 133-140) გამოქვეყნებულია აეტორისავე სხვა ნაშრომში („აქარული კილოს თავისებურებანი“, 1959).

\* \* \*

წინამდებარე კრებულში შესული მასალები თემატიკურად, შეძლებისდაგვარად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული.

„ეთნოგრაფიულ ნარკვევებში“ ჭ. ნოლაიდელი აღრინდელ საყურადღებო ნაშრომის ავტორსა და შემდეგდროინდელ აეტორებზე

1 თელო სახოյია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 108-249 (ნარკვევები 1898-1900 წლებში ქვეყნებოდა ქართულ პერიოდისაში).



უფრო ზუსტად და კრიტიკულ აქცენტს აჭარელთა ზნე-ჩვენებებს  
(შლრ. ქვემოთ, № მე-4, იხ. შინაარსის ნუმერიზაცია)

1935 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი მარჯა თ. სა-  
ხოვიას ნაშრომს ჯერ კიდევ არ იცნობდა და სრულიად შესტანებული მარტინ შე-  
ბელი გზით მიღიოდა, ყოველ ფაქტს უშუალოდ შესტანებული მარტინ შე-  
ბელი გზით მიღიოდა, სხვათა მიერ დორევე ფიქსირებული და ჯ. ნოღაიდელის ნაშ-  
რომებში განმეორებული მასალის გარდაც, იმავე ნაშრომებში ბე-  
კრი სრულიად ახალი და რიგი ფრიად მნიშვნელოვნი  
ფაქტებია შესული. ზოგირთ მათგანს ახლა ხალხში ვი-  
ლარც კი მოიპოვებს მკვლევარი ან ძალიან გაჭირდება მათი ისეთი  
სისუსტითა და სრულად დადგენა, როგორც ეს ჯ. ნოღაიდელმა შე-  
ძლო მაშინ.

ეს ასეა იმიტომ, რომ ახლა აქტუალური არის ის, რაც 30-40  
წლის წინათ იყო. იგი ეკონომიკურად გაძლიერდა, კულტურითაც  
ძალიან წინ წავიდა, ხალხის წარმოდგენებასა და ზეპირსიტყველება-  
შიც ბევრი რამ შეიცვალა. მაშასადამე, წარსულის ზოგირთი გად-  
მონაშთი, რომელიც მეცნიერებას სკირდება, ჯ. ნოღაიდელის ნაშ-  
რომებმა შემოგვინახა. რაც ლიტერატურაშია დამკვიდრებული, იგი  
მეცნიერებისათვის სამუდამოდაა გადარჩენილი. მისი გამოცაა, რომ  
ჯ. ნოღაიდელს სათანადო საკითხების შესწავლისას ნამდვილი  
შევლევარი გვერდს ვერ აუვლის და იმავე ნაშრომებს ან ავტორის  
ზეპირ ცნობებს დიდი მეცნიერებიც სანდოდ აღიარებენ, მათ თავი-  
ანთ ნაშრომებში იყენებენ (იხ. ქვემოთ, შენიშვნები).

ნაშრომის „აქტუალთა ყოფაცხოვრებიდან“ შეორე თავიდან  
(„ცრუმორწმუნება“, პირველი გამოცემის გვ. 40-65) ჩვენ ამოვი-  
ლეთ ისეთი საკითხები („ქათმისფერხვა“, „რწყილის გადალოცვა“....  
„ნასესხები“, „ხვენა-თესვა და ხარების აერ თვალისაგან დაცვა“, „ქა-  
ზატობა“, „დადეგი“, „გზობა“), რომლებიც გაუმჯობესებული რე-  
დაქტირი მეორდება ნაშრომში („აქტუალის ზეპირსიტყველებისა და  
ეთნოგრაფიის მასალები“). ამასთანავე 1935 წლის გამოცემიდანვე  
ამოვილეთ ზღაპრები (გვ. 67-83), რომლებიც შემდეგ ჯ. ნოღაიდე-  
ლის ფოლკლორულ წიგნებშიცა შეტანილი და იქვე დაიბეჭდება.  
ამავე № 1-ში „ცხრამარტობის“ № 4-დან განსხვავებული რედაქცია,  
ასეთივე „ბაირამი“, „აშურა“ და ზოგირთი სხვაც რიტუალებში მა-  
ინც ორივეგან დავტოვეთ, რადგან ისინი ერთი-მეორეს ავსებენ ან  
ზოგირთ ახალ ნიუანსებს შეიცავენ.

დავასახელებთ ერთ მაგალითს: „რწყილის გადალოცვის“ 1935  
წლის გამოცემის ტექსტში ვითხულობთ: სათანადო წესის შესრუ-

ლებისას, დაბლა მყოფი უკითხება მაღლა — ჰერში მართვას  
შერები მანდაო. ის კი უპასუხებს: „პრეზიდ ეკვერავობ განვითარების  
ცოცხით ჰერის გვას და „გაიძახის: მარტი, მარტი, მარტი“. ჩემ  
სახლში პრეზიდი არც ერთი, ლელივში სახვეტით“. უკირზუალი  
კრებულში კითხულობთ:

„ჩემის პრეზიდი არც ერთი,  
სხვისას წინამდებარებული“

(გვ. 57; იბ. ქვემოთ).

აჭარაში (და გურიაშიც) ორივე ეს ვარიანტი გვხვდება. გ. ნო-  
ლადელს უკანასკნელ ნაშრომში მხოლოდ მეორე ვარიანტი დაუტო-  
ვებია. ცენტრ ადამიანები, რომლებიც თავისოფასავე მავნებლად,  
ე. ი. ცოდვად, თვლილნენ კირის ან სხვა არასასურველი რამეს  
სხვისოფას გადალოცას. ასეთი მოტივული იტყოდა: რწყილი ტყეში,  
ლელეში, მთებში ციცორი... და არ იტყოდა სხვის ოჯახში ან სხვა მხა-  
რეს გაშერებულდეს.

ჩენ კუდილობთ, ასეთი ჩანაწერიც კი არ დაუკარგოთ ჯემალს  
და პირველი ვარიანტიც აქვთ აღნიშნეთ.

ამიტომაც, მაგ., „დადეგი“ 1935 წ. ნაშრომში ძლიერ მოქლეფაა  
აღწერილი. 1967 წელს შესრულებულ აღწერაში კი — პრცლად, მა-  
გრამ პირველსაც ვევეჭავთ. აქვთ გროვებით „ეპიზოდს ტყვეთა მო-  
ტიუბებიან“, როგორც დროის დამახასიათებელ სიავეს (იბ. ქვემოთ).

პატარა წერილი „მერქანის საუნგა“ საინტერესოა შრომის სი-  
სლერებისადმი დღრევე ყურადღების მძიევროთ. არსებოთად ივტო-  
რის იმავე ასრუბის ვაგრელება და განვითარება წერილი ქო-  
ბულეთურ შრომის სიმღერებშიც, რომელიც შეორე  
ნაწილითური გამოქვეყნდა გ. ჩხეიძის თანააეტორობით. მოლიანად  
ნაშრომის ხელავს შენიშვნა: „გ. ნოლა იდელს ეკუთხნის ქობუ-  
ლეთის, ხოლო გ. ჩხეიძეს — ივტორისწყლის ხეობის მასალების  
მიმოხლევა — რედ.“<sup>1</sup>

სურათის მთლიანობისათვის აქვთ შევნიშნავთ: ქობულეთური  
ნადური სისლერებისაგან განსხვავებით. — წერს გ. ჩხეიძე, — ავარიის-  
წყლის ხეობის ნადური სისლერების უმეტესობა უსტყვია: ზოგჯერ

1 ბოლომის სამუშაოებრივ-კლევთო იმუტერის შრომები, I. 1960, 23-  
69, გვ. 2.

გ. ნოლა იდელი ეთნოგრაფიულად და შეტყველების შრომები ისხვავებს  
ბარის აქტის მთავრის ავარიისაგან. რაგონავ მხოლოდ იმავე ეს ნიშნი მო-  
გორიანია, არაბებდა ზემო და ქვემო აუტარა მარჯობინა.

ქობულეთის — (ყოფილი ჩურქესუ) მცხოვრებთა შეტყველებას იყი ქობუ-  
ლელს უწოდებს. ეს სიტყვაჭარბობა გრამატიკულად სწორია, მაგრამ ამ მი-  
სისწორე პრევეზული ტრადიცია სილევს — მასც ქობულეთური მოგორი-  
ბა და ჩერქ ასე უწერთ.

2 გ. ნოლა იდელი



სიმღერებში გამოურევენ ლექსსაც. რაც თემატიკურად მოიხსელა  
სატრიიალოა. იშევიათად ვხვდებით საყოფაცხოვრებო ლექსებსაც,  
სიმღერების სტრუქტურა, მუსიკალური წყობა. შეძლებითის მრა-  
ვალრიცხოვანება გვაფიქრებინებს ვთქვათ, რომ ამ მიზნის შესა-  
რებოთ გვიან უნდა ეჩინა თავი ნადურ სიმღერებში.

„აკარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნო-  
გრაფიის მასალები“ — ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომია.  
შისი დედანი 10 საავტორო თაბახის მოცულობით წარმოადგინა  
ავტორმა 1964 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
გამომცემლობაში. საგამომცემლო გეგმით კი ამისი 5 საავტორო  
თაბახით გამოქვეყნება იყო ნაერაუდევი. ამის გამოც და უმთავ-  
რესად მეცნიერული მოსახრებებით, საჭიროდ ცნეს დედნის გადა-  
მუშავება და შემოკლება, — მოცულობით განახევრება. ნაშრომი  
ავტორს დაუბრუნეს. მან მოიწერა: ავად ვარ. არ შემიძლია მაგის  
შემოკლება და მით უფრო გამოსაცემად მომზადებათ.

კ. ნოლაიდელი წინამდებარე სტრიქონების ავტორს სთხოვდა,  
გამიერთეთ ეს საქმეო. ჩვენ მას ეს შევუსრულეთ და ტექსტი ბათუმ-  
ში გავუგზავნეთ. მას ის წაეკითხა, ზოგი რამ შეესწორებინა და და-  
შატებითურთ (რეცენზია ვლ. ახობაძის წიგნზე, იხ. ქვემოთ) დაგვი-  
ბრუნა. შემდეგ ავტორი გარდაიცვალა. პირვენდელი ტექსტის გა-  
ნახევრებული რედაქტია ჩვენ გამოვეცით 1967 წელს. ახლაც ამ  
კრებულში იგივე ტექსტი მოირდება. ნაშრომში მაინც გვხვდება  
აულყუელი ჰიპოთეზები და ზოგიერთი სადაც ან ცალმხრივი მსჯე-  
ლობაც. აქობებდა, ივი თავიდანვე უფრო სრული ყოფილიყო, —  
გამდიდრებულიყო იხალი მასალებით. ანალიზებითა და სათანადო  
დასკვნებით, მაგრამ, იგი წარმოდგენილი სახითაც სასარგებლოა.

შრომის სიმღერები და სათანადო ლექსები საქართვე-  
ლოს ყოველ კუთხეშია გავრცელებული, მაგრამ ასეთია მეტი მრა-  
ვალფეროვნება უფრო გურიასა და აქარას ახასიათებს.

აქარული შრომითი, მაგალითად, ნადური (უმთავრესად ყანური)  
სიმღერები და ლექსები თვით აქარის კუთხეებშიც კი არაა ერთნაი-  
რი. ასეთი საერთო და განსხვავებული სიმღერა-ლექსები კ. ნოლა-  
იდელს ჯერ ერთმანეთთან, ხოლო (რადგანაც აქარული ზეპირსიტ-  
ყვერება მთლიანი ქართული ზეპირსიტყვიერების ნაწილია) შემ-  
დეგ ისინი ცალ-ცალკე და მათივე საერთო მონაცემები ერთად სა-  
ქართველოს სხვა კუთხეების სათანადო ლექს-სიმღერებისათვისაც  
შეუდარებია და რიგი დასკვნებიც გაუკეთებია.

კ. ნოლაიდელის მასალები და დაკარგვებები აქარულ ხალხურ  
სიმღერებზე, როგორც სანდო, გამოიყენა დიდმა ქართველმა ისტო-

რიკოსმა ივანე გავახიშვილმა მონოგრაფიაში „ქართული მწერების ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938 წ., გვ. 81-83) მცველი მა-  
ვე ნდობით ეკიდებიან ხსენებულ გამოცემებს.

გემალ ნოღაიდელის ეს უკანასკნელი ნაშრომი ცარიცის მუზეუმში და მუსიკაზე უშუალოდ ხალხში, აქარის კუთხევებში მდგრადი ჩატარების ავტორის მიერვე დამუშავებულ მასალებს, ზოგიერთი აღრე გამო-  
თქმული მოსაზრებების დადასტურებებს, დაზუსტებებს, რიგ ახალ დაკვირვებებსა და შესაფერის დასკვნებს შეიცავს.

შრომის სიმღერები რომ უძეველესი წარსულის შრომით პრო-  
ცესშია შექმნილი, ეს უკვე ცნობილი შეხედულებაა. საკითხს სპე-  
ციალური მონოგრაფია მიუძღვნა ჯერ კიდევ კარლ ბიუხერმა (1847-1930), რომლის წიგნი „შრომა და რიტმი“ მრავალგერ  
გამოიცა გერმანულად და ითარგმნა სხვა ენებზეც, მათ შორის, რუ-  
სულადაც (I გამოცემა — ივანოვო, 1899 წ., II — მოსკოვი, 1923 წ.).

მასში ქართული (გურული, კახური) ნადური რიგი სიმღერე-  
ბიცაა გამოყენებული და განხილულიც (1923 წ. გამოც., გვ. 197-  
207) და აღნიშნულია, რომ სიმღერის რიტმი შრომის რიტმითაა გან-  
პირობებული.

ამავე შეხედულებას იზიარებს ჭ. ნოღაიდელიც, მაგრამ ყურად-  
ღებას ამახვილებს ქართული ხალხური მუსიკის ისეთ სპეციფიკურ  
მხარეზე, როგორიცაა სამხმიანობა და ოთხხმიანობაც.

ხსენებული ოთხხმიანობის ფაქტი, გურულისა და  
ავარული ნადური (ყანური) სიმღერების მიხედვით. პირველმა  
ჭ. ნოღაიდელმა მიაქცია ყურადღება ჯერ კიდევ  
სამხე მეტი ათეული წლის წინათ, საკითხის შესწავლა განავრძო და  
წინამდებარე ნაშრომშიც მასვე ასაბუთებს.

მისი ეს მნიშვნელოვანი მიგნება სხვის აღმოჩენად გახმაურდა,  
რაც ძალიან აღელვებდა ჭ. ნოღაიდელს.

ავტორის ეს პრიორიტეტი აღრევე აღნიშნეთ. საქმის კურსში  
მყოფი აღ. მსხალაძე წერდა: „1961 წელს აქარის სახელგამმა გამოს-  
ცა ვლ. ახობაძის საქმაოდ სქელტანიანი წიგნი „ქართული (აქარუ-  
ლი) ხალხური სიმღერები“. აღნიშნულ წიგნს ბევრი დადებითი და  
უარყოფითი მხარე აქვს“.

მთავარ უარყოფით მხარედ რეცენზენტი თელის, რომ წიგნის  
საგამოკვლევო ნაწილში მრავალ საკირო საკითხთავან საუბარია  
უპირატესად მხოლოდ ოთხმიანობის საკითხზე.

აღრინდელ ნაშრომებს რომ თავი დავანებოთ, — განაგრძობს  
აღ. მსხალაძე, — წიგნი „მასალები აქარული მუსიკალური ფოლ-  
კლორიდან“ ვლ. ახობაძის წიგნზე „თითქმის ერთი წლით აღრე გა-

მოვიდა (იხ. პროფ. ი. მეგრელიძის რეცენზია... გაზირი კურა-  
ტურული გაზეთი", 1961, № 42). ქართული ხალხური მწერლები მათ-  
ხშიანობა მაინც ვლ. ახობაძის „აღმოჩენად“ გასაღდა....

ციტატის ავტორი შენიშვნას: „ამ არაობრიექტურის შემთხვევა-  
თი რეცენზიებით ცოტა წვლილი როდი შეიტყის მიზანშემცირდება  
პირებმაონ“. და კიდევ ასახელებს მათ (1964).

სადაც საკითხის თაობაზე რა ამ ეწერა ვლ. ახობაძის შემო-  
დასახელებული წიგნის ხელნაწერში (იხ. ქვემოთ, დამატება), ამის  
გამომიერებას აქ ვერ ვაწარმოებთ. მთავარია, რომ წიგნის გამოცემულ  
რედაქტური ვლ. ახობაძესაც უწერია: „უნდა აღნიშ-  
ნოს, რომ ქართული ნადური სიმღერების ოთხხმიანობის საკითხს ჰი-  
რველად უურადღება მიაქცია ჯემალ ნოღაიდელმა“...

აღსანიშნავია, რომ ქ. ნოღაიდელი საქართველოს სსრ შეცნობებუ-  
ბათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით იმსტიტუტში თანამ-  
შრომლობის შოთლი ხელი განმავლობაში (1958-1966) შეუსაბდე  
პრობლემაზე „ავარული ზეპირსიტყველების განრები“, აზუსტებდა  
ნადური სიმღერების ოთხხმიანობის საკითხსაც, მასთან ერთად ინ-  
სტიტუტის ზოგიერთი სხვა მუშაკიც აუცელდა ამავე საკითხს უურად-  
ღებას და მასალაც მეტი შეგროვდა (იხ. იმსტიტუტის ფონდები).

ქ. ნოღაიდელის ამ მინიშვნელოვანი მიგნების შესახებ იმინქ-  
ტურად არის აღნიშნული და დამატებითი ფაქტები სათანადო ანა-  
ლიზითაა წარმოდგენილი. ა. რამიშვილის, ქ. ნოღაიდელისა და გრ.  
ჩხილევაძის სპეციალურ წერილში „ავარული ნადური სიმღერების  
ოთხხმიანობის თავისებურებების შესახებ“!

1961 წელს გამოიცა ამავე სამი ავტორის შემაჯამებელი ნიურო-  
მი „მასალები აქამის მუსიკალური ფოლკლორიდან“, რომელიც კ-  
პანგების მუსიკალურ ანალიზთან ერთად, მოცემულია ოთხმიანი  
ნადური სიმღერების 30 სახისმღერო ტექსტი და ტიპური სიმღერის  
„კალი კოფავ აზნაური“ — სრული სინტერ ჩანაშერი.

ვასკენით, რომ თთხზე კანობის იღმონა არ არ არ არ არ არ  
არ უ ლ ს ი მ ღ ე რ ე ბ შ ი ს წ ი რ ე დ კ ქ . ნ ი ღ ა ი დ ე ლ ს ე კ რ თ-  
ვ ნ ი თ .<sup>2</sup> სხვას რომ უკელისების თავი დავანებოთ და 30 წლის წილი-  
დალ შედარებით დაზუტესტებლად გამოიწმეულ აზრზე აქა-  
ფერი ვთქვათ, ჯემალ ნოღაიდელს, ვლ. ახობაძის ნაშრომის გამოს-  
ვლამდე ოცხე მეტი აღრე აქეს დაბეჭდილი: ყანური, ნ ა-

1 ერქ. „აღიტარებული აქარი“, № 1, 1960. არსებობს ცალკე ანალიზები  
ახალი ავარიალით, ბათუმი, 1960.

2 ვლ. ახობაძეს შაინკ რ ე ბ შ ა ი ს დ ა მ ს ა ხ რ ე ბ ა , რ ი მ შ ა ნ დ ი დ ა ლ ი  
მასალა მოიფარგი ისტორიაში, სალონები გამოაზოვა, იუდაა და თეით სისტურათა  
ხოტები შეაღვინა და გამოაქვეყნა.

დური სიმღერები, რომლებიც შრომის პროცესში ხდებოდა, განაბმულია და „სულ ცოტა, რვა კაცი სეირდება“ — სეირდებაში უმთავრესად ოთხი ხმა ღებულობს მონაწილეობას. მთავარია მთქმელი (მომღერალი), შემდეგ — გაშუივანე (წვრუჭი ზექვედილი), შემხმობარი და ბანი<sup>1</sup>.<sup>1</sup>

გეგმული გეგმული

უმველივე ეს უკვე სრულიად საკმარისი საფუძველია იმისა, რომ იმ საკითხზე პოლემიკა შეწყდეს, მაგრამ ქვემოთ წარმოდგენილ დამატებაში კ. ნოლაიდელი სიმღერათა დამახასიათებელ ზოგოერთ ახალ ცნობასაც იძლევა და ის, გარდაცვალებული ავტორის დაბეჭითებითი თხოვნის გამოც, მაგრამ პოლემიკური ნაწილის დიდად შემოკლებით, ჩვენ 1967 წელს გამოვაქვეყნეთ (იხ. ქვემოთ, დამატება და ის — სიმღერების ერთი კრებულის შესახებ). მას ახლაც ვგვტვით. შეიძლებოდა მისი გამოცემის უკანასკნელ განყოფილებაში — რეცენზიებში გადატანა, მაგრამ შინაარსით ამავე № 4-ს აკითარებს და ამიტომ მისსავე გაგრძელებად ვტოვებთ.

ქვემოთვე წარმოდგენილი სიმღერების აღწერა-დახასიათება საყურადღებოა მით. რომ მათში ავტორი, ვიმეორებთ, დაზუსტებულ ან სრულიად ახალ ცნობებს გვაწვდის, აღწერს ხმებსა და მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ეხება სასიმღერო ლექსების ე.წ. უსიტყვი, ახლა გაუგებარი სიტყვების ოდესაც მნიშვნელობის საკითხსაც, ცდილობს ტექსტების შინაარსის ახსნა-დახასიათება და დათარიღებაც მოვცეს.

ნაშრომის მეორე ნაწარი წარმოადგენს აჭარის საწესჩეულებო სიტყვერების განხილვას. იგი ავსებს ავტორის სპეციალურ ეთნოგრაფიულ ნარკევს.

ამ და ასეთი მასალების განხილვისას კ. ნოლაიდელი ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ასეთივე მასალების ფარგლებში ქართულში უმთავრესად ორი — წარმართული და ქრისტიანული სარწმუნოებების დანაშობი გვაქვს, ხოლო აჭარულში კი მათ მესამეც — მაჲმადიანური წესჩეულებების დანაშობიც ემატება.

ნაშრომში რომ ვაპი მიჯავეულ ამირანს მოგვაგონებს. შეცდომაა, რომ მას ზოგიერთები როკაპ-თან აიგვევებენ. რომ ვაპი და როკაპი განსხვავებული სულებია. როკაპი აქარლის წარმოდგენითაც ისეთივეა, როგორიც გურულის, იგი ძველი რწმენით ქალია, რომპაპი კი უკველად კაცია (იხ. ქვემოთ — შენიშვნები).

1 „აჭარის ხალხური სიტყვერება“, ნ. 11, 1940, გვ. 3. შერ. კ. ნოლაიდელი და კ. ჩეგიძე, აჭარულ ლექს-სიმღერების ზოგადი დახასიათება, 1958 წ.

აღსანიშვნერა ის გარემობა, რომ კ. ნოლაიდელი მასიურა შეკრება-გამოცემაში ზოგჯერ წინააღმდეგობასაც კი აუკლებოდა ძალითად, როდესაც ხალხური სიტყვიერების მისი მექრე წევი გამოიცა, ერთი უურნალისტუთაგანი ატყდა: რა საკირუკულურო ზღაპრებისა და შელოცვების გამოქვეყნება. რატომ ფლისტური ტემულება რომ პაპის შესახებ, როდესაც მისი მრავალი ვიტიასტები (სტრილი ავტორისაა, ა. მ.) მაპმადიანურ რელიგიურ წიგნებში შოთოვებათ, ამ წიგნის „გამოქვეყნება დიდი შეცდომაა“, მას „გარდა ზიანისა (!) არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლია“.<sup>1</sup>

ცალია. რომ ასეთ მსჯელობას მეცნიერებასთან არაფერი საერთო არა აქვს, გ. ნოლაიდელისა და მისი დამცველისათვის კი მაშინ ასეთ „რეცენზიას“ ზიანის მოტანა შეეძლო. ჩვენ არ მოცერდეთ ამას და საჭმით დაინტერესებულ მუშაქს მხარი დავუკირეთ. — ცენტრალურ პრესში გამოვაქვეყნეთ რეცენზია, რომელშიც გ. ნოლაიდელის წიგნს კარგი შენახენი კვლეულეთ.<sup>2</sup>

ზემოდასთელებულ ჩვენს რეცენზიაში აღვნიშვნავდით: ჩანაწერებსა და ლექსიკის განვითრებაშიც სიზუსტის დაცვაა მუც-ლებელი. წინამდებარე გამოცემაშიც მითვე ვხელმძღვანელობთ.

ამ №4 ნაშრომშის 1967 წლის გამოცემაში ჩვენს მოექ ახსნილ ზოგიერთ სიტყვას მიწერილი ჰქონდა რედ.: დანარჩენები ავტორს უკუთვნოდა. ისეთ ადვილად მისახვედრ სიტყვებს კი, როგორიცაა, შეგაღითავდა. მწვართავი, მწვრთნელის მაგისტრ (შდრ. გურ-გარე ვართვა — განვირთნა), კუნკრუქაი (ცინკრაქა). გაზი — ფილი, კულიანი, ჭაზობა — კულიანობა (კურიაში — შეცვა სალიმ), აღარ განვმარტვდით, რადგან მათი მნიშვნელობა ტექ-სტრუქტურულია.

ამა აქ ხენებული შენიშვნები სქოლიობში მოვხსენით, იქ განვიარებული სიტყვები კი ლაქსილოში შევიტანეთ.

ქვემოთ წარმოდგენილი № № 5, 6 და 7 წერილები, მათში დახასიათებული ტერმინების გამო, დღილებისტოლოგის წიგნში შეიძლებოდა ცესულყო, მაგრამ ძირითადი იმ წერილებშიც ეთნოგრაფია და იქნა მოვალეობეთ.

აკაკი წერეთლის სტუმრობა დჟარაში (ქვემოთ № 10), რაღა თქმა  
უნდა, დადგი ზეიძე იწყებოდა და ეს შეარცებოდა ჩანს.

ხალხური შოქმელები ატარაში (ქვემოთ — № 12) შეიძლება ფო-  
ლიკონის წიგნისათვის შემოვავნახა. მაგრამ ზოგიერთი ამ შოქმელ-

2 డిస్ట్రిక్టులోను, 1941, 20 వ పార్టు.

თაგანის გვარს წინამღებარე I კრებულშიც ვხვდებით და ბარებ  
ს ხუბიც აქვე იხსენიებოდნენ.

თქმულებათაგან ჩვენ განსაყუთოებით გვაინტერესებამ აქავე  
ქაიხოსრო ხელმწიფოს (№ 14). მით გ. ნოღაიდელმა ჰიტლერზე კიშე  
პოვა „ვეფხსისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტი აქარაშეეგა მარტინიუს  
იმისა, რომ ეს თქმულება, ჩვენი აზრით, წიგნური წარმოშობისაა,  
მარც დად ინტერესს იწვევს. იგი ვაიჩენებს, როგორ ცვლის ხალ-  
ხის ფარგაზია წიგნური ქმნილების რომელიმე ეპიზოდს ან ეპიზო-  
დებს. ამ თქმულებაში მელტონ-დარეგანი ტარიელ მა  
შეიძოოთ. ნესტონ-დარეგანი ნესტონ-დარეგანად იწოდება  
დ. სიზმიშვილის მიერ ს. არტანში (თიანეთი) 1888 წელს ჩაწერილ  
ვარიანტშიც.

როგორიანტებში ევ მელტონი ან ნესტონი ლერწა-  
მადაც (ლერწამ-დარეგანი) იწოდება.<sup>1</sup>

ა. ცხადია, ქართველმა ხალხურმა მოქმედმა, თავის დროზე,  
უცნობი სახელი ნესტონი ცნობილი მელტონ-ით და ნეს-  
ტონი-ით ან სოლამაზის გამო, ისევ ცნობილი სიტყვით — ლერწა-  
მ-ით შეცვალა. შემდევ იგი დამკვიდრდა თქმულების ერთ-ერთ  
ციკლში და გავრცელდა.<sup>2</sup>

უცნობი სიტყვის ნაცნობით შეცვლა ან გააშრიანება ცნობილი  
ლიცვისტური მოვლენაა.

მნელი არა არც იმის მიხვედრა. რომ გ. ნოღაიდელის მიერ ჩა-  
წერილი ამ თქმულების — „ქაიხოსრო მეფეს“ ვარიანტის უ შეუ-  
ლი (უ ფ შ ე უ ლ ი) წიგნური მოების ავთანდილია და ხო-  
კა კი — ფ რ ი დ ი ნ ი. ე. ი. სახელები სრულიად გამოცვლილია.

როდესაც აქ გ. ნოღაიდელის დამსახურებაზე ვლაპარაკობთ,  
ჩვენ მეგობრის პიროვნების ვანდიდებას არ ვაპირებთ, მისი დამსა-  
ხურების რეალური სიდიდით წარმოდგენას ცედილობთ. ავტორის  
ნაშრომებში ზოგიერთ შეცდომას, დასაზუსტებელსა და შესასწო-  
რებელ დებულებებს ვაწყდებით. ავტორს ზოგიერთები სიცოცხლე-  
შივე უსაყვედურებულენონ პრიმიტივიზმის ზოგიერთ საკითხში.

ამავე ნაშრომების გამოსაცემად მომზადებისას ჩვენ დაგვეირდა  
მათში რიგი ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და ზოგჯერ სტილი-  
ტიკური (აზრის უცელელად) შესწორებების შეტანაც. სხვადასხვა

1 გადასცედილია წიგნში „გ. ჩიქვანი, ხალხური ვეფხსისტყაოსნი“, თბ., 1937,

2 იხ. ი. შეგრებაძე. რესთოველოლოვები, თბ., 1970 წ., გვ. 153.

დროს დაწერილი ნაშრომების ტექსტოლოგიურ აზრით ვა და არა მხოლოდ მექანიკურად გადაბეჭდვა.

ვ. ნოღაიდელმა მთელი თავისი შესაძლებლობანი მოახდინა სა-  
ყვარელ საქმეს და ამაռც არ დამშვრალა. — ის ჟურნალი ნუკლი  
ლი მეცნიერი არის, რომელმაც მშობლიური კუთხში დაკავშირდებოდა მას  
სახებ დედა-სამშობლოსთან კვლავ შემოერთების შემდეგ მეცნიერე-  
ლი ნაშრომები შექმნა და გამოაქვეყნა: ჩვენს ამ აუტორს აქარელი  
ეთნოგრაფიის, ზეპირსიტყვიერებისა და კილოური მისალების შეკ-  
რებითა და სათანადო გამოკვლევებით გარკვეული ღვაწლი მიუძღ-  
ვის ქართველოლოგიის წინაშე. ამიტომ ვუწოდებთ ჯემალ ნოღაი-  
დელს აქარისა და აქარლების ცნობილსა და ნაყოფიერ მკალევარს,  
ქართველ მოლვაწესა და საქართველოს პატრიოტს. ყოველივე აშის  
გამო მის ხსოვნას პატივს ვცემთ და მისსავე ლიტერატურულ მემ-  
კვიდრეობას ვახლებთ, ანუ ხელახლა ვბეჭდავთ და ზოგიერთ დღემ-  
დე გამოუქვეყნებელ წერილსაც ვაქვეყნებთ.

ი. გიარელიძე

თბილისი, 1969 წლის 15 მარტი.



Յ Ա Խ Ե Ր Յ Ա Վ Ո Ւ

## ჯილდობულის მიზანი

აქარა ამერამად აღარ არის ის, რაც ამ ათიოდე წლის წინათ იყო. გასაბჭოების შემდეგ აქარაში გაიშალა დიდი სოციალისტური მშენებლობა. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციამ და მრეწველობის არაჩეულებრივად ზრდამ ძირდეს გვივალა აქარის ძეგლი ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული ჩამორჩენილი ყოფა-ცოცხლება.

იმპერიალისტური რესეტის ბატონობის დროს აქარის მშენებლი მოსახლეობა უკიცობასა და სიბრძელეში ატარებდა თავის ტან-ჯულ სიცოცხლეს. მძიმე იყო მისი ეკონომიკური მდგომარეობაც. მეფის ხელისუფლება ალვიძებდა აქ ნაციონალურ შულლსა და ხელს უწყობდა აქარელთა გადაგვარებას.

მენშევიკების ბატონობის დროს კი აქარა იქცა მოსყიდული ბე-გებისა და ალების სათარეშო ასპარეზად. მათ წინააღმდეგ აქარის მშენებლი მასები გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლებს აწარმოებდნენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა აქარამ თავისუფლება და დღეს მთელი მისი მშენებლი მოსახლეობა ჩამორჩენილი დიდ სოციალისტურ მშენებლობაში.

გიგანტური ნაბიჯებით იზრდება მსხვილი მრეწველობა, გარდა ექმნა და აღორძინების გზას დაადგა სოფლის მეურნეობა. წერილი გლეხური მეურნეობანი კოლმეურნეობებში ერთიანდებიან. ლო-ზუნგს: გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმე-

1 წინასიტუაცია დაბიუტი დატორის პირველ ნაშრომში: „ეთნოგრაფიული ხარჯებები აქარელთა უოფა-ცხოვრებიდან“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1935 წელს.

ურნეობად და ყველა კოლმეურნე შეძლებულად, აქარის კულტურული წევნები წარმატებით ახორციელებინ.

ამგვარად, წერილი მესაკუთრე აქარელი ღარებზე აფეხურებული სულლდა თავისი კლასობრივი მტრების: ხოკეშტაბ და ტრიუმფი ჭარბა ბეგების ყმობისაგან და სოციალისტური მიწათმოქმედების შეგნებულ და აქტიურ მუშავად იქცა...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის წყალობით შესაძლებელი შეიქმნა, რომ აქარა შემდგარიყო აღორძინების გზაზე. პირველ წლებშივე დაიწყო დიდი სასკოლო მუშაობა და წერა-კითხვის გავრცელება. გაიხსნა მრავალი სხვადასხვა ტიპისა და საფეხურის სკოლა. აქარაში დღეს ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

ამისთანავე საბჭოთა ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენს ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აქარელი ქალი საუკუნეების მანძილზე მოკლებული იყო ყოველგვარ ადამიანურ უფლებას; ის ოჯახისა და ძეელი ადათების მონა იყო. ოქტომბრის რევოლუციამ აქარელი ქალი გამოიყვანა კარჩაკეტილობისა და სიბნელიდან, მიანიჭა მას დიდი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები და განვითარების გზაზე დაყენა.

წინათ არც ერთი აქარელი ქალი არ სწავლობდა სკოლაში, ხოლო 1930-31 სასწავლო წელს სოფლად მოსწავლე ქალების რიცხვმა 21 პროცენტს გადააჭარბა.

აქარელი ქალები დღეს აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ მუშაობასა და საკოლმეურნეო მოძრაობაში.

ამ ახალ სოციალ-პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით ძირბუდიანად ირყევა საუკუნოებით განმტკიცებული ყოფა-ცხოვრება, თანდათან ქრება ძველი ზენ-ჩევეულებები და აღვილს უთმობს ახალ სოციალისტურ ყოფას.

წინათ აქარის მშრომელი მოსახლეობა უკონომიურად ნაციურ-  
ლებოდა მავნე ჩვეულებებისაგან, როგორიც იყო, მაგრამ ასე/

ლები, ქორწილი, დღეობები და სხვა.

აქარული ქორწილი, თავისი დიდი ძლვნებით, აღმართდა მშრომელების მიერ მაცხოველი მისამართში მაცხოველი გადაეხადა. 1929-1930 წლებში შესაძლებელი გახდა ამ მავნე ჩვეუ-  
ლების თოთქმის მოსპობა; თვით მშრომელმა გლეხობამ შეგნებულად  
დაგმო და უარყო ქორწილის ძველი წესები და აგრეთვე სისხლის  
აღებისა და ქელების აღათები.

მავრამ ამასთანვე საჭიროა ამ წარმავალი ყოფი-  
სა და აღათ-ჩერებათა დროზე აღწერა და  
შესწავლა, რათა შესაძლებელი გახდეს აქარელთა წარსული სა-  
ზოგადოებრივი ცხოვრების სწორი გაშექება. ეს მით უმეტეს საჭი-  
როა, რადგან ასეთი მუშაობა აქარაში ჯერ არ ჩატარებულა და საბ-  
უოთა საზოგადოებამ არც კი იცის, თუ რა ადამ-ჩვეულებით ცხოვ-  
რობდა წარსულში აქარის მშრომელი მოსახლეობა.

ასეთი მუშაობის წარმოება აქარის პირობებში ძნელია, მაგრამ  
მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევძლით მისი ნაწილობრივი ჩატა-  
რება, — შევრიბეთ აქარელთა ყოფის დამახასიათებელი ზოგიერთი  
ჩვეულებანი, რომლებსაც ამ ნარკვევში ვათავსებთ.

რა თქმა უნდა, ჩენი ეს მცირე ეთნოგრაფიული ხასიათის ნარ-  
კვევი აქარის მრავალფეროვანი და ხანგრძლივი წარსულის გასამუ-  
შებლად არ არის საკმარისი, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ და-  
წყებული საქმე გაიშლება და აქარელთა ყოფა-ცხოვრება და მისი  
წარსულის გადმონაშთები ახლო მომავალში ამომწურავად იქნება  
შესწავლილი და გაშექებული.

დასასრულ, მაღლობას მოვახსენებ საჭართველოს გეო-  
გრაფიულ საზოგადოებას, რომელმაც ამ მუშაობის ჩა-  
სატარებლად თავისი წვლილი გაიღო და ამით ხელი შეუწიო აქარის  
შესწავლის საქმეს; გულწრფელ მაღლობას ვუცხადებ სერგი მა-  
კალათიას, რომელიც მუშაობის პროცესში გულობილ დამარე-  
ბას მიწევდა და დედაჩემს, რომელიც მშველოდა მასალების შეგრო-  
ვებაში.

ამ შრომის დამუშავებაში და დაბეჭდვის საქმეში განიკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აკარის მხარეთ მიცოლავობის სამეცნიერო ბიუროს, რისთვისაც მას მუჭქობურობის-სენებ.

1935 წ.

## აჭარელთა ყოფა-ცხოვრების

### 1. ხალხში ჩვეულებანი

ხალხის ყოფა-ცხოვრების შესწავლას უაღრესი მნიშვნელობა უძლება ამა თუ იმ კუთხის საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად. ხალხურ ჩვეულებში გაღმონაშოთის სახით მოცემულია წარსულის დამახასიათებელი მომენტები. ამ მხრივ აქარის ეთნოგრაფიულ შესწავლას შეუძლია შეჯი მოპონინოს ისტორიულ წარსულს. აქარამ ისტორიის მანძილზე განვლო საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების სხვადასხვა საფეხური, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ეს განვილილი გზა ჯერ კიდევ შესწავლელი და გაუშექებელია.

აქარა დღეს ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში და იბრძვის ახალი ყოფის განმტკიცებისათვის. მაგრამ ამასთანავე აქარის მშერომელ მოსახლეობას ჰსურს იცოდეს თავისი ისტორიული წარსულის სინამდვილე, ხოლო ამისათვის კი საჭიროა ძველი და წარმავალი ყოფის დამახასიათებელი ჩვეულებების აღწერა, შეკრება და მათი მარქსისტულად შესწავლა და გაშუქება; ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, რათა გამომედავნდეს ძველი ყოფის დამახასიათებელი ჩვეულებების კლასობრივი ხასიათი და იდეოლოგიური მავნებლობა.

აქამდის ამ საქმეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ამიტომ განვიზრახეთ აქარლების ყოფა-ცხოვრებიდან ნაკვევების სახით მოგვიცა ზოგიერთი ჩვეულების მოკლე აღწერა. ამ ჩვენს შრომას ვიწყებთ მშობიარობის წესების აღწერით.

### მ უ ბ ი ა რ ო ბ ა

იგრძნობს თუ არა ორსული ქალი სამშობიარო ტკივილებს, მაშინვე მოიწვევენ დახელოვნებულ „ამყვანს“ — ბებიაქალს, რომელსაც ზემოაჭარაში „ე ბეს“ უწოდებენ. ამყვანი მელოგინეს ცალკე ოთახში ან ოთახის ერთ კუთხეში ტახტზე ლო-

გინს გაუშლის და დააწევენს. ტახტის უქონლობის შემთხვევაში მშობიარეს იატაკზე აწევენენ. მშობიარის ლოვინი ოქმოცი იყოს კინა-ვლობაში არ იკეცება. მშობიარობის დღეს მამაკაცებს სახისიღმა ითხოვენ და წასელის წინ მეღაგინის ქმარი ამყანას მოვალეობაში, თუ სად იქნება, რომ მახარობელმა მას დროზე აცნობებული მიზანი და ისა.

ამყანი, როდესაც ყველაფერს გაამზადებს, მელოგინეს წელს „ამოურეკას“, გაატარებს და შემდეგ დააწევენს. მშობიარობის განხელების შემთხვევაში, მშობიარეს ცხელ წყალში ჩასვამენ. რომ ამით შეუმსუბურონ მშობიარობის პროცესი. ზემო აქარაში კი „ჩიხანდარს“ მოხარშევენ ქვაბში და მშობიარეს მისი ორთქლით ასუნთქმებენ. თუ ამანაც ვერ გატრა, მაშინ მშობიარის ქმარი ცერძია და სალიკი თითის კუნთებს შეუადასხამს წყლის წვეთებს, დააგუბებს და მელოგინეს შეასმევს. ზოგჯერ ქმარი მშობიარის ტახტის ძვეშ ჩუპად შეძრება და ოოფს გაისერის.

ბავშვი რომ დაიბადება, ან როგორც აქარლები იტყვიან. „ბაღანაა რომ დუნიაზე მოვა“, ამყანი მოსკრის მას ჭიპს, დაბანს, შეახვევს და დააწევენს. ამყანი მელოგინესაც დაბანს, თბილად დააწევენს, საბანს დაახურავს და შეულოცავს.

შელოცა ხდება ასე: ამყანი ილებს დანას ან წალლს, მარცხნიდან მარჯვნივ წრეს შემოხანავს და ამბობს:

„სამსა მამლისა ყიფილსა, სამებისა მთასა (ან კარსა) სამი ძმანი თავულვირიდ ლესვენ ხმალსა, კრიან თაესა, აქ რა უნდა ავსა, გეიარე კარსა, ბადვ სასტუმალსა, ქვაბი სიფერხელსა, საჩეჩელი გვერდსა, უშეელე, ღმერთო, და მოეხმარე“.

ლოცვა მეორედება სამჯერ. შელოცვის შემდევ დანას ბალიშის ქვეშ ამოუდებენ მშობიარეს. თუ ახალდაბადებული ვაკრა, ამყანი ბაზრენე მახარობელს აფრენს ვაკის მამასთან. რომელიც მახარობელს ასასუქრებს. ვაკის შეძენა აქარლის ოჯახში დიდ სიხარულს იწვევს, განსაკუთრებით, როდესაც იგი პირშოთა ან ორი ან სამი ქალის შემდევ შეეძინება ოჯახს.

დაიბადება თუ არა ბავშვი, მაშინვე მოსკრიან ჭიპს და ამ უკანასკნელს ბუდესთან ერთად მიწაში ჩაფლავენ. მაგრამ ბავშვი თუ „უკუმკვდარია“ — სულშეგუბებული, მამინ ბავშვის მოსულიერებას დაუკდიან და ჭიპს შემდევ მოსკრიან. ვაკის ჭიპს „ხამაილი ყაბში“ — საფულეში ჩადებენ, რომ მას ბედი ჰქონდეს და ფული არ გამოელიოს, ქალის ჭიპს კი „ახორში“ ინახავენ, რაღანაც, ხალხის რწმენით, ქალს ჭიპი საქონელზე ექნება მიტრილი და მას საქონელი ეკვარებათ.

მელოგინე რომ მორჩება, ამყვანშა მას ბადე უნდა გადაკუაროს. თუ ბადე საკუთარია, დიდხანს აქვს გადაფარებული, თუ ამა და ოცდაოთხი საათი მაინც უნდა იყოს მელოგინე ბატის ქარე, რა-თა მავნე სულებმა და ეშმაკებმა არ ავნონ.

ავი თვალის საქინაალმდევოდ მელოგინის ტაცტიზ ჰუმისტულ ეკალს ჩამოიყიდებენ, ზოგან კი — ასკილის ტოტს. სასოფლის ქვეშ კი ალისყურს ამოულებენ.

მელოგინის სანახავად და მისალოცად მეორე დღესვე დაიწყება სტუმრების მიმოსვლა. ქალები მელოგინესთან შესვლამდის კაბას და წინსაფარს ცეცხლზე დაიბერტყავენ და მელოგინესაგან მოშორებით სხდებიან. რომ არ მოპყვეთ „უკმური თვალ-უჩინარი“. სანახავად მოსულ სტუმრებს უმასპინძლდებიან მხოლოდ პურის ფქვილის ფაფით და დამწვარი ერბოთი.

ამყვანი მელოგინეს ერთი კვირის განმავლობაში ემსახურება; ამყვანს გასამრჩეოში ეძლევა: ერთი ან ორი საპონი, ერთი ვარტოფილის სანთელი, რამდენიმე ცალი ასანთი და დაახლოებით 20 შანეთი ფულად.

ერთი კვირის შემდეგ მელოგინე დგება: ის მარჯვენა ხელში წალდს ან დანას დაიკერს, პარცხენაში შუგუზალს. თავის თქმას პირში ჩაიდებს, ალისყურსა და ბადეს ჩამოიყიდებს და გარეთ ისე გამოვა. მელოგინე 40 დღეს უწმინდურად ითვლება და შეს არ შეუძლია მეზობლისას მისელა. ბოსტანში გაელა და ქმართან ურთიერთობა. ამ წის განმავლობაში შეს აერძალული აქვს საკელის დამზადებაც.

ხულოს რაიონში მელოგინე შვიდი დღე ტანდაუბანელია და შეს შეიდი დღის განმავლობაში წყალსაც არ ასმევენ, რომ ის გაუუცდეს. შვიდი დღის შემდეგ „ებედ“ მელოგინეს ტანს დაბანს, ჩაცემებს და ცეცხლას პირს დამკამს. ორმოცი დღის განმავლობაში ის ოჯახში არაფერს აკეთებს და ერტ ოჯახიდან გავა.

ზემო აქარაში მელოგინე ქალი განმარტოებული უწევთ და მასთან მხოლოდ „ებედს“, ქმარსა და დედამთილს შეუძლიათ შესელა. სხვები კი ორმოცი დღის განმავლობაში მშობიარესთან ვერ შევლენ, რადგანაც, ხალხის ცრურშენით. პალვი „ბასხუნი“ იქნებაო, ის ფეხზე ვერ ღალება და წელს ვერ ვიმაგრებისო. ორმოცი დღის მელოგინესთან ქათამიც რომ შევიდეს, მას მაშინვე დაიცერენ და ბაღეს ჭათაშე ფეხს დაგმევინებენ.

ახალდაბადებულ ბავშვს პირველად „ხოჩიჩში“ აწვენენ, რომელია უმთავრესად ცაცხვის ქერქისაგან ამზადებენ. ხოჩიჩი ნავის ფორმისაა და იმით ბავშვს მელოგინეს ლოგინში უდგამენ. ორი კვი-

რის შემდეგ კი ბავშვეს აწენენ აკანში. რომელიც გამოიყენებოდა აზ-  
ტახებით, შიბაქით, ჩალახებითა და საბან-საცეპით. ესი არის უძინა-  
ადმდევები აკანშე ჰერდების: სათვალე კავის, პარჩა ჩამოსი, ტე-  
რად შეიცებს, აბოს კბილს, ნორს. კოშის თესლს მურავები და კა-  
ვათმის ფრთას, ზოგჯერ ბადესაც გადაფარებენ და მიტკი იკრისებ

საბავშვო ავადმყოფობიდან აქარაში გაერცელებულია უფრო  
შეცლის ტკიფალი, რომლის წინააღმდეგ აქ სხვადასხვა საშუალებას  
მიმართავენ. მას უშერეს შემთხვევაში ასე წამლობენ: თოფის წი-  
შალს დედის რძეში გალესავენ და ავადმყოფ ბავშვს შეასმევენ.

მელოგინეს ორმოცი დღის განმავლობაში მამლის ხორცის არ  
აჭიევენ, რათა ბალის სანაშენი არ გაუსიყდეს.

მელოგინე არც პირუტყვის ხორცის კამს, რადგანაც, ხალხის  
რწმენით, ბავშვზე ეს ცუდ ზეგავლენას ახდენს: თუ ქალია, მსუბუქი  
ყოფაცევის გამოვა და თუ ვაკია — ქალების მოყვარული და მოარ-  
ძიყე ექნებაო. მელოგინეს არც მყავე, მწარე და მწვანილი ეკმევა:  
„ბაღანას თვალში წამოუდგება და ასტყივლება“. ბავშვს თუ კრიში  
წყალი ჩაუდგა, საქმელსა და ძირთეთრას დანაყავენ და კიბე დაა-  
დებენ. აგრეთვე იღებენ მარილს, შეულოცავენ. შემდეგ მრავალდა-  
რღვას ძირში ჩაღებენ და იტყვან: „როგორც იყი ღნებოდეს, კიბში  
წყალი შრებოდეს“.

ზემო აქარაში საბავშვო სენს — „სამარტვილოს“ თრიმ-  
ლის გამხმიარი ფოთლით მყურნალობენ. შეიძლება სამარტვილომ  
ბავშვეს კისერში წაუკირს და „მატავრა“-დ იქცეს. მატავრა კი ბავ-  
შვებს ხეირად ხოცავს: მატავრას არჩენს „მატაერა მძივი“.

ბავშვს ემართება აგრეთვე „წმინდანი“. ის განსაკუთრებით მა-  
შინ შეეყრება. როდესაც ბავშვეს ლია კარებში ბანენ, პაერი დავრი-  
ლევს და ის „წმინდანად“ იქცევაო.

„წმინდანს“, ხალხის რწმენით, წამლობა არ შეელის, მხოლოდ  
შელოცა არჩემს.

ბავშვეს თუ კია აწუხებს, მას ჯერ ხორასანს ასმევენ. შემდეგ  
„კიას აქრიან“. ეს ასე ხდება: ცხვრის განვალს წყალში გახსნიან  
და მას სამართებლით ან დანით ბავშვეს მეცელზე წაუსვამენ და თან  
შეულოცავენ:

„კია, კიავ, თავ ამოყე, დედო კიავ, თავი ჩაყე“. ხალხის რწმენით,  
ცხვრის განვალის წასმისას კიები ხორცის მოაწვებიან და თავებს  
გამოყოფენ, სამართებელი კი მათ თავებს დააყრევინებთო, მაგრამ  
დედა კია არ უნდა მოკვდეს, თორემ ბავშვიც მოკვდებაო.

ბავშვეს თუ უქმური აპყვა და ავად გახდა, მაშინ მოაგროვებენ  
სხვადასხვა ფოთოლსა და ბალაბს, კვაბში მოხარუვენ და მის

ორთქელს ავადმყოფს უხრჩილებენ, აგრეთვე ამ ბალახების საცხოვრის წყლით ტანსაც დაბანენ.

ორთქელის შეხრჩილებისას ასე ულოცავენ:

„სახელითა ხთითა, მამითა ძითა, სულითა წმინდითა, შემოსილი უკავებების თვალუჩინარის, უქმურო, გამოღი, გამხეშორე, როსი წუადი, საღაც არ იყურებოდეს ძალის უეფა, კაცის უპტი (ყოფინა), მამლის უიეილი: იქ გასუმენ, იქ გაკუმენ, იქ გაპატივებენ. გამოღი, უქმურო, გამხეშორე, თუ არა აგვირი ანითა, მანითა, შავტარიანი ღანითა, გრძელტარიანი წალდითა, გავიტან უხრა მთას იქით, ჩაგვრი რვალისა ქოთანში. გადუღებ და გაფოფინებ, გაგადენ წალსავეთ, გაგაქროფ ქარსავეთ.“

ზოგჯერ, ხალხის თქმით, უქმური გაღარქულა გოუოდ, რომელიც ავადმყოფ ბავშვს ხელ-ფეხს მოუქცევს, თავს გაუზრდის, კასერს დაუწერილებს, ფეხებს „მოუსხრეეს“ და შეცელს გაუსივებს. გოუოთი დაავადებულ ბავშვს ასე სწამლობენ: მოაქვთ შვიდი წისძვილის ბორბლიდან ამოლებული წყალი, შვიდ ბალჩაში მოკრეფილი ფოთლები, შვიდი წყაროს წყალი და შეიძირ ტყის ბალახის ფოთლები. ამ წყალში მოხარშავენ უკელა მოგროვილ ბალახსა და იმის ორთქლს ავადმყოფ ბავშვს უხრჩილებენ. წყალი რომ გავრილდება, ბავშვს დაბანენ და შემდეგ მოხარშულ ბალახში ჩააწვენენ.

ამის შემდეგ კერიდიან საკიდლს ჩამოხსნიან და მას ცეცხლზე გაახურებენ. გავარვარებულ საკიდლის ჭავეს რკალად შეკრავენ და ამ რკალში გოუოიან ბავშვს სამჯერ გაატარებენ. ამ მოქმედების დროს გახურებული ჭავეი ორ კაცს უკირავს ხის კავებით. ორი აღაშიანი ჭავეის წინა და უკან დაღვება და გოუოიან ბავშვს ჭავეის რკალიდან ერთიმეორეს გადასცემენ. შემდეგ გახურებულ ჭავეს მიწაზე დებენ, შუაში გოუოიან ბავშვს ჩააყენებენ, ჭავეს წყალს დაასხამენ და ანადენ ორთქლს ავადმყოფს უხრჩილებენ.

ამის შემდეგ იწყება გოუოს „აქრა“, რისთვისაც ბავშვს კიბეზე შეაყენებენ: როცა ბავშვი კიბის მეშვიდე საფეხურზე შეადგამს ფეხს — შეულოცავენ. შემლოცავს ხელში დანა უკირავს. კიბის საფეხურებს ამ დანით ჩეხავს და ულოცავს:

„სახელითა ხთითა, მამითა ძითა, სულითა წმინდითა. ლოცა გოუოდსა.“

„გოურვ, გოუოველავ, ღანკავ, ღანკიელავ, არხალავ, მარხალაკო, პაწაა ბიჭის (ან გოგოს — ახსენებენ ავადმყოფის საბერლს) ფათარაკო, ალი მონაღირობდა, მელი მოლას ცდილობდა, ის რომ რკინიას კამდა, როგოს ხრიდა ქვიშასა. დამბადებელმა გაუწყრა, გეგპარა ვოკო დილასა.“



გოეთს გამოლოცვა მთვარის ცხრომაზე იციან, — საკუთხოს.  
ხუთშაბათსა და შაბათ დღეს, ახალ მთვარეზე კი შედია კარის ქა-  
იძლება, რადგანაც ახალი მთვარე იზრდება და გოეთ გაიზიდებო,  
ცხრომაზე კი მთვარეც ილევა და გოეთ ილევაო. *ქრისტეს*

ბავშვისათვის სახელის შერჩევის დროს უპირობის მისამართ  
შეს ეძლევა. ხშირად ბავშვს ცნობილი წინაპრის სახელს არქმდევნ.  
სახელის არჩევის დროს მთვარესაც აქვს მნიშვნელობა, რადგან წლის  
თვეებსაც აჭარლები მთვარით ანგარიშობენ. ასებობს, მაგალითად,  
შებანის მთვარე, რეგების მთვარე, რამაზნის მთვარე და სხვა. ბავშვი  
თუ პირველ მთვარეზე დაიბადა, შებანს არქმდევნ, თუ მეორეზე —  
რეგებს, ხოლო რამაზნში დაბადებულს — რამზს.

მშობლები ბავშვს ერთი წლის განმავლობაში უცხოს არ აჩვე-  
ნებენ, თვალი არ ეცესო და არც მიწაზე დასვამენ, რომ „უემური“  
არ აჰყვესო.

### „სუნით დუბუნი“

ბავშვი რომ ერთი წლის გახდება, მშობლები შეუდგებიან მისი  
„დასუნათვის“ (წინდაცვეოთის) თაღარიგს და კარგი „ქირვა“-ს (მა-  
მობილის) არჩევას.

აჭარაში ბავშვის „დასუნათვა“ უმთავრესად ერთი წლიდან შეიღ  
წლამდის ხდება. გამონაკლის შემთხვევებში „დასუნათვა“ 13 წლამ-  
დისაც შეიძლება.

„მესუნათეები“, რომლებიც ამ წინდაცვეთის ოპერაციას აწარ-  
მოებენ, უფრო ქვედა აქარიდან და შავშეთიდან არიან. „მესუნათე“  
„დასუნათვის“ დროს ხმარიბს „უსტურა“-ს (სამართებელი) და  
ჩქიფს. წამლად ხმარობენ მუხის ჩერებს, რომელსაც სხვა წამლებსაც  
ურევენ. სისხლის შესაწერებლად კი — ლალების ფოთლილახ დაშა-  
დებულ ფხენრლს.

ერთ „სუნით დუბუნზე“ რამდენიმე ბავშვის წინდაცვეთა  
შეიძლება და იმართება პატარა ქორწილის მსგავსი წვეულება. პა-  
ტიუებენ ნათესავ-მოკეთებს, იწვევენ ზურიასა და მომლერლებს.  
ბავშვის მამობილს მოაქვს ტკბილეული.

როდესაც რამდენიმე ბავშვი ერთად „სუნათვბა“, მათი შემო-  
ბილები ერთმანეთს ეჯიბრებიან ტკბილეულის მოტანაში. სამავიე-  
როდ ისინი თავიანთ შეიღობილებს აქეზებენ, თუ რომელი მათვანი  
უფრო ყოჩალად მოიქცევა „დასუნათვის“ მომენტში.

„დასასუნათავ“ ბავშვები წინ თეთრ ქსოვილს დაფარებენ. მან ეკრ ინილოს დაცვეთის პროცესი. ბავშვები მამობილი ტელიფონის რა დაიჭირს და „მესუნათე“ წინსაფრის ქვეშ წინდაცვეთის შეუდგება. ამ დროს ღოლას და ზურნას უკრავენ, ერთი ჯგუფი რისტული ზოვი თოვლის ისერის, ცუკავეს და სხვა. ამით სურათ ბურთული ტელები და მირები მიიჩინონ. რათა მან წინდაცვეთის ტეივილი ნაკლებად იკრძნოს. ბოლოს, წინადაცვეთილი ბავშვი აკანკალებული ხმით დაიყვირებს და ამით აცნობებს ხალხს, რომ ის უკავ წინდაცვეთილია.

„დასუნათებული“ ბავშვი სამ დღეში იურნება და ლოგინიდან დგება, მამობილი მას შეძლებისდაგვარად ისაჩუქრება: შეძლებულ მამობილს საჩუქრად მოჰყავს შეილობილისათვის შეკაზმული ცხენი, კაშები ან ძროხა და სხვ. სამაგიეროდ, შვილობილმა დაცვეთის შემდეგ მამობილს ძლენად უნდა მიართვას: ყოჩი, ხაჭაპურები, ქალები და ტებილეული.

ვაჟი რომ 14-15 წლისა გახდება, მას „მანილში“, ე. ი. ნადში და პატივებენ და ამორიდან ის მამაკაცების საზოგადოებაში ერევა და „დელიკანდად“ ითვლება.

რაც შეეხება ქალს, მისი დაბადება უფრო დედას გაუხარდება ხოლმე: ეს უკანასკნელი მასში ხედავს დამხმარეს საოგაზო საქმეში. ქალი რომ წამოიზრდება, მამა ნალელიანად იტყვის: ოჯახში სარჩენი მომებატაო.

აქარაში ქალის მონათელა არ იციან და 7-8 წლამდის ქალი თავს ლალად გრძნობს: დახტის, თამაშობს თავის ტოლ გოგო-ბიჭებში და ოჯახშიაც საქმობს. მაგრამ შეუსრულდება თუ არა 8 წელი, მას ფრთხები შეეკვეცება. ამ დღიდან ის ვალდებულია ჯამეში იაროს ხოჯასთან და „ულუმი დინი“ (საღმრთო რჯული) ისწავლოს. 13 წლის ქალს ჩაღრს ააფარებენ და ამიერიდან მას ეკრალება მამაკაცს უჩაღროდ ეჩვენოს. ამგვარად ასევე ჩამდგარი აქარელი ქალი ჩაღრით იბურება, მარხულობს და ლოცულობს, მშობლები მას სოფელში გასელის უფლებას არ აძლევენ, ზოგჯერ ნათესავებში გაგზავნიან. ჩეცულებრივად კი გასათხოვარი ქალი ოჯახშია ჩაეკრილი, რაღანაც მშობლებს ეშინიათ, ვათ თუ ის ვინმე ვაეს გამოელა-პარაკის და საქვეყნოდ თავი მოგვერასო.

გასათხოვარი ქალი გართობაში ნაკლებად იღებს მონაწილეობას: მშობლები მას ქორწილში ან სხვა შეერებულობაში იშვიათად უშეებენ. ქალ-ვაჟს უშეუალოდ ერთმანეთის დანახვა არ შეუძლია. ეს უზატუსობაში ჩამოერთმევა მათ. ვაეს უშეუალოდ საცოლეს ნახვა არ შეუძლია: ეს მან უნდა მოახერხოს ჩუმად, მაკანელის დახმარებით. ვაერ საღმე დანიშნულ ადგილზე მიიმალება, მაჭანკალი ქალი

იქ ცე-გარარებს, რომ ვაჟს საშუალება ეძლევა თავისი საცოცხა და-  
ხახოს. რა თქმა უნდა, ეს ხდება საიდუმლოდ, და ამას წერებაც  
არც ქალმა და არც მისმა დედ-მამამ არაფერი არ იციან.

საქმროს არჩევის დროს გასათხოვარი ქალის ნება კორილოს  
არაერთარი ანგარიში არ იწევა: მისი ბედი მთლიანი კრიტიკის  
შემზღვევაშე ეცნობა.

სასოგადოდ ქალ-ვაჟის დაქორწინების საქმე, ძელი აქარცლი  
აღათოთ, მხოლოდ მშობლებს ეკითხება და მათ შორის ხშირად ასე-  
თი საუბარი იმართება:

— შენ, კაცი, გუშინ ფაშაბატონმა (მულმა) მიითხო. რუმე  
ჩენ სოფელში ზაბოთალა კომახიძეს კი გოგო ხვესო, სამი ყათი  
(წყობა) ჯერი (მხილევი) ხაჩირი აქო. კარტი ოჭახია და ჩენი ნერი-  
ეხა ვითხოვოთ ი ქალი.

— მემრე შენ რა უთხარი, ქალო?

— რა უთხარ და შენს მას ვკითხავ მეტეინ:

— წნებოთ. ერთი კარტათ გევეითხავ და მემრე ემინეა გავეზავ-  
ნოთ „მურავათ“ (მავანკლად).

ვაჟის მამის, შეპანშა, მაჟანელად გაგზავნა ეშინე, რომელმაც  
ზაბითალასთან საქმე შოაგვარა და სანიშნო ბეჭედი და საყურე გა-  
დასცა.

ამის შემდევ შეპანშა ნურისთან ასეთი საუბარი გამართა:

— ნურიავ, ზაბითალა კომახიძის ბეჭებს თუ იცნობ, რაფერია?

— რა უკირს, კა ბეჭებია.

— იცი ნურიავ, შენ დაგასახლე (დაგაქორწილე) იმათ ქალზე.

ვაჟმა მშობლების ეს გადაწყვეტილება უსიტყვილ უნდა მიი-  
ღოს. დანიშნული ქალიც ყველას ერიდება. მორცევობს და იმალება,  
განსაკუთრებულ ძაშინ, როდესაც ოჭახში მის საქმროზე გაიმართება:  
საუბარი.

## კორწილი

ქორწილი უთუოდ კვირის ან ხუთშაბათს უნდა გადაიხადონ.  
სხვა დღეებში, აჭარლების წარმოდგენით, ქორწილი შეუძლებელია.  
ქორწილისათვის სტუმრებს ერთი ან ორი კვირით აღრე დაპატიჟე-  
ბენ, ქორწილის მოწყობის საქმეში უპირატესობა დედოფლის მშო-  
ბლებს ეძლევა და თუ ისინი თავის თავს ნებას მისცემენ, რაც არ  
უნდა მოითხოვონ, სასიძო ვალდებულია ყველაფერი შეესრულოს.

ხშირად დედოფლის მშობლები სასიძოს მოითხოვენ საქორწი-

ლო ხარჯის გაღებას. საკლიფსა და ზურნას. სასიძო იძულებულია შესაჩულის მათი მოთხოვნილება.

ექიმაში ქორწილი ორი დღე გრძელდება. შაბაონ შემოგვიანებული იყო მის მიერთების დროს და მაგათ საღამოს აქ იმართება დაღი ვაშშიმი.   
**ტრიცენტი**

ეკრა დღლით სიძის მაყარი მოდის დედოფლის შემადგრმებელი ყარის ერთი ან ორი დაღი-ქაღი ახლავს. დაღედ მიუვება სიძის და, დედა, მამიდა ან „აბდა“ (ბიცოლა). დაღე სასიძოს მხრივ დედოფლის პირველი შენახველია. მაყრის მოსელისას იმღერდება მაყრულს, რომელშიც რეა მომღერალი იღებს მონაწილეობას: ორი მოქმედი, ერთი მომიტანელი, ერთი „გამყივანე“ მოკრიმანჭულე. სიძლერა გადამშელია.

მაყრულში ვანსაკეტრებულ ლექსებს არ შეერთან. შატრობენ სხვადასხვა მოყველე ლექსებით. მაყრულის გათავების შემდევ დადეს დედოფლის ოჯახში შეიყვანენ. მავრამ დედოფალს მაშინვე არ აჩვენებენ. მაყარი ცოტათი რომ შეისვენებს, მედოლე სახლის კარგბთან შეხვედრის პირს დაუკრავს და დედოფალს დადესთან მაშინ შეიყვანენ. დედოფალს თავზე ლეჩაქი (ფატა) ხურავს და სახეზედაც მარწყვნა ხელი აქვს აფარებული.

დაღე დედოფალს ტებილეულსა და ვერცხლის ფულებს თავზე გადააყრის, მომყვანისაც 5-10 მანეთამდის დაასაჩუქრებს.

სასიძოს ნათესავებმა, მაყარმა და დაღემ არ იციან. თუ როგორია დედოფალი, მიტომ აღელვებული დაღე მაშინვე მივარდება და დედოფლისა პირზე ლეჩაქს ჩამოხდის და ეს მღელვარება სიხარულით ან წყვენით შეიცვლება. დაათვალიერებს თუ არა დაღე დედოფლის, ეს უკანასკნელი ისევ უკან ჩიყავთ, იქ დედოფალს უცდის საკუთარი დადე. რომელიც მას კაზმავს და უვლის. აქ დედოფალი ლეჩაქს (ფატას) მოიხდის და წაყვანამდის აღარ დაიხურავს, საქორწილო ლეჩაქი სირმითა და ოქრომკედით არის მორთული.

მაყრებს საღლზე მოიწვევენ. ორი კაცი მათ ხელს „დააშვენებიებს“ (დააბანინებს) და შერბეთს ჩამოურიგებს. შერბეთი წყლისა და თაფლისაგან (ან შაქრისაგან) მზადდება. სტუმრებს მიართმევენ აგრეთვე „მაჯუნს“, რომელსაც ბრინჯისა და თაფლისაგან ამზადებენ. ამას მოჰყვება ტებილეული.

როცა შერბეთსა და მაჯუნს ყველას ჩამოურიგებენ, შერბეთის პწდე ერთ დიღ კიქას შერბეთით გაავსებს, მაყრებში ამოარჩევს ყველაზე თვალისაჩინო პირს და ამ კიქას მას დაუდგამს ჭინ. კიქაზე მერდინია გადაფარებული და მან ეს კიქა უნდა გამოიყიდოს („და-

ცხსნას“). კიქის პატრონი შერბეთს შესვამს და კიქაში 3-5 მანგის ჩა-  
აგდებს, მერლინს კი თვითონ წაიღებს.

ასეთივე წესით აწვდიან შერბეთიან კიქას დადეს და ისიც დაჩუ-  
ქარს გაიღებს.

მაყრები თუ შორიდან არიან, სუფრიდან მალე უდიდესი მეტებები და  
შემდეგ სუფრაზე მეორე ოთახში მოიწვევენ ქალებს, რომელებსაც  
იმავე სასმელებითა და ტკბილეულობით უმასპინძლდებიან. მა ღრის  
რამდენიმე მოხუცი, დაახლოებით სამი კაცი სიძისა და სამიც დე-  
ლოფლის მხრიდან, ხოჯის თანხლებით, განცალკევდებიან, ეზოში ჭი-  
ლობს გაშლიან და დასხდებიან. აქ იწყება „ალდის“ გავეთა, ვ. ი.  
ამ ორ დამოყვარებულ ოჯახს შორის წერილობითი პირობა უნდა და-  
იდეს. ეს პირები თავიანთ შორის ორ კაცს ვექილად გამოჰყოფენ  
(ერთს ნეფიან და ერთს დედოფლის მხრიდან), სხვები კი მოწმეებია.  
პირველი სიტყვა დედოფლის ვექილს კეთვნის. დაიწყება ბჭობა  
იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა იყოს „ალდი“ ჯარიმა გათვალის-  
წინებული სიძის მიერ დედოფლის დაწუნების შემთხვევაში.

დედოფლის მხარე ალდის გამოანგარიშებას „შეჯამებული“ თან-  
ხიდან იწყებს. მაგალითად, ათას მანეთ ოქროფან; ნეფის მხარე კი  
იწყებს ასი მანეთიდან, მაგრამ მათ შორის ჯარიმის რაოდენობის და-  
მდგენი და გადამწყვეტი მაინც ხოჯა. ვთქვათ, ჯარიმა 50 მ. განსაზ-  
ღვრეს. მაშინ ამაზე ხოჯა შეადგენს პირობის ქალალს, რომელსაც  
„ნიქახი“ ეწოდება.

ხოჯის მიერ დაწერილ „ნიქახზე“ ორივე მხარე აწერს ხელს და  
შემდეგ მას შესანახად დედოფლის მშობლებს გადასცემენ.

იმის შემდეგ „ალდი“ უკვე გაკვეთილია და თუ ქალს „ჯეიზი“  
(მზითევი) ქევს, იმასაც აწერენ, ურემზე დაუდებენ და ნეფის სახლ-  
ში გაგზავნიან; ამასთანავე დედოფალსაც წასაყვანად მოამზადებენ.  
წითელი ფერის ქსოვილისაგან ხოჯა „დუალს“ შეკერავს და წაყვანის  
წინ დედოფალს თავზე გაღმოახურავენ. მაგრამ რათა „დუალი“ თავ-  
ზე კარგად დაადგეს, დედოფალს თავზე მუყაოსაგან გაკეთებულ წო-  
წოლა ქუდს დაახურავენ და ზედ „დუალს“ წამოასხამენ. ახალგაზრ-  
დები ოჯახში მხიარულობენ, მღერიან და ცეკვავენ; ხორონს, ბალ-  
დათურს, ყოლსამას, ყარაბალს და სხვას. მაყრები ერთმანეთს თო-  
ფის სროლაში ეჯიბრებიან.

დადე დედოფალთან იმყოფება და როცა დედოფალს ფეხსაც-  
მელს მოუტანენ, დადემ ფეხსაცმელში ფული უნდა ჩააგდოს და ეს  
მომტანის საჩუქრაია. პატარძლის მორთვას რომ მორჩებიან, დადე  
დოლსა და ზურნას დაუძახებს; დამკვრელები ქალების ოთახში შე-  
ვლენ და იქ რაიტება ცეკვა-თამაში. შემდეგ სიმღერით გარეთ გა-

შოდიან: პირველი სიძის დადე გამოვა. ამ ღროს დედოფლის ნაზა-  
საექტოდნ ერთი ვინმე კარს მოულოდნელად ჩაკეტავს და ვიზუალის  
ძის მაყრიდან საჩუქარს არ მიიღებს, კარს არ გააღებს.

დედოფლი ჭალებს გამოჰყავთ და ცხენზე შესაჯდომისუმცულებელი  
შენ; უკრავენ კამისამშევადობებელ პიჩის. ცხენზე შეჭრიშშეცემის  
დოფალს ფარდაგს შემოაფარებენ, რომ ის ამ ღროს არავინ დაინა-  
სოს. დედოფლი მშიბლებს ოდალცრემლიანი ეთხოვება და თავისი  
დადის თანხლებით ნეფისს გაემვაკრება. გზაში დედოფალი ორ  
ხელის მომკიდეს მიყავს. რომ დეალჩამოფარებული დედოფალი  
გზაში ცხენიდან არ გამომოვარდეს.

ნეფის სახლს მოუკალოვდებიან თუ არა, მაყრიონი მაყრულს  
წამოიწყებს. სახლში მოსკლისას, ცოტა მოშორებით დადგებიან და  
გზას გამართავენ, სახლიდან სიძე უნდა გამოვიდეს და ამ გზით მი-  
ვაღებ დედოფალთან.

მაგრამ ნეფის სახლიდან ჯერ ვინმე მოხუცი გამოვა და სტუმ-  
რებს მოიწევებს:

— მობრძანდით, ბუგრუმს. პაწახ მეცხრივთ, ნამეტარი შორაა  
დედოფალი!

მაზე მაყრიონიდან ვინმე უბასუხებს:

— აქედან ფეხს არ წაედგამ წინ, აფერი შორ არაა!

— გთხოვთ, პაწახ სედწიეთ!

— რიზა, პაწახ გამეც წირ, მეც დევნახო სიძე!

— რათ ერნდა, არ ეცნოფ თუ?

— რავა არ ვიცნოფ!

— მაში, რა ვინდა?

— რა მინდა და ერთი დევნახო, რაფერია ნეფიობაში.

ჩოჩქოლი მიწყნარდება. ერთი რომელიმე მოხუცი სიძეს წინ  
გამოუდევება და დედოფლისაკენ წამოვლენ.

— აბა, მოწით-მეცხრივთ, სიძე მეა, მაშალლა (ჯვარი სწერია)  
უისტით!

უკელანი იძახიან: „მაშალლა, მაშალლა“...

— რას ერჩი, ძიავ, კად სიძე გვყოლია.

— მავიერში დედოფალსაც კას გაძლევთ, — ისმის პასუხი.

სიძე მოუკალოვდება დედოფალს. ჯიბიდან ვერცხლის ფულებს  
აითვლებს და თავზე ვაღააყრის. აქ დედოფალი ლეჩაქის ქვეშ პირ-  
ვალი დ მოქერავს თვალს თავის ნეფეს. ნეფე კი ამას მოკლებულია,  
რადგანაც დედოფლის პირი „დუალით“ არის დაფარული. ამის შემ-  
ცვევ ნეფე, უკან მარტო ბრუნდება და, თუ მორცხვია, გაიქცევა ხო-  
ლი.



ବୁଦ୍ଧ ପ୍ରକାଶ ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର ଲୋକାଳ୍ପଣୀ (ମୁଖ୍ୟମି).

მაღარი შესაწევარ „უურბანს“ მოითხოვს:

„იმფერი ლელ ეპი გამევიარეო, რუმე ერთი ყურპანი და ფალშე „ფარძია“ — აუცილებელია.

ნეფის ოჯახი მაყარის მოუყვანს ხის, ძროხას ან კუჭარს მაყარი მას დედოფლის გარშემო სამშერ შემოატარებული უურბანს და გაუშევებენ. მას შემდეგ დადებიტებული შემოატარებული მიიყვანს და სანამ დედოფალი სახლში მარჯვენა დებს შედგამს, კარებთან განერდება ორი კაცი ხმლებით. სმლის წვერებს მაღლა ერთმანეთს გადაღობს და ქვეშ დედოფალს გაატარებენ; შემდეგ კი ამავე ხმლებით კარის თავს დასინხენ. ხალხის რწმენით, დედოფალს ათალ ოჯახში ბოროტი და მავნე სულეპი რომ არ შეპყვენ, საკიროა მათი ხსლებით დაფრითხობა და გარეუა.

დედოფლისათვის ოთახში გამართულია დასაჭრომი ტახტი. მასზე დედოფალს დასვამენ და მას გვერდში დადე მოუჩდება. მაყარებისა და სტუმრების კარის დამრულებამდე დედოფალი დუალჩა-მოფარებული ზის. ნავასშევები კი პირის ამხდელს მოიწვევენ. პირისამ დედო დედოფლის ძმა უნდა იყოს. თუ მა არა ჰყავს, მაშინ დედოფლის ბიძაშვილს შეუძლია პირის ახდა. პირისამხდელის მოსვლამდის. დედოფალს წინ პატარა სუფრას „ფეშეუმს“ დაუღვამენ, რომელშედაც „სინი“ არის მითავსებული. „სინზე“ აწყერა ხავაპურები და მოხარული ქათამი. შემოდის პირისამხდელი და ხანგლის წვერით დუალს სამშერ ცოტათი აწევს. შემდეგ ის ხანგლს სინაზე დაპერავს, ქათამია და ხავაპურებს ხანგალზე ააგებს და გარეთ გავარდება.

პირის ახდის შემდეგ, დედოფალს დუალს მოხდიან და გამჭვირვალე ქსოვილს ჩამოაფარებენ. დედოფალი მორცხვობს და პირსახეს ხელით იფარავს.

პირის ახდის შემდეგ იწყება დედოფლის ნახვა. როცა დედოფლის მნახველები მოგროვდებიან, დადე ღროვამოშევებით დედოფალს პირსახეს ახდის. დედოფალი თვალებდასუკული დგას. სანამ დადე მას პირზე ხელის აფარების ნებას არ მისცემს. ქმრის ნათესავების ოთახში შემოსვლისას, დედოფალი ფეხზე უნდა ადგეს. ოთხიწლის მაზლიც რომ შევიდეს დედოფალთან, დადე დედოფალს იმ წაშვე ფეხზე წამოაყენებს და სანამ ის არ გავა, დედოფალი ვერ დაჭდება.

მაყრიონი ღამეს ათენებს. შუალამისას „ფეშეუმს“ გაშლიან და ნეფეს მოითხოვენ. ნეფე მოხუცთა თანხლებით ფეშეუმზე მივა, მიესალმება მაყრიონს. შემდეგ მოხუცი და ნეფე მათ „თემენა“-ს (ხელების გაშლით მისალმება) გადაუძდიან. გათენებისას გაიმართება

თოფების სროლა და ცეკვა-თამაში. ამავე დროს ნეფეს მიიუვანენ დადგესთან, რომელიც ნეფეს პირველად ნახულობს. ზედ ჩატარებული ნეფეს დედოფალთან მიიყვანს და მის სახეს აჩვენებს. მისათვას ნეფებ დადგეს 10-15 მანეთი უნდა აჩუქოს.

ინათებს თუ არა, მაყრიონი ეზოში გამოვა და გრეჩული კოდექსი და დეს, რომელიც „გვეზობის“ მოწყობის თადარიგს იძლევა. ჩეათა „გვეზობაც“ გაიმართება და ნეფის ოჯახში შეიქმნება ერთი ორომტრიალი: მაყრები თოფებით ხის ტოტებს მიტვრევენ, ქეცევენ ლობეს, ჩამოაგდებენ კიშკარს, ხოცავენ ქათმებს და სხვა. მით ქორწილი თავდება და შეზარხოშებული მაყრიონი მასპინძელს ემშეიღობება და მიღის.

ორშაბათს ნეფის ოჯახში მრავალი მნახეველი და მომლოცავი მოდის. ნეფე სტუმრებს ერიდება და გაურბის. ნეფე-დედოფალს იმავე ღამეს ერთად აწვენენ, მაგრამ გათვენდება თუ არა, ორივე ერთმანეთს შორდებიან და თითქმის ერთ თვემდის ღლე ერთმანეთს არ ეჩვენებიან და ხმასაც არ სცემენ.

ნათესავებს პატარძალთან ან, როგორც აჭარლები უწოდებენ. „გელინთან“ საჩუქრები მიაქვთ და ულოცავენ გაბეღნერებას. თუ მნახეველთა შორის მოხუცია, პატარძალი ვალდებულია მას ხელზე აკოცოს.

გაივლის ერთი ან ორი კვირა და პატარძლის სანახავად მისი შობლები მოვლენ და „საღილს“ მოუტანენ. საღილი შედგება სხვადასხვა ნამცხვრისა და ტკბილეულისაგან. სუფრას გაშლიან, სტუმრები მოიწვევენ და პატარა ნაღიმს გაღაიხდიან.

შემდეგ კვირაში „გელინი“ შშობლებთან მიყავთ, საღაც ის ერთ კვირას რჩება. პატარძლის წამოსაყვანად მიღის სიძე ათიოდე კაცის თანხლებით. სიძე ვალდებულია ცოლის დედ-მამას მისალოცი „ბახჩიში“ მიუტანოს, მისალოცის რაოდენობა სიძის შეძლებაზეა დამოკიდებული. პატარძლის ოჯახი სიძეს მხიარულად ხვდება და პატარა ნაღიმსაც იხდის.

წინათ აჭარაში თუ წვეულება პქონდათ, ქორწილში ძლენის მიტანა იცოდნენ. მიპქონდათ ნამცხვრები, ქათმები, ბრინჯი, ყველი და სხვა, რაც დიდ ხარჯს იწვევდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხალხმა ძლენის მიტანა მოსპონ და ფულადი შესაწევარი დააწესა.

1929 წლიდან ადგილობრივმა საბჭოთა ორგანიზაციებმა ჩაატარეს დიდი პროპაგანდა ფულადი შესაწევარის მოსასპობად. კომუნისტური ახალგაზრდობა დღეს ებრძეის ამ ძეელ მავნე ჩვეულებას; ქობულეთის, ბათომისა და ქედის რაიონებში ქორწილის ძეელი წე-

სები თანდათან ისპობა. ჩაც შეეხება ხულოს რაიონს. აქ შედეგი  
ბით, ქორწილის ძევლი წესები ჯერ კიდევ შენახულია და განსაკუთრებულ  
დება ზემოთ აღწერილი ქორწილის წესებისაგან.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ქიბარ კახაძის მიერ შემუშავებული  
ლოელთა ქორწინების წესებს, ავარული კილოს დატვირთვის მიერ  
„დედ-მამას რომ გირზდება „დელიყანდი“, იტყვიან, რომ ჩვენ  
გვინდა ერთი რძალივო.



აჭარული სახლი, ხალა (სასომინდე) და ეზო.

აბა, წევდეთ და მოვნახოთ საცხავო: ეტყვიან შეილს, რომ შენ  
ვინ გინდაო. ბიჭისაც შერცხვება და ვერაფერს ეერ იტყვის, თქვენზე  
დამიტევია, ჩაც გინდანან, ის ქენითო.

წავა მემრე მამამისი, მო პრს საცხა, რომე გოგო და მე მე  
ჭახში და თუ საღმე გვაგო რამდე, თავის ცოლს ეტყვის და  
ამოვალ კაც ჰყოლია ერთი გოგოო. ცოლი ეტყვის:

— ნეტა: ჩავაძ ა, კარქია თუ გონგიავო, ვა და კარქია თუ გონგიავო?

— ვარ დევანახევო, ეტყვის ქარი.

ქალი უჩივის:

— აბა, მე წვებლ და ბელქი ენახავო.

წავა ქალი სანახავათ. გოგოს პატრიონშა თუ გოუვო, არ  
ანახევებს. თუ ეერ გოუვო, ნებათ ნახევს. ერთამ სტუმარი, ზოგა და  
ნახავს. იმიზა, რომ ქალი ქალს არ და ეფურისება კადორ გლახა,  
თუ ერ დეანახეს, შავინც და ითხეოს გოგო თუ ერ და მანახეს, გვარს  
მოძებნიან გოგო დას, კადვერია თუ გლახა. კა გვაჩის თუ არის. მა-  
შინ გრეგორიან „ელჩის“, შემავალს, რომ გოგო მომცეს იმ კაცმავო.

შევავალი გოგოსი კირისუფალინდა იყოს. შემავალი მიერ ახლა  
გოგოსას, ეტყვის, რომ გოგონდა მისცე მამუალ. (ც. ი. მა და მე  
კაცს) რძლიად, ის კაცი, თუ კა არ უნდა მიცემა. თლათ უარს ეტყ-  
ვის, — რა მოგცემო. თუ კა უნდა მიცემა, ეტყვის: რომ „პაშლული“  
მომცეს იმ კაცმაო. ბაშლულს ზოგიერთობან „რიშვეთი“ ჰქვია, ე. ი.  
ქრთამი. პატარა გლეხი ცოტა ცარას მეგთხოვს და დიდი გლეხი  
ბევრ-ფარას მეგთხოვს. ცოტაც იქნება, თუ ბევრი იქნება, გაკეთ-  
დება საქმე.

შერე ბიჭის მამა იტყვის: „იხდი ექნათო“ — (პირობა დავდვა-  
თო), ხემი რძალინდა წევევანოთო. რომელცხა დლეს დარქმენ, ესე-  
ნი ლრე დამპაზევებს თავის კირისუფალს, მეგობარს და მოყვარეს.  
შივლენ ხოჯისთან. ხოჯა ედ წერს გოგოს სახელს, ბიჭის სახელს; ნი-  
კახს გადასწყვედენ: ბიჭმა, რომ გეშვას, ი ნიქახი უნდა მისცეს გო-  
გოს მერე. ნიქახი დევ წყობს 50 მანათილან და ავა 1000 მანათამ-  
დის. აგრე გლეხიდაგვარია; მერე სუყველამფერი საქმე გადასწყდება  
და მორიგდებიან. მერე გოგოსი ვექილი იქნება, ბიჭის ვექილოც.

ხოჯა ეტყვის გოგოს ვექილს, რომე მა გოგო თუ ბიჭს მიდევს,  
დამტკიცე შენ ავიო. მაშინ გოგოს პირიდან წამოყვანილი ეყოლება  
იქ ვორი კაცი „მოწმე“, აღებიან ისინი და დაუმოწმებენ.

„ჩვენ ვიცით, რომ მიდევს მათ გოგო იმ ბიჭს“.

ხოჯა მაშინ იყითხავს არაბულათ დუას: გოგოდა ვექილი იტყ-  
ვის: „მე მივდევარ“. ბიჭის ვექილიც იტყვის: „მე ვთხონილობო“;  
მერე ხოჯაც მუასპობს საქმეს. ბოლოს აღებიან და მოეხვევიან ერთ-  
ქვანებს სუყველად.



جبل طارق

ამ ხალხს მიცემენ შექერს, ან იქნება პატარა კულტურული. ხარჯიც იქნება ბიჭის კედაროდან.

ბიჭის მამაც იტყვის, რომ ასლა წევყვანო ჩემზე რწყოლელი მომეციო. გოგოსი მამაც ეტყვის, რაც რომ წესი არჩევნილი იქტერულობა, ვერცხლეულობა, სუსველად წესი ათავე, ძოუტაზე შენ რძალსაო და წევ ყვანეო.

ეგვი წავა, ღარიბია, თუ მდიდარია, აქს, არა, მაინც უნდა მოუტანოს ყველა მფერი თავის რძალს. „ბიჭის ტერეფი იყიდის ალ-თუნს — ოქროს, თუ დიდარია ხუთ-ექსს. ქემერს, ბეჭედს, „ყური ქუფიებს“ — ყურსაყილს, იყიდის კაბაებს ხასაც და ხაშსაც. შეძლებული კაცი იყიდის 3-4 კაბას, ღარიბი ნაკლებს. იყიდის: ფეხსაც-შელს, თავშალს, „ჩერჩებს“ — ჩატრს, იყიდის „მაჯარიას“ — პატარა, ღამიაზ ყუთს. მაჯარიაში ჩავაჩყობთ: დუხს, საპონს, მაზოს, ძაფს, ლემს, ღილებს და სხვა წვრილებს.

ბოხჩაზე დავადებთ მაჯარიას და გუგზანით გოგოს ელჩის ხელით, ეინც რომ საქმე გაკეთა. ბოხჩის მომტანს მიცემენ ერ წყვილ წინდას და ერთ მასრამას — თავსაკრავს. მემრე ბოხჩას შეკრავენ, გოგო გალაშანდება და ბიჭისაც დაპირებებდენ. — ამას ქვია „ნიშანელი“.

ბიჭის წაყვება 5-6 კაცი. ისინი გოგოს სახში დარჩებიან კორ ღამეს: პირველ ღამეს გოგოს შე-ყვანებენ ბიჭთან. გოგოს ბიჭთან 5-6 ქალი შეა-ყვანს. ქაცი კაცები შერბეთ სვამენ, ქალები — არა. ქალები არც დაუდებიან, ზეზე დვანან. მემრე კაცებიც და ქალებიც გაშოვლენ, კერ კაცები გამოვლენ. ბიჭის მეტი. მემრე ქალებიც გაშოვლენ და ბიჭი და გოგო დარჩებიან ურთად. გოგო გორა (ვითომ) წამოყენება ქალებს. მაგრამ ბიჭი გადაუდგება წინ კართან და გადაუყრის კარს. გათენებამდე გოგო და ბიჭი ერთად დარჩებიან.

ღილას იალორზე ბიჭი გამოჩერება და შევა მის აფხაზაკებთან.

ოდაში აფხაზაკები ეტყვიან: რაცერ გრლზე ხარო, დეწყვებენ მასრობას. მემრე გოგო იმ რდაზან გაძევა და შევა დედ-მამისთან.

ვინც რუმე იმ რდაში ღოგოს დუჟებს, იმას ფულს აჩუქებენ. ვინცხა, რომ ქალები შეკვებიან, იმასაც ფულს აჩუქებენ. — არექებს ბიჭი. ღილაზე ღოგინს გოგო ასწევს, ათაკრავს.

მეორე დღეს ბიჭი თავის აფხაზაკებთ წავა სახლში. მემრე იძანენლებს და იქნება. როცხა მუნდება, წავა გოგოსას მარტო, გაალენა ღამეს და წამუა.

მეორეთ რომ მივა, ამას ქვია — „ფეხნაქცევი“. ფეხნაქცევათ შისლის ღროს ბიჭი ერთ ყოჩის წევ ყვანს. პურს გამოაცეობს 7-ს ან

9-ს. ერთ ქათამს, ერ თავ შექარს. მერე ბიჭი დას ერ წლომების ერ წელიწაღუში გოგოს აა ეყოლება „ბაღვი“ (ბავშვი), და არა. არ გოგოს ქორწილამდი ეყოლა ბაღვი, მაშინ ქორწილზე გოგოს ცხადის ფაფას გრუეთებენ და ჩვენში ეს სირცევილია. ამისათვის ქორწილამდი დი ბაღვს არ იყოლიებენ. — რაღამეც სულ ოუთავების შემსრულებელი ტემულა იყო იმას, მაშინ ეტყვის, რომ მე გოგო ანლაპრა წევევა-ხოვო. გოგოს მამაც ეტყვის: გამოგზავნე 50 ქალი ნახეველები და ქორწილის ამბავი მერე ვიღაპარაკოთო.

ისიც წავა, მის კირისუფალს დაპაპაჭებს და წეიყვანს. მივლენ, რძალს ნახავენ და აჩუქებენ: ზოგი ფარას, ზოგი ალთუნს, ზოგი ჯ ზმას და კი წევლენ სახლში.

მერე ეტყვის ბიჭის მამა, რომ ახლანდა წევყვანოვო. ისიც ეტყვის: ქორწილი ქენი და წევ ყვანე, უქორწილოდ ვერ გავატანო. თუ კი შოუძლია, დიდ ქორწილს ისამს, თუ კი არ შოუძლია — პატარა ქორწილს.

დე აწყება ქორწილი. გოგოს მამა მოსთხოვს ბიჭის მამას: საკლას, ერბოს, მერე თაფლს, მშტანს ბრინჯს, — რაც ხარჯი იქნება, სულ ბიჭის მამილანდა იყოს. თავები ხარჯი თავის სახლში — იყიც მან უნდა ქნას. დე აწყება ქორწილი. ორივე კედარო თავის კირისუფალს დაპაპაჭებს ქალ ან-კაც ან-ბაღნიანა, სულ.

ქორწილი უფრო კერძის და ხუჩაფასს შეხტება. ხანდახან სხვა დღეშიც იქნება. ვთქვათ და ქორწილია ხუჩაფასს. იმ დღეს ბიჭის მაყარი წამტა დილით ზოგი ცხენოსანი, ზოგი ფეხსანი. ერთსაც ქალს გამედა ყოლებენ, — ბიჭის ან და იქნება, ან მამილა, ანდა რძალი, მაგას ქვია დადე.

მოვლენ, შეამენ, შეენ. კაც კაცები თუ არიან, — ათი კაცი დაუდება ერთ სუფრაზე, თუკი იყი კაცები არიან, იგინი დაედებიან: 4 კაცი, 3 კაცი ან ვორი კაცი.

მერე მე თხოვენ მაგინი სუფრაზე, რომელიც არ იშოვნება. მიზეზს ეძებს ახლა. რომ არ მე იტანენ და დავამტრიო, დავამსხრიო ყველამფერიო. თუ კი ვერ იშოვეს და არ მეტანეს, სუყველამფერს დაპტვრებს, დამსხერებს: თივეს დასწვავს, ჩალას დასწვავს. თაროს დაპტვრევს, გუგუმს — თენგს და კადევ სხვას.

იტყვიან „დასაბმელს“ — გამოცანას, რომ ვერ ოუბსნას ვერია კატა: „შარშანდელი მამაჩემი. წელსა ჩემი შვილი იყო, ჩემ ძუძუზე გამაძლარი დედაჩემის ქმარი იყო“....

ერთი გოგო იყო გათხოვილი. ყავდა შეილი და ქონდა ძუძუ. ამ გოგოს არა ყავდა მამისა და დედის მეტი არაფერი. მამა და კავეს და ჩაგდეს სატუსაღოში.

ორმოცი დღის განმავლობაში მამა უნდა დახერხეტილიყო. არ-მოც დღეს არ უნდა ეჭმიათ საჭმელი: მამას გარეთ გამოსალის ჩატარებული ქონდა, არც საჭმლის შიგ შევზავნისა. რომ ეინმეს შეეტანა. ნერა პქრნდა მარტო თავისი შვილი — გოგო შესულიყო და უჩრავნებული არაფერს არ შეატანდნენ. შესლიხან ობისქა გუაურიულის ერთსახურის შელი არ შეეტანოს; 40 დღის განმავლობაში გოგომ არჩინა თავისი მამა ძუძუ დთ. ორმოცი დღე გათავდა, გამე ცყვანეს მამა, ნახეს, რომ მამა გასუქებულა. მა დროზე გოგომ უთხრა, რომეო: მოდი, ერთ დასაბმელს გირუვი თქვენაო: თუ კი ამიხსენით, დაიხვრიტება და ეს არიო, თ ტერ ამიხსენით და მაჩუქვეთ მამაო. ვერ აუხსნეს და გაუშვეს მამა.

ვორი კაცი შეი კაზმება, წვერს გამეობამს მატყლიდან. გახტებიან საშიშარი კაცები. შურაში ერთ ლამაზ ბიჟ აცვევებენ. ეგენი გარე-შემოუვარებიან. მაგათ ქვიან „ფადიკო“. მერე მოვლენ ხალხში. მე ა თხოვენ დაელზურნას. გვარდება სედრი და რხინი, სმა და სიმ-ლერა. შეადლემდი სედრობენ. შეადლე რომ გახტება და ტრახაზირებენ ცხენებს, ჯერზი ერთი სათით წინ წავა.

ბიჟის მაყრები რომ იჯებიან კაცებში, ისე იჯება დადეც ქალებში. გევეზობს და ყოლიმფერს მეოთხოვს. რამე დასაბმელს იტყვის: მაგალითად. „გორზე თევზი არ იქნება, რომც იყოს, მარილი არ ექნება, ახლობაში რომ იქმის, გომეს, მისდღემში არ იქმება“. ეგ არის ირემი — ყველწელში რქას წერცლის; რომ წერ ცლის, იმ ორ დღეში რქას ძირი ბილია და გემრიელათ იქმება. მესამე დღეში გა-ხშება და მემრე აღარ იქმება. კიდევ: „მივა-მოვა, იქვე არი“ და სხვა.

მემრე დედოფალს გამეოყვანს მისი მამამთილი. თავშე დახურავენ ტეალს, შეაუღუნებენ ცხენზე. ბიჟიდან მოსული დადე იქნება, სულ წინ. აქიდანაც ათი ქალი და ერთიც დადე. დადეთ და არ იქნება. იქნება: ბიბია ან აბლა ა, ან ხალა ა — დეიდა; წევლენ დავლით, ზურნახთ, რხინით და თოფის სროლით. მაყარი სულ წავა იქითა ც, აქეთა ც.

სახლს რომ მუახლოვდებიან, მაშვინ წავა მახარობელი წინ კორი ან ვოთხი კაცი. ახლა მახარობლები დედოფლის კაცებია. ამათ ასმენ შერჩეთს. ამათ გოგოდან მიიქნენ პატარა ბალიში; ბიჟს უნდა მისცენ ხელში. ბიჟს ახლოს არ მუშვებენ, ატყვილებენ და ერხან არ გუქნევენ ბალიშს. მემრე, თუ კი გოუქნეს და ბიჟმა დე ცკავა, კაა თუ ვერ დე ცკავა, სირცევილია და იცინებს ხალხი!

მემრე მახარობლები ადგებიან და თოფებს ისერიან. უკან გაბ-

1 სუთი წევლება ჭერა ჭრისულეთშიც იუ ვარცელებული.

რუსებითან მისცემენ: პურს. ხორცი და წერლებენ. მივლიან და მათ  
აფხაზაკებს აჭმევენ. ეზოში მისლამდი სიმღერას ჩივიან.

—დედოფალი მოქანანო,  
საჩერები რა ჰყავინო.  
წენიანი იხა ჩავანო.

ამას ბიქის მაყრები ეპნევიან.  
ახლა გოგოს მაყრები ჩივიან:

—ჩენი ნეტის შავრებიო,  
უკრატაშე ბლავუბიო.

მემრე მივლენ ეზოში, ცხენებს აჭენებენ ყანებში. დედოფალს  
კარგს ხან ცხენიდან არ ჩამეც უვანებენ. იმიზა, რომე საჩუქვარს  
სთხოვენ.

ზემო ვეარაში ყურანი არ იციან. მის მაგიერალ საჩუქარს თხო-  
ულობენ: ართმევენ საჩუქარს: ერთ ხარს ან ერთ ძროხას. ან 2 თუ-  
მნიდან 100 მანეთამდი. მემრე ჩამეც უვანებენ დედოფალს და ჩაბა-  
რებენ დედამთილს. შეც ყვანს დედამთილი სახლში: კრაშე ხელს  
მუასმევინებს, მემრე ცომში ხელს აკრევიებს, კიდობანში ჩახედვი-  
ებს. მემრე ყველა ოდას მუარონიებს და შეც ყვანს თავის სამყოფ  
ოდაში.

თავისი დად ა ები და მომყოლი ქალები — „წეველები“ იქნე-  
ბიან დედოფლის ერთად. ეზოში ახლათ მოსულ დედოფალს ხელე  
ფარას და შექერს გადაყრის.

ქედის რაონში კი დედოფალს ფულებს მამამთილი გადააყრის  
კარებთან. დედოფლის ცხენი რომ გვა ცლება, მაშინ ერთი დედოფ-  
ლის მაყარი შეედება ზეთ. აჭენებს და არი. მის დღემში არ ჩამწეა,  
თუკი ფარას არ მიცემენ.

ხანდიხან დედოფლის მაყრები არ წავლენ იდ დ ებში დასაცდო-  
შად: ცხენები ვვინდა თითოს თითოვთ. ცხენებათაც უწიათ ისტევ-  
ლე კაცები. მივლენ კაცები, ნეფის მაყრები და მისცემენ ზრუგს.  
დედოფლის მაყრები შეედებიან ზეთ და შეცყვანებენ იღაში. ზოგი  
ბერიშს, ზოგი ჭკვიანათ უღის, მე დათხოვენ ვახშამს. ქვეყანაშე რაც  
არი, არ ალი, იქ უნდა მშეატანიონ, მაგინმა ძალით და კამონ.

მექთხოვენ: ყოჩის დასაცლავათ ან შეწულ ქათმებს, მექ თხოვენ  
თაფლს, ფალაყას, თუთუნს და სხვას. ამ მოთხოვნას „რუსუმი“  
ჰქვია.

ჰქმის მემრე დედოფლის ახლო ნათესავები შევლიან დედოფა-  
ლთან და დედოფლის ძმა ტუალს ახდის. ყამის წვერით პძრობს ტუ-  
ალს და გადევნევს კარისკენ და მემრე გამოვლიან გარეთ. მემრე  
დადგები აყენებენ დედოფალს. დედოფალი შარტამოსხმული ფე-  
ხსე დგას.



ეროვნული  
მემკვიდრეობის  
ცენტრი

მემრე შამუა დედამთილი და „პირს ახდის“ — ბერის ზორფს და საჩუქარსაც მიცემს: ოქროს, ფულს, ან ბეჭედს.

განტება შუალამე. ნეფის კირისუფალი ჭალები წიგი ასოციან დედოფალს: მოვეელი, წევყვანო ნეფესთანავო. მემრე ქართული სუხებენ: კარქ საჩუქარს თუ მოგვაემო, გაგატანო ბრიტანერების თუ დაქმაყოფილებს საჩუქარით, გაატანებენ. თუ ამა და რათ წასვლამდი დედოფალი მათთანაა.

ერთი ოდა, პარად ნეფე-დედოფალისთვინ ცარელია. თუ გატანა, ი დედოფალი დილას საჩქარით კიდევ შევა მის მომყოლ ქალებთან. მაყარს დილას „ხეფსს“ — საუზმეს მიცემენ. მაშინ წყალობა არი, რასაც მუტანებენ, იმას ვამენ.

შესაძლობა, მაშინ დაუდებიან სუფრაზე. რაც შედძლება, იშისთან აეობას იგვეზებენ. სამა, სიმღერა, დავლი და ზურნა ყველვინ არის.

დალამებამდი რომ დარჩება ერთი ან ვორი საათი, მაშინევ წავლიან. წასლიხან დედოფალის შაყრები ბევრ ზარალს დააუენებენ: ღობეს წაქცევენ, ნალა ას წაქცევენ, ხიჩალს დასწევენ, წისქველ წაქცევენ, პოდა წავლენ თოფის სროლით და ყველა მიალავდება თვისი სახლში.

დედოფალი ვ დღეს თავის ოდაში იქნება, კარში არ გამუა და ნელა-ნელა სახლი გუას და წყებს. თანდათან უმატებს მუშავობას და ერთ თვეში მორჩენებსავე იქნება.

მამამთილს შედძლება არ და ელაპარაკოს 7 წელიწადს. ან ვოც წელწადს, ან სულ არა.

თუ მოწიფეული მაზლი ხავს, ან მის ქმარზე თუ უმიფროსია — მას მის დღემზი არ დაელაპარაკება. გელინი დედამთილს დევას ეტყვის, მამამთილს — მამას, მაზლ ეტყვის აღაბარონს, მულს ეტყვის გორუმშაცვეს. მაზლის ცოლს — შილს ეტყვის.

იჭარულ ქორწილთან დაკავშირებულია აგრეთვე „ნიკო ბ-ვისა“ და „ფადიკოს“ წესები.

## ჩ ა კ ვ ი რ ვ ა

„ნიკო ბ-ვ ა-ს ასრულებს ნეფის ოჯახის მტერი. მისი მიზანია ხეფი-დედოფალის გაუბედურება. ამ ბოროტების ჩამდენი პირი წუმად მიიმალება იმ გზის პირას, სადაც ნეფე დედოფალმა უნდა გაიაროს. მას თან მიაქვს ქარქაშიანი დანა. გზის ერთ მხარეზე ის დანას დააგდებს და მეორე მხარეზე კი ქარქაშს. დედოფალი მაყრიო-

ნით რომ გაიცლის, ის კაცი აიღებს დანას და ქარქაშიდი ჩატარდება „ჩაკვეტავს“. ამის შემდეგ, ხალხის შეხედულებით, მეფე მარიამ-ლის ბეჭ-ილბალი ამ კაცზეა დამოკიდებული და სანამ ქარქაში და უკავშირდება ქარქაშიდან არ ამოიღებს, ცოლქმრული კავშირი მიჰყო, მიწოდება წინებულთა შორის შეუძლებელია. ამ ნიადაგზე ცოლქმრას ერთ-შანეთიც შეძულდებათ და თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, შეიძლება ერთმანეთს კიდეც გაეყარონ. „ჩაკვეტილი“ ცოლქმარი ამის გამო იტანჯებიან და მათი მშობლები გაფაციცებით ეძებენ და მანაშევეს.

ცირუმორწმუნე ავარელს „ჩაკვეტა“ დღესაც სწამს და მრავალი შემთხვევით ამტკიცებს ჩაკვეტილების ტრაგიულ თავგადასავალს. ჩაკვეტა ან „ჩასკვნა“, ხალხის რწმენით, სხვა ხერხითაც შეიძლება მოეწყოს. ამ მიზნით, მექორწინეთა მიმართ მტრულად განწყობილი პირი ქორწილაშდის 15 დღით აღრე ქათაშ დაკლავს და მის თბილ სისხლს მერდინს წასცებს. შემდეგ ამ სისხლიან მერდინს რამდენ ჯერმე გამკვნის და სანამ კვანძი არ გაიხსნება, ნეფე-დედოფალს შორის სქესობრივი კავშირი შეცდლებელი იქნება.

## ვ ა დ ი კ ლ

„ფადიკო“ ერთგვარი თაშიშია. ამ თამაშს აწყობენ ქორწილში ღამის თორმეტ საათზე. „ფადიკოსათვის“ ეჭვის კაცი და ერთი ქალია საპირო. ერთ კაცს ქალის ტანისამოსს ჩაცვაშენ და ცალკე ოთახში გაიყვანებ; მას ფადიკოს უწოდებენ. შემდეგ ერთი მოთამაშე ცხენივით დაოთხილი დადგება და მას ფადიკო შეაჯდება. ცხენს აღეირით ერთი წამოიყანს, სხვები კი სიმღერით მოსდევენ; ორი მათგანი ერთმანეთს შეეცილება ფადიკოს დანარჩენებისათვის. ერც პირველად მოასწრებს და თეთრ ფულს გადააყრის, ქალიც შას ჩრდება. ბოლოს ეს ორი მოქიშპე მაინც შერიგდება და იტყვიან: „ერთს დღე ა გვყავდეს, მეორეს დამეო“ და ორივე გადააყრის ფულებს. შემდეგ ფადიკოს „უურბანს“ (საკლავს) შემოავლებენ და დაკლავენ. ამას ცეკვა-თამაში მოჰყება. ფადიკოს გაეთამაშება ის ორი კაცი, მაგრამ ცეკვის დროს ფადიკო უცემად დაიმალება. ამაზე ისინი ერთმანეთს შარს მოსდებენ. ატყდება ჩინჩოლი და ყველა-ხი ფადიკოს ეძებენ.

ბოლოს ფადიკოს იპოვნიან და ვახშმად დასხდებიან. ნავასშევეს ერთ მათვანს დაეძინება, შეორე კი ფადიკოს მოუწვება და ეალერსება. ამ დროს პირველი ილვიძებს; დაინახავს, რომ მისი ამხანაგი

ფადიკოსთან საქმობს, წამოხტება, ხმალზე ხელს გაიკუთხა, რამაც ამავალს დაცრის და ფადიკოს გაიტაცებს. ქალი ეწინააღმდეგება, არ მისყვება, თან გაიძახის: „ის შენზე მეტად მიყვარსო“. ის კი ფაფიკოს მჩერე-წება: „მე წამომყევი, მასზე უკეთესი ვარო“ და თანწირთაშიც უკარი-დება. ბოლოს ქალი თანხმდება და მისყევბა.

ფადიკოს გათამაშებას ქორწილში შეაქვს მხიარულება. არის სიცილი, ურიამული და ფადიკოს გაშაირება.

## რაჭის მდგომარეობა

პატარძლის მდგომარეობა აჭარაში სახარბიცელო არ არის. ზოგი-ერთ ჩამორჩენილ და კონსერვატიულ ოჯახში გათხოვილი ქალი მძი-ზე პირობებში ეჭუევა. მას უხდება მრავალი სიღუპტირის ატანა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს ვერ დაუძახებენ. ქობულეთისა და ბათომის რაიონში ერთმანეთისადმი მიმართვის ღროს ცოლ-ქმარი სახელის ნაცვლად „შენ“-ს ხმარობს. მაგალითად, „სად მიღიხარ შენ?“ „რა გინდა შენ?“ და სხვა.

ხულოს და ქედის რაიონში ქმარი ცოლს „გო“-ს ეძახის: „პა-დე, გოვ“, ცოლი ქმარს — „კო“-ს: „პად იყავ, კო“ და სხვა. „გელი-ნი“ მამამთილს „ალაბაბას“ ეძახის, დედამთილს „ფაშანენეს“. მაშლის „ალაბატონს“ და მულს „ფაშაბატონს“.

პატარძალს ახალ ოჯახში დიდი სიცრობილე ჰმართებს. ის ყვე-ლას თავმდაბლად უნდა ეჭუეოდეს. ამიტომ ქალებს გათხოვებისას შშობლები მას ასე არიგებენ: მამამთილს წელს ზევით არ უნდა შე-ხედო, როცა ის ყანიდან დაღლილი მოვა, ფეხშე გახადე და თბილი წყლით დაუბანერო. დედამთილმა, რაც უნდა გიბრძანოს, ყველაფე-რი უსიტყვოდ შესარულე და ბატონობით უპასუხეო. ასევე უნდა მოექცე მაშლისა და მულსა და სხვა.

პატარძალს თუ ახალ ოჯახში ლმობიერი და გულეთილი წევ-რები შეხვდენ, ეს ხომ მისთვის უსაზღვრო ბეღნიერება იქნება. მაგრამ თუ ის ცუდ ოჯახში ჩავარდა, მისი ტანჯვა აუტანელია და ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი ოჯახიდან გამოყოფა და ცა-ლეე დასახლება.

მაგრამ თუ ქმარი სუსტი ნებისყოფისაა, ცოლიც ნაკლებად უყ-ვარს და ან მა არა ჰყავს, მაშინ ქმარი შშობლებს ვერ გამოეყოფა და ქალიც იძულებულია ყველაფერი მოითმინოს.

აჭარელი ქალი ოჯახის დიასახლისია. ზემო აჭარაში კი, სადაც მესაქონლეობას მისდევენ, ქალებს უფრო საქონლის მოვლა ვვა-

ლებათ. მესაქონლეობაში აქ უმთავრესად ქალის შრომა გამოიწებული.

მამაკაცი თავის საქმიანობაში დღდაკაცს არაერთაო ამგარიშს არ უწევს და არც ქალს აქვს უფლება მამაკაცის სუპერიუზულობრივი ზოგი ტეარლის აზრით, ის კაცი, რომელიც ქალს უფლებულობრივობის თში გაებმება და უბედურებას ვერ აცდება, ვინაიდან მას მიაჩინა, რომ ყოველგვარი უბედურების მიზეზი ქალებია: ქალის კუუა ბარდა უც წერია, ბარდი თხამ შეკავაო. — ამბობენ ხოლმე.

მძიმე აგრეთვე სულით ავად მკუოფის მდგომარეობა ბარები ბარების წარმოლვენით, სულით ავადმყოფის სხეულში დასადგურებულია ეშმაკი, რომელიც მას მოსვენებას არ იძლევს. სულით-ავადმყოფს ეშმაკი რომ მოშორდეს, აკარლის აზრით, საჭიროა სხეულის წამება. ამიტომ ავადმყოფი დახელოვნებულ „ჯინდარჯთან“ (ექიმბაში) მიყავთ და ის შეულვება შეშლილის სხეულის დაწვას. ექიმბაში ვაახურებს რეინის ჯაჭვს და მასში ვაატარებს ავადმყოფს. შემდეგ აიღებს ვაახურებული რეინის შანთებს და სხეულს აშოუწვავს. ამასთანავე ექიმბაში ულოცავს, აშინებს და ზოგჯერ სცემს კალცი.

ასეთი ბარბაროსული მკურნალობით სულით ავადმყოფი, რასაკვირველია, ვერ მოიჩება და უვიცი ექიმბაშის ხელში ტანგვა-წამებით წუთისოფელს გამოესალიერა.

## 11. ცალშორიშვილისა

აკარელთა რელიგიური საკითხების შესწავლას და მასალების წევროვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ ისტორიულ წარსულში იპრძოლა სამი სარწმუნოებრივი მიმღინარეობა: წარმართობა, ქრისტიანობა და მაპედიანობა. თითოეულმა მათგანმა ღრმა კეალი დატოვა აკარელთა სარწმუნოებრივ შემეცნებაში და ამ სინკრეტული რწმენის გადაწაშობი ცრუმორწმუნების სახით დღესაც ცოცხალია აკარის ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეში.

ჩვენ აქ შევეცდებით ავწეროთ მისი ზოგიერთი მომენტი. დავიწყებთ ახალი წლის შეხვედრიდან.

## ახალი წლის შეხვედრა

ახალ წელს აკარელის ოჯახი დიდი მოწიწებით ეგებება. სახლსა და კურპელს ასუფთავებენ, ყველანი ახალი ტანისამოსით იმოსები-

ან და მხიარულობენ. ხალხის რწმენით, ახალ წელს თუ კინგა და ცა ნებულია, იგი მოელი წლის განმავლობაში ლალონებული არ იყო ხარ იქნება. ახალი წლის შინა ღამით ბალიშის ქვეშ მჭათას ლერძის აძოიდებენ და თითოეული ოჯახის წევრი, ლილი თუ შეკრამ ნუშალი ლობს გათენებამდის გამოიღვიძოს, შენახული მჭადუშ ჩატუშმისტეპ რაფოდ პირზი ჩაიდოს, რათა მამლის ყივილმა ან რომელიმე ჩიტის ძახილმა ის არ დაძლიოს და, ამგვარად, დამარცხებული არ დარჩეს.

ახალ წელს აქარელი გლეხი გამარჯვებას და ოჯახის ბეღნიერებას მოელის, მაგრამ, მისი რწმენით, ოჯახის ბეღ-ილბალი „ბუერხავება“ (მეკვლე) დამოკიდებული. „მოუერხავს“ მიაწერენ აღამიანის კარგად ყოფნას და კირნახულის დოვლათიანობას. ამიტომ ოჯახში ირჩევენ კარგი ფეხის მეკვლეს.

წლის მდგომარეობის მიხედვით იტყვიან: მფერხავი კაი ან ავი ფეხისა ყოფილაო.

მეკვლე ოჯახიდან ლამე გავა, გათენებისას სახლის კარებს მოადგება, დიასახლისი მიეგებება და ეტყვის: „მარჯვენა ფეხი შემოღვი და ღმერთი აჩსენ“. მეკვლე სახლში შემოდის და დაილოცება; დიასახლისი ტკბილეულით და ხილით უმასპინძლდება. შემდეგ დიასახლისი ტკბილეულით ოჯახის წევრებსაც „დაბერებს“ და ახალ წელს მოულოცავს. მეკვლე მთელი დღე ოჯახში რჩება, ის სხვაგან ფეხს ვერ გადადგამს, რათა სახლის ბარაქა თან არ გაძყვეს.

ახალ წელიწადს თოფებს ისერიან მტრებზე გამარჯვების ნიშნად. მონადირე სანადიროდ გავა, რომ თოფი ბეღნიერად „გატეხოს“ და ნიშანი: არ ააცდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში მას ნადირობაში ბეღი არ იქნება. ახალ წელს სანადიროდ მიძავალს გზაში კურდლელი თუ შეეფეთა, მაშინვე უკანვე გამოძრუნდება, თუ ტურა შეხვდა, ეს კარგი ნიშანია და მხიარული მონადირე გზას განაგრძობს.

## ცხრაშარტობა

ცრუმორწმუნე აქარელი გლეხი ცხრა მარტის მიხედვით ცდილობს გაარკეიოს წლის ამინდი და მოსავლიანობა. ხალხის რწმენით, ცხრა მარტის ხმელეთზე გამოდის ზღვის კაცი; ამ დღეს თუ კარგი დარი დაიჭირა, ის გათბება და დაილოცება; ამის გამო წელიწადიც კარგი და მოსავლიანი იქნება. თუ ავი დარი დარჩა, მაშინ ზღვის კაცი დაიწყევლება და იმ წელიწადის მოსავალიც ცედი იქნება.



გარჩამის მოახლოებისას აჭარლები შეუდგებიან სამზადისს გარჩამის შესახელრად. ცეცულა ცდილობს ამ დღესასწაულის ჩატარებისას სახლებისა ან ავალი ტანისამოსით, იმარაგული ცეცული უკავშირის სახლებისას: რომ ოჯახში რაიმე ნაკლოვნებას ადგილი არ ჰქონდეს. ყველგან გაისმის: „დღეს არაფა, ხვალ ბაძრამი“. არაფა (ცნობა) ბაირაძის წიგა ღვეს პევია, ხალხი ძას „შელლულით“ (თოფის სროლით) ეჩება.

ბართაშვილის წინ „რამაზანის“ მარხვაა, რომელსაც ყველანი მტკიცედ ცუკენ; რამაზანს რამაზანის მთვარეზე მარხულობენ. რამაზანის პირველ დღეს თოფის სროლით ხედებიან და არ რჩება ოჯახი, რომ თოფი არამდენჯერმე არ დაცალოს. მაგრამ ვინც რამაზანის უკანასკნელ დღეს თოფს გაისცრის, ეს მას დიდ ცოდვად ჩაეთვლება. რამაზანის პირველ ღამესვე იწყება „თერავის ლოცვა“, რომელიც 30 მუხლისაგან შედგება, ე. ი. ლოცვის დროს მუხლი 30-ჯერ უნდა მოიყარონ და პირსახეც იატავზე 30-ჯერ დაიტანონ. ეს ლოცვა და მარხვა გრძელდება მთელი ერთი თვის განმავლობაში. „თერავიდან“ მამაკაცები რომ გამობრუნდებიან, დედაკაცები შუალამის გადასცლისას, ოჯახში ასლულის მზადებას შეუდგებიან. ეს ღამის საჭმელია და მას ღამის მიწურულში ვამენ. მაშინვე დალევენ ბევრ წყალს. რომ მეორე დღეს არ მოსწყურდეთ. გათენებისას მოღლილი მლოცვა ცოტათი წაიძინებს; ყველაფერი ეს მთელ თვეს გრძელდება.

ხალხის თქმით, „თმენა“ (მარხვა) სამი დღით უნდა ყოფილიყო, რაღაცანაც თვით წინასწარმეტყველ მაპმადს მარხვა სამი დღე დაუდგუნიათ. მაგრამ ხოჯებს ვერ გაუგიათ, თუ რომელი სამი დღე უნდა იძარსხულოს მორწმუნებო, ამიტომ ხოჯებს „თმენა“ დაუწესებიათ მთელი რამაზანის მთვარეზე, რომელშიც ის სამი დღეც მოცყვებაო.

რამაზანი რომ გათავლება, ბაირამი იწყება, მაგრამ ეს მორწმუნები ჩაქარად არ უნდა გაუხადეს, თორმეტ დიდ ცოდვად ჩაეთვლება და ასეთ პირს „ჯეპენენები“ (ჯოჯოხეთი) არ ასცდებაო.

შეირამი წელიწადში ირია. ერთი იწყება რამაზანის გათავების შემდეგ, მეორე კი — რამაზანის ბაირამიდან 70 დღის გასვლის შემდეგ.

პირველ შეირამს „ფიორე“-ს უწოდებენ; ამ დღეს შეძლებული მისწმერნ დარიბებსა და ღატავებს „ფიორეს“ შესაწევარს უგზავნის, და ამიტომ მას „ფიორე-ბაირამს“ ეძახიან.

ასევე შემკუცები გამდინ ლოცვალისენ. ლეღაცაცები ოჯახ-



תל גיבורים ירושלים

ში ფრთხებები და საღლესასწაულო სუფრას ამზადებენ ასაკებელი შრდობა სხვადასხვა თამაშობებით იქცევს თავს: ზოგი „ათებონის“ (ცეცხლი) თამაშობს, ზოგი „დათვობია“-ს და სხვა.

დათვობის თამაშის დროს ირჩევენ მთავარს, მსაჯული შედები ფეს, რომელსაც განასკული ყაბალახი უკირავს. მეობები შედები ერთმანეთში დათვია და ის მეტის წინ წელში მოხრილი დგება. მთავარი დათვის ცემს, გარშემო უვლის და ეუბნება:

— დათვო, გძინავს, თუ ვლვიძავს?

ამაზე დათვი უპასუხებს:

— არც მძინავს, არც მლვიძავს.

ამას სამჯერ იმეორებენ. შემდეგ მსაჯული ეტყვის:

— ცეცხლი გამოვიშალო?

— რაფერ გამომიშლი.

— ასე, და მსაჯული მას ფეხს გამოჰკრავს. მოთამაშენი მოშორებით დგვებიან და დათვის გამოქცევას ელიან. ყველანი მზად არიან გასაქცევად, რომ დათვს თავი არ დააჭირინონ.

აქლა დათვი შევეცითხება მსაჯულს:

— ჩემი თხები სა წერივანე?

— აქეთ გადავყარე, — თითოთ უჩვენებს, — ზოგი შევეცამე და ზოგიც ტუშიაო, — ეტყვის მსაჯული დათვს და ცემით გაისტუმრებს.

დათვი გაიქცევა, მსაჯული გამოეკიდება და რამდენჯერაც დაწევა, იმდენჯერ განასკული ყაბალახით სცემს და სხვა.

ამავე დროს ჯამეში ლოცულობენ და ხოგა ქადაგობს. ლოცვის შემდეგ ცვილანი გარეთ გამოდიან და თოთვებს რამდენჯერმე გაისვრიან. ეს იმის ნიშანია, რომ „ბაირამის მოლოცვა“ დაიწყო და ოჯახის დიასახლისხები მზად უნდა იქნენ სტუმრების მისაღებად. ნაცნობ-მეგობრები მისაღმებისას ერთმანეთს კოცნიან და „ბაირამ-მუბარექ ოლსუნ“-ს ეტყვიან. მოლოცვისას ამბობენ: „ლმერთშა მჩავალ წელს გავითენის ბაირამი მხიარულად და უკლისად“-ო. ამ დღეს ოჯახებში იმართება წვეულება და დროს მხიარულად ატარებენ.

ფილო ბაირამიდან 70 დღის გასელის შემდეგ, მეორე დღიდ, ანუ „ყურაბან ბაირამი“, იწყება. „ყურაბანი“ მსხვერპლს ნიშნავს და ვისაც შეძლება აქვს, საკლავი უნდა დაკლას. ამასთანვე ყველამ შეიდი თავი სხვადასხვა საკმელი უნდა დაამზადოს. ყურაბან ბაირამის დღესასწაული სამი ღორე გრძელდება.

თუ როგორ გაჩნდა, ყურაბან ბაირამი, ამის შესახებ არსებობს

“შემდეგი გადმოცემა, რომელიც მიამბო სოფ. ლელაუ ჭილავებმა მურად ეცენდი ანანიძე მ:

— იბრაიმ ფეხლამბერს — (აბრამ წინასწარმეტყველი) არ ყავდა შეილი და ღმერთის შესთხუს: ღიერთო, შეილი ქადაგი მურადის უურბნათ დაგილავო. მაში იბრაიმ ფეხ ჭმიშულმა მურადის, რუმ არ უთხრა საქონელს დაგილავ უურბნათ და უთხრა: საყვარელს დაგილავ უურბნათო. იბრაიმს ეყოლა შეილი. მემრე ღმერთისგან შეკვდა ბძანება, რუმ უველაზე უმფო საყვარელი შენი უურბნათ უნდა დაკლავო. მან დაკლა: რამდენიმე ღევე — (აქლემი), რამდენიმე ცხუარი, მარა ღმერთმა „უაბული“ არ გუხდა — (არ მიიღო). მემრე ბრძანება მუვდა, რუმ შეილი უნდა დაკლა უურბნათო. იბრაიმმა შეილის დედა მუატყუა, რუმ ბალანას შიშაზე წევყვანო. შეკაზმა და წევყვანა.

შეილმა გვა გო გზაში, რუმ მცმამისი კლავდა. გვი მას ეშმაკმა უთხრა. შეილმა უთხრა ეშმაქს: თუ ღმერთისაგან ნაბრძანებია, დამკლასო. ტყეში რუმ მივდენ, შეილმა უთხრა მამას, რუმ ღმერთის ნაბრძანები შასრულევო. მარა ხელ-ფეხი შამიგარი, თ არა ზორს მოვცემ დაკლაზე, „ბელქი“ (შეიძლება) პერანგს სისხლი წახეცხება, დედა გვაგებს და შეწუხდებავო.

როცხა მამამ ხელ-ფეხი შეკრა, მთელი სურ ელები: ნადირი, ჩიტი შემოესია მას და ყურება დუწყეს. შეილს შერცხა და მამას უთხრა: შამისხენი ხელ-ფეხი, იგინს ჰეონიან, რუმ შენ მე ძალით მკლავო. მემრე მამამ ხელ-ფეხი შეხსნა. შეილმა გადუშია კისერი. იბრაიმმა 70 გზის დანა გამუხიხია კისერში შეილს და არ გასწრა. იქანა საჯენი სიმალლე ქვა დიკ. იმ ქვას შემოჰქრა ი დანა და შემაზე გაპო. მემრე იბრაიმმა ღმერთი ახსენა და „მელაქ ჯებრაილმა“ (ანგელოზ გაბრიელმა) ზეციდან ყოჩი ჩამუგანა და დაკლა იგვ. ღმერთმა შამუთვალა იბრაიმს, რუმ მე შენ ის გიბრძანე, რუმ შეილის სიყვარული დაკლი, შეილს ნუ შე ყვარებ, თუ არა შეილის დაკლა არ მიბძანებია. იქიდან დამწესებულია ქაბე. იმ ქაბეში იბრაიმმა უურბანი დაკლა და „ზიაფეთი ქნა“ — (ლხინი გამართა) და შემცე ლეს ბაჯრამი. მემრე იმ ბაჯრამზე უველა მდიდრებმა უურბანი უნდა დაკლას და უველამ: მღილრებმაც და ღარიბებმაც 7 ხელი საჭმელი უნდა გააკეთოს“.

### აშერა

დღეობა აშერას განსაზღვრულ მოვარეზე დღესასწაულობენ. აშერა უძველესი დღეობაა და მას მაპშადიანი იქარლები დიღის მო-

წიწებით იხდიან. ამ დღეს ამზადებენ „აშურა“-ს. ეს საგანგმოდ შეზავებული წვენიანი საჭმელია, რომელშიც უნდა ყოს თათა ან ორი მარცვალი ყველა იმ თესლისა, რასაც ადამიანი ფესავს და სა-კემლად ხმარობს. მაგალითად, აშურაში ურევა: ხორბული წერტილი სიმინდი, მხალი, ქინძი, ქრისტი, ფერი და სხვა მრავალზემცირებული სიმინდები.

ხალხური გადმოცემით, „აშურა“-ს დღეობა ნოეს კილობანთან არის დაკავშირებული:

წარლვნის დროს, როცა ქვეყანა წყლით დაფარულა, მაშინ თავისი გემით ნუხფებ ღამბერი (ნოე წინასწარმეტყველი) დარჩენილა, ნუხს ამ გემზე ჰყოლია მისი სამი ვაჟი: „სამ“, „სამ“, და „ჟაფე-თი“, ერთი ქალი და ცველა ჯურის ცხოველები წყვილად. დედალ-მამალი. ხალხი ხომ გაწყვეტილა, ნუხს გადაუწყვეტია, რომ ხალხი გამრავლებულიყო, თავისი ქალის თავისასავე ვაეშე მითხვება. მაგრამ ქალი ერთი ჰყავდა და ვაჟი კი სამი. ნუხფებ ღამბერი დალონებულა. მაშინ ღმერთს ჯებრაილი მოუგზავნია ნუხისთვის და უბრძანებია: შენ რომ დედალი ვირი და ძალი გყავს, ღამე შენს ქალთან ერთად ოთახში დაამწყვდირო. ნუხს ბრძანება შეუსრულებია და დილის ოთახში სამი ქალი დახვედრია. ნუხს თავისი ასული ველარ უცვნია. თითო ვაჟისათვის თითო ქალი დაურიგებია. შემდეგ ნუხს თავისი ქალის ცნობა გადაუწყვეტია. ერთი კვირის შემდეგ შიუტანია ერთ-ერთი ვაჟისათვის სადილი და უკითხავს: როგორია ჩემი ასულიო?

ვაჟს უპისუხია: კარგია, მაგრამ ცოტა მეტი ლაპარაკი უყვარს. ხუხს უცვნია, რომ ეს ძალლის ჯიშიდან არისო.

მეორე კვირას მეორე შეილისათვის მიუტანია სადილი. ვამოკითხვის შემდეგ გაუგია, რომ მისი ქალი კარგია. ცოტა ინათიანი — ჯიუტი რომ არ იყოსო. ამ ვზიო ნუხფებ ღამბერს, თვისი პირმშო ასული ვამოუცნია და უნდა კიფიქროთ. რომ ქორწილის შემდეგ საცილის მიტანა ჩერეში ამ ნიადაგზე უნდა იყოს გაურცელებული.

როცა დედამიწა ზღვით დაფარულა, ნუხფებ ღამბერი თავისი შვილებით და ზეელა წყვილი დედალ-მამალი ცხოველებითა და ცრინველებით გებში შესულა. ნუხის ერთი შევლი გემის გარედ გადარჩენილა, რაღვან ძალზე მაღალი ყოფილა. გადმოცემის მიხედვით მისი წელსზევითა ნაწილი ღრუბლებს სცილდება, მიწიდან ფეხის კოტებამდის 60 არშინი ყოფილა. მას სახელად „ეგაჭილე“ პრემერია და უცოცხლია 6.565 წელიწადი. იგი ღმერთს მიტომ გადარჩენილა, რომ მამისათვის გემის საშენი მასალა მოუტანია. ზღვის დაშრობის შემდეგ გადარჩენილები ხმელეთზე გადმოსულან. ნუხ-

უფა ღამბერის ბრძანებით, რამდენიმე ცალობით ყოველიც დასლის მარცვალი შეუგროვებიათ და მოუმზადებიათ საკმელი ამინადა.

დღეობა აშურა მთელს აქარისტანშია გავრცელებული და მოვარეს, რომელზედაც აშურას დღესასწაულობენ, აშურა მომარეს ეძახიან; არაბულად მას „მუხრაჩებენ“ ეწოდება, აშურას მანაზობა ამ მთვარის მე-10 დღეს ხდება. აქარაში ვისაც არ უნდა კვირისათ; რა არის აშურა? ყველა დაუფიქრელად გეტყვის: „საკმელი“-ო, მაგრამ შესაძლოა ეერ ვიპასუხონ შეკითხვაზე, თუ რატომ მმადებენ აშურას.

## დადგი

პირველ სექტემბერს აქარლები დადეგს უძახიან.

დადეგ ღამეს ყანაში სიმინდს „შებეჭდენ“ ე. ი. სიმინდის ფურცლებს სანთელს მიაკრავენ, რომ ავმა სულმა ჭირნახულს ბარაქა არ გაშოულიოს: „ყანები შებეჭდე, ჯაზებმა (ავმა სულებმა) რამე არ აწყენიოს“-ო, იტყვიან. ყველა ოჯახის დიასახლისი ბავშვებსაც ყურის ძირში სანთელს მიაწებებს. რომ ქაფებმა არ ავნოს. სახლის კარებში უმცროს რძალს დააყენებენ და ეტყვიან:

„რძალო, კარები დაკლიტე, ამაღმ ბალნებს არაფერი ევნოს“.

## ნადირის დაკოვანა

„ნადირის დაკოვას“ ასრულებენ, როდესაც საქონელი გარეთ დარჩებათ. აილებენ მაკრატელს, სავარცხელს, დანას და კლიტეს. ყველა ამას ქამრით შეკრავენ და თან ამბობენ:

„მგელი მუა, მგელოსანი, თვალი მუაქ ცეცხლოსანი. ლმერთო, ლმერთო, გადაპყარე ცხრა კილტული, კილტოსანი, მგელსა პირი შეუკარი, მის მეგობრებს ხელფეხიო“.

შელოცვის შემდეგ შეკრულებს კერასთან დადებენ და ზედ ქოთანს დაამხობენ. ამას ასე ინახავენ, სანამ საქონელი არ მოიძებნება, შემდეგ გახსნიან.

## სამხოო /

ადამიანის და ოჯახის კეთილდღეობის მიზნით, აქარლები სალმრთოს იხდიან. დედაქმის თქმით, საღმრთოს გადახდა ასე ხდება:

051035340  
302 3-0901096



თოვის გრეხა ხის ქერქისაგან რევოლუციაშედ აჭარაში.

„ერთი მოსახლისას შევრი ჩოშ ტოკება, ბაღანი უკინება, მაშინ სამხოლის იქმენ. ცყოფიან ცხვარს ან დახასიაჲ გადასახლებენ ხოჯას და ლდელს; იგინმა ი ცხვარი უნდა დაკლას; დაპარებენ შვიდ წვერიან კაცს; იმ ცხვარს მოხარხავენ მოლაპოვაზულებულში; რომ მოხარჩება, მეტე ბილს ზართუმენ. უკიდურესი უშვილია ან გათხოვილი ქალი. ან გაყოფილი ვაერ, ყველას მე-უკახებენ, ყველა ერთათ მოდ ყრის თავს, გვეთებენ კიდევ სხვადასხვა საჭ-მელებს. იმ ბილ ხორცს და საკმლებს კამენ.

ბილი ხორცი მარტო ხოჯას, ლდელს, დაპარებულ წვერიან კა-ცებს და რძალს ეჭმევა, სხვას არა, თუ გინდა გაყოფილი იყონ ცალ-ქი.

როცა საქმელის ჭამის გაათავებენ, მთელ ჭავლს და მის ნაწილებს მიტკალში შ ხოვენ და შეხო ულს დადებენ. გარშემო შემ ას-ხდებიან: ხოჯა, ლდელი და მისი წევრებიც, ვინც დაპარებული არიან. ხოჯა ჯერ კითხულობს, ღუსა შრება, ღმერთს ეხევწება. წვე-რიანი კაცები და სხვა ვინც იქ არის, მინს ამბობს, რომ ნაბეღვარი, ნაფიცარი, ან გადაცემული არ იყოს ეს ოჯახიო. მემრე ლდელი დედწებებს კითხვას მისებურა, იგიც ღმერთს ეხევწება: დედ სენი, ღმერთო, ეს ოჯახი ნაფიცარიდან, ნაწყვევარიდან, რაზედაც იყოს გადაცემული, გაბრიელ საბრალოს გადანაცემარიდან!

მემრე მიტკალში შეხოვეილ ძელებს მეზელულზე წედ ღებენ. მოთხრიან მიწას და ჩადებენ შით, დამარხევენ. შ ეხევწებიან ღმერთს, რომ, ღმერთო, იმ ოჯახში სიკრილიდან ნულარ ივნებ ნე-რაფერსო!“.

ძელად საღმრთოს შესრულება ადამიანის მოტაცებასთან ყო-ფილა დაკავშირებული. ბატონუმეტ საქართველოში ტკუების მო-ტაცება და მათი ოსმალეთ-სპარსეთში გაყიდვა ჩვეულებრივი ამბა-ვი იყო. ამას მებატონუებიც ხელს უწყობდენ, რაღვანაც ეს მათ-თვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ ადამიანის მოტა-ცება მისი ახლობლის დაუბირებლად შეტად ძნელი იყო. ამიტომ ტყვის მოტაცებაში მონაწილეობს ლებულობდა ვინმე მოსყიდუ-ლი ნათესავი, რომელიც ამ საქმეს ხერხიანდ აწყობდა.

ასეთ პირს მოტაცებულის მშობლები წყველიდენ და ვინც ასეთი შემთხვევის გამო დაწყევლილია. ხალხის რწმენით, მის ოჯახს სიკედილი არ მოშორდებათ. ამიტომ დამნაშავე პირი, რომ ოჯახი სიკედილიანობისაგან დაისინას, მოწვევს ხოჯას, შლვდელს და საღმრთოს გადაიხდის, დაკლავს ცხვარს და ადამიანის მაგიერ მის ძვლებს მიწაში დამარხევენ.

ეს წესი წინათ უფრო გურიის მოსაზღვრე სოფლებში იყო

გავრცელებული, განსაკუთრებით — ქობულეთის რაიონში, ეს ქმით აიხსნება, რომ ტყვეების მოტაცება-გაყიდვაში გურიის შემცირებებს პირველი ადგილი ეყირათ და ამიტომ დამნაშავე ტანიელი ხალ-მრთოზე ქრისტიანთა მღვდელსა და ხოვასაც ერთად მწევალა შეარჩეული და ლძერთს შეცოდების მოტევებას შესთხოვდა.

ამასთანავე, აჭარლის ოჯახთან დაკავშირებულია უცხოური ციტატა:

ცრუმორშმუნეობა: მაგ., კერის ცეცხლზე ბლის შეშას არ დაუდებენ, რადგანაც, სანამ კერაზე შისი ხაცარი იქნება, ოჯახში ავად-შეყოფობა არ გამოიღევაო. ცეცხლზე არც სუროს დაწვავენ: საქონ-ლის ზარალი მოგვივაო. კერაზე ფეხის გადაბიჯება არ შეიძლება: არა გაცილებაო. კერაზე ჩამოჭდომაც აკრძალულია და იტყვიან: ეს დაფუხრებას ნიშნავსონ და კარზე მევალე დაგვიჯდებაო. რო-დესაც ცეცხლ მცადს დააკრავენ და ზედ „საჭს“ (თუნუქს) დააფარებენ, ასტამით ნალექრდალს ისე დაყრიან, რომ ნაკვერჩხალი არ გად-შოვარდეს; თუ გადმოვარდა, კეცზე არ დაუმატებენ: „ვალი ვალს დამატება და ველარ გადავიდითო“.

### ეპიზოდი ტკვეთა მოტაცებიდან

ტყვეების მოტაცების შესახებ დედაჩემმა შემდევი მიამბო: „შვილო, ძველად ხდებოდა ცოცხალი ადამიანების მოტაცება: მაცემოდა ქართველი მუსულმანს, მოსტაცებდა: ცოლს, შვილს, დარევდენ მარტო კაცს აწიოკებულს, ატირებულს, ცეცხლმიკიდებულს. ი კაცი გამწარებული მუყრიდა ხალხს თავს; წერ ყვანდა. დაცემოდა კაცს ჯიხურზე; ჯიხურს ერთი კარის მეტი არ ქონდა. ლაშე იგიც დაკილტული იყო. რუმ კერაფერს უშველებდენ, სალო-რეში ღორს აჟყვირებდენ. კაცი კარს ცოტას გამწალებდა და ღორს ჯუჭახებდა, ერთქანები არ დარჩისო. ერთ კაცი კართან იყო ჩუმათ ძმოტუზებული. იგი უცუფ დუქნევდა ყამას და თავს მოშერიდა. შემრე გალებდა კარს, შევდოდენ სახლში; მოიტაცებდნენ ქალს, ბა-ლახას. ქალს რომ არ ეყვირა, პირში ცხვირსახოცს ჩუჯებდნენ. წა-

იმ ტყვეებს გაყიდდენ: ზოგს სამსა ყურუშათ, ზოგს ხუთას ყუ-რუშათ. ამ ტყვეებს ყიდულობდენ: ბეგაუბი და ალ ევბი“

მო დ ღებდენ, ვეშს, ყოლიფერს.

ასევე მოუტაცებია დედაჩემის ბაბუას, სულეიმან ხაბაზს, რო-შელსაც ორას ოცი წელი უცოცხლია, ვინმე ბოლქვაძის ქალი გუ-რიიდან. ქალი ძალზე ლამაზი ყოფილა, გასაყიდად ველარ გაუმეტე-ბია და ცოლად შეურთავს.

სამუსულმანოდანაც, თურმე, ასევე იტაცებდენ შეკარგული ბავ-  
შეი ყანაში სადილს რომ წაიღებდა, გზაზე დახვდეთ თუ შეკარგული  
შეკარგული, ბავშვს წაიყვანდენ და საქართველოში გაყიდეთ.

ბაბუას მამამ, მემიშ ნოლაიდელმა, ერთი დღის შესაბამის, თურმე, ყანაში, რომელიც ფართხნალში მდებარებოდა მექანიზმების შესაბამის მისთვის სადილი ბაბუას უნდა მიეტანა. როცა სადილობის დრომ  
შოაწია, დედამ ჩაულავა ბაბუას სადილი გორიცაში და ყანაში გაგ-  
ზავნა.

მემიშმა მთელი დღე უცადა. სადილი რომ არეინ მცუტანა, სა-  
ლამის შინ დაბრუნდა. სახლს რომ მიუახლოვდა, ცოლი გამოეგება  
და ოსმანი სად არისო, — ჰეითხა. გამოიჩინა, 10 წლის ოსმანი  
გზაში დაკარგულიყო. ბევრი ეძებეს, მაგრამ კვალს ეერ მიაგნეს. მე-  
სამე დღეს კი ოსმანი სახლში მოვიდა. მშობლებს ძალზე გახარე-  
ბიათ დაკარგული ბავშვის დაბრუნება და გამოუკითხავთ. თუ სად  
იყო.

### ბაბუაშენია მიავბო:

„სადილი რომ წევლე, ნადირის მეშინოდა და გზადაგზა ვმლე-  
როდი. სატახიეს ტყეში რომ შევედი, გზის პირზე ვორი კაცი დევხა-  
ხე, იჯდენ. ახლო რომ გაუარე. წამოცვინდენ და დამიკირეს. სადილი  
მომბრეს ზრუგიდან და პირში მახრამა ჩამიტუშტეს. იქით-აქეთ ჩა-  
მომიდგენ, მომყიდვეს ხელი და ტყეში წამიყვანეს. დიდხანს მარონი-  
ეს ტყით დავისვენეთ. მე ხელები შემიტრეს და იგინმა ჩემი სახ-  
ლიდან წამოლებული სადილის ჭამა დედ წყეს. პაწა მეც მაჭამეს. დი-  
დი ხნის სიარულის შემდეგ, ერთ დაღ ტყეში დაგვილამდა. ხელე-  
ბი შემისნენ, დაწვენ და მე შემარტინეს. ზევიდან ნაბადი  
გვეხურა. მე ვითამ ჩამეძინა. დავკუპე თვალები და გავმწყილდი.  
ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს დაელაპარაკენ: ბალანას ჩაეძინა,  
აწი ჩვენც დავიძინოთო. მალე ხვრინვა ამოუშვეს. როცა დავრწყმუნ-  
დი, ორივეს ლრმად ეძინა, ფრთხილათ დავიწყე ფეხებისკენ ნაბდი-  
დან გაძვრომა. დავალწირ თავი. ფრთხილათ წამოვდექი, მოვისაზრე  
საიდანაც მოვედით და ნელი ნაბიჯით გავემართე. იგინს ეძინა. პაწა ა-  
რომ გამოვიარე, ხმელ ბოლს თურმე, ხელი მოვკიდე და მოტყდა.  
მაშინათვე გვერდზე გადავხტი და ბუქებში ჩაეიმალე. ხმაურობაზე  
ერთს გამოელვიდა და მეორეს უყვირა: ბალანა და გაპარულაო. მაშინ-  
ვე წამოცვივდენ და დამიწყეს ძებნა. შავი, უკუნეთი ღამე იყო,  
თვალში თითი არ იქნებოდა. ერთმა ბელჩქვან გამოა არა. კახაშ  
ფეხი წამკრა. გეძქენ მონავალი გზით. ცოტა ხნის მემრე მეც წა-  
მოვდექი და ფეხაკრეფით უკან გავხევი იგინს. ხანდახან გავჩერდე-  
ბოდი, გულს დავიძმევიდებდი და ყურს დაუგდებდი, ახლოს ხომ არ

არიან-შეთქი. ცოტა ხნის მემრე ხევის მეორე ფერდზე ლიპარი კუმშე-  
მოშესმა: „იგი ამდონზე წამოსულას უერ გაბედავდა, ჩაიმშე აღმოს  
იქნება, წამოვიდეთ და იქ მოვიდებოთ“.

უკან გამობრუნებულებმა მალე შემიარეს გვერდზე ციტიტული  
არე უგზო-უკვლოთ და რომ თენდებოდა, გამოვარჩეს უკანი შემცირებული  
ბოლებიანი ხე; ავედი ზეთ და ბოჭიყაში ჩავიმალე. მესამე დღეს  
ჩოლოქზე გამოვედი, ვნახე მეყანე ხალხი და იგინს გამოვხვევი“.

მოქმედი ქვემაც თსმანის ტე ნოდაიდელი. სოჭ. წყავროვა.  
ცალკე გაშოცება — თბილისი, სახელგამი, 1935 წ.

### ძვირფასი საუნჯი

მდიდარი და მრავალფეროვანია აჭარული ხალხური ზეპირსიტ-  
ყველურება, რომელშიც განსაკუთრებით გამოიჩინევა შრომის ლექსე-  
ბი და სიმღერები (ნადური).

თურქეთის სამასწლიანომა ბატონობამ აჭარაში შრომის ლექსე-  
ბისა და სიმღერების ხასიათი ოდნავადაც არ შეცვალა. ალანიშნავია  
ის, რომ ქობულეთში ნადური, ყანური სიმღერების მეტი წილი ოთხ  
ხბაზე სრულდება, რაც ჯერჯერობით საქართველოს სხვა კუთხეებში  
დადასტურებული არ ყოფილა. ეს ფაქტი დიდი მნიშვნელობისაა და  
აშკარად ქართველი ხალხის უძველეს და მაღალ მუსიკალურ კულ-  
ტურაზე მეტყველებს.

ნადურ-ყანურ სიმღერებში ოთხი ხმა მონაწილეობს: მოქმედია  
(იგივე მომღერალი, დამწყები, ან ამყვანი), გამყიფანე (წერი-  
ლის მოქმედი ან მოკრიმანკულე), შემხმბარი და ბანი. ყურად-  
ღების ღირსია ის ფაქტი, რომ „შე ხ მო ბა“, როგორც ხმა, მხო-  
ლოდ ნადურ სიმღერებში გამოიყენება, სხვაგან არსალ ცნობილი  
არაა.

ნადური სიმღერების მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი  
რეპერტუარი შეუმუშავებიათ ქობულეთის მხარეში. გადმოგვცემენ,  
რომ დასავლეთ გურიასა და ქობულეთის მხარეში ყანაში დილიდან  
მოყოლებული სალამომდე სულ სხვადასხვა სიმღერას მღეროდნენ,  
რაც დაახლოებით ოცდათორმეტამდე აღწევდა.

დღეისათვის დადგენილია შემდეგი ნადურ-ყანური სიმღერები:  
„შოვიდოდა მშვიდობაო“, „ვაი, თუ ღილას ყურდლელმაო“ (ორივე  
დილის სიმღერებია), „შავი შაშვი ჩიოდაო“, „ქალი ვიყავ აზნაუ-  
რი“, „ელია თუ მელიაო“, „მთას ხოხობი აფრენილა“ (სასადილო),  
„შარშანდელსა ნაყანევსა“, „მთას ირემი დაწოლილა“, „ბებურს  
ხიდსა ვაკეთებდი“, „ვაი, თუ იელი ელობდაო“, „მურვან, მურვან

შენსა მზესა“, „ჩიორაი ჩიოდაო“, „ვაი, თუ მუხა ჭილინშორი ყარანაი“, „ცელაზურაი“, „ბერი კაცი ჩაქვნა-ბერი“, „ქელო, შეგი, შევითაო“, „ალვის ხეი მოხეთქილა“ (გორდელა), „ლულუშეც ცუფულები“, „ლორჯო ირემს გაჰკიდია“, „გურუვეთულაი“, „ლუშეც ცუფულები“, „კურდლელმა სთქვა“, „ფარჯანულაი“, „ელამა, თუ მელაძაო“, „გველი ხრილსა მიძვრებოდა“ და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ნადური სიმღერების უმრავლესობას ამ-  
ჟამადაც მღერიან. ჭერ კიდევ ცოცხლები არიან, რომელთაც შეუძლიათ იმღერონ ნადური სიმღერების ნაწილი, მაგრამ მთელი რიგი ნადური სიმღერები გვაქვს, მათი სახელშოდება და ტექსტებიც მოგვეპვება, სიმღერა (ჰანგი) კი აღარავინ იცის. ასეთებია მაგალითად, „ლელა“, „ლუპაი“, „ლორჯო ირემს გაჰკიდია“, „კურუვეთულაი“, „ფარჯანულაი“, „ელამა, თუ მელაძაო“ და სხვა.

საკირო მოვძებნოთ, იქნებ მოვნახოთ გურიაში ან აჭარაში ადამიანები, რომელთაც ეცოდინებათ დასახელებული სიმღერის ჰანგი, რომ მომავალ თაობას არ დავუკარგოთ ეს მდიდარი განძი.

საკირო და აუცილებელია ოთხებმიანი შრომის სიმღერების — ნადურის სიმღერების შესწავლა, დამუშავება და თვითმოქმედი კოლექტივების საშუალებით ხალხში გავრცელება. სასურველია აგრეთვე შრომის სიმღერებთან ერთად სხვა უანრის სიმღერებიც დამუშავდეს. მაგალითად, თრევასთან, სიმინდის რჩევასთან, რთვასთან და წეწვასთან, რგვასთან დაკავშირებული სიმღერები: „ელესა“, „ხელხვაი“, „ხერტლის ნადი“, „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, ასევე სატრაფიალო, სალხინო და მგზავრული.

ჩვენი ფოლკლორის განყოფილება დიდ მუშაობას ეწევა აჭარის ხალხური საუნგის შესაგროვებლად. მარტი 1959 წელს ერთი თვის მანძილზე ექსპედიციამ 173 მთემელთან იმუშავა, შეაგროვა 261 ზღაპარი, 234 დიდი და 163 მცირე ზომის ლექსი, 33 ანდაზა, 114 გამოცანა და ა. შ.

აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში პროზა ვარბობს; პოეზია ცოტა გვაქვს. პროზიდან საქმაოდ დიდი ადგილი ზღაპარს ეთმობა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. საყოფიერო ხასიათის ზღაპრები, აგრეთვე ცხოველთა ეპოსიც.

გავრცელებულია დამრიგებლობითი ხასიათის ზღაპრებიც, საქმაო პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ისეთი ზღაპრები, სადაც მღვდლისა და ხოჯის „ოინები“ და საეშმაკონია გამომედავნებული.

საერთოდ, ჩვენი ექსპედიციების შეკრებილი მასალები მრავალფეროვანია. ზღაპრები — მდიდარი და მრავლის მთემელი; ლექ-

სების შესახებ შემდეგი უნდა აღინიშნოს: მათი ღიღი ნაწილი მექ-  
რებილ იქნა ავტორ-მთქმელთაგან. ლექსებში საკმაო ადგილი უთ-  
მობა საბჭოთა პერიოდის შრომის თემატიკას. რევოლუციურმდელ  
შრომის ლექსებს თითო-ოროლას თუ შევხვდებით. ხალხურ ტექსტები  
ტურ გამონათქვამთ მხატვრული ბრწყინვალება აკლიმატიზირებ

ჩაწერილი ანდაზებიდან მცირე ნაწილი შეიცავს სიანლეს. გა-  
მოცანებიდან ნაწილია ახალი, თორემ უმეტესობა ჩაწერილისა და  
დაბეჭდილის ვარიანტს წარმოადგენს.

გან. „საბჭოთა აჭარა“, 1960 წ. 25 ოქტომბერი.

### აპარატი (პოზულებური) სამიზაომართო მომავალის ლექსებისა და ციფრურის ზოგადი დახასიათება

აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში შრომის თემატიკას მნიშვნელო-  
ვანი აღიღილი უკირავს. წინამდებარე სტატიის მიზანია რევოლუცია-  
მდელი პერიოდის სამიწაომოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღე-  
რების ზოგადი დახასიათება.

შრომის პროცესის ამსახველი ლექს-სიმღერები ადამიანის მე-  
ურნეობრივი საქმიანობის ყველა სფეროს ეხება. მასში ასახვას პო-  
ულობს მიწაომოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, ხის დამუშა-  
ვება და სხვა საქმიანობა.

შრომის ლექს-სიმღერები საქართველოში ყველანაა გავრცე-  
ლებული, მაგრამ, შრომის პირობების განსხვავებულობის გამო,  
ისინი ყველა კუთხეში განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდებიან.

თუ აღმოსავლეთ საქართველოში ხენისათვის საკირო იყო გუთ-  
ხეულის გამართვა და მასთან დაკავშირებულ გუთხურ სიმღერებ-  
თან გვაქვს საქმე, დასავლეთ საქართველოში ყანები უმთავრესად  
თოხით მუშავდებოდა და ამიტომ ნაღურ-თოხხურ სიმღერებს ვხვდე-  
ბით; თუ აღმოსავლეთ საქართველოში „სამ კალსა“ და „რიგ-  
რიგას“ გვერდით გვაქვს ინდივიდუალურად შესასრულებელი სი-  
მღერები „ურმული“, „აღზევანს წავალ მარილზე“,  
დასავლეთ საქართველოში საერთოდ, და განსაკუთრებით კი აჭარა-  
ში, გავრცელებული იყო კოლექტიური სიმღერები: „ნადური“,  
„ხელხვავი“, „ხერტლის ნადი“, „ელესა“ და სხვ.

უცხოელ და ქართველ მოგზაურთა და მკელევართა მოწმობით,  
ნალი და მასთან დაკავშირებული სიმღერები ფართოდ ყოფილა გავ-  
რცელებული სამეცნიელოსა და იმერეთში, გურიასა და აჭარაში.

ნადური სიმღერები თავისი მრავალფეროვანებით განსაკუთრებით აქარაში გვხვდება. ამ მხრივ ქობულეთის რაიონის მოსაზღვრე სოფლები გამოიჩინება, სადაც ხალხის გაცილენება, მაგრა სიმღერა შესრულდებოდა ნაძიე და თითოეულს თავისი ლექსი ჭერნდა. ჯერ-ჯერობით 24 ნადური სიმღერის ტექსტის უნდა მოხერხდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მათ წერტილები სრული ტექსტი ვერ დავადგინეთ და ფრაგმენტის სახით არის შემორჩენილი. ასე, მაგ., ნადური სიმღერა „ლელას“ ერთი ტავილად შემორჩენილი, ხოლო სიმღერა „ღუჟას“ შესრულებისას, რომელიც ჯერგერობით არ არის დადგენილი. როგორც ჩანს, გამოყენებული ყოფილა ცნობილი ლექსი: „სანთლის გუთანს ავაშენებ, შივ შეებამ ულელ დევსა“.<sup>1</sup>

საქართველოში ურთიერთ დახმარება, ნადი,<sup>2</sup> როგორც ჩანს, უძველესი ტროიდან ყოფილა გავრცელებული. ნადის მუშაობას თან ახლდა ნადური, ანუ თოხნური, ლექს-სიმღერები, რომელიც იმდენად დამახასიათებელი იყო ლიხთ-იმერთათვის, რომ დ. არაყიშვილი მას „წმინდა გურულ სიმღერად“ თვლიდა. ჩვენი აზრით, ნადური ლექს-სიმღერები მოელი დასავლეთ საქართველოს კუთვნილებაა. ამას ჩ. ერისთავის ცნობაც ადასტურებს: ნადური „რიონის პირად იციან ხოლმე საქართველოში“.<sup>3</sup> ნადისა და ნადურის შესხებ დ. თომაშვილი (ოქრიძა-იმერეთი), გადმოვცემს: „ნადობა-ნადი იცოდნენ მაშინ, როდესაც ოჯახს მოძალებული, გადაუდებელი სამუშაო ჰქონდა. ხენა-თესვა იქნებოდა ეს, თუ მარგვლა-მოროვი; ნადში ყველა სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას. ხშირად 20-25 კაცისაგან შემდგარი ნადი მოედებოდა სამუშაოს განსაკუთრებული ყიფინითა და სიმღერებით, რომელსაც ნადური ეწოდებოდა. ეს სიმღერა მეტად შეელოდა ხელბარაჟიანად იუშაობას, დაღალვას აღარავინ გრძნობდა, „სვრელი სვრელზე გამოჰქონდათ“.<sup>4</sup>

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვითარება შეიცვალა. წვრილი, ერთპიროვნული მეურნეობები კოლექტიურმა მეურნეობამ შეცვალა, რამაც ძირითადად გარდაქმნა ადამიანთა ურთიერთობა შრომის პროცესში. მეციტრუსეობის, მეჩაიერების, მევენახეობისა და სხვა კულტურების მაღალ დონეზე განვითარებამ, აგრეთვე სიმინდის და პურეულის ყანების დასამუშავებლად მექანიზაციის ფართოდ გამოყენებამ შეცვალა შრომის პი-

1 ვ. კოტეტშვილი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1935, გვ. 160.

2 საბას განმარტებით ნადი არის „მეზევნი შეყრილი“, ნადობა-შესყობდა“ არის — სიტყვის კონა, თბილისი, 1940, გვ. 243.

3 თ. ოქრიძე, ლიტერატურული ძებანი, ტ. X, თბილისი, 1956, გვ. 337.

4. იქვე.



ପ୍ରକାଶନ କମିଶନ

რობები. ტექნიკური კულტურების მოვლა შრომის სხვა პირობება-  
ძოითხოვს. რამაც თავისთვალ იშვიათი გახდა ნაღის ჰიტითის აუ-  
ცილებლობა. ნადური სიმღერები მივიწყებას მიეცა მუსიკური მიძიე-  
ოლები მწყობრიდან გამოდიან, ახლები მაინც და მარტინ კი-  
რია ნადურ სიმღერებს და ხალხური შემოქმედების უძრავი მუსიკუ-  
რი დარგის შესახებ სულ მალე გაძნელდება მარტინის მუსიკურ  
აშირომ მათი შესწავლა და დამუშავება გადაუდებელია.

ხალხური შემოქმედების ზოგიერთმა გუნდმა სცადა ნაღური სიმღერები სცენაზე გაღმოეტანა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო — სიმღერამ აღრინდელი სახე დაკარგა. ამის მიხევი ზოგჯერ ისიცაა, რომ ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელი თვითნებურად ცვლიდა ნაღურ სიმღერებს, ახდენდა მის ერთგვარ მოდერნიზებას, სახეს უცვლიდა სიმღერის თავდაპირველ და ხალხში ასეული ყლების განმავლობაში დაკვიდრებულ წყობას და ტებბრს. გარდა ამისა, ნაღური სიმღერები უშუალოდ შრომის პროცესში სრულდებოდა. სცენაზე შესრულებული ნაღური კი რიტმების უშუალო აღქმას მოკლებულია.

ავარია ხალური სიმღერების მრავალუეროვნებით, როგორც  
ითქვა, განსაკუთრებით ქობულეთის რაიონი გამოიჩინდა, რო-  
დელიც ძველთაგანვე განთქმული იყო ნალური სიმღერების შემსრუ-  
ლებლობით. ნალური სიმღერების შემსრულებელმა, ს. ლელვაძე  
(ქობულეთი) მცხ. 80 წლის ხასან ჯემალის ძე როვერმ გვიმბო:

„ქობულეთში ყანას იქდენ დიდს. წინეთ ეხავისებოდნენ სიმღერა და იშმიდენ ნაღს. ამ ნაღს თავტობაც ესწრებოდა, ღიღვანი ხალხები. საინტრენესო იყო მათი ამბავი, ვის კარგი ხმა ქონდა, ვინ მეტი სიმღერა იცოდა. ერთხელ, მახსოვს, რკინიგზასთან იყო ნაღი; შეხურებული სიმღერა გვაქ და მატარებელიც გაძოვიდა. ელიაგა და ფილიპე მახარაძე ყოფილიყვნენ იმ მატარებელში. მატარებელი შეაჩერეს და გადმოვიდენ ძირში. სანამდი სიმღერა არ გათავდა, მანამდი „ათხოდი“ არ მიაცემის. მაღალეც ქობულეთოთ, დაიძახეს და წავიდენ“.

საინტერესოა გრეთვე პახაოის მც. 72 წლის ბოხუცის ნუსე-  
რნ უსუფის ძე ხახუტაიშვილის ნამდობი. მისი სიტყვით, ქობულეთ-  
ში ნაღი და ნადური სიმღერები ფართოდ იყო გავრცელებული. ნა-  
დური სიმღერების კარგი შემსრულებლები ხალხში დიდი პატივის-  
ცემით სარგებლობდნენ.

„ჯიქურას“ ციკლის სიმღერების სახელწოდებითაა ცნობილი // თუ  
ორიგინალურია. ზოგიერთი სიმღერა, მაგ., „წერეთიე“, იმურეთის  
უნდა მომდინარეობდეს, ხოლო „საჯავახურა“ დას. იდერთისა და //  
აღმ. გურიაში წარმოშობილი სიმღერა უნდა იყოს.

ქობულეთში ნადური სიმღერების შესასრულებლების უკანასკნელი  
კაცამდე იყო საჭირო. მათ შორის: ერთი მთქმელი კუმშეც კუმშეც კუ-  
მშეც მომღერალი, რომელიც ლექსებს მღერის, ორი შემხმობარი,  
ერთი გამყივანე და ორიც მობანე — ბანის მთქმელი. ბა-  
ნის მთქმელები რაც უფრო მეტი იქნებიან, მით უფრო სიმღერა კა-  
რგი გამოდის, სიმღერა გადაბმულია, აქ მომღერალი იწყებს სიმღე-  
რას, ან როგორც აღვილობრივად უწოდებენ „აიკვანს სიმღერას“,  
ამიტომ მას მთქმელი ეწოდება. შემდევ მას გამყივანე მიპყვება,  
ხოლო აბოლოვებენ შემხმობრები. ზოგიერთ შემთხვევაში შიგადა-  
შიგ საჭიროა ბანის ჩართვა. ასე, რომ ნადურში ერთ მხარეზე სა-  
ჭიროა: ერთი მომღერალი — „ამყვანი“, „მთქმელი“, ერთი  
გამყივანე, ორი შემხმობარი და ორი ან სამი ბანის  
მთქმელი.

სიმღერა რამდენიმე მუხლისავან შეღება. ჯერ ნელა იწყება,  
შემდევ თანდათანობით აჩქარდება. ყანაში მომუშავეებიც ჯერ ნე-  
ლა მუშაობენ, მაგრამ სიმღერის აჩქარებასთან ერთად, თვითონაც  
ექსტაზი შედიან და შრომა ინტენსიური ხდება.

ნადური სიმღერების მცირდნე სოფლებში არც თუ ისე ბევრი  
იყო. ამიტომ ვინც დიდ ნაღს დაპატიჟებდა, მას აღრევე უნდა მი-  
ელო ზომები, აღრევე უნდა გაეგზავნა სოფლებში ხალხი მომღერ-  
ლების, გამყივანების, შემხმობრებისა და მობანეთა მოსაპატიჟებ-  
ლად. მასპინძელი დაინტერესებული იყო კარგი მომღერლების მოწ-  
ვევით წაეხალისებინა ნაღის შრომა და მეტი ეფექტი მიელო.

თუ მოსაზღვრე პირები ნაღს „დაახირებდენ“, ანუ ერთდროუ-  
ლად დანიშნავდნენ, მაშინ მეზობელ ორ ნაღს შორის მყარდებოდა  
ერთგვარი შეთანხმება, მორიგეობა „ნადურის“ შესრულებაში.  
სიმღერას რიგრიგობით მღეროდნენ, ისე რომ ერთ ნაღს შესძლე-  
ბოდა მეორის მიერ შესრულებული სიმღერის მოსმენა.

შესრულების თვალსაზრისით ქობულეთში გვაქვს გადაბრუ-  
ლი და ჩამყოლიანი სიმღერები. გადაბმული სიმღერების  
დროს მომღერალთა ორი ჯგუფია გათვალისწინებული: დამწ-  
უები და ჩამომზრდე ვი. ჩამომრთმევი იმ მოტივზე და  
იმავე მღერის, რასაც დამწყები. ისინი რიგრიგობით ასრულებენ  
ერთსა და იმავე სიმღერას. გადაბმული სიმღერებია მაგალითად,  
შეზავრული, მაყრული და სხვ. ჩამყოლიან სიმღერებში, გადაბ-

მულისაგან განსხვავებით, ჩამყოლი არ იმეორებს იმას, რასაც და-  
მშენები, მთქმელი ამბობს. ჩამყოლი დამწეუბისაგან განსხვავების  
ჰანგგზე აგრძელებს და აბოლოვებს სიმღერას. მაგ., „ხ ა ს ა ნ გ ვ ე-  
რ ა ს ა“ და „შ ვ ი დ კ ა ც ა ს“ დაბოლოება არის ჩამყოლის დამწეუბის  
ჰანგგზე.

დამწეუბისა და ჩამყოლ გვუფებში არ არის სავალოვანი და გვიპერ-  
ბის რაოდენობა ერთნაირი იყოს. ასე, თუ „ხასანდეგურას“ შესრუ-  
ლების დროს დამწეუბთა, მთქმელთა გვუფში საჭიროა საში ხმა:  
შომლერალი (მთქმელი ან იგივე დამწეუბი), გამყივანე  
(წვრილის მთქმელი) და ბანი. ჩამყოლში მონაწილეობს ორი —  
ჩამყოლის მთქმელი და ბანი.

ნადური სიმღერები და „ხელხვავი“ შედარებით რთული სიმღე-  
რებია. ნადურში ოთხი ხმა მონაწილეობს: მთქმელი, გამყივანე, შემ-  
ხმობარი და ბანი. მომღერალი იწყებს სიმღერას, მას მიჰყება გამ-  
ყივანე. ერთი მუხლის დამთავრების შემდეგ შემხმობრები შეუხმო-  
ბენ, დააბოლავებენ. 1 მუხლის დამთავრებისას იწყება ჩამყოლის  
თქმა. ჩამყოლს ისევ დამწეუბი აბოლოებს, ამასვე აკეთებს მეორე  
მომღერალი და ა. შ.

ნადურ სიმღერაში მისამღერ ტექსტს — ლექსს შხოლოდ მომ-  
ღერალი-დამწეუბი-მთქმელი ამბობს; არც გამყივანე, არც შემხმობა-  
რი, არც ბანი სიტყვებით არ მღერიან. მომღერალიც პირველ  
შუხლს აკრეთვე უსიტყვოდ მღერის, მას მარტო ჩაყოლის დროს  
უხდება ლექსის მიმღერება. ეს დაახლოებით ასე წარმოგვიდგება:

მომღერალთა პირველი გვუფი: მომღერალთა მეორე გვუფი:

შომღერალი: პო-ეო, პოდოა!

პო-ეო, პოდოა!

შემხმობარი: პო-ო-ო-ო!

პო-ო-ო-ო!

შომღერალი: პო-ო-ო-ო!

პო-ო-ო-ო!

შომღერალი: ვო-ლი-ლა და  
დილ-ა ვოდელისამ ჰაა!  
ორი-რამა-პო!

ვო-ლი-ლა-და დი-ლა-კო-ლე-  
ლისამ ჰაა, ორი-რამა-პო!

შემხმობრები: პო-ო-ო-ო!

პო-ო-ო-ო!

შომღერალი: ვა თუ დილს უ-  
რდგელმაო, კიდევ გვერდი  
შირბინაო ჰოო!

ვა თუ დილს უ-რდგელმაო კი-  
დევ გვერდი შირბინაო ჰოო.

ნადურში მომღერალი და გამყივანე ერთსა და იმავე დროს  
მღერიან. ხმის შეწყობა უტექსტოა. დაახლოებით ასე:

გამყივანე: ვო-რი-რა, ვო-რი ვი-  
რუ-რი-რა-ვო რე-რა ვო-  
რე-რი-ვი-და.

ვი-რი-ო-შო უ-რი-ო-შო, ვი-რი-  
ო-შო, უ-რი-ო-შო, ვი-რი-ო-შო, უ-რი-  
ო-შო!

შემხმობრები სიმღერაში ჩაერთვიან პირველი მუხლის დამთავ-  
რების შემდეგ, ხოლო შემხმობის შემდეგ მომღერალი იწყებს ლექ-  
ხსის სიტყვების გამოყენებას, ე. ი. პირველ ხანებში, როგორც დავი-

ნახეთ, სიმღერაში შემხმობრები შუაში ჩაერთვიან. გერ სიმღერა ნულა იწყება, ხოლო შემდეგ თანდათან აჩქარდება და მეორე შეხელი გადასვლისას უახლოვდება დასაწყისს, ბოლო მუხლს კი შემძმობრები და დამწყები ერთად იწყებენ.

ამრიგად, ნადური სიმღერები რთულია. გერ ერთი, ჟღურმატი შესული მონაწილეობს: მომღერალი, გამყივანე, უცუჭიშვილი მონაწილეობს: მომღერალი, გამყივანე, უცუჭიშვილი მონაწილეობს: მომღერალი, გამყივანე, უცუჭიშვილი მონაწილეობს:

ნადური სიმღერების თემატიკა ძალზე მრავალფეროვანია. უწინარეს ყოვლისა, ნადურ ლექს-სიმღერებში წითელი ზოლივით გასდევს სოციალისტური უთანასწორობა და მასთან შეურიგებლობა; საყოფაცხოვრებო-სატრაფიალო ლექსებთან ერთად მასში გადმოცემულია აგრეთვე საწესჩვეულებო და საგმირო ხასიათის ლექსებიც. ნადურში გამოყენებულ ლექსებში ფართო გასაქანს პოლონის მონადირეობაც, რაც წინათ ეგზომ დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის.

როგორც გურიაში, ისე ქობულეთში ნადურ სიმღერებში გამოყენებულ ლექსებს საჩივარი ეწოდება.<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით გურული ნადური სიმღერების აღმწერი აპ. წულაძე წერს: „ნადური სიმღერა ძველია, ისტორიულია, შეთხეულია ბარონების დროის ყმა გლეხების მიერ; მასში ცხადად ჩანს ბატონების წინააღმდეგ შეთქმულება — განყი, შეტევა, იერიში და გამარჯვება, ბატონების განადგურება და მათი „მოთხრა“...

სიმღერას იწყებდა ერთი მთქმელი, დაბალი ხმით, გაუბედავად, წულუნით. არ მოსწონდა თავისი ვაგლახი ცხოვრება, უჩიოდა მას; სწორედ ამიტომ ნადური სიმღერების ტექსტებს საჩივარს ეძახდნენ. არც ერთ გურულ სიმღერას არა აქვს იმდენი ტექსტი, რამდენიც აქვს ნადურს. ძალიან ხშირად მთელი სიმღერა ერთი ან ორი საჩივრით თავდება... ერთ მთქმელს, ერთ მომჩივანს მეორე შის ბერძივე მყოფი აჲყვებოდა, პირველის საჩივარს კვერს დაუკრავდა და იმეორებდა.

ამ ორ მომჩივანს შეუერთდებოდა გამყივანი ანუ გადამძახებელი და მაღალი ომახიანი ხმით უყიოდა, უძახოდა, უხმობდა სხვებს, შოუწოდებდა ამხანაგებს. სხვებიც — ტანჯულები, არ აყოვნებლნენ, უერთდებოდნენ, ებანებოდნენ, — ბანს ეუბნებოდნენ. ბანი სიმღერის კილო როლია მარტო, იგი ნიშნავს თანხმობას, აყოლას, აზრის გაზიარებას, ხშირად იტყვიან. ბანი დამაწია, მომებანა, ბანი მითხრა,

1. ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გვრია, „მნათობი“, 1939, № 3, გვ. 184-185.

ბანი დამძინა. ბანს შემხმობარსაც ეძახიან: შემხმობი ნიშნავს შემხმელებელს — ცეცხლში ხმელი საწვავის შემყეობელს. ცეცხლის ამაგიზგიზებელს, დამღალადურებელს. ამპრიალებელს. შემხმობი, ბანი ცეცხლს აგიზგიზებს, ყმებს აჯანტებისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ამრიგად, მთქმელი მოთავეა, ორგანიზატორი უკანასკნელი უკანასკნელი კი კი მასაა და გამარჯვებაც ამ მასაზეა დამოკიდებული! სიმღერა სწორედ ბანზეა დამყარებული. ბანი თუ ძლიერია და სწორი, სიმღერაც გამართული იქნება“...!

ა. წულაძის ეს ცნობა მეტად საყურადღებოა, მაგრამ ყოველთვის არ არის ზესტი. წულაძეს შეცდომით აქვს ანიშნული, „ბანს შემხმობარსაც ეძახიანო“. შეხმობა რომ იგივე ბანი იყოს, მაშინ ისინი ერთ სიმღერაში ვერ მოთავსდებოდნენ, სიმღერაში ან ერთი იქნებოდა გამოყენებული, ან მეორე, მაგრამ როცა ერთ სიმღერაში ერთიც გამოიყენება და მეორეც, მაშასადამე ისინი სხვადასხვა ფუნქციისა და დანიშნულების ყოფილან. ეს მართლაც ასეა. შეხმობა მხოლოდ ნაღურ სიმღერაში გამოიყენება, მხოლოდ ნაღურისათვისა დამახასიათებელი, ხოლო ბანი თითქმის ყველა სიმღერაშია საჭირო.

საეჭვოა აგრეთვე, რომ ნაღური სიმღერა ბატონყმობის ღროს შეეთხათ ყმა გლეხებს. სულ სხვა საყითხია, თუ ვიტუვით, რომ ნაღურ სიმღერებში ბატონყმური ურთიერთობის პირობებში შევიდა სოციალური უთანასწორობის ამსახველი ლექსები. საერთოდ მაორო ბატონყმური ინსტიტუტის სიმძიმით არ შეიძლება აიხსნას ნაღურ სიმღერებში ლექს-საჩიტრის გაჩენა. მართლია, ქართველ გლეხობას ჰყავდა შინაური მტრები — თავადებისა და აზნაურების სახით, მაგრამ ყველაზე უფრო საშიში მისთვის მაინც გარეშე მტრი იყო.

საქართველოს ისტორიაში მრავალი შემთხვევა ყოფილა, როცა სოციალური უსამართლობის გამო, შინააშლილობის მიუხედავად, გამოჩენილა თუ არა გარეშე მტრი, დროებით დაუკიცნიათ შინაური აშლილობა და სამშობლოს დასაცავად ბრძოლის ველზე შეერთებული ძალებით გამოსულან, თუმცა შინაური სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც არ იყო მოხსნილი ღლის წესრიგიდან.

ა. წულაძე აღწერს აგრეთვე სამუშაოს დამთავრების შემდეგ

1 ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, „შინათობი“, 1939, № 3, გვ. 340.

ნადის მიერ თოხებით ხის მოკრის ჩვევასაც. ეს ჩვევა მას „ მოთხრის დამახასიათებელ მოსაგონარად“ მიაჩინია.

დ. ჯანელიძის მოწმობით ეს ჩვეულება წარმართული კულტურული გადმონაშთი უნდა იყოს.<sup>1</sup>

ს. მაკალათიას აზრით, „ეს მშეიდობის, ღლევრის მიზანი ეს მტერზე გამარჯვების ნიშნად ითვლებოდა“.<sup>2</sup>

თოხით ხის მოკრის ჩვეულება ჰქონდათ აჭარაშიც. კერძოდ, ქობულეთში, რასაც, ჩვენი აზრით, არავითარი კავშირი აო უზდა ჰქონდეს ბატონყმურ ურთიერთობასთან. არც დ. ჯანელიძის ცნობა უნდა იყოს სწორი.

სავსებით ვეთანხმებით თ. ოქროშიძეს, რომელიც წერს:

„რას გულისხმობენ მკვლევარები ამ წარმართულ კულტში, არ ვიცით. თუ ხის კულტზე ლაპარაკი, მაშინ მისი მოთხრა, მოსპობა, განადგურება რატომ უნდა ნიშნავდეს ღლევრის დაგამარჯვებას. ხის კულტი მოითხოვდა წმინდა ხისადმი თაყვანისცემას, სასოებით მოკყრობას, ხელშეუხებლობას. „ფშავის სამლოცველო ხატების გარშემო მდებარე ტყეები წმინდაა და შეუვალი. ოქიდან ნაფორის გამოტანა არ შეიძლება... წერს ეთნოგრაფი ვ. ბაორდაველიძე: მისივე აღწერით: „წმინდა ცაცხვი რკონში ჯავახიშვილების საგვარეულო სალოცავად ითვლებოდა. როცა მათ ვერშივინმე ავად გახდებოდა, მოდიოდნენ ცაცხვთან და ათვალიერებლნენ მას. თუ ცაცხვს ტოტები ყველა მთელი აღმოაჩნდებოდა, მაშინ ავადმყოფი მორჩებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასიცოდილოდ იყო განწირული“.<sup>3</sup>

ჩვენი აზრით საკითხი შემდგომ საფუძვლიან კვლევას მოიხოვს.<sup>4</sup>

### დ ა ს ძ ვ ნ ა

ქობულეთური ნადურის ერთ-ერთი თავისებურება, გურულ ნადურთან რეპერტუარის მრავალრიცხვნებაში მდგომარეობს.

ქობულეთურისაგან განსხვავებით რამდენადმე თავისებურია აჭარისწყლის ხეობის ნადური სიმღერები. აქ ნადურ სიმღერას ას-

1. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948, გვ. 39.

2. ს. მაკალათია, სამეცნიერო ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 371.

3. თ. ოქროშიძე, ნადური ლექს-სიმღერები, ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 1956, ტ. X, გვ. 339.

4. ნაშრომში შეძლევი სასიმღერო ლექსებია განხილული. ასეთები უფრო ვრცელად ის. ზემოთ. რედ.

რულებს ერთი დამწყები (რომელსაც ქობულეთში „მოწინერალს“ ეძახიან), ერთი გამყივანე და სამი ან ოთხი ბანი „შემატობები“ ანუ მეოთხე ხმა აქაურ ნადურს არ ყავს. სამაგიეროდ სიმღერა ძირითადად ბანს ემყარება (ქოიულეთში კი ბანი სფრაგიულებულში გაა საჭირო).

ზოგიერთ მკვლევარს გურული ნადის თავისებურებანი გაიგივებული აქვს საერთოდ დასავლეთ საქართველოს თავისებურებებთან.<sup>1</sup> ქობულეთის მასალებიდან ჩანს: აქ ნადი ყოველთვის მთლიანად მღეროდა ნადურ სიმღერებს. მხოლოდ მის შემდეგ, სიძნელის დაძლევისა და სამუშაოს დამთავრების ნიშნად „ელესას“ ასრულებდნენ, რომელიც არსებითად ხის დამუშავებასთან (ხის გამოთრევასთან) დაკავშირებული კოლექტიური, ნადური სიმღერაა.

1 ვ. შილიკაძე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, თბილისი, 1949, გვ. 39.

აჭარის ზეპირსიტყვიერებისა და  
ეთნოგრაფიის მასალები ურავნებელი  
გიგანტური განკურებულის



თავი 1

## შრომის სიმღერები

### ავარული ნადური ლექს-ციმღერები

შრომის სიმღერები ნადურის სახით ჩვენამდე მოღწეულია ზოგერ ე. წ. უსიტყვო, გაბმული შეძახილებით, რაც დამახასიათებელი უნდა იყოს ლექსის განვითარების არქაული საფეხურისათვის.

უსიტყვო ტექსტები, უფრო სწორად, ჩვენთვის გაუგებარი სიტყვები, უხვად არის გამოყენებული ნადურ სიმღერებში.

ნადური ლექს-სიმღერების თემატიკა მრავალფეროვანია. ისინი შეიძლება დაკუთხო რამდენიმე თემატურ ჯგუფად: საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო, საგმირო, სატრადიალო და სხვ.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი აჭარასა და გურიაში, ნადი ორ გუნდად იყოფა. ისინი შენაცვლებით ასრულებენ საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო, საგმირო თუ სატრადიალო ლექს-სიმღერებს, რომლებიც აქ ბლომად გვხედება.

შევუდგეთ მათ აღწერა-დახასიათებას.

### 1. „ვაი, თუ დილას კურდლელმაო“

შინაურ ცხოველთაგან ქართველი კატას ავსულად თელიდა. ამასთან ბევრი ცრურწმენაა დაკავშირებული. ფრაზა: ჩვენს შოგმა კატამ გაიარაო, რომ იტყვიან, მტრობა იგულისხმება. კატამ გა-

დამირბინაო, როცა ამბობდა ცრუმორწმუნე ქართველი, უკარის-  
ძას მოელოდა. ოთახში, საღაც მიცვალებული ასევნია. უკარის-არ  
დატოვებენ: მავნეა, მიცვალებულს თვალებს ამოსკომსო ერთი  
სიტყვით, ისტორიულად კატა, და მით უმეტეს შეჯროვანებულ-  
ელს უბეღურების სიმბოლოდ წარმოუდგენია. შეჩერებულებები

ეს ითქმის აგრეთვე კურდლლის შესახებაც. „ვაი, თუ დილას ყუ-  
რდგელმაო“. — ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში. ხალხის ცრურწმუ-  
ნით, დილით სამუშაოზე მიმავალს თუ პირველად კურდლელი  
შეგვედა, ცუდის მომასწავებელია, იგი უნდა მოკლაო. თუ ვერ მოკ-  
ლავ, მაშინ სამუშაოზე ხელი უნდა აიღო, თორემ უბეღურება შე-  
გემთხვევაო. მონადირე რომ სანადიროდ მიდის, თუ პირველად ტუ-  
რა დაინახა, აგრძელებს გზას, ხოლო თუ კურდლელი შეეფეთა და  
ვერ მოკლა, უკან უნდა დაბრუნდეს.

რატომ ერიდებოდნენ საქართველოში მუშაობის დაწყებამდე  
კურდლლის შეხვედრას? იქნება მარტო იმისათვის, რომ იგი ჩამო-  
გავს კატას? რატომ არ ჭამენ აჭარაში კურდლლის თავს? იქნებ იმი-  
ტომ, რომ მას მეურნეობისათვის ზიანი მოაქვს. ვფიქრობთ, რომ  
არა; კატისა და კურდლლის ბოროტ, მავნე სულებად წარმოდგენა  
ქართველი ხალხის შორეულ წარსულს უკავშირდება.

დამახასიათებელია, როცა მშრომელი დილით ყანაში მიდის და  
მუშაობას იწყებს, პირველად იგი მღერის ან „მშეიღობას“, ანდა  
პლერის კურდლლის შეხვედრისა და მასზე გამარჯვების სიმღერა-  
საჩივარს:

„ვაი, თუ დილას უკურდგელმაო,  
კიდევ ვეკრიდი მირმინა,  
აბა, ფაქხველი შარაზე,“

კადევ ცტურტნე ისარიო,  
აბა, მოკვალ უკურდგელაო“...

როგორც ჩანს, ხალხის რწმენაშ კურდლელში მშეერავები,  
მტრის მოწინავე რაზმი განასახიერა. ეს ჩანს ამ ლექს-საჩივრის გაგ-  
რძელებაში. კურდლელი, რომელიც მოკლეს, ოთხივე ფეხზე ოქროს  
ნალით დაკედილი აღმოჩნდა. მაშასადამე, იგი მტრის ცხენის მაგიერ  
ცხენიება.

კურდლლის ოქროს ნალიანად წარმოდგენაში სიმბოლურად  
ხომ არ იგულისხმება მტრის დახარბება ოქროზე, სიმდიდრეზე?  
დილით შეხვედრილი კურდლლის მოკვლის აუცილებლობა კი-

დევი იმით იყო გამოწეული, რომ მას მტრისათვის ცნობები არ მი-  
ტანა. ლექს-საჩივარი ასე გრძელდება:

„აბა, მოვკად კართლებით,  
ორზევეში დაჭელდი.  
აბა, საღი აკამდეო.  
აბა, ნალი არახოვთ  
აბა, ნალი აქართოს.  
კაცევ მოვ შეკვდისთ.  
აბა, რამი შეკვდისთ?  
კაცევ იქრით შეკვდისთ.

კაცევ რამი ვაჭროვი.  
კაცევ მოგარებული მოგორი.  
კაცევ მის შეარქო მოგორი.  
აბა, რამი შეპრის მოგორი.  
კაცევ რამი შეკვდის.  
კაცევ ცალი შერჩელით.  
კაცევ ცალი შერჩელით.“



დასატრულს, ეს ლექსი იმითაც არის საინტერესო, რომ კურდ-  
ლის მოკვლისა და ნალების აყრის შემდეგ, თითქოს, იწყება სამ-  
ზადისი მტრერთან დახვედრისა. ხალხი მოპოვებული მაღნით, ოქრო-  
თი მევდელს აქედვინებს თოფსა და ბერძნულ ცულს, ისეთ იარალს,  
რაც მტრერთან ბრძოლაში გამოდგებოდა.

აქვთ უნდა შევნიშნოთ. რომ დასახელებულ ლექსში სიტყვა  
„თოფი ვეიან უნდა იყოს შესული. შესაძლებელია, თოფის მაგიერ  
შახვილი იყო ლექსში თავდაპირელად. ხოლო თოფის გაჩენის შემ-  
დეგ, სიტყვა მახვილი (სატევარი, ხმალი) სიტყვა თოფით შეცვალეს.

## 2. „მშვიდობა“

ნალურ ლექს-სიმღერებში მნიშვნელოვანია, აგრეთვე „მშვიდო-  
ბა“. ქართველი კაცის ოცნება იყო და არის მშვიდობა ან გამარჯ-  
ვება ომის შემთხვევაში. ომში კი ის მხოლოდ მაშინ ებმებოდა, რო-  
ცა მტრი თაქს ესხმოდა. ამიტომ, სათანადო ლექს-სიმღერა  
იწყება:

„მშვიდობა მშევრობა,  
ტერობა, თვ გამარჯვება“.

შემდეგ ლექს-საჩივარში ალეგორიულად მტრის ჭარის შემოსე-  
ვა უნდა იყოს გადმოცემული.

„მშვიდობა წყალი შევი,  
ნა ნოქტონდა გველი შევი“...

„შავ წყალში“, უთუოდ, მტრის ლაშქარია ნაგულისხმევი. რაც  
შეეხება იმას, რომ ამ შავ წყალს მოპქონდა „გველი შევი“, აქაც  
ალეგორიულად ნავარაუდევი უნდა იყოს ლაშქრის მეთაური, დარ-  
ბევა-აწიოკების უფროსი.

საერთოდ, ფერი „შავი“ გლოვის სიმბოლოა, ხოლო „შავი“ ვერაგი მტერია, რომელსაც გლოვა მოაქვს.

ლექს-საჩიტრის შემდეგ სტროფებში მოცემულია სამზადისა დროის დასახურებრიდა:

„აღვა ვაჟშა, შეიკაზა, —

ტანს ჩაიცა საომრება,

გადევიდა წელსა ხშალი,

ხელსა შეტი ღაიჭირა.

შეედა ცხანა, ბედაურსა;

შეხედა წყალსა კორმის პირსა.“

როგორც ჩანს, შეიარაღებული და ამხედრებული ქართველი ჯარი მტერს მიუსწრებს მოუმხადებელს, რომელიმც ხევში დაბა-ნაკებულს, და ოდეილად ამარცხებს.

„გაღუბელა ჩალიღანა,

რწვა გვეღი ლილაზეო.

თვე ხონდა ქეიშაზეო“.

ბუნებრივია, რომ მტრის ჯარი გულხელდაკრეფილი არ და-ხვდებოდა ქართველ ჯარს, მაგრამ აქ ქართველი ჯარი მაინც ამარ-ცხებს მტერს. გველის მოკვლის ამ ამბავში გაღმოცემული უნდა იყოს ორთაბრძოლა.

„ვადაკრებელ შების წვერი,

ამოვილე გვეღი შევი,

ამოვილე დავდე ქვასა,

დავდე ქვასა რვალისასა,

მარცხნარი კაცის თავსა,

გიბეს ხელი გავიკარი,

ამოვილე ქვევა ლანა;

გოუქნიე, შვა გაეჭრი,

გაესხმი სისხლის შემი“.

შემდეგ იწყება დამარცხებული მტრის მოსპობა-განადგურება:

„ავნირქე, დავნარიქე,

ორ ყურ ქვაბში ვერ ჩივტივ,

ქოთანაში არ ჩანაო!

ადულე და ვაქაუქელე,

გაიტრე მალალ სერშე,

გაექნიე და გავაქროლე“.

აქ საკიროა ლექს-საჩიტრის უკანასკნელი ორი სტრიქონიც გა-ეიხენოთ:

„ვეარი გვწალობს,

გვარცელები,

ჩვენ რას გვაწენს მაცლერები“.

ეს სიტუები ლექსს ორგანულად არ უკავშირდება.

თუ ვივარაუდებთ, რომ ლექსი „მშვიდობა“ ოდრე გაჩნ-და, ვიღრე საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდებოდა, მაშინ

აღნიშნული არი სტატუსი გვიანდელ დანართად უნდა მოიხსენოს:

„ორი ლევ, ღვთისა, მესამა, მაღალაბა...  
შეუცვალი კაცი და და...“



„მაწყენარ კაცი“ უნდა იგულისხმებოდეს მოღალატე, გამო-  
მი, ვინც უღალატა თავის ზალს.

### 3. „ძალი მიზან აზრიარი“

ხალხურ პოეზიაში, განსაკუთრებით შრომის სიმღერებში, ხაზ-  
გასმულია სოციალური მმბები, ურთიერთობა მაღალ და დაბალ კლა-  
სებს შორის. აქ ურთმანეოთთან დაპირისპირებულია გლეხეცი და  
აზნაური.

გლეხეცი შეუყვარდება აზნაურის ქალი, მაგრამ ქალი უარზეა,  
თაკიღობს გლეხეციზე გათხოვებას. საქმე იქამდე მიღის. რომ გლეხი  
შას მოიტაცებს. გზაში მრავალჯერ იმართება დიალოგი ქალსა და  
კაცს შორის. ქალს კაცი ცხრა მთას გადაატარებს ზურგით. მეათეზე  
დასვამს. კაცი დაჩოქილი ეველრება ქალს. რომ შეუყვაროს იგი. შე-  
მდევ რიონში ჩაგდებითაც დაემუტრება, მავრამ არ იქნა და არა, ქა-  
ლი ვერ დაითანხმა! ბოლოს თავშობებული გლეხი ჩაგდებს  
ქალს რიონში და ახრჩობს.

ამ ლექსის პირველი ნაწილია:

„ქალი ეჭავ, აზნაური,  
გლეხმა კაცია მოთხუალ.  
ფლეს მითხუა, ხვალ მოეხავა,  
არ მიექცება თავის ნებით.  
მომიტაცა, წამიყვანა,  
ცხრათ მთა ზრდება მხალა.  
— გლეხო, შენსა ჩაბუნასა,  
რიონს ჩაჭრა მიჩროვნია..  
ასწია და წაიყვანა,  
რიონს პირსა მოიყვანა.“

დაურება, შეეხევშა:  
— ქალ, ჩემთ ბეჭინერო...  
ტეთეზე დამსვა ზეთა,  
მიმიბრენდა, ერთი შეითხა:  
— თუ ნები ხარ, ჩამეცხევ,  
თუარა ჩიონს ჩავაგდეული...  
— გლეხო, შენსა ჩაბუნასა,  
რიონს ჩაჭრა მიჩრონია..  
სტაცა ჟელი, შით უბიძვა“...

ეს ლექსი ფეოდალური ურთიერთობის პერიოდში უნდა იყოს  
შექმნილი. იგი ჩამოყალიბებულია მას შემდეგ, რაც საქართველოში  
ქრისტიანული სარწმუნოება გავრცელდა. ან ეს ნაწილი მასში შემ-  
დეგაა ჩამატებული.



ՏԱՅ. Եղիշեցւակ և Պատրիարք

დაღუპულ ქალს მშობლები მიიყითხავენ: — დედ-მამა, და-ძმა  
და ბიძა, ის კი მათ რიონიდან ამოსძახებს:

„დედაწერო, ბეღლერო.

ზე ქედან გვრ მიყვალ,

შენ ნე ჩამოიხტოობ თავსა,

დავვერ და ის არივ.

რაც უწოდეს წყალში

მისჩევალი

წელწალების საცოდვა

მის წირვა, ასი ლოცა,

ასი მისი პანშევრი,

უკროცხალი უკროცხალი უკროცხალი

რა დღის მომებში უკროცხალი უკროცხალი უკროცხალი

წირვა, პანშევრი და სხვა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის  
არის დამახასიათებელი.

#### 4. „მთას ხოხოგი აფრინილა“

ლექსი ასეთია:

„მთას ხოხობი აფრინილა,

ლამლა ჭალას ჩაფრენილა,

ჰეჭერიბაშე ჰეჭერი ჭამდა,

ბოლობაშე ბოლასაო...“

მთაში ხოხბის აფრენა იმ დროს უკავშირდება, როცა ბუნება  
ზამთრის ძილისაგან იღვიძებს, მდელო მწევანდება და შრომა იწყება.

სიმღერის სიტყვებია:

„ვამოსულო მეხობენი,

ისეს ცეკრენ შევარდნითა,

ნეტუ ივი შეცოდინა,

ვინ ასწავლა ქორსა ფრენა

და შევარდების ნალირობა.“

ლექსის ფრაგმენტი: „ვინ ასწავლა ქორსა ფრენა და შევარდენს  
ნალირობა... გავრცელებული ყოფილა არა მარტო დასაცლეთ, არა-  
მედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ამის საბუთია თელო რაზიკაშეი-  
ლის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსები:

„ქორო, ფრენა ვინ გასწავლა,

შევარდენ, ნალირობა?

ნალირო ნალირობდა,

ცალი მხარე ამტმებდა.

ვია შევლმა, გამოსკომა,

დაუკარგე ნალირობა.“

ამის შემდეგ ნადი სადილს მოელის:

„თუ მიინდება ნადი უკვარს,

გადიწერა საღალობა.“

დასაცლეთ საქართველოში, ძროთადაღ, ხვნა-თესება გახტხულ-  
ზე იწყება. წინათ თესაცლენენ ლომს, ფეტვს: შემდეგ — მომისა და  
ბრინჯება.

აქარის მოს მოსახლეობა საშემოდგომო ფრინველების თე-  
საცლა. მაგალითად, პერს, კუვებ, ქარს და ფატები მომისა  
დაღ იწყებდნენ ნიებშრის პირველ სამშაბათს, ზოლი წარუსების  
აღებას — ცვლის პირველ ხურშაბათს (ცეელი სტილით).

საგაზაფხულო მარცვლეულის თესება აქარაში ძროთადაღ იწყე-  
ბა პირველის პირველ სამშაბათს, ხოლო აღება — რეტომშრის პირ-  
ველ ხურშაბათს.

ნაღდის მოწვევა შეიძლებოდა სიმინდის როგორც თესეის (თოხ-  
ჩის), ისე მარგველის დროსაც, ხოლო ლომის — მხოლოდ თესეის  
დროს. ლომისა და ბრინჯის მარგველის დროს ნაღდი საზარალო იყო  
და მას არც იწვევდნენ. ნათესებს სარეველა ბალახებისაგან უმთავ-  
რესად თოხით იკავებდნენ, არამედ ხელით; თოხის მხოლოდ ხში-  
რი ბრინჯისა და ლომის „გაკრის“ (გამეჩრების, გაიშევათების) მიზ-  
ნით იყენებდნენ.

### 5. „მერჩან, მერჩან, უცნა მზესა...“

მორიგ, მე-ეზ სიმღერად ყანაში შეიძლება შესრულდეს ლექს-  
საჩინარი „მურმან, მურმან, შენსა მზესა...“. იმ ნაღურ სიმღერაში გა-  
მოყენებულია „ეთერიანის“ ნაწყვეტი: ლექსის თავისებური, ხალხუ-  
რი ვარიანტი გამოიღია აბესალომისა და მურმანის დიალოგში.

ჩვეულებრევად, აბესალომი ეკოთხება მურმანს, თუ რასა იქმს  
ეთერი:

„მურმან, მურმან, შენსა მზესა,  
მურმან, ცოლის ჭებას გვითხავ;  
— რაღვან მყოხე, მოგასენება...“

აქ უკვე იწყება დახასიათება იმ ციხე-კოშკისა, სადაც ეთერი  
ცხოვრობს. ხალხის ფართაზის ეთერის საცხოვრებელი ციხე-კოშკი  
ისე დაუხატავს, რომ ის თითქოს მრუვალია. ამას გადმოგვცემს მურ-  
მანი პასუხში აბესალომისადმი:

„შეც სომ იცა, ბროლის ცაცე  
ცის კლემუ ჩამენა,  
ცალი ქოშე დაბალი აქ,  
ცალი უცრო ბალალი აქ;  
გარეთ იქმის ჩალალი აქ,  
შეგხოთ იქმის კოშები აქ,  
შეთ ბრიანდება შეომანს ცოლი.“

„ეთერიანი!“ პროზის სახით აქარაში ჭერ არ შეგვხევდრია.

„აგრძელი კლავზე უწევს,  
ტრალტის კავლია.  
ქრონ შელი თავს აღგანან,  
უცელა პირის ფარეშია;  
რამ-მოილი კორები დგას,  
გვიდეშამის შელაგია!“

## 6. „შარშანდელსა ნაჟანივსა“



ამ სიმღერას ზოგან „საჭავახურას“ უწოდებენ, ზოგან — „ქაქუთურას“. ერთიცა და მეორეც იმაზე სტრიფულებული ყოფილა როგორც მუსიკურულ რომელიც გურიას ეკუთვნოდა, ისე ქობულეთში, ქაქუთში — ე. ი. აქარის სოფელში.

ქობულეთის რაიონში ჩაწერილი ლექსთაგანია:

„შარშანდელსა ნაჟანელსა  
ჩიტი აქენს ნაკვალევსა,  
ერთი იუო ელისფერი,  
დაეცმახეთ მეტებრებსა,  
დაეცმახეთ, მოირბინა,  
ერთი იუო ელისფერი  
და მეცორე მეცოლისფერი.  
ჩაკვერცე ჩიტის კვალში,  
დაუსუნა, გაეკიდა,  
ისმის შორეთ უკუა მისი,  
უკუა მისი, წუნწულება,  
ავდექი და წავაურე,  
წავაურე ცეკაზეო.  
ჩივა ლეკე და წუნწულება;  
— იძიურინდა ჩიტი პაჭა,  
იძიურინდა, სესა შეცდა,  
შეცდა ხესა, ხე მაღალსა,  
ავდექი და მიკელ ძირსა.

ამ ლექსის იმერული და გურული ერთიანტი სხვაგვარად იწყება: „შარაზედა კვალი ვნახე, პატარაი ნადირისა“. სხვაობა დიდია: თუ აქარულში ჩიტის ნაკვალევი უპოვნიათ, იმერულსა და გურულში პატარა ნადირის კვალია ნაპოვნი.

აქარაშივე გავრცელებულ ნადირობის ლექს-საჩივარში დასახელებულია მეტებრები. ლექსში ამ მეტებრის ფერიც კია აღნიშნული: „დაეცმახეთ მეტებრებსა, დაეცმახეთ, მოირბინა,  
ერთი იუო ელისფერი  
და მეცორე მეცოლისფერი.  
ჩაკვერცე ჩიტის კვალში,

შეცდა ხელი, ჩილებილე,  
ლაპარაკი, პურლულება,  
ჩამოერცე, დადევა ძირსა,  
ჩიტმა შექვნა ლაპარაკი,  
თურმე იუო ბერი ჩისიერი,  
ლამიჩინჯა, შემხევეწა.

— შენ, ბატონო, კარტო კაპო,  
კარტო დედა-მამის, შეილო,  
უკაფესი სახლის შეილო!  
შენ გამიშვი, შინათასა,  
პოლის ვეტუვი თინათასა  
და სიძესა ვეალისა,  
ალენს შოგიტან ვეარიანსა,  
ლადალ-უკრულ ვარიანა,  
შიგილტება, შოგიშატება?  
ცოტა რამე ბორცისასა,  
შიგილტება, შოგიშატება,  
ცოტა რამე ნურისასა“.

საყურადღებოა, რომ აქ მეტებრებიც ადამიანებივით ლაპარაკობენ. ცხოველთა და ფრინველთა ამეტყველება ყველა ვარიანტისათ-

1 3. უმიკაშევილი, ხალხური სიტყვიერება, I. თმ., 1937, გვ. 329-360.

2 ა. წერლაძე, ეთნოგრაფიული გერია, ერტ. „შინათობი“, № 3, 1936.

ვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ნადირობის პროცესში მუდმივი გამოყენებას გურულსა და იმერულ ვარიანტებში ვერ ახორციელდება. უკველა ვარიანტში ნადირობის ორიექტია ბერი ჩხივი. უკრულ ლექსი (სიმოკლის გამო) ეს არ ჩანს. მაგრამ იმერული წერტილი ვარიანტების დასაწყისი ისე ემთხვევა ერთმანებული ჭიშმიშვილი არ შევვიძლია ვიფიქროთ.

ამ ლექსის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ აჭარულსა და იმერულ ვარიანტში მეტყველებს ჩხივე და ხაზგასმელია, ჯერ ერთი, რომ ჩხივი ბერი იყო, და, მეორეც, კურლულებს და ლაპარაკობს მხოლოდ ჩხივი და არა რომელიმე სხვა ფრინველი.

ცნობილია ძველთაგანვე, რომ ჩხივი ხმით ბაძავს როგორც ფრინველებს, ისე ცხვველებს.

საფიქრებელია, რომ ეს შრომის სიმღერა და ლექსი გავრცელებული ყოფილა სამეგრელოშიც. ამას გვაუიქრებინებს ის, რომ ლექს-საჩივრის აჭარულ ვარიანტში მოყვანილია მეგრული გვარი — ვინმე გვალია.

გამოთქმა — „შარშანდელსა ნაყანევა“ საინტერესოა მით, რომ ვეგბულობთ, იმ პერიოდში, როცა ეს ლექსი გაჩნდა, რა კულტურები იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში, გურიასა და აჭარაში. ლექსში ონიშნულია, რომ ძლვენს შეიძლება დაემატოს პური, დარჩეული წაბლი და თხილი, მაგრამ ჯერ კადევ არ იხსენიება სიძინდი, რომელიც გვიან შემოიტანეს საქართველოში. აჭარულის ზოგ ვარიანტში ძლვენზე ჭინძიც არის დამატებული.

## 7. „შავი უავავი ჩიოდაო“

ნაზზე ყანაში სიმღერად შეიძლება შესრულდეს, აგრეთვე ჯიქურა — „შავი შაშვი ჩიოდაო“. მთლიანი ტექსტის დაღვენისათვის საჭიროდ ვცანი შესარგებლა არა მარტო აჭარული, არამედ იმერული და გურული ვარიანტებითაც. იმერულ ვარიანტში თქმულია:

„ამ დილას აღრე ავლევი, ლმერთო, მშეიღობა მიეცა,  
ჩიტკ მოყვალი თოფითა, უკრ აქ მოვიდა თობითა“.  
აჭარულ ვარიანტში ეს, ალბათ, დროთა ვითარებაში დაიკარგა. ამტკომ ძირითადი ტექსტი რომ დამედგინა, იკი დაუუმატე აჭარულ ვარიანტს.

უფრო ერცული და სრული გაგრძელება აქვს აჭარულ ლექსიკოსის „შავი შაშვი ჩიოდაო“ მას რომ ნადურ, ყანურ სიმღერა იყენებლნენ, ეს იქიდან ჩანს, რომ იმ კაცს უსურვებენ მდგრადობას, ვინც ყანაში თოხით მოვიდა.

ჩვენში რომ მუშაობას დაიწყებდნენ, მამითაღი ტექსტი უკავშირდებოდა და უკვე მიმდინარებოდა შელს, ვინც თოხით მოვიდოდა, შევიდობას უსურვებდნენ: —

„...ღმიერთო, წევილობა მოეცა,  
ვინც აქ მოეცა თოხითა...“

პ. უმიკაშვილის ვარიანტში შავი შაშვი ლაპარაკობს, ხოლო აჭარულ ვარიანტში — ჩივის. როგორც ვიცით, ჩივილი ლაპარაკის მაგიერ ერთობ დამახასიათებელია გურულ-აჭარულის სასიმღერო ლექსებში. აქედან უნდა დავისკვნათ, რომ პ. უმიკაშვილის მიერ მოტახილი ლექსი იმერული ვარიანტია.

მაშასაღამე, რახან ამ ლექსის იმერული და აჭარული ვარიანტი გვაქვს, უნდა ვიყარაუდოთ, რომ გვექნება გურული და მეგრული ვარიანტიც. რის საფუძველზეც შეიძლება გვაკეთოთ დასკვნა, რომ ლექს-საჩივარი „შავი შაშვი ჩიოდაო“ დამახასიათებელი ყოფილა მთლიანად დასავლეთ საქართველოსათვის (იქნებ აღმოსავლეთისათვისაც). ამ ლექსის მოკლე შინაარსი ასეთია:

შავი შაშვი ჩივის მთაში წასვლას, მიფრინავს კიდეც, შაგრამ მთებში თოვლია ჩაწოლილი. ისევ ბრუნდება ბარში, ბარშიც თოვ-ლი ხელება. მეზობლებს სთხოვს, მოეხმარონ ნიჩბითა და არნაბით, რათა მთა გადათხარონ და ბარში გადაიხედონ.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დიდ ზამთარში, დიდი თოვ-ლის მოსვლაში ხალხი მტრის შემოსევის გულისხმობს და მშვიდო-ბიანი შაშვიც მთასა და ბარს დამმარებას სთხოვს...

ბოლო ნაწილში ნათევამია, რომ ბარში ხე გაზრდილა და მას შემოხევება სურო (ფათალო), რომლის ნაყოფიც შაშვის საყვარელი საკენია ზამთარში.

იმერულ ვარიანტში გვაქვს „ხესა სურო შეყოლია“, ხოლო აჭარულში:

„ხე გაზრდილა, ხე შილ-ცა,  
ზეთა სურო ზეტოვაა  
(ცემის ვევევა).

შემდეგ ჩიტი ჩიტს ეპატივება:

„დღ, ჩიტო, სურო ვეამოთ!  
— სურო ცვიმოთ, სურო  
შოკელავს.

არანდარა უკელობა...  
აუგა, ჩიტმა, ზეთ შეურინდა,  
ცეხა დაქრა შახენეო...“

იმერულსა და აჭარულში ლექსის ფინალი, თითქოს, ერთნაირია. იმერულში ვკითხულობთ:

„შეცვევი და ზედ შეცვრინდი,  
ზეთა გახე შეწყობილი,  
შეცვრინდი და დამტერეს, —

თავი დაღმა, უცხოა აუმა  
სული დმერისა შეკავდოთ,  
მორი შტეპლი ჩრდილი 1965 წლის

აჭარული ლექსის დასასრული ასეთია: ბრიტანური ენა

„აღდა ჩიტმა, ზეთ შეფრინდა,  
უები ღამერა მახეზეო, —  
კლიკი აღმა, თავი დაღმა,  
ეგი ღმერთის ენცეცება:  
— ღმერთო, სული შემარჩინე,  
სამოთხეში წილუანე“...  
8. „კორი თითრი, პანდარზეო“

ეს ლექს-საჩივარი სრული სახით აღარ შემოგვრჩენია. იგი ფრაგმენტის სახით შესულა ჯიქურაში — „ელია, თუ მელიაო, ჩიტი მოშიშველიაო“:

„ეგი ლომი არ მოვიდა,  
თეთრი ქორი მოსულაო,  
თეთრი ქორი ჰანდარზეო,  
მოწყვენილა ჸანდარზეო“...

ნადური სიმღერების უხუცესმა მცოდნემ ხასან როყვამ (სოფელი ლელვა) გადამგვცა და შემდეგ ეგვე ხუსეინ იჩეთის ძე ნოლაიდელმა (სოფელი წყავროვა) დაადასტურა ის, რომ წინათ ეს დამოუკიდებელი სიმღერა ყოფილა და მას მისი, საკუთარი ლექს-საჩივარი ჰქონებია. მათ სრული ტექსტი არ ახსოვთ, ხოლო ფრაგმენტი მოაგონდათ. აი, ესეც:

„ქორი თეთრი ჸანდარზეო,  
მოწყვენილა ჸანდარზეო,  
ბაზიარში ნაქები ხარ,  
ქორი მე მყავს ბეღაურია“...

ეგვების, ამისი ნაწილია ცნობილი ჯიქურას „ელია თუ მელიაოს“ — ეს ტექსტი:

„ლომსა შინა ელიანო.  
იგი ლომი არ მოვიდა,  
თეთრი ქორი მოსულაო.  
თეთრი ქორი ჸანდარზეო,  
მოწყვენილა ჸანდარზეო.  
ბაზიარი მოვიდოდა, მოტიროდა:  
— ქორი მე მყავს ბეღაური.

ერთ წამს ქორი ავათ გახტა! შე თუ ქორი ქე მომიტა,  
ისე ვირბენ სამ წელიწადს,  
არას არ ეჭამ ხორცისოელსა,  
იხვისა და ხობის შეტსა,  
ასე ვიშგლოვ სამ წელიწადს,  
არას ღწარზე გამოვიდოვ.

1 გახტა, რედ.

კირომიტული თოვების შეტანა.  
არას ფრანგულ გადატყიდვა,  
გავედალი ხმალის შეტანა.  
არას ტანზე არ ჩავიცამ,  
იმ სკალატის წოხის შეტანა.

არას უცხზე არ ჩვეცამ,  
წაღა-წულა, მეტოს შეტანა  
არას ცხენზე არ შემდება  
არაბულებ შევასმელისა.



## ურმილული

თუ ზემოანიშნული ლექსი ნაწილია „ქორი უფრო უფრო უფრო“-ზეო-ისა, მაშინ პეტრე უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ლექსი უნდა წარმოადგენდეს (თუმცა საკმაოდ განსხვავებულს, მაგრამ მაინც) პოველის ვარიანტს.

მის დასასრულში ლომზეა ლაპარაკი:

„აუ, ბაჟო, შეგინიბე,  
წყალი აერი და აჭამე!  
აუ არ აჭმევ, მოგიყველება!  
... აუ ეს ლომი მომიყველება,  
საში წელიწადს ხორცის არა ესკამ.  
ასეისა და ხობის შეტანა;  
ქულხა არას დავიხურავ,  
იმერელის ქრელის შეტანა!“

ამ ორი ლექსის დასასრული თითქმის ერთი და იგივეა. განსხვავება იმაშია, რომ უმიკაშვილისეულ ვარიანტში ლომის გამო აღქმას (რომ სამ წელიწადს იგლოვებს) მეჯინიბე დებს, ხოლო აჭარულში — ბაზიარი (თეთრი ქორის გამო).

## 9. „მთას ირემი დაწოლილა“

ამ ლექს-საჩივრის ვარიანტი ლიტერატურაში არ შემხედობა. ის ჩეენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცაბანში მცხოვრებ მომღერალ მამუდ მესხიძისაგან ჩავიწერეთ. შემდეგ იგივე დაადასტურებს: მუხავსტატეში — ელიას ბაბილონებმ, წყავროკაში — ხუსეინ ნოღაიდელმა და ხუსეინ ლაზიშვილმა, ლელვაში — ხასან როყვამ და აძამად ბათუმში მცხოვრებმა ესედ მესხიძემ.

ტექსტში იხსენიება სამი ძმა გორსაძე:

„მთას ირემი დაწოლილა,  
გვერდსა ხუკრი მისწოლის.  
ვინაა მისი მონათერე?  
სამი ძმა გორსაპები,  
ყაფაშერულან მელისფრად“...

1. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 230-231.

როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება, ისტორიულად გვარი გორ-  
საძე საქართველოს რომელ კუთხეში სახლობდა, მაშინ შეგანცემა  
კოქვათ, ანიშნული ლექს-სიმღერა გურული, იმერული ან კახუ-  
ლი წარმოშობისაა.

ამ ლექსის შინაარსი დაახლოებით ასეთია: **კარმირ მეურუები**  
რემს, რომელსაც გეერდში ნუკი უწევს, მოულურებული ყველებს  
მონადირეები წამოადგებან. გამოღვიძებული ირემ ევედრება მო-  
ნადირეებს, რომ ნურც მე მომელავთ და ნურც ჩემს შვილსაო. სა-  
მაგიეროდ ირემი ასწავლის მონადირეებს:

„აგრ გაღმა, მების ძირში,  
უფრი წეს და ხარი ღანაა.  
შასი ხორცი სულ ქონი,  
მსუქანი და გემრელი.  
ის ყოფა შენსა გარსა,  
ხორცი მისი საქენელად.  
ხორცი მისი საპენელათ,  
ტუავი მისი ჩისაცელათ...“

თვით ირმის ევედრებაში აშკარად გამოსკვივის ის აზრი, რომ ეს  
გორსაძეები უბრალო მონადირეები არ არიან, რომ ისინი რომელი-  
ლაც გარის ნაწილს წარმოადგენნ...

ეს სიმღერა ძველი უნდა იყოს. ტექსტში მოგვეპოვება სიტყ-  
ვები: საქენელათ (საძღომად) და საპენელათ (თავშესაქცევად).

## 10. „ვაი, თუ მუსა ჯოჯინაო“

სიმღერას „გორ დ ე ლ ა ც“ ეწოდება. სიტყვა „გორდელა“  
სიმღერაშიც გვხვდება: „ჰაიდა, გორდელა, ჰაიდა გორდელა“ და ასე  
შემდეგ, რაც „იო-ზე გადადის.

ეს ნადური „გორდელა“ საყუთარ სახელს გორდელას ან გური-  
აში ცნობილ გვარ გორდელაძეს შეიძლება უკავშირდებოდეს, ან  
შეიძლება გორდელა გეოგრაფიული სახელი იყოს (შდრ. სხვა ნადუ-  
რები: „საჭავაჭურა“, „ქობულეთურა“).

როგორც ითქვა, სიმღერა „გორდელა“-ში იყენებენ ორ ნადურ  
ლექს-საჩივარს: „ვაი, თუ მება წოწინაო“ და „ალვის ხეი მოხეთქი-  
ლა“ (სიზმარი). თუ გორდელა სრულდება პარველი ლექს-საჩივარით,  
მაშინ საფიქრებელია, რომ იგი ქობულეთში ან მის მეზობლადაა გა-  
ჩენილი. შინაარსით მებას, რომელიც ქარიშხლისა, თუ სხვა მიზე-  
ზის გმო ძირში მოხეთქილა, კინტრიშის წყალი ჩასდგომია. ასეთი  
მდინარე ქობულეთის რაონის პყოფს შეა. ამ ჩამდგარ წყალში გა-  
ჩენილა კალმახი, რაც ერთობ დამახასიათებელია შლ. კინტრიშისათ-  
ვის.

სიმღერაში ამის შემდეგ იწყება მზადება კალმახის დასაცემით,  
საჭიროა ბადე, ბალისათვის კი — კალმა! მძივი. დიდი ამბავი ჩემთვა  
კალმახს ბადეში ახვევები, მაგრამ ეს გამარჯვება ხალხს ჯერ კადევ  
შეირე გამარჯვებად მიაჩინია. ბოლოს ალეგორიულად უკარისტიული

...თუ თევზი გმონვესო,  
მოხარეს და მომიტანეს,  
ტავის კურში ჩამოდესო...

პირადულობის სიმბოლი

### ამრიგად, ლექსის დასაწყისში ვგებულობთ:

„ეს, თუ გეხა წოშინაო,  
შეხა ძირ მოხვეტეილაო.  
ამა, შისა ნახეონებო,  
კადევ წალი ჩამდგარაო.  
ამა, წალი — რა წალია?  
ლექსში აბრეშუმის ბადე და ოქროს მძივი იხსენიება:

...ბა, ბადე რაიხოო,  
ბადე აბრეშუმისაო?  
...კადევ იმას ძივი უნდა,  
ამა, ძივი რაიხოო?  
— კადევ ძივი თერთისაო...

კადევ წალი კინტრიშია.  
ნითა თევზი გაჩენილა?  
ამა, თევზი — რა თევზიო?  
კადევ თევზი კალმახიო”.

### 11. „ჩიორაი ჩიოდაო“

ყანაში მღერიან ლექს-საჩივარს „ჩიორაი ჩიოდაო“. მასვე „ჩიო-  
რა-ჩიტიც“ ეწოდება.

ანიშნული ლექს-საჩივარის სრული სახით აღდგენა ჯერჯერობით  
ვერ შევძელით. იგი შექმნილია ბატონყმობის პერიოდში, მაგრამ  
შედარებით გვიანდელ ტექსტში სიტყვები: თოფი, ფიშტო გვხვდება.

„ჩიორაი ჩიოდას“, ანუ „ჩიორ-ჩიტის“, არასრული ტექსტი  
ასეთია:

„ჩიორაი ჩიოდაო...  
— ნეტა, ჩისა ჩიოდაო,  
ჩიოდა თუ ტიროდა!  
თოფი ბატონს წაერთმია.  
აფრმე, იმას ჩიოდა,  
ჩიოდა და ტიროდა.  
ფიშტო ჭერნდა მოვეღილი.  
იგი ბატონს წაერთმია,  
თურმე იმას ტიროდაო,

ტიროდა თუ ჩიოდაო.  
სიმღერა პერიოდა მოჟეფილი,  
იგი ბატონს წაერთმია,  
თურმე იმას ტიროდაო,  
ტიროდა თუ ჩიოდაო.  
ცხენი ქუავდა შეკაზმელი,  
იგიც ბატონს წაერთმია,  
თურმე იმას ტიროდაო,  
ტიროდა თუ ჩიოდაო“.

## 12. „გიგურს ხიდსა ვაჩოთებდი“



ამ ლექს-საჩივრის შრავალი ვარიანტი მოგვეპოვება. ა. ციცარონი ვიღი მას „კოკლი გოგოს“ სახელწოდებით წარმოვიდგენ, ალ. გომიაშვილი და რ. გვერაძე — „სამგორისა მინდობზეჭრა მიუწმოდება გორუ ეს ვ კოტეტუშვილს აქვს), ხოლო ა. წუტშიშვილი მინდობზია“;<sup>1</sup> აქარულში კი ეს ლექსი შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი.

სახელწოდება „ბებურს ხიდსა ვაკეთებდის“ ვარიანტია „გეგუთს ხიდსა ვაკეთებდი“. გეგუთი გეოგრაფიული სახელია (იმერეთში მდებარეობს). რაღაც წარმოდგენილი ოთხი ვარიანტიდან სათაური ყველას სხვადასხვა აქვს, უნდა ვიფიქროთ, რომ ლექს-საჩივრის სახელწოდება პირობითი უნდა იყოს.

ლექსის შესავალი ნაწილის აქარული ვარიანტია:

„ბებურს ხიდსა ვაკეთებდი,  
ვაკეთებდი, ვაშენებდი...“

გურული ვარიანტის „შესავალში ვკითხულობთ:

„გეგუთისა მინდობზია,  
სისეი ცხენი მივიღებულა“.

ალ. გომიაშვილსა და რ. გვერაძეს თავიანთ გამოცემაში კოტეტიშვილის უცლივი ვარიანტი „სამგორისა მინდობზედა“ შეუტანიათ. ოღონდ მათ ბოლო ნაწილი შეუკვეციათ.

შრომის ლექს-სიმღერები აქარამ, განსაკუთრებით ქობულეთშა, შემოგვინახა. პირველად აქვე შეცნისწერთ ხალხური სიმღერების ოთხმიანობა ნადურის ბაზაზე. აქვე ვაქვეყნებთ ნადურის ერთ-ერთ წევენ მიერ ქობულეთში ჩაწერილ და მრავალ ადგილას შეჯერებულ აქარულ ვარიანტს:

ბებურს ხიდსა ვაკეთებდი,  
ვაკეთებდი, ვაშენებდი.  
ზეთ სახელურს ვაკეთებდი.  
გვისხედე მინდობზია,  
მოვიდონენ ბებულები  
ცვერია და თამაშითა.  
მოვიდენ და ზედ შემოლგნენ;  
გადუბრუნდათ ჩექმის ლემბა.  
გვისხედე მინდობზია,  
მოგოგადა სისეი ცხენი.

ზეთა იქდა ვაჟი ბიჭი,  
ქეონდა ულააში ტერა.  
უკან მოზღვეს კოკლი გოვო.  
— ბიჭო, აქეთ შოისელე.  
სიკოჭლითა რასა მწუნოუ,  
„ბებურს ხიდსა ვაკეთებდი,  
განა კურდლებლს მილევნეუო  
სახლსა კარქა შეგინახავ,  
თაროს ლაგირიალეცო;  
ვაჟიშეილსა კას გატიზლი.

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვეერება, I, გვ. 367.

2 ხალხური პოეზია, ჩიქული, შეადგინეს ალ. გომიაშვილმა და რ. გვერაძემ, თბ., 1950, გვ. 145-146.

3 ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, „მნათობი“, 1939, № 3.

ეკვანს მოგიწერიალეული;  
სადღის აღრე გაგიყოფა;  
ვახშამს მოგიგვიანეული;  
ფამებს კარე დაგირეცხავ;  
კოშებს დაგიწერიალეული;  
სალექტოს მოუცები.



მარტი დავატრიალეული;  
უატ-აბრეშუს კას გაერთა;  
პერინგს გაგიყრიალეული;  
სიუვარილიც კა გაცემოვალეული  
კლასი გაგვიგორძებულება.

ნადურის სხვა ლექსის მიხედვით, ხიდის აშენება იძულებით ყოფილი გამოწეული. მეფეს სურს მოიშოროს შვილი. ის მას ავალებს ზღვაზე ხიდის აგებას. შვილი გასაჭირშია, მაგრამ ცოლი იხსნის. ერთი ფიცარი მრუდედ დარჩება მიშენებული. მეფე გაბრაზდება, შვილი ზღვაში გადახტება, ხიდი ჩაიქცევა, შვილი გადარჩება და შეცე დაილუპება.

### 13. „ვაი, თუ იმური იმოგზაო-

ლექსში მოთხრობილია, რომ დიდი მდინარის ორივე მხარეს იდგა კარვები. შიგ იწვა მექარვე ქალი. ვიღაც ამბობს: მწოლარე ქალს, რომელსაც პირზე დოლბანდი ებურა, ერთხელ ვაკოცეო და ფერი ვუქციო; მეორე კოცნით პირზე ავხადეო; მესამე კოცნით სისხლი ვადინეო, ხოლო მეოთხე კოცნის შემდეგ ქალი მოკვდაო.

ამ ლექს-სიმღერას ახლო კავშირი უნდა პქონდეს ამირანის თქმულებასთან (შდრ. ეს ქალი და დალი).

ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში მცხოვრები მომღერალი მამულ მეავანაძე ამ ათიოდე წლის წინათ მაწერინებს (სამწუხაროდ, მეორე წელს გარდაიცვალა) აი ამ ლექსს:

ვეა, თუ იცი ელობდათ,  
კიდევ ზღვაი ხელობდათ.  
აბა, გადმა-გამომითა,  
კიდევ კარვები იღვაო.  
შით მექარვე ქალი იწვა,  
კიდევ პირზე ებურაო.  
აბა, ოთხი დოლბანდოთ,  
კიდევ პირზე ავხადეო,  
აბა, ერთი ვაკოცეო,  
ვაი, თუ ერთი კოცნითა,  
კიდევ ფარი ვუქციო.  
აბა, ორჯერ ვაკოცეო,  
კიდევ ორჯერ კოცნითა,  
ვაი, თუ პირზე ავაძრეო.

აბა, სამეჯი ვაკოცეო,  
კიდევ სამეჯი კოცნითაო,  
ვაი, თუ სისხლი ვალინეო.  
აბა, ოთხჯერ უაკოცეო,  
კიდევ ოთხჯერ კოცნითაო,  
ვაი, თუ სული ავხადეო.  
კიდევ მისა ნაწოლზეო,  
აბა, ია დაეოსეო.  
ია ვარდათ მოვიდაო.  
ღამეა ღამი ღამისარიცა  
მარგალიტის საქრესელში,  
საქრესელათ წვრტა,  
საქონელათ ღიღია.

სვანურ თქმულებაში „ამ სამი გზით წმინდა გორგი<sup>1</sup> ჩიტაულ ვთავარანგელოზი და გაბრიელი მოდიოდნენ“. გურულ-აჭარულ ფა-დამოცემის მიხედვით კი წმინდა გორგი, მიქელ დათავარანგელოზი და გაბრიელი „ჩევნს კალოზე დაბრძანდება“. მხელულ-ურამ კი ალსანიშნავი: ზოგიერთი შემთხვევაში წარმართოდა გორგი<sup>2</sup> დანი „წმინდა გორგი“ გურულ-აჭარულ ვარიანტი<sup>3</sup> წმინდა გორგი<sup>4</sup> დანი „წმინდა გორგი“ გორგი<sup>5</sup> დანი „წმინდა ნინოთი“. გორგი<sup>6</sup>

მაგალითად: გურულ-აჭარულ ხელხვავის ლექსში, რაც კალოზე, სიმინდის რჩევის დროს სრულდება, ზოგჯერ წმინდა გორგის მავი-ერ გვაქვს წმინდა ნინო:

„მიქელ და გაბრიელ!  
კალო ვავენებარი იყელა;  
ბელები შერის ვავეიცო,  
ჩახერის ღვიანი — საწნაველა;  
წმინდა ნინო! მობრძანდება,  
ჩევნს კალოზე დაბრძანება!...“

დასახელებული ლექს-სიმღერა უფრო აღრინდელია, ვიღრე სიმინდის კულტურა განინდებოდა საქართველოში. ეს იქიდან ჩას, რომ ტექსტში გვაქვს: „ბელები პურით ვავეიცო“ და არა სიმინ-დითო. ლექსით ვევბულობთ აგრეთვე, რომ საქართველოში ვაზი ყოფილა წამყვანი კულტურა. მრავალრიცხოვან ჯიშთა შორის ყვე-ლაზე მეტად გავრცელებული ყოფილა ჩახერი.

რწყილმა რომ არ იმრავლოს, მარტის პირველ დღეს დილით ერთი ადის სახლის ჭერში, მას ხელში ცოცხი უკირავს. შეორე კი ოთახში რჩება და შესძახებს პირველს:

— მან რას იქები?

ჭერში მყოფი უპასუხებს:

— ია და ერგვით.

ამას სამჯერ გაიმეორებენ. როცა ოთახში მყოფი კვლავ შეოთხევერ გაიმეორებს:

— მან რას იქები?

1 ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, ვე. 58, ჩელ.

მაშინ კერძოდან პირველი გადმოსძახება:

— მწარ ფარება.

ამასთან ერთად ცოცხით გვის კერს და თან აღნიშნილი კატეგორიული გაიძინოს.



## 7. რვების ცირკულარი

ხალხის გადმოცემით, რვა იანვარი საშიში დღეა. ამ დღეს მგზა-  
ურობას, შაზოგადოდ, სახლოდან გამოსულას ერილებიან; რატომლაც  
ხალხში ასეთი რწმენა არსებობს, რომ იანვრის რეა შეიძლება მო-  
ვიდეს დიდი თოვლი, დიდი ქარბუჭი. არსებობს გადმოცემა, რომ-  
ლის მიხედვით რაღაც საშინელება მოხდა რვა იანვარს ჩთაში გამ-  
გზავრებულ სიძე-სიმამრისა და სიძე-ცოლისმშის შორის.

უმეტეს შემთხვევაში რვა იანვარს (ნაგულისხმევია ძველი სტა-  
ლით) ცუდი ამინდია. ამიტომ ხალხი ამსობს:

ათანავის ჩემა  
ჩუ ენდობი მომა:  
წული საჯემისავის  
წურია ცოლის გარე.

აუ რა მოხდა რვა იანვარს, ყერქვრისით არა ვაკეთ რა.

## 8. ნაცისტები

ნაცისტები შარტის ბოლოს მოდის. ნაცისტები იწყება შიშინ, რო-  
ცა მარტის სამი დღეა დარჩენილი.

ნაცისტები სულ ეძესი დღისაგან შედგება. ამ ეძეს დღეში შე-  
დის: მარტის უკანასკნელი სამი დღე და აპრილის სამი დასაწყისი  
დღე. ხალხის დაკვირვებით, პროვონშით მარტის ბოლო რიცხვებსა  
და აპრილის დასაწყისში (ძველი სტილით) კერძოდ, იჭარაში, სა-  
ზოგადოდ კი დასავლეთ საქართველოში. ცუდი ამინდებია მოსალო-  
დნელი.

ამიტომ, როგორც ჩანს, ამ ეძეს ხალხმა გადმოცემა დაუკავ-  
შირა. გადმოგაცემენ, რომ ერთ მეტქარეს, ორმე, ბევრი ცხვარი  
ჰყოლია. მარტის ცუდი ამინდებისაგან ცავარი ძალზე შეწუხებულა,  
დაძარცებულა. მარტის მიწრრელში. როცა ჩისი რაილენიმე ღო



ეყო დარჩენილი, ცოტათი დამსპარა, კარგი ამინდი დაუკეტდა. მა-  
შინ შეცვარის ცოლს უთქვაშა:

„დიღია წაკედლა შარტჩერა,  
განეზრდა ჩემი თვესი,  
გამართდა.



საქართველო  
შიგნივარი

ეს გაუგონია მარტს და გაფარგებულია. მარტის სამი დღე მას გა-  
ნერგულებაში იყო. სამი დღეც პრიალისაგან უსცხებდი. გამოუშ-  
ვა წვიმა, თოვლი და სერუა და მწუმაშის ცრემა-თვევი სულ ერ-  
თანად გაუწყებულია.

ამიტომ არის ნათქვამი: „როცა მარტი წინ გილევს, ზამთარს  
ხერც ექვებ და წურც ძაგებოს.“

## 9. ხველა-თვესში და ხარების აღი თავალისამარ დაცვა

დაღვება, თუ არა გაზაფხული, ექვედი გლეხი ხენა-თვესების  
თაღარიგის შეუდგება. როცა იგი გუთის ულელში ხარებს<sup>1</sup> პირვე-  
ლად შეაძამს, ხარებს უსაბურო კვერცხს მიამტკრევს, რათა იმ წე-  
ლიწადს, კვერცხის გულივით ყვითელი და კარგი სიმინდი მიიღოს.  
მისათხოვის, რომ ხარები ბოროტი სულისაგან, ან ავი სულისაგან, დაი-  
ცვას, ხარებს ულელში წითელი ვაშლის, წითელი ტყემლის, ზღმარ-  
ტლის ან აკელის ხის ტაბიებს (აპეჭარებს) უკეთებს.

ხალხის წარმოდგენით, ხარები რომ დაცული ექნას ავი თვა-  
ლისაგან და ხიფათს ასცდეს, საჭიროა, ხარებს ულელში პჰონდეს  
გაყრილი ჩამოთვლილი ხევბისაგან ტაბიები. ხევა ხისაგან გაეთე-  
ბული ტაბიე არ ვარგა, ვინათვან ამ უშითხევევაში ხარები არ იქნე-  
ბათ დაცული უბელურებისაგან. სატაბიე ხე უთუოდ წითელ ნა-  
ყოფს უნდა ისხამდეს. ასეთ ხეს ჯერ კიდევ ნაყოფის დროს დანიშ-  
ნევენ, რომ აღრე გაზაფხულში აღვილად მიაუნონ მას და ტაბიე-  
ბი გამოწერან.

წითელი ნაყოფის ხისაგან გაეთებულ ტაბიეს შაგიური ძალა  
აქვს, ამის შესხებ აქარელთა შორის არსებობს ასეთი თქმულება.

აუქის მეშვის გაზაფხულში პირველად შეება ვუთანში ხარები  
და თურმე მიწას ხნავდა, ახლო გზა ყაფილა და იქ ერთ ვლეხს  
გაუკლია. ეს გლეხი თურმე მახლობლად ცხოვრობდა. სახლში რომ  
შესულა, თავისი ვაჭისათვის უთქვაშა: შეკლო, ამა და ამ აღვილას

1 მარტის განსაკუთრებული ყურადღების შესხებ ის. თ. სახორა. მოვაკუ-  
რობამანი, გ. სიტყოთ რედაქციით, თბ., 1950, გვ. 172. რედ.

წადი, იქ ერთი გლეხი ყანას ხნავდა. ახლა ხარი და ელუალება, ხორცი გამოაჩინა და ამიტომ მეორე შეიცილება მის გლეხს გუთანმი ხარები უბია და მიწას ხნავს. დაბრუნებულა საბლში და მამისათვის ნანახი მოეხსენებია. მამის გულარიზ რულური ვაშს: „აღმათ, წითელი ვაშლის ან წითელი ტუმური უკავშირის მეტებული ხია გაეკეთბული, თორემ მე ისეთი თვალი მაქვს, რომ უთუოდ მოკლევდა ხარხო“.

აქ ყურადღება ერთ ასეთ გარემოებას უნდა მიექცეს: როგორც ჩახს, ხევრთოდ, საქართველოში და, კერძოდ, აქარაში დიდი მაგიური ძალა აქვს წითელ ფერს.

შეორეს მხრივ კი, და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, ახლგაზრდა, გამათხოვარი ჭალები, ან კიდევ ახალგაზრდა გათხოვილი ჭალები აქარაში, უმეტეს შემთხვევაში წითელი ფერის კაბებს იცვაშენ. ეს ამბავი უფრო მეტად შეიძმინება აქარის მთიანეთის მოსახლეობაში. წითელ ფერს აქარლები დიდ მავიურ ძალის აუთვნებენ და ფერწობენ, რომ წითელი ფერი ავი სულისაგან იცავს ცხოველებსა და ადამიანებს.

შესამე მხრივ, საყურადღებოა ის, რომ იმ ოთახს, ხადაც ბარონებით დასწეულებული ადამიანი წევს, წითლად ამკობენ; წითელ ფარდავებს, კედლებზე წითელ მატერიას გააკრაენ. წითელ ყვაველებს გაცემებენ.

„ბარონებს სხევადასხვანირად უნდა შეფერება. წითელას ღროს, წითლად რომ გამოაფენდა, ოთახში სულ წითლებს დაფეხდნენ, სუფრაზე ტკბილეულობას დაწყობდნენ, ჩხუბი არ შეიძლებოლა“ (საქ. ს. ს. მეტნ. ვადემის ლიტ. ინსტ. არქივი, 32583).

ხენა-თესეის დაწყების წინ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე აქარაშიც, დიდ ხუთშებაოს, ე. წ. წითელი პარასკევის წის, ყანაში და ბახჩაში მოაპნეენ ყოველგვარ თესლს, რაც უნდა დათვესოს კაცმა. მაგალითად: სიმინდს, ლობიოს, ღომეს, ბრინჯს, ჟურს, ხაძს, კიტრს, მწვანილეულობასა და სხვა თესლებს. დიდ ხუთშაბათს იმიტომ შეჩებოდნენ ამას, რომ ნაყოფი დიდი გაიზრდება.

## 10. ძაბაზობა

ქაშატობა ლაზარობას არ ნიშნავს. პირიქით, ქაშატობა ლაზარობის საწინააღმდეგო რიცტუალია. თუ ლაზარობა შეიძლება შესრულდეს გვალვის, სიცხეების შესაწყვეტად ან კიდევ წვიმების შესაწ-

1 შემოთ — აშერა.

კაშატობა, როგორც საწესჩვეულებო რიტუალი, იმისათვის  
სრულდება, რომ ღილი წევიმა არ მოვიდეს, ნიალვარი არ დადგება,  
ნათესები, ჭირნახული არ დაღვაროს, არ წაიღოს და წალევას.  
აქერის მთიანეთში გვალვის საპირისპირო კყიფორი (ლვარი),  
წვემიანი წელიწადი) არ იცის. მისი საპირისპიროა ღვარეშის წერტილი  
ღვარვის საწინააღმდეგო რიტუალია ქაშატობა.

ბერძნის მიზანი

აქერა საზოგადოლ, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი,  
მთავრიანია. ქ. უმეტეს შემთხვევაში, ჭირნახული ითესება  
მთის დაქანებულ ფერდობებზე. ანიტომ აქარაში ნათესებისათვის,  
როგორც გადაქარბებული სიცხეები (გვალვა), ისე მოქარბებული  
წვემიაც სამიშია. გვალვის შემთხვევაში დაქანებული ფერდობებია  
აღვილად და მაღლ შეება. ნიაღავი იფიტება, ხოლო ხშირი წვემების,  
ე. წ. ღვარვის შემთხვევაში ფერდობებიდან ნიაღავი ხევებში  
იჩერცხება და იფიტება. ამით ჭირნახულს საფრთხე მოელის. ამის  
წინააღმდეგაა მოგონილი ქაშატობა. რომელიც საქართველოს სხვა  
კუთხებში არ იციან. მე რიტუალს ასრულებენ პრილის პირველ  
შაბათს. ქაშატობა დღეს რეინეულს — თოხს, ცულს, სახნისს, ჯილ-  
ლას და სხვას — სახნავ მიწაზე არ გაატარებენ, დაქედილ ხარებ-  
საც კი არ გაიყვანენ. ჩათა ნიალვარმა უანგი არ წალეკოს. შაგრამ  
თუ არ გაწვიმდა, თუ გვალვა დაიჭირა, მაშინ აქარლები სხვა რი-  
ტუალს მიმართავნენ.

## 11. ლაზარია

„ლაზარობა“ საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება.

როგორც ჩანს, ამინდის მართვის დასახელებული წესები მარ-  
ო ქართული მოვლენა არ ყოფილა. მ. ჩიქოვანის აღნიშვნით,  
„ამინდის მართვის ქართული წერტილის ანალოგიური წესები  
გვხვდება სხვა ქვეყნებშიც!“<sup>1</sup>

თუ გვალვა დაიჭირა, წვიმის მოსაყვანად აქარლები „ლაზარიას“  
აწყობენ. ამისათვის სოფლის გოგო-ბიტები დედოფალას აკეთებენ  
და ცეკვა-თამაშით სოფელს დაუელიან და თან „ლაზარიას“ მღე-  
რიან.

ჩვენ აქ „ლაზარიას“ ხასან გორგაძის სიტყვებით აღვწერთ: „ბა-  
ლვები შეკაზმავენ გოგოს სურათს, ციცქებს თავს გუკეთებენ, გუ-  
კეთებენ კლავებს, ჩაცმევენ გოგოს ტანისამოსს, მოიჭურევიან ბალ-

1. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხორი სიტყვების ისტორია, 1931, ვე. 80.

ვები. ერთ-ერთი კლავზე მოჰკიდებს ხელს, მეორე შეორენებულ წე-ილებენ სოფელში. ყველა კარზე მიიტანებენ და უალის გარეთ. /ერ-თი იტყვის, იმღერებს:

—ლაშარ მოდგა კარსა,  
ალერელებს ავასა.  
შინო-შინო, შინო,  
ჩიტება შემშინაოს;  
ცალი უხარი მომტება,  
ცალი შემარჩინაო.  
აბლახანები კალხანას  
მ ღ ჭულება უა სანა?  
აბლა მილე თაშილო,  
ფირმივაუს მოვარესონ».

თუ გვალვაა, იტყვიან:

—ალი გვარდა მზისა თვალი,  
ლერათო, მოვევ წეოშა-წეოდაი.

თუ წვიმებია, იტყვიან:

—ალი დარდა წეიშა-წეიდა,  
ლერათო, მოვევ მზისა თვალი.

დანარჩენები ამინს დაიძახებენ.

მაგალს მასპინძელი გამოუტანს კვერცხს, ყველს, ფქვილს და საჩუქრებს. უსენი ყველგან კარდაკარ დაღიან. ყველგან ამბობენ „ლაზარიას“. „მოუპავევინ“: კარაქს, კვერცხს, ყველს, ფქვილს. მო-ხეკლ ხორიგს მიიტანებენ ერთ ადგილზე, გაცემებენ და ვაშენ“.

აჭარლები წერმის მოსაყანაღ. გარდა „ლაზარიასია“, სხვა წესაც მიმართავენ. ეს წესი გავრცელებულია მხოლოდ იმ ადგი-ლებში, რომლებიც მთავრიანია. აქ ნაოცებისათვის საშიშია, რო-გორც გვალვა, ისე ლვარვა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ბარის მოხახლეობაში (შევი ზღვის სანაპირო ზოლში) ლაზარობა და ქაშიატობა ორ ტარ-დება, რადგან აჭაურ ნიაღავს მარცადამიანც ვერ აწუხებს ვერც სიცხე და ვერც წვიმები. ამ რიტუალს იყენებენ აჭარის მთიანეთ-ში — ხელოს, შეახვევისა და ქვედის არინებში.

ოთხშოუცი ათასი ჭვის კუნკურის შელოცვა.

მაშინ, როცა სიცხეები დაიპერდა. გვალვა იყო და ნაოცებებს სა-ფრთხე მოელოდა, ერთ ჯამეზე მოსიარულე ხალხი,<sup>3</sup> აზლანდული გა-გებით, სასოფლო საპუოში შემავალი მოიყრიდნენ თავს, დაახ-

ტროველი  
შემარტინი

1. აბლახანები აფექი.

2. თამოზე კომიტი.

3. აჭარაში რამდენიმე სოფელი ერთ ჯამეს აკეთებდა.

ლოებით ასი, ორასი კაცი. ხოგა შეგროვებულ ხალხს თუ გაუტყდა; ერთ ჯგუფს უნდა მოეგროვებინა ოთხმოცი ადასი კაცი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კენტი მოზრდილი იქნებოდა, თუ სასურალი იყო პატარა კენტები, რადგან ოთხმოცი კაცი უნდა მოქმედო. ვინ ერთ გოდორში უნდა ჩატეულიყო.

კენტების შეგროვება ყველას შეეძლო, მაგრამ შელოცვა ყველას არ შეეძლო. ამისათვის გარკვეული პირობა იყო საჭირო. კენტის შემლოცველი უნდა ყოფილიყო. ცოლის გარდა, მან არავინ არ უნდა იცოდესო. ამრიგად საჭმეს ისევ ხოგა ხელმძღვანელობდა; ერთი ჯგუფი აგროვებდა კენტებს. მეორე ჯგუფი კი ულოცვდა შემდევი არაბული სიტყვებით:

„ვაკელლეზა, იტეზზილილ  
ლესე, მინ ბეკლ,  
მაუნერთ, ეეიცშერჩ,  
რებეთოეპუ, ეეპ-ვალ,  
ვალულ, ხემილ“.

თითოეული კენტისათვის უნდა შეელოცათ ამ სიტყვებით. შემდევ ჩაყრიდნენ გოდორში და ამ კენტებს გოდრით მიიტანდნენ მდინარესთან და ჩადგამდნენ ტბაში ისე, რომ კენტები წყლით უნდა დაფარულიყო.

იქ, სადაც კენტებით გოდორს მდინარეში ჩადგამდნენ, მოიყანდნენ ხარს და დაკლავდნენ, გაატყავებდნენ, დაკრიდნენ ნაჭრებად და ქერივ-ობლებს დაურიგებდნენ. ამ რიტუალის შესრულების შემდევ მოელოდნენ დიდ წვიმის. თუ დიდი წვიმა მოვიდოდა, იმის შიშით, რომ წვიმის ლვარებმა ნათესები არ წალევოსო, გოდორს წყლიდან ამოიღებდნენ.

რას უნდა მოასწავებდეს ეს რიტუალი?

შესაძლოა, ანალოგიური რიტუალი მუსლიმანურ ქვეყნებში არსებობდეს და აქარაში ხოჯების საშუალებით გადმოიწერა. ამას გვაფიქრებინებს ის ამბავი, რომ კენტებზე შელოცვა არაბული სიტყვებით წარმოებს. შეორე მხრივ, რიტუალი მსხვერპლის შეწირვით რომ ხდება, ამ რიტუალის წარმომავლობას მამადიანური ქვეყნებიდან შემოსულად გულისხმობს.

აგრეთვე ანგარიშვასაწევია ის ამბავი, რომ ამ რიტუალის შესრულების დროს მსხვერპლად წირავენ არა ყველა ცხოველს, არამედ მხოლოდ ხარს. ხარი კი მშერმელ დამიანს კულტად ჰყავს წარმოდგენილი და მისი მსხვერპლად შეწირვა დიდ რამეს უნდა ნიშნავდეს.

ყოველ შემთხვევაში, დასახელებულ რიტუალში ქრისტიანული არაფრითი, იქნებ ამ მსხვერპლის შეწირვაც წარმართული ფრთი-

დან მომღრმარეობს და აქ წარმართული დოკორისა თუ მარტინუ-  
რი პერიოდის რიტუალთა შერწყმა გვქონდეს.

ის ამბავი, რომ აქარაში მინდის მართვის გამო, მაგრა სხვა-  
დასხვა რიტუალი: „ღაზარობა“, „ქაშატობა“ და უკანასკნელი „აჭა-  
ქვის კენჭის შელოცვა“ გვაქვს, იმაზე უნდა მოჰქმებული მიმდევა  
საში ეპოქის მონაცემი უნდა იყოს.

## 12. ბზობა (ბზობა)

„ბზობა“ ქრისტიანული საწესჩერებლებთა რიტუალია. იგი გაზა-  
ფხულზე ტარდება. ბზობა საქართველოს ყველა კუთხეშია ცონბი-  
ლი. აქარაში კი ბზობა გზობით უნდა იყოს შეცელილი.  
აქარაში გზობა იციან დიდი ხუთშებათის მომდევნო წითელ პარა-  
სკევს და ეს „გველის დღეობაა“. ამ დღეს სახლში შეშას არ მოი-  
ტანენ, — დღეს გველები მოგზაურობენ, და მათი შიშით ტყეში  
ვერ მიღიან. ვინც გზობა დღეს სახლში შეშას მოიტანს, ხალხის  
რწმენით, მას შინ გველი მოჰყვება და იმ წელიწადს ის არ მოშო-  
რდებათ.

საქართველოში გავრცელებული „ბზობა“ და აქარაში არსებუ-  
ლი სახელშეცელილი „გზობა“ ორივე „წითელ პარასკევს“ უნდა  
უკავშირდებოდეს. წითელ პარასკევს, როგორც ცნობილია, ქრისტე  
აცვეს ჯვარს. აქარაში მაპმაღიანური ჩელიგის ძალდატანებით გავ-  
რცელების შემდეგ, ბუნებრივია, რომ მაპმაღიანები „ბზობას“ ვე-  
ღარ შეასრულებდნენ. ალბათ, მიტომ არის, რომ „ბზობას“ „გზო-  
ბა“ დაარქვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ხალხში ასეთი ტენცენცია  
შეინიშნება: თუ რომელიმე წეს-ჩერეულება, რომელიც წარმართული  
დროიდან მომდინარეობს და ხალხს ძვალსა და რბილში პქონდა გამჯ-  
დარი, ქრისტიანულ პერიოდში რომელიმე ქრისტიანული რიტუა-  
ლისათვის დაუკავშირდებათ ან უცვლელად, ან სახეშეცვლით. ასევე  
მოუმოქმედნიათ აქარლებსაც. ზოგი წარმართული დროის რიტუალი  
ან ქრისტიანული ეპოქის წესებთან, ან მაპმაღიანური პერიოდის სა-  
წესჩერებო რიტუალთან დაუკავშირდებათ.

## 13. ფირცვალობა

„ფერცვალობა“ საქართველოს ყველა კუთხეში არის გავრცე-  
ლებული. იგი ბუნებაში მომჩდარ ცვლილებებს უკავშირდება. ხალ-

ხის წარმოდგენით, ფერცვალობა 6 მარიობისთვეს (აგვისტო) დგება. ამ დღეს, ხალხს სჯერა. რომ ყინვა წყალში ჩავარდება, მომავალში ციფდება და მოსავალი იწყებს მწიფებას. ფერცვალობა დღის მოსლონელია მთებში მოთოვოს.

უკრაინული

ფერცვალობა წარმართებული დროის ჩიტუალური მუსიკურის შემცირების შემდეგ, იგი ქრისტიანულ საქართველოში ბევრ ჩვეულებო რიტუალში შეუტანიათ. დღესაც საქართველოში ბევრ ადგილას შეხვდებოთ კელესიას. მონასტერს, რომელიც ფერცვალობის სახელწოდებას ატარებს. ასე, მაგალითად, გურიაში შემოქმედის მონასტერი<sup>1</sup> ფერცვალობა დღის სახელწოდებით არის ცნობილი.

ფერცვალობა დღეს, ე. ი. 6 აგვისტოს (ძველი სტილით), დიდი ზეიმი და დღესასწაული იმართებოდა შემოქმედში. ეწყობოდა სხვადასხვა გართობა-თამაშობანი: ლელო, ჭირითი, ცხენბურთი.

საზოგადოდ, მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდანვე, გურიაში თუ რაიმე დღესასწაული ვარმართებოდა, გურულები მას რევოლუციური ბრძოლისათვის იყენებდნენ. სშირად ავრცელებდნენ პროკლამაციებს, იმართებოდა მიტინგები. სხვადასხვა გართობა-თამაშობით პოლიციასა და მოხელეებს თვალს უხვევდნენ.

გადმოგვცემენ. რომ ერთხელ, ასეთ დღესასწაულზე, ერთი ხის ძირში მიტინგი ვაუმართავთ. პოლიციის თვალის ასახვევად ხეზე კინშე ნიკოლოზა აუგანავნიათ. პოლიცია რომ დაუნახავთ. ამათ ხეზე ასულ ნიკოლოზასთვის დაუწყიათ ყვირილი: „ძირს ნიკოლოზა! ძირს ნიკოლოზაო!“ პოლიციელებს ევლარ დაუდგენიათ, თუ რომელ ნიკოლოზაზე იყო საუბარი და თავი დაუნებებიათ.

დღესასწაულისათვეს. სტუმრების მისაღებად ყველა ოჯახი ეწადებოდა, იმართებოდა ბაზრობა. დვაბზუში. — წმინდა გომი-გის სახელობის დღეობაზე, ბახეში. — ლვითისმშობლის სახელობის დღესასწაულზე, კვერიაკობის სახელობის დღეობა — ვაკიჯვარში, რთავარანგელოზობის სახელობის დღეობა — ასკანაში, მარიობის (მარიამობის) სახელობის დღესასწაული — ნაგომარში...

თურქების მიერ აქარის დაპყრობის შემდეგ, 1878 წლამდე ვინაიდან გურია-აქარის შორის სახელმწიფო სასლეური იყო და თურქები აქარლებს ვურიაში ალარ უშევებდნენ, აქარლები მთებიდან, — ლორჯომიდან ბახმაროს მთით და ვანიდან ვომის მთით, ახერხებ-

1 თრი ვაერთიანებული კელესისევინ შედგება. პირველი — ძველი შოთავარი, ე. წ. ნადვილი შემოქმედი. უგამბათოა. შეორე — შედარებით ბალი კა — გუბათიანია. პირველი მეცორერის სახელობისაა, შეორე — უკისის ცალებისა, ასე, როგორც აქ უწოდებენ, ფერცვალობისა. ჩედ.

დნენ გურიაში შეპარვა-გალასკლას და გურულების ტემპერატურაზე ბაზრობებში მონაწილეობდნენ.

აჭარლებს ბაზრობაზე ოჯახში შინამრეწველური წესით დამზადებული საქონელი გამოქვინდათ, უმთავრესად: ტექსტი ცენტრულის სანთელი; რძის ნაწარმიღან უფრო მეტად — ტექსტი მისმა ტექსტი რშიდან: გობი, გამი, კოეზი, ფილი, აკანი, სხვადასხვა საბავშვო სათამაშოები, აღვილობრივ მოქსოვილი შალიც, თამბაქო, თუ სხვა რამ.

გაყიდდნენ თავიანთ ნაწარმს, მოინახულებდნენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, ე. წ. „დოსტებს“, დროს გაატარებდნენ და უკან დაპრუნდებოდნენ.

„ფერცალობა“ წარმართული რიტუალია. იგი როგორც გურიაში, ისე აჭარაშიც იციან. ის აჭარელთა შორის თურქეთის სამასწლიანმა ბატონობამაც კი ვერ აღმოფხვრა.

#### 14. ავი სულების დღე (დაღები)

„დაღეგი“ ავი, ბოროტი სულების დღედ ითვლება. გურია-აჭარაში „დაღეგი“ პირველ სექტემბერს დგება. ამ დღეს ავი, ბოროტი სულები განსაკუთრებით აქტიური ხდებიანთ. ისინი მუდამ იმის ცდაში არიან, რომ აღამიანებს რაიმე ავნონო, ფიქრობენ ცრუმო-რწმუნები.

ავ სულებად, ეშმაკებად, კუდიანებად ისევ აღამიანი გამოიდის. ქაჯებსა და კუდიანებს ჰყავთ მეთაური, რომელსაც „როკა პი“ ეწოდება. აჭარაში როკას ზოგიერთიან „რომ პა პი“ ჰქვია. რომპაპი სადლაც მრუვალ კლდეში ცხოვრობს. ზოგიერთის ვაღმოცემით, იგი მთებშია მიგამოვლი. დაღეგ ღამეს, ხალხის ჩრდილი, ყვილა ოჯახიდან მიდიან რომპაპთან მავნე სულები და რომპაპი მათ თითოეულს ცალ-ცალკე დავალებას იძლევს. რომ საკეთის ნათელი გავხადოთ, აქვე მოვიყენოთ გაღმოცემას რომპაპის შესახებ. რომელიც ჩვენ ჩავიწერეთ შეახევის რაიონის სოფელ ტაყიძეებში.

„ყოფილა ერთი რომპაპი, ეს რომპაპი ყოფილა ქაზობის უმცროსი. იყო ერთი გოგონა. საშუალო კვეის ქალი. ეს გოგონა ცხოვრობდა მარის ოჯახში. მაგის ხლოო ცხოვრიბდა ერთი ღარიბი კაცი. ხავდა ერთი ძროხა ამ ღარიბს კაცს. შევა ქალი ზროხასთან ახორში; ნახავს, რომ ზროხა მოწეველილია, სუ ყოველ ღილას მოწეველილია. რამდენ სანი გვედა ამ მღვიმარეობიდან და ხალხში ჩივრლი ღერწუო; რა ექნა აქლა, გაზები ძროხას მიწველიან ახორშიო.

ერთმა კაცმა უთხრა, რომე მე გასწავლიო, თუ არ შეგეშინდათ. იმ კაცმა უთხრა: შეიდი ლემსიო, ერთი ბალეო, სამი მიხატა, ესენი ჩეიდე ჯიბეში და თუ არ შეგეშინდათ, ჩადი ახორშიო, განვე ბალეშიო, დაჯექი იქავო და როცხა ესენი გენება, ფურიუზუნული ხასი, შემუა და დაიწყებს წველასო. შაატაი ხელი დაუჭირდებულებულ რა იცოდეო, ახლავენ გაფრთხილეფო, რომ უკელაფრათ გადეიდევა და ჰელი არ გაუშვაო. ხელს მოდეფო, გადეიდევა გველათო; თუ არ გუშვი, გადეიქცევა გველეშაპათო; კიდევ თუ არ გუშვი, გადეიქცევა დათვათ, გველათო და ბოლოს და ბოლოს ცეცხლათ გადეიქცევაო.

კაცმა გააკეთა ეს საქმე ასე: დეიკირა, შეხედა, მისი მეზობლის გოგოა (აიშე), შაშვალო კეკის ქალი. ეს გამეიყვანეს მეიდანზე ხალხში. როდისაც ეს შეიტყვეს ხალხმა, ეს ოთხი სოფლის ხალხი, ვისაც შეიძლო, მოვდენ. ამ ქალს დაკითხეს, რუმ გინ გიახლა კიდევ შენო?

— უწინ იყო, — უპასუხა, — მიახლა კოშოლლი აბაზაი.

— ჰად იარებითო, რაფერ იარებითო, ახორში რაფერ იარებითო, ვინ გასტავლაო?

იმ კოშოლლის და იმ გოგოს რომ თოკვი მუუჭირეს კისერში, მაშვინ გამოტყდენ და თქუეს, რომ ვილაპარაკებთ, რაც რომ ვიცოთო.

— ჩვენ გვასტავლის რომპაპის შეილიო.

— რაფერ იჯებითო, ჰაიდან იყავით, სა იარებითო.

— ჩვენაო ჩვენ სახლებში გვზრობდით ჩვენ ურუბასო, გაღმოვაბრუნებდით ურუბასო, ჩვეცვამდით გაფმობრუნებულს. მოგვიტანდა ჩვენი მწკვიდრავი წამალსო და ამ წამალს აძოვისმევდით ღლიებშიო და ავშპებოდით ბუხარშიო. ჩევდოდით ძერვენახის ქვაძეო. ეს ქვა წაყუდებული იყო მართლა. გავაბიჯებდით იქიდან მარცხნა ფეხს და შევდიოდით რომპაპთან.

რომპაპი დაბმულიაო, სიძძიმე ექნება ათი ფუთიო; რამოდონეთი ქალი იქ არისო, კაცებიც არიანო, შუახნის ზედაი ხალხიო, რომპაპი კაციაო. წისქვილია, ერთი წისქვილიო. საქონლიდან რომ ჩე მუაქეან, იმით აფქვევენ რომპაპის საჭმელს და აკეთებენო. ვინცო რომე ჩე არ აქვან, ქალებსო და ბალებს ვერ აქუმენ, ის ჩე მიაქვან რომპაპთან და ქამს რომპაპიო.

წამოსლიხან ქალები ზოგი რჩებიან იქა. ვინც რუმ რჩება აღგოლხე რომპაპთან, ესენი ებნევიან წამოსლიხან, რომ რა ნდა მუუტახოთ რომპაპს საჩუქრეარიო.

— ამა და ამ სახელობის, ამა და ამ ქალის ოდგ. მხრივა მოწველოს, იმის რძეც. ეს ავი უპნებათ: თუ შეძლებოთ, კუადა კუალი გამუართვით შვილსო. ზოგმა სისხლი გამუცდინეთ. მაგრავნეთი.

ამ ხალხში ერთი თავშეხოვლი კაცი ჭდას, ჰითომი ერთული მოწვება. რომპაპი რომა დაბმული, იგი ჩვენისვეტები მართვული მაშტაზე ურო დადებულია სვეტთან. ეს იდელებულია გამხტარი. რომპაპი, რატომ ვარ დაბმულიო. არის ჭუნკრუქაი ჩიტიც. იგი ვა უროზე ჭდას. ცავს სვეტს, რომ არ მეივლიფოს; მისი ყარაული ის არის. როდესაც იქნება პაწას სვეტი, მოჩონჩივილდება. მივა გურუქაი და სვეტის თავზე დაედება. რომპაპი ხელს ვერ მუსასტვენს სვეტს, რომპაპიც სვეტს ცავს, რომ არავინ დაამაგროს, მე რომ წამუაქანეოთ.

ჭუნკრუქაი რომ სვეტზე დაედება. მაშინ უროს სწევს რომპაპი და დაარტყას იმ ჭუნკრუქას, ვითომ ჭუნკრუქაი ასობს სვეტს. რომ დაარტყას, ჭუნკრუქა გვიჩევა, ურო დიეცემა პასალს და დედამიწაში გაარონიებს. მოწყობილია პოლიტიკა და მის პასალ მას ასობიებენ.

ახლა დუუბრუნდეთ იმ კაცს, თუ რატომ წევდა იქა. პირშეხოვლი კაცი. ეს კაცი იმუშავებს, მეტა სალამოს ეს დაღალული კაცი, დუუდებენ ვახშამს, თვითონ ქალი და დედა არ დაედებიან მასთან, ვამშამს არ ჭამენ. ეს კაცი მეიღალეის, მიგორდება ქალამწით. მის ქალსა და დედას შიან, უნდა კამონ რომპაპთან. მეიტანებენ ესენი სუნელის სანაყავ კალის ქვას, ჩადებენ ცეცხლში: გაახურებს დედამისი, ცეცხს გაამრობს მის შვილს, მძინარეს იმ ცხელ ქვას ცეცხე შიადებს. რომ ვერ შეიტყოფს, ადგებიან და წევლიან. ამას აკეთებენ ავობით დედამისი და მისი ქალი.

პოლოს თქვა რუმე, ერთი დედაჩემი და ჩემი ქალი ჩემთან საჭმელს არ ჭამენ, ერთი არ უნდა დევძინო, დავუკო, რას ვამენ, რას იჯებიანო.

იმათ ვადააბრუნეს ურუბა, შეისვეს ის წამალი ლლიებში და იალლა, მიღიან. ამანაც წამოხტა ზეთ, გამოიქცია ურუბა, მეისვა ი წამალი და გვიქცა თვითონაც. მისი ქალი და დედა საცხა მივდენ, მივდა იქა თავშეხოვილი და დაედა. უყურა, რაც მღვიმარეობა იყო და დედამისს დაავალეს, რუმე შენ შვილსო მარჯვენა თვალი უნდა გამოთხაროო და მოიტანო აქაო, ისო გვეირიაო. შეილა კი არ უფიქრია, დიკითხა: რაფერ გამუართვა თვალიო?

მაშინ უთხრეს: ახლა რომ მიხეალ შენაო, შენი შეილი ხარების კლას დეიწყებს, ორი ხარის კლასო. ამაზე გადერდიანებული იქნება, რომ ჭახებმა ორი ხარები რაფერ შემიჭამესა. მაშინ ამ კლაშიო,

თამაში რომ დაკლული ეყოლება და დანა ხელში ეჭრებოდა. ზათ გადეიქეცი და მიაჩეკი თვალებშით.

იმ პირშეხოვლ კაცს უთხრეს: შენო, მიხვალ ახლა: აფეში არ  
უნდა აჩუქვო რომპაპსო!

— რა მაქ აქა, რომ ვაჩუქვოვო!

— აბა, შემოკარ ორი ქვის კენტი კიბრლებზეო.

შემოკრა და წამოიდა. დედამის რომ დაავალეს, ეს გევო.

სახში ხარების კლა რომ დეიწყო, ერთი ამხანაგი გაფრთხილებული ყავდა: მე რომ დანას გავაძუცებ, ხარი მაგრათ დეიკავეო. დაავდა ბუზი თვალზე, დააგდო დანა, დაარტყა ორნივე ხელები. დაავდა კიდევ, კიდევ ასე გააქეთა. მესამე და მეოთხეზე ბუზი შეიძრია ხელებში და მოკლა. ნახა, რომ დედამისია მკრაჩი. მობრუხდა და ცოლიც მოკლა.

ახლა ვიკითხოთ: რატომ დაკლა იმ კაცმა ხარები? სარები იმიტომ დაკლა, რომ იგი შეპირებული იყო რომპაპზე. კენტი შამუაკრევიეს და ხარები დააკლევის.

შაშინ დეიწყეს ამ ხალხში ძეპნა. რუმ ვან არის ჭაბუთ, ვითომ ორი ქალის მეტი ჭაზები არ აღმოჩნდა. ეს ორი ქალი არიან ჭაზები, ხემ დედაბრები. იმ დედაბრებს უთხრეს: იმ გოგოს და კუშოღლის ლოյე მუცუკირეთ, ისე მოვიკირებთო თქვენცი: თქვით, რომ ჭაზები ხართო. არ იტყვით და დაგარჩობთო. არც ერთმა არ თქვეს. წეიყვანეს. გადაკიდეს სიდზე. კიდო არ თქვეს. დუუძახეს ამ თავერილობა ხალხში, რომ დაარჩევთო. დასკრეს თოკეები და ჩაყაჩაუ წყალში ყველა.

ერთი დაყურყულდა: როგორც ქვა წავა, ისე წეედა. შეორე შეიცეა თავეზე. რომ დაძირა, ჩაცეინდენ, ამეიცვანეს და ვაღაარჩინეს. შეორე რომ არ დაძირა, ცოდვეანია. წყალმა არ მიიღო, ჭაზიაო. გამეიცვანეს და მოკლეს. ამას იქით გათავისუფლდა, აფრი აღარ იქნებაო.<sup>1</sup>

როგორც დავინახეთ, ჭაზი, ავი, ბოროტი სული, ხალხის წარმოდგენით, ყველა ოჯახში შეიძლება გამოერიოს. „დადეგი“, პირველი სექტემბერი, სწორედ ჭაზების დღეა.

დადეგ ღამეს ყანაში სიმინდს „შებეჭდავენ“, ე. ი. სიმინდის ფურცლებს სანთელს მიაკრავენ, რომ „ავმა სულმა ჭირნახულს ბარაქა არ გამოულიოსო“.

<sup>1</sup> ჩინერილია შეახვის რომნის ჭვანის სასოფლო საბჭოს სოფ. ტავირებში ღერსენ ტავირისგან, 80 წლისა, აჩსაღ ნაშეოთი არ აჩის, იცის ხსოლოდ ჭაზელი ენა.

— „ყანები შებეჭდე, ჯაზებმა (ავმა სულებმა) რამდენიმე წელს”, — იტყვიან ხოლმე.

უკილა ოჯახის დიასახლისი ბავშვებსაც ყურის ძირში ჩანთქლს შიაწეპებს, რომ ქაფებმა არ ავნოს. სახლის კარებშე კურიუტებულებულ დაუყენებენ და ეტყვიან: — „რძალო, კარები და უკიდურესობულების არაფერი ევნოს“.

ჯაზების (ავი სულების) მეთაურად, როგორც დავინახეთ, „რომ-პაპი“ ანუ „როკაპი“ ცხადდება. რომპაპი კი გავეით არის მიმდევლი რომელიღაც კლდეში პალონე. რომპაპის ახლოს ურო დევს, რომ პალო არ მოითხაროს. ამას კუნკრუქა ჩიტი დარაჯობს (ზოგან — ტანტრუქა, ქობულეთში — მაბზაუნაი).

ყოველივე ეს ამირანის მიჯაჭვას ჩამოვას.

აქარულ ზეპირსიტყვიერებაში რომპაპის ნაცვლად აგვ-რჯალს“ გაიგონებთ. ამ ბოლო ხანებში აქარულ ზეპირსიტყვერებაში ვიპოვეთ სახელწოდება „დედჯალი“ და „აკერჯალი“.

„რომპაპი“, „როკაპი“ სახეშეცვლილი ამირანია; „ჭერგალი“, „დედჯალი“ კი — დარეგანი.

„მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანმა დაკვირვებისა და ცრუ წარმოლგენების საფუძველზე წლის უოველ მნიშვნელოვან პერიოდს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს მისტიკური თვისებები მიაწერა და სხვადასხვა ჩვეულება დაუკავშირა მას. სამეურნეო ფუნქციის წყალობით ასეთი წეს-ჩვეულებები ყოფაცხოვრება-ში განმტკიცდნენ და ზეპირ ლიტერატურაშიც თვითონ გამოვლინება პოვეს“.<sup>1</sup>

\* \* \*

საყოფაცხოვრებო სიტყვიერებიდან, რომელთაც უმთავრესად სეზონური ხსიათი აქვთ, ჩვენ რამდენიმეს დავისახელებთ. თემუა ისიც უნდა აღინიშვოს, რომ თუ მიხეიდლ ჩიქოვანი განმარტას, რომელიც ხილობა როგორც დღესასწაულში, ხატობაში, ისე მის პოეტურ სამოსელშით, აკირისათვის ჩვენ სამრწმენი ნირდობა უნდა დაესახეოლოთ. თუ მთლიანად საქართველოსათვის ადრინდელმა პოესიაში ქრისტიანული სატრენების დიდი გავლენა განიცადა, ამას იქარულში მატმადიანურიც დაემატა. ამან კი ზეგავლენა მოახდინა ზეპირსიტყვიერებაზე, ამიტომ შესაძლოა, რომ როცა ჩვენ სეზონურ საწესჩეულებო სიტყვიერებას აღვწერთ, შიგ მამალიანური ელემენტებიც გამოირიოს.

1 მ. ჩიქოვანი, ქართველი ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 2-7.



აჭარაში „ბერიკაობა“ დამოუკიდებლად არ სრულდება. მაგრამ მაინც გავრცელებულია. იგი უმთავრესად დაკავშირებულია ქუჩულების შესრულებას. აჭარის სხვა კუთხეებში კი შეიძლება დღისითაც შესრულდეს. მას „ფადიკო“ ეწოდება.

როგორც წესი, ფადიკოს ასრულებენ მაშინ, როცა ძილი მოუნდებათ. ფადიკოს შესრულებისათვის სულ ექვსი კაცი და ქალია საპირო.

ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ფადიკოს შეარქმევენ, ჩააცვამენ და ცალკე ოთახში გაიყვანენ. შემდეგ ერთი მოთამაშე ცხენივით დაოთხილი დაღვება და ზედ ფადიკოს შესვამენ. ცხენს აღვიარით ერთი წაიყვანს, სხვები კი სიმღერით მისდევენ. ორი კაცი შეიარაღებულია ხის ხმლებით და ფადიკოს დანარჩუნებისათვის ერთმანეთს ეცილებიან. ვინც პირველად მოასწრებს და თეთრ ფულებს გადააყრის, ქალიც მას რჩება. ბოლოს ეს ორი მოქიშე მაინც შერიგდება და იტყვიან: „ერთს დღეი გვყავდეს, მეორეს ღამეო“ და ორივე გადააყრის ფულებს. შემდეგ ფადიკოს „უურბანს“ (ბსხვერპლს, საკლავს) შემოავლებენ და დაკლავენ. ამას ცვევათამაში მოჰყვება, ფადიკოს ის ორი კაცი გაეთამაშება, მაგრამ ცეკვის დროს ფადიკო უერად დაიმალება. ამაზე ისინი ერთმანეთს შარს ზოსდებენ. ატყდება ჩინჩილი, გაჩალდება ხის ხმლებით ორთა ბრძოლა, ბოლოს შეერიგებენ და ყველანი ფადიკოს ეძებენ. დაბოლოს, ფადიკოს იპოვნიან და ვარშმად დასხდებიან. ნავახშევს ერთ მათგანს დაერწენება, მეორე კი ფადიკოს მიუწვება და ეალერსება. ამ დროს პირველი გაიღვიძებს, დანახავს, რომ მასი ამხანაგი ფადიკოსთან საქმობს. წამოხტება, ხმალზე ხელს გაირავს. ამხანაგს დავრის და ფადიკოს გართაცებს. ქალი ეწინააღმდეგება, არ მიჰყვება, თან გაიძანის: „ის შეზე მეტად მიყვარსო“.

გამტაცებელი კი ფადიკოს ეხერწება: „მე წამომყევი, მასზე უკეთესი გარ!“ და თან ქრთამს პპირდება. ბოლოს ქალი თანხმდება და მას მიჰყვება.

ფადიკოს გათამაშებას ქორწილში შეაქვს მხიარულობა. ორის სიცილი, ერიამული და ფადიკოს გაშაირება<sup>1</sup>.

ფადიკოს შესახებ ზემო აქარაშიც გაგვიგონია:

„ვორი კაცი შეიკაზმება, წვერს გამეიბამს მატყლიდან; გახტე-

<sup>1</sup> ქ. ლილიჭველი, ეთნოგრაფიული ნარკევე ფარელთა უოფა-ცხოვრებიდან, ლ. 1925, გვ. 32-33.

ბინ საშიშარი კაცები. შე-ში ერთ ლამაზ ბიჭ იციავდები. დანა გარეშემო უვარებიან. მაგათ ქვიან „ფალიკო“. მერე მოვალეობა არამარტი, შეითხოვენ დავლზურნას. გავიაღება სეირი და ჩხანი, ხა და იმღერა. შეადლემდი სეირობენ. შეადლე რომ გახტეა კარის უკარის რებენ ტენებს, ჯეიზი... წინ წავა“<sup>1</sup>



„ბერიკაობა“ და „ფალიკო“ რომ ერთსა და იმავე საწყისილან მომდინარეობენ, ეს ზემოთქმულილან აშეარად ჩანს. თითქოს ის ამ-ბავიც ბუნებრივად გვეჩვენება. რომ ამ წესის შესრულებას აშეარად უძველეს ფალოსის კელტთან მივყევართ. ვაკის ქალურად მორთვა, ანდა მისთვის ქალის ნილბის გავეთება და ხის ხმლით შეიარაღებული ორი მამაკაცის ქიმპობა სხვა არაფერია, თუ არა ფალოსის კულტი. საერთოდ კი ბერიკაობის შესრულება საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეში და აჭარაში ქორწილის დროს ფალიკოს გათამაშება, მტრის ჭარების გამასხარავება-დამცირებას უნდა წარმოადგვინდეს.

მ. ჩიქოვანის მიერ აღწერილი „ბერიკაობის“ ვარიანტის ერთ-ერთი სახელმოილი „დათვობიას“ სახელი აჭარაშიც გვხვდება.

„დათვობია“, როგორც თამაშობა-ვართობა, ეწყობა ღლესას-წაულების თუ ქორწილის დროს. დათვობია ღლისითაც და ღაშითაც შეიძლება მოეწყოს. ჩვენ უფრო მეტად ღამით თამაში გვინახავს. ამ თამაშობაში მონაწილეობენ: მეუე, ანუ მსაჯული, ბატონი, ანუ ღათვი, და ყმა-გლეხები, ანუ თხები.

თი-თორმეტი ახალგაზრდა ერთად თავს შეიყრის (შეიძლება მეტაც იყოს). ჰყრიან წილს (ყურს მონწევევი). წილის ყრით აზრჩევა მეუეს, ანუ მსაჯულს. აგრეთვე ირჩევენ ბატონს, ანუ ღათვასაც. დანარჩენები ყმა-გლეხები, ანუ თხებია. ყაბალახის ყურს გამონასკვავენ და ხელში მსაჯულს მისცემენ. დათვსა და მსაჯულს რიგ-რიგობით ირჩევენ. იწყება თამაში. დათვი მიდის მსაჯულთან და მის წინ დაოთხილი ჩერდება.

მსაჯული — სამჯერ შემოუცლის დათვს, გამონასკვულ ყაბალახს ატრიალებს, ურტყამს და თან ეკითხება:

— დათვო, გძინავს, თუ გლვიძავს?

დათვი — არც მძინავს, არც მღვიძავს!

მსაჯული — დათვო, გძინავს, თუ გლვიძავს?

დათვი — არც მძინავს, არც მღვიძავს!

მსაჯული — (ეკითხება შესამეჯვრ) დათვო, გძინავს თუ გლვიძავს?

დათვი — არც მძინავს, არც მღვიძავს!

<sup>1</sup> ძევა, გვ. 29.

მსაჯული — ფეხი გამოვიშალო?

დათვი — რაფერ გამომიშლი?

მსაჯული — ასე! (ეტყვის და დათვის წინ ფეხს გამოჰქოვდა). ასე

შემდევ დათვი აიმართება, წელში გასწორდება და მსაჯული ეკრთხება:

დათვი — ჩემი თხები სად წაიყვანე?

მსაჯული — აქეთ გადავყარე (მიუთითებს რომელიმე მხარისაკენ).

დათვი — აქედან მოვალ.

მსაჯული — იქით გადავყარე! (უჩვენებს საწინააღმდეგო მიმართულებას).

დათვი — იქიდან მოვალ!

მსაჯული — ზოგი შევეპამე და ზოგი ტყეშია...

გარბის დათვი თხის დასპერად, მსაჯული მისდევს და გამონასკულ ყაბალას ურტყამს. დათვი მანამ დარბის, სანამ რომელიმე თხას არ დაიკერს. თხები კი თავს შველიან და ცდილობენ, რომ დათვეს თავი არ დააკერინონ. თუ დათვმა რომელიმე თხა დაიჭირა, მაშინ თამაში შეწყდება და ახლა, წილის ყრით, მსაჯულის, დათვისა და თხების როლში სხვები ჩადგებიან.

ამ თამაშის მიზანი ის არის, რომ თხები ცდილობენ, დათვმა რომელიმე მათვანი არ დაიჭიროს. დათვი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები დარტყამა მოუწიოს მსაჯულისაგან. ამიტომ ცდილობს ის, რომ მალუ დაიჭიროს რომელიმე თხა.

თამაშში სიმძიმის ცენტრი გადატანილია სისწრაფესა და მოქნილობაზე. ვინც სწრაფია, ვინც მოქნილია, ვინც სწრაფად დარბის, იგი მუდამ გამარჯვებულია.

ასეთ თამაშს ძეველ დროში ერთგვარი სამხედრო წრითობის ხასიათი უნდა ჰქონილა.

## 16. ციცხლობია

ის საყოველთაოდ ცნობილი სახალხო გართობა-თამაში, რომელიც იჭირაში „ცეცხლობიას“ სახელწოდებით არის ცნობილი, უძველესი საწესხევეულებო რიტუალი უნდა იყოს.

„ცეცხლობიას“ ანუ „ცეცხლის მოტაცებას“ თურქულად „ათე-შოინი“ ეწოდება, მაგრამ ეს სახელი ქართულში თურქულის გარეშეც შეიძლება არსებულიყო.\*

\* ჩუჩ. „ეტროშანი“, იხ. ივ. ჯვახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, I, 1960, გვ. 108. რედ.

ახალგაზრდები ცეცხლობის თამაშს შემდეგნაირად ჩაულებენ: დაახლოებით თხუთმეტი-ოცი კაცი ერთად შეიძინებოდნენ, ქაკის მიხედვით ისინი შეიძლება იყვნენ ათი წლიდან იყვალით წლამდე. საასპარეზოდ დიდს, ვრცელ მინდობრს აირჩიენ რესტურანტების მიღმილით დაშორებულ ორ ცაცხლს მოამზადებენ. მაგრამ ამასთან განკარგულების დაშორებული პირები მორჩილი იყვნენ, რომელიც თანაბარი მანძილითაა დაშორებული. პირველ მორჩილს, რომელიც ერთ-ერთი ცეცხლიდან ვარბის, ცეცხლი მიაქვს. მიირჩენ ამ შემოსასვლელთან და ვაჩერდება. ამ ბარიერის პირდაპირ გადალახვა არ შეიძლება.

დაცუშვათ, რომ თავშეურილია 12 ახალგაზრდა, ეს 12 კაცი ორ ჯგუფად უნდა განაწილდეს. ვთქვათ, რომ კენტები: I, III, V, VII, IX, XI ერთ მხარეზე აირჩიეს და ლუწები: II, IV, VI, VIII, X, XII — შეორეზე. ესენი დაიკავებენ თავთავიანთ ცეცხლს. ერთ-ერთი კაცილიდან ერთა ცეცხლს გაიტაცებს და ვარბის, მიირჩეს შემოსასვლელთან და ვაჩერდება. მაშინ მცორე ცეცხლიდან ვარბის შეორე, უფრო სწორად 11 დაცუშვნება, რათა დაცულს პირველს და ცეცხლი წარმოიქმნოს.

ეს ასე ხდება: ვთქვათ პირველი ჯგუფიდან 1 ვარბის, მას შეორე ჯგუფიდან 11 ბოინას. მცორეს დაცუშვნება. პირველი ჯგუფიდან III, შესამეს მისდევს შეორე ჯგუფიდან მე-4, შეორეს პირველი ჯგუფიდან მე-5 და ამრიგად ცეცხლის წართმევაში, ან დაბოინვაში, ირივე ჯგუფი თითქმის მთლიანად იღებს მონაწილეობას, ოღონდ ერთის პირობით: ცეცხლის, გამოსავალის პუნქტის, უპატრონოდ დატვება არ შეიძლება. ერთი ვინმე უთოოდ უნდა იცავდეს ცეცხლს, თორემ თუ მოწინააღმდეგ ცეცხლს დაეპატრონება, მაშინ თამაში მთლიანად წაგებულია. ერთს, რომელიც პირველად გაიქცა, შეუალი ცეცხლთან მიირბინოს, ცეცხლი იღოს და მოწინააღმდეგის ცეცხლიდან მოთარეშელ გასული ყველა დაბოინოს.

თამაშის მცორე პირბი არ არის, რომ როცა, ვთქვათ, 2 მისღებეს XI-ს, მავე დროს მას შეუძლია დაბოინოს: VII, V, III და I; ე. ი. ცეცხლიდან მასზე ადრე გამოსულები. მაგრამ XI-ს დაბოინვა შეუძლია მხოლოდ XI-ს. როდესაც ერთი ვინმე დაბოინდება, დაბოინილ მხარეს ეთელება ერთი ქრლა და თამაში ისევ თავიდან იწყება.

ახლა მცორე ჯგუფიდან ვარბის, ვთქვათ, მცორე, მას მისდევს — 1, 1-ს მე-4 და ასე შემდეგ. აგრეთვე სარბენის მიმართულებით მოთამაშებს შეუძლიათ გაიჭირონ ხელების ჩაკიდებით, მაგრამ თუ ხელები ჩაჭიდებული არა აქვთ და კავშირი გაწყვეტილია, მაშინ მათ

არ შეუძლიათ მოწინააღმდეგენი დაბოინონ. ამ შემთხვევაში / ზენ  
უნდა მიირბინოს ცეცხლთან, მას ხელი უნდა მოუსეას / და შეკლება /  
დაედევნოს მოწინააღმდეგეს დასაბოინავად.

გუნდის ჯგუფის გაყოფის დროს თითოეული გუნდის ცენტრული  
ცდილობს, თავის მხარეზე რაც შეიძლება სწრაფი, უწინდელი წესები  
გაზრდები აირჩიოს, რათა გამარჯვება მოიპოვოს.

როგორც აღნიშნული გვაქვს, „ცეცხლობიას“ შორეულ წარსუ-  
ლში გადავიცართ. როცა პირველყოფილმა ადამიანმა ცეცხლი გაი-  
ჩინა, და როგორც ბევრი სიკეთის მომცემი, იგი გააღმერთა. მასზე  
განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა დაწესა.

როგორც ჩანს, პირველყოფილ ადამიანს ყველაზე მეტად ცეც-  
ხლის გაქრობის ეშინოდა. ცეცხლის შენახვისათვის წარსულშიც და  
ახლაც ქალი ზრუნვას, მაგრამ ცეცხლი რომ სხვა ტომის ხელში არ  
გადასულიყო, რომ იგი სხვა ტომს არ ჩაევდო ხელში, ბუნებრივია,  
ამაზე მამაკაცს უნდა ეზრუნა.

„ცეცხლობია“ გატაცებული ცეცხლისათვის თავგამეტებული  
ბრძოლის ერთგვარ სახალხო ინსცენირებას უნდა წარმოადგენდეს.  
ან იქნებ „ცეცხლობიაში“ მოტაცებული ცეცხლის დასაკუთრებისა-  
თვის ტომთა შორის ბრძოლა იყო მოცემული. იქნებ ეს თამაში ამი-  
რანის მითოლოგიასაც უკავშირდებოდეს, ზევსმა ხომ ღმერთებს მო-  
სტაცა ცეცხლი!

ასე თუ ისე, ფაქტია ის, რომ ამ თამაშს ჩაენი ხალხის შო-  
რეულ წარსულთან აქვს კავშირი.

„ცეცხლობია“ თამაშის დროს ყურადღებას იქცევს ორი გაუ-  
გებარი სიტყვა: „ბოინა“ და „არადანი“.

როდესაც მოთამაშე მოწინააღმდეგეს დაეწევა და ხელს დაარტ-  
ყაშს, ხმამაღლა დააყოლებს: „ბოინა“, რაც დაახლოებით უნდა ნიშ-  
ხავდეს ჩაგვერი, და დაგვამარცხ, დაგიმორჩილე.

„არადანი“ გამოყენებულია მოთამაშეთა ორჯგუფად გაყოფის  
დროს. მოთამაშეთაგან ორი მეთაური გამოვყოფა; ისინი მკლავებს  
ერთმანეთში გადასკენიან და ერთი მათვანი იწყებს: „არადანი მე“.  
შეორე პასუხობს: „არჩევანი მე“. ამის შემდეგ პირველი პირველად  
ასახელებს, ვინც მას სურს; შემდეგ — შეორე და ა. შ.

## 17. სამგლოვიარო ტეს-ჩვეულება

აქარაში მიცვალებულთა ტიტილი და გლოვა ისევე იციან, რო-  
გორც საქართველოს სხვა კუთხეებში; თურქეთის სამასწლიან ბატო-  
ნობას ამ მხრივ გავლენა თითქმის ერ მოუხდენია.

ზოგიერთი დეტალი მაინც შეინიშნება; აქ ერთს დაესახელებ.

ეს ორის მიცვალებულზე საფლავში ე. წ. „ლორფინგბის“ ჩამოქმნა  
იმგვარად; რომ კუბოზე მიწა არ ეყრება; ამის გამო ხანგული საფ-  
ლავი ცარიელი რჩება. ლორფინად თითქმის ყოველთვის, თხემლაა  
გამოყენებული; იგი ადვილად იპობა და მიწაში ჭრის ჩატარებული ეს  
წესი ქრისტიანმა ქართველებმა არ აციან. ბერძნის მიერ ეს

აქარაში ადამიანის სიკვდილს მწვავედ განიცდიან საერთოდ და  
გლოვაც ხანგრძლივი იციან, მაგრამ გლოვის სიმწვავე დამოკიდებუ-  
ლია იმაზე, თუ კინ მოკვედა, მოხუცი, თავისი ბუნებრივი სიკვდილით  
(ხალხის რწმენით, ასეთი ცხონებულია და არა საცრემლო), თუ ახა-  
ლგაზრდა. განსაკუთრებულად მწვავედ განიცდიან ახალგაზრდის  
მტრის ხელით დაღუპვას.

აქარაში მკელელობას ძირითადად ან სოციალური უთანასწო-  
რობა ედვა საფუძვლად, ანდა იგი ეკონომიკურ ნიადაგზე იყო გამო-  
წვეული. წარსულში აქარელი გლუხი მიწის ხაკლებობას მწვავედ გა-  
ნიცდიდა, ანდა, სახოგადოდ, ლარიბი იყო. მტკაველი მიწისათვის ქი-  
შპობა და დავა ტყდებოდა, რაც ზოგჯერ მკელელობაშიც გადაიხრ-  
დებოდა.

შურისძიება და სისხლის აღება აქარის საზოგადოებრივ ყოფას  
დღეს უკვე აღარ ახასიათებს, მაგრამ მის რეციდივს ზოგჯერ მაინც  
აქვს ადგილი. არის შემთხვევა, როცა ორი გვარის ოჯახი ერთმანეთს  
გადაემტერება და მათი წევრები შურისძიების მსხვერპლინი ხდებიან.  
მკელელობა შეიძლება აგრეთვე საქონელზე დავამ გამოიწვიოს.

აქარული ადათით მოსისხლეთა შერიგებაცა და სისხლის გამო-  
ყიდვაც შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

1. როცა მკელელობა მტრობითა და უცაბედი შემთხვევით ან,  
როგორც ხალხი იტყვის, მკელელობა „ყეზათ“ მოხდა.

2. თუ მკელელს შეცდომით ერთის მავიერ მეორე შემოაკედა.

3. როცა სისხლი ერთი გვარის წევრებს შორის „დაწვებაა“.

4. როცა მკელელი განზრახვით მკელელობას ჩაიდნს, მაგრამ  
დაზარალებული მძიმედ დაიკრება და არ მოკვდება.

5. როცა სისხლის ამღები თავის მტერს მოყიდულ პირს მო-  
კვლევინებს.

ერთი სიტყვით, სისხლის გამოყიდვა ზოგიერთ შემთხვევაში შე-  
იძლება, მაგრამ თუ შერიგება არ მოხდა, მტრობა შეილიშვილზეც  
გადადის. ასე, მაგალითად, მოკლულს რომ ბავშვი დარჩეს ან მის  
ფეხმძიმედ დარჩენილ ცოლს ვაჟი ეყოლოს, როცა ეს ვაჟი წამოიზ-  
რდება, ვალდებულია მამის სისხლი აიღოს. თუ არ აიღებს, ამას მას  
ვინგრძელები წამოსახებს და შეარცევენს.

მომაკვდაც ადამიანს მოკეთეები და ახლო ნათესავები ღამეს

უთევენ. ოოცა ის გარდაიცვლება, მაშინვე ცხედარს ხელ-ფერს უსწორებენ, „გააშეობენ“ და ქალები წივილ-კივილს არაატეს, არა/ სოფელი გაიგებს ავადმყოფის გარდაცვალებას.

რევოლუციამდე აჭარაში მიცვალებულს 24 საათზე წევიწყვეტილი ბრიტანიული ასაფლავებდნენ.

ავადმყოფი თუ ღამით მიიცვალა, მისი მოქეთე ახალგაზრდები ღამითვე მიდიან ახლო-მახლო სოფლებში და ნათესავებს გარდაცვალების შესახებ აუწყებენ. მაშინვე მიცვალებულის შესულრეას და დასაფლავების თაღარიგს შეუდგებიან.

ცხედარი შეა ოთახში, ტახტზე ასვენია, თავთან დედა უზის, შემდეგ ცოლი, შვილები, დები და ახლო ნათესავები მოუსხლებიან. ყველას საკინძე გახსნილი აქვს და მოთქმით ტირიან. ხმამაღლი, მოთქმით ტირილი განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებს ევალებათ. შორიდან მომავალი ახლო ნათესავი მრუახლოვდება თუ არა ეზოს, ასტებს წივილ-კივილს, შევა მიცვალებულთან და მოთქმით ტირილს დაიწყებს.

მოთქმით ტირილში ივი ჩამოთვლის ყველა იმ დადებით თვისებებს. რაც მიცვალებულს ახასიათებდა, მოთქმაში დაახსიათებს მიცვალებულს, თუ როგორი იყო ის, რა დამსახურება მიუძლის, ვის რა გაუკეთა და მას როგორ აფასებდნ... .

მოთქმით ტირილში მნიშვნელოვანია ის, რომ როცა ერთი ხა-მაღლა, მოქმით, რეჩიტატივით ტირის და ყველა მის დადებით თვისებებს ჩამოთვლის, დანარჩენები სულგანაბულები უსმენენ და ყოველი დაბოლოების შემდეგ, ხმამაღლა ამოიკნესებენ. თითქოს მოთქმით მოტირალს ბანს აძლევენო. მოთქმით ტირილი რიგრივობით იციან, ერთი რომ დაიღლება და დაამთავრებს მოთქმას, მეორე ჭირისუფალი იწყებს და ასე შემდეგ.

გურიასა და სამეგრელოში, მიცვალებულის ახლო ნათესავი თუ შორს ცხოვრობდა, დასაფლავების დღეს სპეციალურად წაიყვანდა მომტირალთ, რომელთაც მოზარებებს უწოდებდნენ. მიცვალებულის მოთქმით დატირება აჭარაში, და საერთოდ, ვლოვის მსგავსება საქართველოს სხვა კუთხეებთან გვაფიქრებინებს, რომ მოზარები აჭარაშიც უნდა არსებულიყვნენ.

მიცვალებულის ოჯახში ყველანი ერთმანეთს შეელიან: ერთი მამაკათაგანი „ლორფინის“ ხეს თლის, ორს ან სამ კაცს საფლავის გასათხრელად გზავნიან. შესაფლავენი, ჩვეულებრივად, სამარეს ორი არშინის სიღრმეზე გათხრიან და ძირში კუბოს დასასვენებელ თარის გაუკეთებენ. კუბოს ოსტატს შეუკვეთონ.

ზემო და ქვემო აჭარაში მამაკაცების ცხედარს თაბუ თს

(კუბო) საერთოდ არ უკეთებენ. მიცვალებულ მამაკაცის აკრთაბუ-  
თოდ მარხავენ. საფლავში თუ წყალი დგება, მაშინ შეიძლება გამო-  
ნაკლისი დაუშვან და თაბუთი გაუკეთონ, ხოლო რაც შემზება  
ქალებს, ზემო და ქვემო აჭარაში მას თაბუთით მარჩიან.

მიცვალებულის შესუდრვა ხოჯას ევალება. გრიგორეს კვერცხში 45-  
მდენიმე მოხუც კაცს მოიწვევს და საფლავში ჩასატანებელ „ქეფე-  
ნის“ (ტანისამოსი) გაწყობას შეუდგება. დასაფლავების დღეს მიც-  
ვალებულს თბილი წყლით ტანს დაბანენ. ტანის ბანის დროს ტირი-  
ლი აკრძალულია, რადგან ხოჯა მიცვალებულს ყურანიდან ნაწ-  
ყვეტს, ე. წ. „იასინს“ უკითხავს.

ტანის დაბანის შემდეგ ხოჯა მოატანინებს მიტკლისაგან შეკე-  
რილ ქეფენს (სუდარა), ჯერ გააწყობენ კუბოში და შემდეგ შიგ  
მიცვალებულს ჩასვენებენ, ქეფენში შეახვევენ და მიცვალებულის  
ოთახში დასვენებენ. აქ მიცვალებულს ყველანი მოთქმით დაიტი-  
რებენ. გასვენებისას კუბოს ოთახიდან ოთხი კაცი, ოთხი ახლობელი  
გამოიტანს. მორირალ ქალებს კუბოს მოაცილებენ და შემდეგ ცხე-  
დარს ჯამეში შეასვენებენ.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურება, რაც, ალბათ, აჭარის  
გამაჰადიანების შემდეგ გავრცელდა. საჭართველოს სხვა კუთხეებ-  
ში მიცვალებული რომ სახლიდან გამოასვენებენ. მას საფლავამდე  
ქალებიც და კაცებიც მიაცილებენ, ხოლო აჭარაში ქალებს სახლის  
ეზოდან გადმოსვლა აკრძალული პქონდათ. ისინი მიცვალებულს სა-  
ფლავამდე ვერ გაძყვებოდნენ.

ცხედარს ჯამეში დასვენებენ და მამაკაცები ხოჯის ხელშილვა-  
ნელობით „ჯანაზის“ (მიცვალებული) ლოცვას შეუდგებიან.  
ლოცვის დამთავრების შემდეგ ხოჯა ე. წ. „დუას“ იზამს. ხოჯაც  
და ხალხიც ხელებს აღაბყრობენ. ხოჯა ჩამოთვლის მიცვალებულის  
დამახასიათებელ ნიშნებს, თუ რამე კინმესოთვის დაუშავებია. აპა-  
რიოს და შეუნდოს. შეავეზრებს მიცვალებული სულს, რომ ღმერთ-  
ში მას „ჯენერო“ (სამოთხე) დაუმჯებილოს. ხალხი კი ხელაბყრობი-  
ლი „ამინს“ ამბობს.

ამის შემდეგ კუბოს სასაფლაოზე წასვენებენ და იქ გამზადე-  
ბულ საფლავში ჩაუშვებენ.

ლორფინის მიწყობისას, ხოჯა მიცვალებულს ფეხის ცერთან და-  
წერილ ქალალდს ჩაუდებს. ეს ქალალი უბრალო არ გეგონოთ! ეს  
ქალალდი, ხალხის რწმენით, მიცვალებულს დახმარებას გაუწევს სა-  
იქიოში სამსჯავროს წინაშე. ხალხი გულუბრუვილოდ ეკითხებოდა  
ხოჯას: — თუ მან თავის სიცოცხლეში კითხვა არ იცოდა, როგორ-  
და უპასუხებს საიქიოში სამსჯავროს!

— იქ ისწავლისო, — ხოჯა ეტყოლდა.

სამარეს თითო მუჟა მიწას ყველა მიაფექვევს, შემდეგ რამდენიმდე და ბარით მიაყრინ მიწას, კარგად დატყეპნიან და ბოლოს ხოჯა მიეცა ვალებულის დედის სახელს მოიკითხავს, მარჯვენა მხრიდან შეძოუვალის საფლავს და გაჩერდება. დამსწრენი გაშეშდებოდა უზუანურ ბური სიჩემე ჩამოვარდება. ეს ის მომენტია, როცა შეუტმის მიცვალებულს „თელუე მი“ უნდა ჩასძახოს, საფლავში მკვდარი უნდა გამოაცოცხლოს და მიცვალებულმაც უნდა იგრძნოს, რომ ის მართლაც მკვდარია.

ხალხის ჩწმენით, როცა ხოჯა საფლავში მკვდარს „თელუემს“ — გამოსაღვიძებელს — ჩასძახებს, მაშინ მიცვალებულს ერთი წამით სული დაუბრუნდება და გამოიღვიძებს, მიცვალებული გაინძრევა, წამოიწევს, თავს ლორფინს ჰკრავს და მხოლოდ მაშინ დარწმუნდება, რომ იგი მკვდარია. ამის შემდეგ ცხედარს სული მოშორდება და ცაში გაფრინდებათ.

„თელუემის“ გათავების შემდეგ მკვდართან ორი „მელაიქი“ — ანგელოზი — მივით: „ჯებრაილი“ (გაბრიელი) და „ყეზრაილი“ (ისრაილი) და ცოდვა-მაღლის გამოიძიებენ. აი, მიცვალებულს ის ქალალდი აქ გამოადგება, რომელიც ხოჯამ მას ფეხის თითებში ჩაუდევა.

თუ მიცვალებულს მაღლი მეტი აღმოაჩნდა, ვიდრე ცოდვა, მაშინ მისი ვიწრო საფლავი გაიხსნება და „ჯენერად“ (სამოთხე) გადაიქცევა. თუ ცოდვამ დასძლია, მაშინ საფლავი ერთბაშად დაპატარად დავდება და მიცვალებულს ისე შეკუმშავს, რომ ძვალი ძვალში გაეყრება.

მაგრამ მხოლოდ დასაფლავებით კავშირი ოჯახსა და მიცვალებულს შორის არ წყდება. ხალხის ჩწმენით, ორმოცი დღის განმავლობაში მიცვალებულის სული ოჯახში ტრიალებს და მას არ შორდება ღამე, ძილში ოჯახის რომელიმე წევრს გამოეცხადება და ხანძისა და ხან იმას აკეთდრის. ამიტომ ცდილობენ, სულის ესა თუ ის მოთხოვნა ზედმიწევნით დააკმაყოფილონ.

მეორმოცე დღეს მკვდრის კირისუფალი ახლო ნათესავებსა და ხოჯას მოიწვევს, სასაფლაოზე მიღიან, მიცვალებულს მოთქმით იტირებენ. შემდეგ ოჯახში ბრუნდებიან და ქელებს გადაიხდიან.

უმთავრესად გლოვა, როგორც აჭარაში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში, ერთი წლის მანძილზე იციან. მიცვალებულს თუ დარჩა დედა, ცოლი, და ან შეიძლი, ისინი მოთელი წლის განმავლობაში გლოვობენ, გამოღიან ეზოში, დაჭდებიან და მოთქმით რიგრივობით ტირიან.

თუ გაგიცლიათ აქარის სოფლებში, თქვენ იქ. ტუბა პრის კაზა-  
ზე, ხშირად ნახვდით ლამაზ ყუთს, რომელშიაც მიმწილებული  
ნამცხვრები აღაგია. ეს უბრალო რამე არ გახდავთ, ეს მიცვა-  
ლებულთა სულის სახსენებელი არის. ზოგიერთგანუაში უზური-  
ლავშედაც აკეთებენ. თუ ივი გზის პირად არის გამოსახულებული  
ნახავს, ჰამს, პირს გაისველებს და მიცვალებულს შენდობას  
გაუგზავნისო.

აქარელი, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრები,  
უთუოდ თავისი გვარისა და სოფლის სამარხში უნდა დაიკრძალოს.  
ამიტომ, როგორც აღნიშნული გვაქვს, თუ აქარელი საღმე შორეულ  
მხარეში გარდაიცვალა, ჭირისუფალი ცველა საშუალებას მიმართავს,  
რომ მისი ნეშტი სამშობლოში გადმოასვენოს. ერთი ძელის მეტი  
რომ ვერ იპოვნონ, უკიდურეს შემთხვევაში, იმას მაინც წამოიღ-  
დენ და წესისამებრ მშობლიურ მიწას მიაბარებენ.

ამრიგად, აქარულ ტირილსა და გლოვაში სა-  
ში ეპოქის დანალექი უნდა ვეძიოთ. ტირილსა  
და გლოვაში ბევრი წარმართული დროის წეს-ჩვეულება გვაქვს. საქ-  
მაო ქრისტიანული წესებიც და, აგრეთვე, ზოგიერთ მაპმაღიანურ  
წესსაც მოჰკიდია ფეხი. ხოლო საქართველოს სხვა ტომთა შორის  
ტირილსა და გლოვაში ძირითადად გვაქვს წარმართული დროისა და  
ქრისტიანული ეპოქის წეს-ჩვეულებანი.

როგორც დავინახეთ, აქარაში მიცვალებულის დასაფლავება  
მთლიანად თითქმის ქართული წესით ხდება. მავრამ აქა-იქ. შიგა და  
შიგ ჩართულია მაპმაღიანური წესი, რაც სარწმუნოებრივ ნიადაგზე  
გავრცელებულად უნდა ვიცვლისხმოთ.

აი, რა დეტალებით განსხვავდება მიცვალებულის გასვენება აქ-  
არაში ქართული წესისაგან:

1. საფლავში ლორფინების/ჩაწყობა.

2. სუდარის ჩატმევა. აქარაში მიცვალებული რომ სიცოცხლეში  
ტანსაცმელს ატარებდა, იმას არ ჩაატანებენ, მიცვალებულის შესა-  
სუდრავად საჭიროა 16 არშინი მიტკალი.

3. დასაფლავების წინ ხოჭა მიცვალებულს ფეხის ცერთან და-  
წერილ ქალალდს ჩაუდებს.

4. ხოჭა მიცვალებულს საფლავში „თელყემს“ (გამოსალვიძე-  
ბელს) ჩასძახებს.

5. ქალები სასაფლაომდე მიცვალებულს ვერ მიაცილებონენ,  
ეკრძალებოდათ.

6. მიცვალებულს გამოსვენების ხანს და გზაშიც ფეხები წინ

უნდა ჰქონდეს და თავი უკან; აგრეთვე საფლავშიაც ფასტები წინ,  
ქაბისაკენ უნდა ჰქონდეს და თავი ჩრდილოეთისაკენ.

7. აჭარაში მამაკაცს კუბოს არ უკეთებდნენ.

8. „ხორთლალი“ და სხვ.

უკელაშე მეაღიო ვამსახლება ქრისტიანულ სტუდენტები რიტუალის დანართების შერწყმისა „სამხთოში“ გვაქვს.

ადამიანისა და ოჯახის კეთილდღეობის მიზნით რომ ოჯახი და  
ადამიანი დაცული იქნას ბოროტებისაგან, აჭარლები „სამხთოს“  
იხდიან. „სამხთო“ მიღებულია საღმერთოსაგან.

დედაქემის გადმოცემით, სამხთოს ასე იხლიან აჭარაში: „ერთი  
მოსახლისას ბევრი რომ მოკვდება, პალანაი არ შერჩება, მაშინ სამხ-  
თოს იქმენ. იყიდიან ცხვარს ან თხას, მეიყვანებენ ხოჯას და ლდელს.  
იგინმა ი ცხვარი უნდა დაკლას. დაპაიხებენ შვიდ წვერიან კაცს.  
იმ ცხვარს მოხარშავენ მთლად დიდ კარდალში. მერე ბილს შართუ-  
შენ! ვინც იმ ოჯახის წევრია, ან გათხოვილი ქალი, ან გაყოფილი  
ვაჟი, უკელას მეიყვანებენ. უკელა ერთად მეიყრის თავს. გააკეთე-  
ბენ კიდევ სხვადასხვა საჭმელებს. იმ ბილ ხორცს და საჭმელებს ჰა-  
მენ. ბილი ხორცი მარტო ხოჯას, ლდელს, დაპაიხებულ წვერიან კა-  
ცებს და რძალს ეცმევა, სხვას არა, თუ გინდა გაყოფილი იყონ  
ცალკე.

როცა საჭმლის ჭამას გაათავებენ, მთელ ძვალსა და მის ნაწი-  
ლებს მიტკალში შახოვენ და შეხოულს დადებენ. გარშემო შამუას-  
ხდებიან: ხოჯა, ლდელი, და მისი წევრებიც, ვინც დაპაიხებული  
არიან. ხოჯა გერ კითხულობს, ლუას შრება. — ლმერთს ეხვეწება.  
წვერიანი კაცები და სხვა ვინც აქ არის, მინს ამბობს, რომ ნაბეჭ-  
ვარი, ნაფიცარი ან გადაცემული არ იყოს ეს ოჯახიო. მემრე ლდელი  
დეიწყებს კითხვას მისებურა, იგიც ლმერთს ეხვეწება: დეიხსენი,  
ლმერთო, ეს ოჯახი ნაფიცარიდან, ნაწყევარიდან, რაზედაც იყო  
გადაცემული, გაბრიელ საბრალოს გადანაცემარიდან.

მემრე მიტკალში შეხოვილ ძვლებს მეზელულზე წეილებენ. მო-  
თხრიან მიწას და ჩადებენ შით, დამარხავენ. შეიხვეწებიან ლმერთს,  
რომ, ლმერთო, იმ ოჯახში სიკტილიდან ნულარ ავნებ ნურაფერსო“.

სამხთოში მნიშვნელოვანი ის არის, რომ ადამიანის მავიერ  
ცხოველს, უფრო სწორად, მის ძვლებს მარხავენ, რაც მთავარია,  
რბილს (უძვლო ხორცს) მარტო ხოჯა, ლდელი, მოპატიუებული

1 ბილ ხორცს შეარმშევენ. ჩვდ.

მოხუცები და რძალი კამს, ე. ი. სხვა გვარის წევრი. მაგრა კამა ექტალებათ ამ ოჯახის წევრებს, გარკვეულ გვარს. აქ ზაღაცი ტატს ძაგვარი რიტუალი გვაქვს და შორეულ წარსულში გვაროვნებლ წყობაში გადაყვევართ.

ძველად საღმრთოს შესრულება აღამიანის მომავალი დროის ფირზე და მის მიზანზე დაგრძელებული. ბატონის მურ საქართველოში ტყვევის ძორაცება და მათი ოსმალეთ-სპარსეთში გაყიდვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამას მებატონებიც ხელს უწყობდნენ, რაღანაც ეს მათოვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ აღამიანის მოტაცება მისი მახლობელის დაუხმარებლად მეტად ძნელი იყო. ამიტომ ხშირად ტყვის მოტაცებაში მონაწილეობას ღებულობდა ვინმე მოსუიდული ნათესავი, რომელიც ამ საქმეს მოხერხებულად აწყობდა.

ამ საწესჩევულებო რიტუალში ნიშანდობლივი და ხაზგასასმელი ის არის, რომ იგი აქარაში სრულდებოდა გურიის მოსაზღვრე სოფლებში, სადაც ტყვეთა მოტაცება და ხალხის გამწარება ხშირად ხდებოდა.

ტყვეთა მტაცებლებს და ხელის შემწყობთ მოტაცებულის მშობლები წყველიდნენ და ხალხის რწმენით, ვინც ასეთ შემთხვევის გამო დაწყევლილია, მის ოჯახს სიკედილი არ მოშორდებათ.

აქარაში იცოდნენ ცრუ ფიციცი: თითქოს ხალხს და ღმერთსაც ატყუებდნენ, მაგრამ მორწმუნე კაცი თვითონ ხომ დაჯერებული იყო, რომ მან ეს ბოროტება ჩაიდინა.

ყოფილა ერთი ძლიერი, თავშეხელალებული კაცი, რომელიც, თურმე, მალულად ტყვეებს იტაცებდა. შეუტყვეს ეს და ამნილეს, მაგრამ იგი უარყოფდა. საჭარო ფიცი მოსთხოვეს.

მას, თურმე, სახლში გაეცებული აქვს აკვანი; სანამ დასაფიცებლად წავიდოდა, ეს კაცი დილით აკვანში ჩაწერა და გადმოვარდა. შემდევ აღგა, წავიდა ჭამეში, დააღგა ყურანს ხელი და დაიფიცა: „რაც აკვნიდან გადმოვვარდი, მას შემდევ მე თუ ტყვე მომერაცებინოს, ღმერთმა მომსპოსოს“.

მას დაუჭერეს: მაშინ ისიც დამშვიდებული წავიდა, მაგრამ შემდევ მის ოჯახის რომ უბედურება ეწვია, იმას მიაწერა, რომ მე ღმერთიც და კაციც მოვატყუეო.

ამიტომ დამნაშავე პირი, ოჯახი რომ სიკედილიანობისაგან დაიხსნას, მოიწევევს ხოჯას, მღვდელს, სხვა გვარის შვიდ წვერიან კაცს და სალვოს გადაიხდის. დაკლავს ცხვარს და აღამიანის მაგიერ მის ძელებს დამარხავენ მიწაში.

ქრისტიანული საწესჩვეულებო რიტუალები, როგორიცაც „შობა“ — 25 დღემბერს, „ნათლილება“ — 6 იანვარს, „ორთის-შშობლობა“, „წითელი პარასკევი“, „გიორგობა“, „აღმატების წელი“ სხვა. შეიძლება ითქვას, აქარამ ნაშთის სახით შემოგების დამსაქმნელი ეპისტოლის გალითად, დაახლოებით 40-45 წლის წინათ, ბებიაჩემი მოხარშავდა კვერცხებს, წითლად შეღებავდა და ბავშვებს დაგვირიგებდა. ეს ხომ ქრისტიანული საწესჩვეულებო რიტუალის გადმონაშთია!

ახლა, როცა აქარელი რაიმე კარგს შეხვდება, თვალი არ ეცესო, ან რომ დაიცვას ბოროტი სულებისაგან, იგი არაბულ დალოცვასთან გრძად, ქართულადაც დალოცავს: „მაშალა სუბხანელლა“ — „ჯვარი სწერია“, „ჯვარი აქაურობას“.

ბავშვი რომ დაიბადება, პირველად ნახვამდე, მიღიან ბუხართან, გადმოიღებენ მუგზავლის, ზედ „წიევლებიან“, რომ ამით დასწევან ბოროტი სულები, შემდეგ მიღიან ბავშვთან და ამბობენ: „მაშალა სუბხანელლა“ — „ჯვარი სწერია“, „ჯვარი აქაურობასო“.

რაც შეეხება მაჰმადიანურ საწესჩვეულებო რიტუალებს, რომლებსაც აქარლები ასრულებდნენ, აქარაში დამკვიდრდა მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების შემდეგ. ასეთებია: „მევლუდი“, „რამაზანი“, „ფითრე ბაირამი“, „ყურბან ბაირამი“, „აშურა“ და სხვ. თუმცა „აშურა“ შეიძლება წარმართული დროის რიტუალს მივაკუვნოთ.

ქრისტიანული ხანისა და მაჰმადიანური პერიოდის საწესჩვეულებო რიტუალები აქარაში მტკიცე აღარ არის. წარმართული დროის საწესჩვეულებო რიტუალსა და მასთან დაკავშირებულ სიტყვიერების ხალხში უფრო მეტი გამძლეობა გამოიიჩნია.

#### დაშატება

### სიმღერების ერთი კრიბულის შესახებ

გამოქვეყნდა ვლადიმერ ახობაძის საერთოდ სასარგებლო წიგნი „ქართული აჭარული სიმღერები“ (ბათუმი, 1961), მაგრამ, სამწუხაროდ, მასში ყველაფერი რიგზე და ზუსტი არაა. საქაშისათვის აჭობებდა, რომ ვეტორს ნაშრომი წინასწარ გაეცნო მათვეს, რომლებიც მასში შესული მასალების შეგროვების. ასე თუ ისე, მონაწილენი იყვნენ და ზოგიერთი დასკვნაც პქონდათ გაკეთებული.

გავრცელოთ რამდენიმე ფაქტი.

1958 წლის ივლისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბერშა საქართველოს რეპიბლიკას ჩატარდა.

შემდეგი მაჩვენებელი

დალის თო საათი იქნებოდა. ხულოს სახტებით წინ გამაცხეს ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პედაგოგი მუსიკისტი ვლადიმერ ხობაძე, მან უკვირ, თუ არა წემი გვარი, მითხრა: კონსერვატორიიდან ვარ ზოვლინებული აქარაში სამღერის ჩასაშერად. სტუდენტებიც მახლავანო (ზოგი კიდეც ვამაცნო); პირველად ჩამოვედი ქობულეთში, ციხისძირში თქვენი სახლიყაცი — ამედ ნოღაიდელი ვნახე, ლამე მასთან გავათივ და მისგან რამდენიმე ახალი სიმღერაც ჩავიწირეთ. ვიყავი ბათუმის რაიონში, ჭედის, შეუახვის და აწლა ხულოს რაიონში ჩამოვედოთო. საერთოდ, აქარლები სიმღერებს გულისხმიერებით არ უკიდებიან, სახარბიელო ვერაფერი ჩავიწერეთო...

მე ვლ. ახობაძეს დამარტება აღვუთქვა და ამასთანავე ვაცნობზე ოთხემიანი ნადურების შემსრულებელთა გუნდის არსებობის შესახებ ქობულეთის რაიონში და ოთხემიანობის შესახებ ჩემს ნაწერებზეც მიღუთით. ა. პირველად აქ გაიგო ვლ. ახობაძემ ამ ფაქტის შესახებ და ძალიანაც დაინტერესდა.

შეტყვა კი ვლ. ახობაძე თავის წიგნის შესავალში წერს: „ოთხემიანი სიცოდურა „ნადური“ გურიაში განთქმულ ლოტბარს ვარღამ სიმონაშვილს გუნდის შესრულებით ჰერ კიდევ აღტე ჩატარებილი აღმოჩნდა პატეფონის ფრინფიტაზე. მასში, ოთხემიანობა გარკვეული ექიმი მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აქარაში მივაკვლიერ განკუთრებული ტრიპის ოთხემიან ნადურ სიმღერებს“ (გვ. 10).

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და პირადად ჩვენ შეთანხმებული ვიყავით ინსტიტუტის კონსულტანტ პროფ. გრიგორ ჩხიფვაძესთან, რომ ის დაგვეხმარებოდა საერთოდ აქარული მუსიკოლური ფოლკლორის შეკრებასა და შესწავლაში, კერძოდ — ოთხემიანი ნადურების ჩატარებასა და გამოყვლევაში. მაგრამ პროფ. გრ. ჩხიფვაძე 1958 წლის ივლისში დაკავებული აღმოჩნდა ექსპედიციაში კონსერვატორიის ხაზით. მის გამო ჩვენმა ინსტიტუტმა ფოლკლორის განყოფილების თანამშრომელი ალ. მსხალაძე მიავლინა მასთან სათახალო ინსტრუქციებისათვის გუნდთან წინასწარი მუშაობის ჩატარებლად. თვითონ გრ. ჩხიფვაძე კი შეგვპირდა, აგვისტოში ჩატარებლად.

1 ქ. წოლაიდული, აქარის ხალხური სიტყვერება, წ. 11, 1940, გვ. 111 და ივ. ჯვარიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის საერთოშენი, თბ., 1938, გვ. 80-81.

შოვიდოდა და ჩეენთან ერთად ჩაიწერდა ამ გუნდის რეპულტანს /  
ამის შემდეგ ხულოში შევცვდით მუსიკის მულენე ვლ. ახობაძე:  
მიზანშეწონილად ვცანით ინსტიტუტთან შეთანხმებით ზასთამ ერ-  
თად გვემუშავნა და დაგვეწყო ამ სიმღერების ჩაწერას და მიმდინარე ვა  
პირობების გაძმ, ჩეენ თხუთმეტი დღით გამოვეთიშებ მისაკვამებ მეტე

მიუხედავად ზემოაღნიშნული შეთანხმებისა, ვლ. ახობაძე არ  
გაუწია ანგარიში არც ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს,  
არც ჩეენ, ისარგებლა მომენტით და შექრიბა ჩეენი ინიციატივით  
შომზადებული ოთხმიანი ნადური სიმღერები და პრიორიტეტიც მი-  
იწერა!

კრებულის შესავალ წერილში ვლ. ახობაძეს ისიც კი არ პქონდა  
აღნიშნული, თუ ვინ მიაქცია ყურადღება ოთხმიანი ნადურების  
არსებობაზე და ვინ გამოთქვა პირველად აზრი ამ ოთხმიანობის თა-  
ვისებურებების შესახებ.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრებულის შესავალ წერილს გაე-  
ცხო გამომცემლობა და ინსტიტუტი და ეტორს მიუთითეს, აღხი-  
შნა ეს ფაქტი, ვლ. ახობაძე იძულებული გახდა, სიმართლე ეღიარე-  
ბინა.

რაც შეეხება ვლ. ახობაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს  
აჭარული ოთხმიანი ნადური სიმღერების შესახებ, არც აქ არის  
უალაფერი რიგზე.

ვლ. ახობაძე არაა მართალი, როცა ნადური სიმღერის ხმებში  
„მომახასიათებლი“ შეაქვს.

ნადური სიმღერების ხმებია: გამყივანე (წერილის მთქმე-  
ლი), მთქმელი (მომღერალი, დამწყები), შემხმობარი  
და ბანი (მობანე — ბანის მთქმელი).

ვინც ლექსით სიმღერას იწყებს, მას მომღერალი, დამ-  
წყები ან მთქმელი ეწოდება. ვინც წვრილი ხმით, უტექს-  
ტოდ, მაღალ ტონებში მღერის, მას გამყივანეს ეძახან. ვინც  
შაღალი ბანით უხმობს, მას შემხმობარი ეწოდება, ხოლო  
დაბალ ტონებში მომღერალს ბანი ჰქვია.

რაც შეეხება „მომახასიათებლი“, იგი სხვა ციკლის სიმღერებში,  
საზოგადოდ დამწყებს ნიშნავს. მაგალითად, როცა ამბობენ მაყ-  
რულს მოუძახეო, ეს ნიშნავს მაყრული დაიწყეო, — იწყებს III  
ხმა, — ბანი. როცა ამბობენ, ხელხავს მოუძახეო, იწყებს პირველი  
ხმა — წვრილი; როცა ამბობენ შვიდაცას, ხასანდეგურას მოუძა-  
ხეო, — იწყებს მეორე ხმა. მაგრამ ნადურ (ყანურ) სიმღე-  
რებში მომახასიათებლი არა გვყავს. ნადურ სიმღერებში  
მის მაგიერია მთქმელი, დამწყები, მომღერალი.

ვლ. ახობაძე წერს: „ზემოდასახელებულმა მომლერალთა / გრუზ-  
ა შესარულეს (!) ნადური სიმღერების ციკლის მხოლოდ ნაწილი. სა-  
ხელდობრ: „მშვიდობა“, „ვაი თუ დილას კურდელმა“, „მთა ხო-  
ხობი აფრენილა“, „საჯავახურაი“ (მარშანდელსა ნაკარგებელი უკუ-  
თრი ქორი ვანდარჩე“, „ყარანაი“, „გორდელაი“ შემოქმედებული ჩამო-  
ნაბერი“. რაც შეეხება სხვა ნადურ სიმღერებს, რომლებიც მათ ერთ  
მთლიან ციკლში აქვთ გაერთიანებული, გადაღლილობისა თუ სხვა  
მიხეზების გამო ვერ იქნა შესრულებული“ (გვ. 9).

აქ ვლ. ახობაძე ნადური სიმღერების მიმართ აშკარად ცდება.  
ჩვენ ვფიქრობდით, რომ რადგან ამ საქმეს მუსიკისმცოდნებ მოჰ-  
კიდა ხელი, უთუოდ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და ნადურებს (ხალ-  
ხური შემოქმედების ამ მდიდარ განძს) საფუძვლიანად შეისწავლის  
და შრომის სიმღერების ამ ციკლს მომავალ თაობას გადაურჩენს-  
თქმ, მაგრამ სინამდვილეში აი, რა მოხდა:

ვლ. ახობაძემ ზერელედ შეისწავლა ცხრა სიმღერა. შეუსწავ-  
ლელი დატოვა ოცდასამამდე ნადური სიმღერა და, ამის გამო არა-  
სწორად წერს: „ამასთანავე აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი სიმღერა  
მხოლოდ ტექსტით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თორებ სიმღერა  
ერთი და იგივეაო“ (გვ. 9).

დაუჭრებელია, რომ გამოცდილ მომღერლებს მისთვის ასეთი  
მცდარი ცნობა მიეწოდებინათ, რადგან, მართლაც რიგ სიმღერებს  
შორის მსგავსება არსებობს, მაგრამ არ არის ზუსტი დამოხვევა: ეს-  
სიმღერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათვის დამახასიათე-  
ბელი მხარეებით, და სწორედ ეს არის მკალევარის მიერ შესასწავ-  
ლი და დასაღვენი და არა მომღერლების მიერ მოწოდებული ცნო-  
ბის შეუმოწმებლად განმეორება.

ამას ადასტურებს ამეამად ბათუმში მცხოვრები ესედ ოსმანის  
ძე მესხიძე; ამასვე გვიმოწმებს სოფელ ხუცბანში მცხოვრები, კო-  
ლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე შემხმბარი ხუსეინ ჩიგა-  
ვაძე. იგი ამბობს, რომ ერთ დღეს, დღი ნადგე 32 სხვადასხვა სიმ-  
ღერას შევუხმეო. ჩვენც ვამბობთ, რომ მიუხედავად ზოგიერთი  
მსგავსებისა, არსებობს თავისთავადი სამი ათეული ნადური სიმღე-  
რა!

კიდევ უფრო საკეირველია, რომ ვლ. ახობაძე შეუმოწმებლად  
იმეორებს მომღერლების ნათქვამს, თითქოს „ქალი ვიყავ აზნაური“,

1 ზოგს ედპევება ზუსტი რიცხვი — 30, მაგრამ გერგერიძით სწორედ ისეთ  
სიმღერათა 30 ტექსტია ალიცეკული და გმირებულებული წიგნში: „... ინაშვილი,  
გ. ხოლოალელი, გ. ჩიკვაძე, გასალები აქარული მუსიკალური ფორმის იდეა, თბ., 1961, რედ.

„მთას ირემი დაწოლილა“, „გავიხედე სერჩედაო“, იგივეა რაც „თუ თრი ქორი“; თითქოს ასევე ერთი და იგივეა „მუხა წოწინდა“ და „შშვილობა!“

### ურმილული

არა, ეს სხვადასხვა სიმღერებია.

მეცნიერის მოვალეობაა, თვითონ უშუალოდ შეამტკიცებული მეცნიერის მასალა და საკითხი გააშუქოს. ვლ. ახობაძემ კი, სიჩქარის გაშო, ნაღური სიმღერების მხოლოდ ნაწილი ჩაიწერა იმ დროს, როდესაც ნადურების ციკლში, გარდა მის მიერ ჩაწერილისა, შედის: „მურმანი“, „შავი შაშვი“, „სასალილო“, „მთასირები დაწოლილა“, „ვაი თუ მუხა წოწინდაო“, „ვაი თუ იელი იელობდაო“, „ბებურს ხიდსა ვაკეთებდი“, „წერეთიე“ (ქალო შავო, შავითაო), „ლელაი“, „ღუპაი“, „ლორჯო ირებს გაჟკიდია“, „ნიაბავრულაი“, „ფარჯანულაი“, „გველი ხრილსა მიძვრებთდა“, რომელთაგან ზოგიერთს თვითონაც კი ასახელებს!

აღვნიშვნეთ, რომ დღეში შეიძლებოდა შესრულებულიყო სამი ათეული ნაღური სიმღერა. ამით ნადი არა მარტო შრომის ნაყოფიერებას ზრდიდა, არამედ ეს სანახაობისა და გასართობის საგანსაც წარმოადგენდა. ნადს ხშირად ესწრებოდნენ ნადის არამნაწილენიც. — სიმღერის მოტრიფიალენი. ნაღში ხდებოდა შეგიბრება, „ვაღაკილება“ ხმასა და ცოლნაში: მთქმელი მთქმელს გადაეკიდებოდა, გამყივანე, გამყივანეს, შემხმობარი — შემხმობარს. ბანი ბანს და სიმღერა უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდა.

დილიდან მოყოლებული სალაშომდე მომღერლები ერთმანეთს ეჯიბრებოლნენ სიმღერის ცოდნაში, ხოლო სალაშოს, შრომის დამთავრებისას, ერთმანეთს შეეჯიბრებოლნენ — „გადაეკიდებოლნენ“ ხოლმე, ხმაში, ხმით დაძლევაში.

დილიდანვე იწყებოდა სიმღერა ყაჩაში. სიმღერას იწყებდა ერთი ჯგუფი. ის რომ დაამთავრებდა, მომღერალთა მეორე ჯგუფი სხვა სიმღერას „აიყვან და“. შემდეგ — მესამე და ასე მომღინარეობდა ყანაში ნაღური სიმღერების შესრულება. ასეთი ნადი ჩვენც გვინახავს და მონაწილეც კურთხულვართ მასში. ასე, რომ სამი ათეული ნაღური სიმღერა გვაქვს ქობულეთის მხარეში.

ჩვენ აღრევეც, მაგრამ სისტემატურად 1958 წლიდან მოყოლებული, ემუშაობდით ნაღური სიმღერების ბიქსტების შეკრებასა და დადგენაზე. შევკრიბეთ კიდეც.

1958 წელს, როგორც კი გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და შე

ფოლკლორის განყოფილების გამგის მოვალეობის შემთხვევაში და დამნიშნეს, ჩემი პირველი წინადადება იყო შრომის ლიტერატურულად და სიმღერების შესწავლა აქარაში.

1958 წლის მარტიდან ჩევნ შევუდექით ქართველი რეგიონში ნადური სიმღერების შესწავლა-დამუშავებას. ჩავიწერეთ ცეკვები, დავძებნეთ სოფლებში ნადურის მცოდნენი, ჩამოვაყალიბეთ ნადური სიმღერების მომღერალთა გუნდი, ინსტიტუტმა თბილისიდან მოიწვია მუსიკის მცოდნე პროფ. გრიგოლ ჩხივაძე და შევუდექით საქმეს. შემდეგ, ერთი შეფერხების გამო, ეს ამბავი თავის სასარგებლოდ გამოიყენა ვლ. ახობაძემ და იელისში რამდენიმე ნადური სიმღერა ჩაიწერა.

ვლ. ახობაძე ცდება, როცა ამბობს: „სიმღერა და შრომა მომძახელის თოხის დარტყმით იწყებოდათ“. ეს არ არის სავალდებულო.

არც ეს არის სწორი, თითქოს, „თუ ხალხი საჯავახურას გაიგონებდა, მიხვდებოდა, რომ სადილობის დრო იყო (ამას კი ვლ. ახობაძე ხასან როყვას მიაწერს). ეს დაუკვრებელია, რადგნაც სადილობის მოახლოებისას „საჯავახურას“ კი არ მღერიან, არამედ სასადილოს — „მთას ხოხობი აფრენილა“.

ჩევნ მიერ შეგროვებულია აქარული ნადური სიმღერების 19 ტექსტით, — აცხადებს ვლ. ახობაძე. სინამდვილეში კი ეს ტექსტები აღრევე ჩევნ შეკვრიბეთ სხვადასხვა სოფლებში: ჭახაში, კოხში, სოფ. ჭობულეთში, ხუცუბანში, მუხაესტატეში, ალამბარში, წყავროკაში, ლელვაში, ქაქუთში, აკევისთავში და სხვაგან, ბეჭდეთ გვამრავლეთ და ქამიდ ტაჟიძის ხელით გუნდის წევრებს დავურიგეთ; ეს სიმღერებიც მათგან გადაიწერა ვლ. ახობაძემ, მას სხვადასხვა სოფლებში არ უმუშავნია, იყო მხოლოდ ლელვაში.

## სამუსიკო საქრავები

სამუსიკო საქრავებიდან აქარაში გავრცელებულია გუდასტვირი, ანუ „გუდის კიბონი“. კიბონი ჭობულეთში, ჩევლებრივ, უგუდოა, ზემო აქარაში კი — გუდიანი, მაგრამ გუდასტვირი მარტი აქარული საქრავი როდია. მას აქარის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც შეხვდებით: რაჭაში, ქართლსა და ფშავში. ასე, რომ „გუდასტვირი“, რომელსაც ზოგჯერ „საზანდარს“ უწოდებენ, და „გუდისკიბონი“, საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. ისინი ერთისა და იმავე საქრავის ნაირსახეობას წარმოადგენენ.

აქარის მოსაზღვრე გურიაში ჩანგური. ანუ ჩოხგურის დალებული. აქარაში ჩანგური გურიიდან უნდა იყოს შეკუთრივ შეიძლება იყოს და ვლი და კიბონი; ეს უკანასკრელის ჩანგური ვისებურ სახეობას წარმოადგენს.

დავლი და კიბონი ძირითადად გავრცელებულია აქარის ბარის მოსაზღვრობაში, ახლანდელ ჩაქვის რაიონში. დავლი, ჩვეულებრივ, ღიღი ზომის დოლია.

რაც შეეხება კიბონს, მის შესახებ შემდეგი ითქმის: თეითონ ჭიბონი როგორი იმსტრუმენტი როდია. მაგრამ მასზე დაკრა ყველას არ შეუძლია. გულისჭიბონზე დაკრა გაცილებით აღვილია. ვინემ ჭიბონზე, ვინაიდან გუდაში დაგროვილი ჰაერი დამკვრელს სიშუალებას აძლევს თავისუფლად ისუნთქოს და დაკრაც განუწყვეტლავ მიმდინარეობს. ჭიბონის დამკვრელი ჰაერს პირში აუზებს. მას შეუძლია მოვლი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ აწარმოოს დაკრა და აგრეთვე ცხვირით ისუნთქოს. ასე, რომ ჭიბონზე დამკვრელი, ერთსა და იმავე დროს, პირიდან უბრავს და ცხვირიდან სუნთქვას, რაც ძნელია. ამიტომ არის რომ ჭიბონზე დაკრას ყველას არ შეუძლია. თუ გუდისჭიბონზე დაკრას გუდა არეგულირებს, ჭიბონის დაკრას გუდის მოვალეობას პირის ლრუ ასრულებს.

ვლ. ახობაძეს თავის ნაშრომში წარმოდგენილი აქვს აქარაში გავრცელებული საქრავები და ასახელებს ჭიბონს, ჩონგურს და დოლს. ღოლი ზოგადი ქართული მოვლენაა: აქარაში მას და ვლი ეწოდება. რაც შეეხება ჭიბონს. ვლ. ახობაძე გულისხმობს გუდისჭიბონს, ხოლო საკუთრივ ჭიბონი (ზურნა) მას არსად არა აქვს ხსენებული.

ერთი დეტალი ჩანგურთან დაკავშირებით: აქარაში ექსპედიციების დროს, უმთავრესად მოხუცთა მეტყველებაში აქა-იქ, „ჩანგურის“ მაგიტ გაგვიგონია „ჩხონგური“...

ჩვენი დასკვნა ასეთია:

ვლ. ახობაძემ თავის აღმოჩენად გამოიცხადა ის, რაც 30 წლის წინათ იყო აღმოჩენილი.

ვლ. ახობაძემ ჩაიწერა მხოლოდ 9, ნადური: „საგავახურაა“, „ცელაზურაა“, „ბერივაცი ჩაჩნაბერა“, „ვაი, თუ დილას კურდლელმაო“, „ყარანაა“, „მთას ხოხობი აფრენილა“, „ჩიორაა“, „ქალივიყავ აზნაური“ და „გორდელაა“.

დატვა შეუსწავლელი: „მოვიდოდა მშვიდობაო“,



2000.



ଏହିଦି ପ୍ରସରିତ ଧର୍ମବିଦୀ ରୂପ ନିରାଳେ।

„გურმანი“, „შევი შეშევი ჩიოდაო“, „ვარ თუ ლი ელობდაო“, „მთას იტემი ღიროლის ბურს ხიდსა ვაკეთებდაო“, „ქორი თეთრი დარჩეო“, „ალვის ხეი მოხეთეილა“, „კრისტენის რომ დამიტერეს“, „ავთანდილ გამირზე მომკეც კურდლელმა თქვა: ჩირგვში ვზივაო“, „ვარ შეხა წოშინაო“, „ქალო შევოთაო“, „გვარ ლი ხრილსა მიძერებოდა“...

ზოგი ნადური სიმღერის სახელწოდება ვიცით, ზოგის ტექსტები გვეძეს, მაგრამ მათი პანგები აღარ ვიცით. საჭიროა ენერგიული დავექმნოთ ხალხი, ვინც ეს სიმღერები იცის და მით მომალი თაობას ეს ნადური სიმღერებიც გადაუტინოთ. ასეთებია: „ლილა“, „ლუპი“, „აურუკვითოლა“, „ღორგო ირებს გამგედია“, „კლამა თუ მელამიო“ და სხვა.

ვლ. ახობაძის წიგნში მოყვანილი თანამდებროვე სიმღერების უმრავლესობა მდგრად სისიცოცხა და არა გავრცელებული. რაც შეეხება ამ ტექსტებს აუბრუ მცირეს, პანგი, მრის აკარგიანობას შესახებ აზრი, აურ შესეყისძლებენ გამოიწვან.

ამ ათობლე წლის წინათ ლოტბარმა ნესტორ ჯიბლაძემ ქადაში გუნდს შეასწორდა გურგალი ხამღერა მისი დავს გალა ლი შესა. ვლ. ათობაძემ ეს სიმღერაც აუბრულ სიმღერად გამოიცხადა! მან ავავთევ ხილვერები მშვანეობა და უძრავოსა“ და „ჩაგუნა“ აუბრულდ ჩატვალა გარდა ამისა, რატომდაც, თანამდებროვე სიმღერა „კა დილა“. ათობაძემ ჩაისა და ციტრუსების კულტურას უმღერიან. ვ. ახობაძეს საისტორიო-საგმორო ცაკლის სიმღერებში შეუტანის:

დაბარულ, ისიც უნდა ითქვას, რომ ვ. ახობაძეს სიმღერების უშრავლესობა სწორია არა იქნა დასათავრებული. ასე მაგალითად:

უნდა იყოს:

- |  |           |
|--|-----------|
| 1. ღუპაი   | დღუპაი.   |
| 2. მოვილოდა მშერდობაო  | მშერდობა. |
| 3. ვაი, თუ დილას კურდგელმაო ვაი, თუ დილას კურდლელმა            |           |
| 4. წერეთიე   | წერეთიე.  |
| 5. გველი ხილსა მიძერებოდა გველი ხერულსა მიძერებოდა.            |           |
| 6. ვაი, თუ მეხა წოწინაო მეხა წოწინა და სხვა.                   |           |
| სიმღერების ჩაწერისა და დამუშავების დროს აჩქარება დაუშენებელია. |           |

ვურქობობთ. რომ უძველესე ამის გათვალისწინება სასარტყო  
ექნება ვლ. ახობაძის წიგნის გამოშეცემებისა და კულტურული  
ლერების შემსწავლელთათვის.



საქართველო  
შემსწავლელთა

## აპარას წარსულიზაცია

ფიჭური

„საბოლოო სელოენების“ გასტრი წლის მე-9 ნოემბრში გამოქვეყნებულია მიხეილ კადელიძის პატარა წერილი — „უძველესი შატერიალური კულტურის ერთო ნიმუში“.

წერილში, სხვათა შორის, ნათელადმია: „ქართველები ხალხში, განსაკუთრებით მთის მცხოვრებლებმა, შემონახეს გეარმონიული წყობილების დროინდელი სუფრა, რომელიც ჩვენს დრომდე ხმარებაში იყო“.

ამ სუფრის დამზადების პროცესი საქმიანდ ჩოტული ყოფილი და კოლექტურ შრომას მოითხოვდა. მას წნავალენ იმ ხეების ჭოხებისაგან, რომელთაც მღრღნელი არ უჩნდებათ და მაგრა, გამძლე მასალას წარმოადგენენ. ევე დასახელებულია ეს მავარი ჯიშის ხეები: ბზა, შინდა, შინდატალა, ურძენა, კოწახური, ვრაჟლა, უცველა... ერთი სიტყვით, როგორც რკვევა, აღმოსავლეთ საქართველოში სუფრა რომელიმე ხის წერელისაგან იწყებოდა.

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში წნევლის სუფრა ფორმით ოთხკუთხედი ყოფილა. ევე უხდა შევნიშნოთ, რომ გურიაშიც ოთხკუთხა სუფრა მზადდებოდა, მაგრამ ერთი მთლიანი ფიცირისაგან და ოთხი ფეხი პქონდა.

ამეამად მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩირო აქარაში სუფრის, ანუ ე. წ. ფეხშეუმის დამზადების წესშე.

თუ აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად მთის მოსახლეობაში წნევლით ნაქსოვი, ოთხკუთხედი სუფრა გხვდება და ჩვენს მეზობელ გურაშიც ოთხკუთხედ სუფრას ამზადებდნენ ერთი მთლიანი ფიცირისაგან, აქარული სუფრა, ანუ იგივე ფეხშეუმი. მრგვალი ფორმისაა, ისეთი, როგორი ფორმაც თვითონ ხის ტანს აქვს სისქეში.

სუფრის დამზადების ეს ფორმა აქარაში დღემდე შემონახულა, მართალია, მაგიდამ ძველი ფეხშეუმი თანადანობით შეცვალა, მაგრამ შინაურობაში საღილ-ეახშამს ბევრგან ახლაც ფეხშეუმშე მიირთმევენ.

ფეხშეუმის დასამზადებლად ჭველა ხე არ გამოდგება. ძირითა-

დად ფეშეუმს წაბლის, ცაცხვის, წითლის მასალისაგან ამზადებდნენ. როგორც ცნობილია, წითელი მსხვილი იზრდება და სუკრას დიდი გამოღის. პირადად მინახავს სისქეში გამოთლილი წითლის სუფრა, რომლის გარშემო 12 კაცი მოთავსებულა. შესრუცეული

აქარაში სუფრას ფიტჩების მომრგვალებით შემცირდებოდა, მაგრამ იგი მაღლე ფუჭდებოდა. ხის სისქეში გამოთლილი სუფრა კი თაობიდან თაობის ხელში გადადიოდა, დიდხანს ძლებდა.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ტომებიდან გურულები და აქარლები ერთმანეთთან ძლიერ ახლოს არიან, სუფრის დამზადება და გაფორმება მათ სხვადასხვანირად იყრან. აქარლ სუფრას ფეშეუმი, ალბათ, იმიტომ ეწოდება, რომ მას შრგვალი ფორმა აქვს. ვფიქრობ, ტერმინი „ფეშეუმი“ ქრისტიანობის გაერცელების შემდეგ გადავიდა ეკლესიაში.

სულხან საბა-ორბელიანის განმარტებით, სუფრა სპარსთა ენაა. ქართველად ტაბლა ჰქონდა, ფეშეუმის თაობაზე კი სულხან-საბა ორბელიანი ასეთ განმარტებას იძლევა: ფეშეუმი — თევზი.

როგორც ჩანს, სანამ ქართველები სპარსეთიდან სიტყვა „სუფრას“ შეითვისებდნენ, ოღონსავლეთ საქართველოში ტაბლა ყოფილა გავრცელებული, ხოლო დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ „ფეშეუმი“ ეკლესიაში გადავიდა და სამოქალაქო ურთიერთობაში მისი აღვალი „სუფრამ“ დაიკავა.

იქარულმა ყოფამ კი ორივე სიტყვა შემოგვინახა — ფეშეუმიც და სუფრაც. ფეშეუმი ისეთივე ფორმისაა, როგორც გობი, ვანისხვავება იმაშია, რომ გობი ამოღრმავებულია, ხოლო ფეშეუმი გლუვი ფორმისაა.

ფეშეუმი, ისევე როგორც გობი, გვაროვნელი წყობილებიდან უხდა იყოს გაღმოსული.

სამეცნიერო ღირებატურაში „ფეშეუმი“ თელო სახოვას აქვს შოსხერებული:<sup>1</sup>

დოკ. აუტირატერება ვერა, 10.2.1965 წ.

### ერთი რიჩაბის გამო

(საფლვებელი)

როგორც ცნობილია, მეცხოველეობა ქართველ ტომებში უძველესი დროიდან ყოფილა განვითარებული, მაგრამ ჩაის ნაწარმის ასორტიმენტი ცველვან ერთნაირი როლი იყო. ასე, მაგალითად, გუ-

1 თელო სახოვა, „მოგზაურობანი“, თბილისი, 1950 წ., გვ. 124.

რულებმა და იმერლებმა კარაქის დამზადება არ იცოდნენ. ცნობილი იყვნენ და არიან ე. წ. „ხელეური“ ყველის დამზადებად, შეგრელებმა სახელი გაითქვეს „სულგუნის“ გამოყვანაში. ხოლო კარაქის საუკეთესო მწარმოებლები არიან აჭარლები ფაქტურული თი მთის ხალხი აღმოსავლეთ საქართველოში. სამაგრევული მწარმეები ერ რძისაგან დამზადებული სხვა პროდუქტები შედარებით ძალებარისხისა იყო.

რძის პროდუქტების წარმოებისათვის ქართველები უძველესი დროიდან სხვადასხვა სახის ჰურპლეულს ამზადებდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჰურპლეული ჯერ ხისა იქნებოდა და შემდეგ გამომწვარი თიხისა. აჭარაში უფრო მეტად ხის ჰურპელს იყენებდნენ. გვხდება აგრეთვე თიხისაც. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

რძის ნაწარმის ჰურპელთა შორის აღსანიშნავია ე. წ. „საღლებელი“. ამის შესახებ მოვუსმინოთ სახელოვან მეცნიერს ივ. ჭავახიშვილს.

„მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხებში თიხის საღლებლის აღმოჩენას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს კელტურის ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც ეს ჰურპელი ჩვენი წელთაღრიცხვის V ს-ზე ვაცილებით უფრო აღრინდელ ხანას ეკუთვნის და ამისთანავე ხისა კი არა, არამედ ვამძლე და უფრო გამოსაღები. ვამომწვარი თიხისაგან არის გაკეთებული. მაშასადამე, ქართველებს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაშიც სცოდნიათ კარაქის ღლვება იშილდა მიუხედავად, რომ საქართველოში ნიგვზის ზეთიც ძალზე იყო გავრცელებული და დასაელეთ საქართველოში უმთავრესად მას ხმარობდნენ!“

საყურადღებოა, რომ აჭარაში ნიგვზის კულტურაც და შეცხოველობაც არის განვითარებული, მაგრამ საკუთრივ აჭარლები ნიგვზის ზეთს იშვიათად ხდიან და ადგილობრივ საჭმელსაც ნიგვზით იშვიათად ან თითქმის არ ამზადებენ. ხოლო მეზობელ კუთხეებში — გურიასა, იმერეთსა და სხვაგან, საჭმელს უფრო მეტად ნიგვზის, თხილისა თუ სხვა ზეთისაგან აზავებენ. კარაქის გურია-იმერეთში იშვიათად ხმარობენ.

კარაქის დამზადებას აჭარაში უშეუალოდ უკავშირდება ე. წ. „კარმაღლი“ (ყაიმაღლი), რაც რძის ნაღებს, მონახადს წარმოადგენს. კაიმაღლი აჭარაში ერთ-ერთ საუკეთესო კერძად ითვლება. იგი შედგება საკარაქე რძის ნაღებისა და ჩილი უკელისაგან. ნიშანდობლივი ის არის, რომ კაიმაღლის შემზადება სხვა ქართველ ტოშებში

1 ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ურის ისტორია, 1. 1960, გვ. 462-463.

ნეკლებად არის ვაკრცილაბული. საგულისხმოა ისიც, რომ არა მაში  
რძის წარმოებასთან დაკავშირებით იყენებენ ხელისაფრთხოების დასაშრავავის,  
რომელთაც ეწოდებათ საღლვებელი ან სარჩეველი,  
ავრეთვე ვარია, კოდანი, კაპიტი, გვიზარდის კამრი, თასი, საწური...

ზელა დასახლებული კურპელი ხის მოსალისაგან შეადგება,  
ორმცა ასლო წარსულში პეარლები საფლვებელს თხისაგან აკეთებ-  
დენ. ჩამოთვლელი ნივთებიდან საფლვებელი სარეგველის სინო-  
ხეშია, კოდანი — ვარიას, კაპიტი — გვარდას და  
კამრის სტონისად თასი ითვლება. ცუკრობთ, ერთი და ოვავე  
საგნის ორი სახელწოდება იმაზე მოუთიოებს, რომ ამ კურპელს ხი-  
სვანაც და თხისაგნაც არისდებლენ.

მეცქოველეობა ისტორიულად აქარის მთის მოსახლეობაში იყო  
განვითარებული და საფლვებელით, ვარიათი, კოდანითი თუ სარეგ-  
ველით რძის მოდლება თუ მორეგვა კარაჟის გამოსახდელად იქ  
ცოდნენ.

როგორც დავიწავთ, კარაჟის გამოსახლელად აქარლებს ორი  
ტერმინი მოვცოვებათ: „მოდლვება“ და „მორეგვა“. დღება რევას-  
თან არის დაკავშირებული, რეგვა კი ქანებას უნდა უკავშირდებო-  
დეს. შეიძლება ვივარაულოთ, რომ გარკვეულ შერიცომში სალვე-  
ბელს სარეგველიც ეწოდება: ყურადსალებია სახელწოდება „ვარია“  
ავრეთვე „კოდანა“.

აღსანიშნავია, რომ ბრინჯაო-ჩერინის ხანის სამარხებში ითხი  
მოჭრებული, სხვადასხვა სამარხებში ნაპოვნი თხის კურპელი აღმოჩ-  
ნდა, რაც მოჭრების ხელოვნება ეგვიპტიდან მახლობელ აღმოსავლე-  
თში მე-12 საუკუნეში შემოტანილად ითვლება ჩვენს წელთაღრიცხ-  
ვაძე, ბრინჯაოს ხანის მცხეთის საფლავებში მოჭიქული კურპელის  
აღმოჩნდა ფრიად საყურადღებო გარემოებას წარმოადგენს.

ტცხეთის მკედრეობის თხის სხვადასხვა მოყვანილობისა და და-  
ხიშულების კურპელებს (შორის) უალრესად საყურადღებოა კარა-  
ჟის საღლვებელი, რომლის მსგავსმა საქართველოს მთიანეთში. და  
ხაწილობრივ ბარაბაც მე-20 საუკუნის დამდეგამდეც კი მოაღწია.

ვექ. ჰევის აღნიშნული აქვს, რომ ძევემა ბერძნებმა კარაჟის

არც შედღვება იცოდნენ და არც სისიმძლენენ. მათი სკოლაში გამო-  
ვანი წევთიერება ზეთისხილისაგან გამოსჭილი შეთავისუ.

პეროდოტეს მხოლოდ გაგონილი პერიოდი, რომელიც უფრო უფრო  
ცხიმს რძისაგან აქცებდნენ ხის ღრუან ჭრისაშე გრჩევი იყო მარტინი  
რხევის საშუალებით. მხოლოდ პიროვნატეს იქნა დაწერილებით  
(ლშერილი) კარაქს შედგევსის ას წესი. ჩომელიც სკოლებში  
ცხენის რძისაგან ხის ჭრისელში რხევით იცოდნენ. (ვ. გავასმევი-  
ლი, დასახ. შრომა, იქვე).

აქ ანვარიშვილისწევია აგრეთვე ას გარემოება, რომ ავარაში რძის  
შედგება კარაქსის გამოსახდელად იცოდნენ ახა მარტო საღლებე-  
ლის. ვარის, კოდანის თუ სარეგველის რხევით, არამედ რევითაც.  
ვარა აში ლაფერას, ჩოგანს, ცოტვს თუ კოვზის მაგვარს სისტემატუ-  
რად ურევენ და ისე ხდიან კარაქს.

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაულოთ, რომ საქა-  
რთველოს მთანეთში მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა, მათ შო-  
რის აკარლებმაც, შემოვენახეს ხისა და თიხის საღლებელი, კარა-  
ქს მიღებრს წესი. ჩაც საყურადღებო ფაქტია.

მის ფური. - ღარისტრილი იქაჩა. № 2, 1962, გვ. 74-75.

## ტერც რეალ ჯოზიას დავითიშვილი

წინათ სოფელში ბლომად იყო ისეთი ძერტასი ხეხილი, რო-  
გორცაა სსვადასხვა ჭიშის შესალი და ვაშლი, ბალი, კორემელი,  
ატამი, ალუჩა, ქლიავი. მაგრამ მათ ახლა აქა-იქ თუ შეხვდებით და  
ციც თითო-ოროლა ძირს. ვინ უარყოფს უასლესი ჭიშების მსხლის  
„მარქოვისა“ და „მიკადოს“ კარგ თვისებას და უხემოსავლიანობას!  
მაგრამ ეს როდი გვაძლევს უფლებას ხელალებით ვთქვათ უარი  
ძველ ჭიშებზე.

მაგალითად, როთ არის დასაწუნი „დედოფალა“ და  
„სოსელა“ მსხლები, რომლებიც აღრე ივნისის ბოლოს მწიფე-  
ბიან და მეტად სასურველი გემო და არომატი აქვთ. ან თაფლივით  
ტებილი „სხალთაფლა“, ივლისის დასაწყისში რომ შემოდის.  
შედარებით გვიან მწიფება „სხალშაქარა“ და „კაცის-

თავა", მაგრამ სამავრეროდ მათი ნაყოფი ღილაკის და 20-  
მრიელი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „ხიჭიჭურა",  
რომელიც გვიან შემოდის და მისი შენახვა გაზაფხულზე ჩემი მიწა-  
შა.

კიდევ ბევრი ჯიშის ნამოთვლა შეიძლება მაგრამ ვფიქრობ,  
ესეც საკმარისია, რათა ზოგი ეინმე ჩაუფიქრდეს ამ საკითხს.

კ. ჩ. „საბჭოთა აჭარა", 1962 წ., 27 ოქტომბერი.



## სწავლასწვევა მინაარსის წარილები

## ადარლების გრძელა სამოგალოს თავისუფლებისათვის

საქართველოს ისტორიულ წარსულში აქარლებმა დღიდი ეროვნული ჩაგვრა და ტანჯვა განიცალეს დამპყრობლებისაგან. ეს იმით ახსნება, რომ აქარის, როვორც საზღვრაზე მდებარე მხარეს, პირველად უსდებოდა შემისულ მტკრთან შებრძოლება. აქარის პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა მას შემდეგ, როდესაც თურქებმა დაიპყრეს (1453 წელს) კონსტანტინოპოლი, რასაც მოჰყვა თურქების პოლიტიკური ბატონობის გარეულება-განმტკიცება შავი ზღვის სანაპიროებზე.

თამალეთის აგრესია პირველ რიგში მიმართული იყო საქართველოს სამხრეთ-დასაცალოთის მხარეების დამპყრობისაკენ. 1545 წელს თურქებმა გაიმარჯვეს სოხონისტას ომში და ხელში ჩაიგდეს ტელი სამცხე-საათაბავო (ცესხეთ-ჯავახეთი). რომელშიაც შედიოდა მოელი აქარიც. მდრინიდან დაიწყო აქარის მოსახლეობის გამაპმადიანება და ის დიდი ეროვნული ტრაგედია. რომელსაც ეს მხარე საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა. მაგრამ დამპყრობლების წინაშე აქარლებს ქედი არ მოუხრიათ და ისინი გმირული ბრძოლებით ცდილობდნენ შენარჩუნებინათ სამშობლოს თავისუფლება. ენა და მაშაპაპერი რწმენა. მით უმეტეს ამ ბრძოლაში აქარლები განმარტოებული იყვნენ. დედასაქართველო თერთონვე განიცდიდა დიდ გასაცირს თურქებისა და სპარსელებისაგან და მას გამო მას არ შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია თურქების ხელში ჩავარდნილი აქარისათვის. მიუხედავად ამისა, აქარლებმა თავდადებული ბრძოლებით მარც შესძლეს მშობლიური ქართული ენა შეურყენელად და ამით მციდრო კავშირში იყვნენ დედა-საქართველოსთან.

ქრისტიანული რწმენის დაყარგვის შემდეგ, რასაცირველია, იოლი საქე არ იყო ენისა და მიწა-წყლის შენარჩუნება თურქეთის დესპოტ-სულთნების ბატონობის პერიოდში, მაგრამ აქარლებმა ეს შეძლეს მხოლოდ თავდადებული ბრძოლის წყალობით. მართალია,

ამის შესახებ იმდროინდელი ოფიციალური მემატიანენი არ იძლევიან ვრცელ ცნობებს, მაგრამ აქარელი ხალხის მეხსიერების დღე-მდე შემოუნახავს ამ გმირულ ბრძოლათა ეპიზოდების მიწოდები, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს გავერკვიოთ, თუ რა ტანკეა-შვალებას განიცდიდა აქარლები თურქეთის ბატონიშვილ ვერსულები, რათა შეენარჩუნებინათ თავისი ქრისტიანული რწყებულების მიზანურ ვხული შეგნება.

აქარლების გასათურქებლად ოსმალებმა, პირველ ყოვლისა, მიმართეს სარწმუნოების გამოცელას, რომ ქრისტიანული აქარა რწმენით ჩამოეშორებინათ საქართველოსათვის და აქარლებში მაკმადიანობის გაერცელებით ეს მხარე მციდროდ დაეკავშირებინათ თურქეთიან. მით უმეტეს, იმ დროს ერთ ასხვავებდნენ ეროვნებასა და რწმენას და მაკმადიანობაზე გადასცელა ხშირად გათურქებას ნიშნავდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე გაბატონებული იყო რელიგია და იმ რელიგიური რწმენის გამოყენებით თურქები ცდილობდნენ დაყრიცხილი ერების გადაგვარება-გათურქებას. ამ მიზნით რელიგიის კულტის მსახურთა ხელში იყო ეროვნული იდეოლოგიის გარევევა, განათლება და მორალი. მიტომ ვინც მაკმადიანობას მიიღებდა, იგი ითვისებდა თურქულ ენას, ადათ-ჩვევებს, მორალს და თანდათანობით ჰქარგვდა ეროვნულ თვითშეგნებასაც.

ამას კარგად გრძნობდა აქარელი ხალხი, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ სჯულის გამოცელა, ე. ი. ქრისტიანული რწმენის დატოვება და მაკმადიანობის მიღება, ნიშნავდა ქართველობაზე ხელის აღებას. ამის გამო აქარაში დაიწყო გათურქების წინააღმდეგ სასტიკი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხასიათის ბრძოლები, რომელიც ფიზიკური განადგურებით ემსქრებოდა აქარლებს. მაგრამ მამაპაპური რწმენისა და ადათ-ჩვევების დასაცავად აქარის ხალხი სისხლის უკანასკნელ წვეთაძე ებრძოდა თურქების ვენტრებს და ხოჭა-მოლებს, რომლებსაც ეს საქმე სულთნისაგან ჰქონდათ დავალებული.

ეს ბრძოლაში ყველაზე მეტი სისხლი მაჟახლელებმა დალვარეს თურქებს. ამის შესახებ სოფ. ბაზარეთის მოხუცები ასე მოვკითხრობენ: „ამაჟახლელებმა ყველაზე მეტი სისხლი დალვარეს. ამდენი სისხლი არც აქარელთ, არც ზეგნელთ, არც ლივანელთ და არც სხვათა დაულერიათ, რამდენიც მაჟახლელებს. რაც აქედან ხალხი გაეტა გერგისტანისაკენ, იძდენი ხალხი არც ერთის აქაური მხრიდან არ ვაჭერული იქითქენ. მაჟახლელები ძალით არის გათამარებული და ძალითვე გაქართველდებათ. მაჟახლელნი ოსმალთ მავრად და გულადად დაუხვდათ. მაჟახლელის ხალხი მეტად მაგარი და გაუტეხავი

ხალხი იყო; ესენი ადვილად არ ჩაბარტნენ მაპშაღიანებს. ოსმალთ  
წინააღმდეგ ჩეუბი ასტეხეს, გამაპმაღიანება არ გვინდაო. ოსმალთ  
ამაზე ძლიერ ბევრი მაჭახლელები დახოცეს. მაჭახლუჭაჭარი ბეჭედი  
ხოცავდნენ ოსმალთ, მაგრამ საქმე მაინც მაჭახლელები გულური ფუში ပ  
რადგანაც ოსმალნი თოფ-იარალით იყვნენ და მაჭახლელებს კი არა-  
ფერი ჰქონდათ. მაჭახლელებში გმირობა გამოუჩინია ძნელა-  
დეს, რომელსაც უარი უთქავამს გათათრებაზე. ოსმალები მას გადა-  
ჰქილებიან, წაურთმევიათ მისთეის მამული, დაუწყიათ მასზე ცილი-  
სწამება და დევნა. მაგრამ ძნელაძე უკელაფერ მას ვაჟკაცურად ებ-  
რძოდა და ამბობდა: „გვაჩად ძნელაძე ვარ და საქმითაც ძნელაძე  
უნდა ვიქმნე. რათ უნდა გავთათრდე, ვიღრე ძნელაძეებს პირში  
სული ვვიდგია. მანამ ჩვენ, ჩვენს რჯულს და ქვეყანას არ ველა-  
ლატებთო“. ბრძოლის დროს მთლად დავარგა უკელაფერი, დაღარი-  
ბდა, გალატაკდა, მაგრამ თათრობა მაინც არ მიიღო. სიკედილის წინ  
ძნელაძემ შეიღები დაიბარა და უთხრა:

— ეს არის, ვთავდები, ვკვდები, ექ ბევრი ვეწალე, ბევრი  
ვეტანე ჩემის სჯულის გულისათვის, დავკარგ ყველაფერი, ეხლა  
შე ვკედები დიღის წმინდარებით და ჩემის მამა-პაპის რჯულზე. რო-  
შელაც შე დიღის ტანჯვით შევინახე და დამმარხეთ ქართულის,  
ჩემის მამა-პაპის წესითო.<sup>1</sup>

„გათათრების წინააღმდეგ დიღის გმირობით უბრძოლიათ დან-  
დალოს ხალხს. დანდალოში ოსმალოს გარი მღვარა და დაუქცევიათ  
დანდალოს სახლები. ხალხი მაინც გმირულად იბრძოდა არა მარტო  
გათათრების წინააღმდეგ, არამედ თვეთ ოსმალების ბატონობის  
დასამხობად, რომ ჩვენ თქვენი მორჩილება არ გვინდა. რჯულის  
გამოცელის გამო თვეთ დანდალოს დედაკაცებმაც აღდეს ხმალ-ხანჭ-  
ლები სელში და გამოიდნენ საბრძოლელებად. ამათ გადასწუვეირეს:  
ან მამა-პაპის რჯულზე უნდა დავტრიეთ, ან უნდა გაეწყდეთო. ჩვენი  
გათათრება არ შეიძლებაო. ოსმალნი თასობით დახოცეს, მაგრამ  
ბოლოს მაინც ოსმალნი მოერიენენ, დანდალოს ხალხი დამრტკდა,  
ხალხი გაწყვდა და კინც გადაიჩა, დანდალოდან ვარეკეს ოსმალებში.  
მოელი დანდალო ცარიელი დარჩინილა. (იქვე, გვ. 86).

გამაპმაღიანების წინააღმდევ ასეთევე გმირობა გამოიტენიათ  
შარაჭადელ ქალებსაც და როდესაც მათ დაინახეს, რომ ბრძოლის  
უგრძელება შეუძლებელი იყო. მაშინ მარადიღის ტყეში თავი მოი-  
კლა ხანჯლით ექვსმა ქალმა, ორმა თავი ჩამოიხრიო, სამშა თავი  
მოეწიმლა და სხვა (იქვე, 91).

1 ბ. პეტრიაშვილი, ქართველების გამაპმაღიანება, ანუ ქართველთა გათათრება,  
თბ., 1915 წ., გვ. 77-78.

ზოგიერთი სოფელი ამას გაერთიანებული შალათ იპტიკა, როგორც, მაგალითად, შერიცხელები, რომელთაც გამარტინი დასაცავი უარი უთქვამია:

„ო გაეთამზრდებით, გინდა დაგვისოცეთ და მარტინი მარტინი ვა-ზამთო. რამდენიმე ღლის შემდეგ ამათში ჩსუბის გამარტინი და მარტინი შეცხვერებთა რეცუნები მოლად გა-ზედა: შეიძის ქადაგი გადასახით, რამდენიმე რა გვიჩის არადენაშე იწარი გადარჩინა, ცუცქლასები. ლაპარაჩენი კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდები და უმარტიველნი ვამწყდარან ბრძოლაში. სასლები მოლად დაცეცევით ისმალოთ“ (ერე, გვ. 100).

დამარტებული სოფელი, რომელიც არ გამოიმართანდნენ, როგორც, მაგალითად, კენტრიში, ჩაქვი და ქობულეთი, შეთლარანიდან გადასახლდნენ გრილა-იმერეთში.

იუნენ შოლალატე ეჭარლებიც შოლალი წრიდონ, რამარტებულს უწყობდნენ ლსმალების ვაბარონების. მავრავ ასეთებს ხალხი სასტიკად უსწორდებოდა. მაგალითად, 1845 წ. ეჭარლებია ამორისიეს რამდენიმე თავიცაცი. აჭა-იქ ვამაგრეს ზოგიერთი ცხე-კოშკი და აუგანიდნენ ლსმალების მთავრობას. მალე ეჭარაში 20.000 ლსმალი, ჯარისკაცი მოვიდა. თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებულნა შოადგნენ ავარიას. დაიწყეს ზარბაზნების სროლა და ორი. მაგრამ აჭარლებს ვერაცერს ეკლებდნენ, რადგანაც ისეთ აღვილებში იყვნენ ჩასაფრებულები. რომ ლსმალებს სჭობნიდნენ და აძარცხებლნენ. ამ ომში აჭარლებმა ღიდებალი ხალხი გაუწივრეს ლსმალებს. მავრამ აჭარლებს ულალატა ხეიბულა-ბეგ ჭაყალი ლმა. რომელშაც გასცა შეამმოხები და მიემრჩო ლსმალთ. ამით ლსმალებშა ვამარჯვეს და აჭარის ციხე-სიმაგრეები დატვირეს. ლსმალებმა შეამბოხეთა მეთაურები დაპატიმრეს და ვაგზავნეს სტამბოლს. ხალხს დიდი ხარჯი დაადვეს. კომლზე 25 მან. ამას დაუმატეს ის ხარჯებიც. რაც მათთან ბრძოლაში დაიხარჯა. ხალხი ძლიერ შეაწუხეს, ჯარები ჩაუყენეს, რადგანაც აჭარლებს ლალატს სწამებდნენ, — ქართველებისაკენ აქეთ თვალი და გული, იმათთან მიწერ-მოწერა აქეთ და აჯანყებას იმიტომ ჩადიანო.

რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარლებმა ხეიბულ-ბეგ ჭაყალი ლალატის გამო მოპკლეს. ერთ ღამეს დაეცნენ ჭაყალის იჯახს და საში კომლი ხალხი თლათ ამოწყვიტეს.<sup>1</sup>

თურქების იგნტები — მოლები და ხოჯები ისე ვეიქროებდნენ აჭარლებს, რომ მოხუცებს ნებას არ აძლევდნენ დამარტელიყ-

1 ზ. ჭიჭინაძე, მესულმანი ქართველობა და მათი სოფელი საქართველოში, თბ., 1913 წ., გვ. 95-96.

ენერ მამა-პაპური წესით და მის გამო მიცვალებულს პირველ / ჩებში აკარიტან მისაცენებდნენ გურიაში და იქ მარხაედნენ. ამის შესახებ სოფ. ზენითის მცხოვრები მოხუცი ღრუბენი / გადმოგვცემს: „მიცვალებულის დამარხვას ჩვენში ქუჩარუზული ველარ ბედაელნენ ხოლმე. მიცვალებულს მისი ნაურავლებულებულ გურიაში წასცენებდნენ და იქ მარხაედნენ ქრისტიანულად, მაგრამ იქაც ჩუმად, რომ არავის ენასა და აქეთ ამბავი არ მოეტანა. ისეთი შემთხვევაც მომხდარა, რომ ხანდახან მკვდრის წამლებთ გზაში ოსმალოს მონარე კაცები დახვედრიან, მკვდარი წაურთმევიათ. ან წამლებთ დაუგდიათ მკვდარი გზაში და თვითონ გაქცეულან დასამალავად. რამდენჯერ მკვდარი გზაში დატეხენილა და მერე იგი სხვებს დაუმარხავთ.“

თურქ დამპყრობთა ამ ხანგრძლივ და უსწორო ბრძოლაში აკარლები დამარცხდნენ და ვინც გადარჩა თურქებისაგან ფიზიურ განაღვეულებას, იძულებული შეიქმნა მიეღო მათი რწმენა — მაკმალიანობა.

„რჯულის გამოცვლა, — ამბობს მოხუცი აკარელი გულოლა კარე კარე ციშ ვილი, — ძლიერ ეძნელებოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, „ძალა აღმართსა ხნავსონ“, იტყვიან ჩვენი ძველები, ჩვენც ისე მოგვიფრდა, — გამაპმადიანება განდა ჩვენს ძალად, ჩვენს იარაღად, ამით ჩვენ შეგვეძლო სიცოცხლის პოვნა, დარჩენა, წნანაღმდევ შემთხვევაში კი გაწყვეტა. ორში ერთი უნდა ყოფილიყო, ან გამაპმადიანება, და მით სიცოცხლის პოვნა, ან გაწყვეტა და ქრისტიანად დაშორენა. გაწყვეტას ისევ დაშორენა ამჭობინეს, რაღვანაც მრავალთ იმედები ჰქონდათ, რომ ამ შხარეს ერთ დროს რევ ქართველები აიღებენ, აქ ისევ ძველებური ცხოვრების წესები აღორძინდებათ“.<sup>1</sup>

ქრისტიანული რჯულის გამოცვლა-გამაპმადიანებას მოჰყვა ბრძოლა დედაენისათვის. აკარლების გასამაპმადიანებლად საკირო იყო მშობლური დედა-ენის, ამ ეროვნული თვითშეგნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის მოსპობა, მისი შეცვლა უცხო, თურქული ენით და დამწერლობით. ამ მიზნით სტამბოლიდან გზავნიდნენ მასწავლებლებს — ხოჯებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ აკარლებში მოესპონთ ქართული ენა და წერა-კითხვა. სამაგიეროდ უნდა გაევრულებინათ ოსმალური ენა. ისინი აკარლებში ასეთ პროპაგანდას ეწეოდნენ: „ჩვენ თათრები ვართ და არა ქართველებით, რჯულიც თათრული გვაქვს და ენა და წიგნიც თათრული უნდა

1 ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ გამაპმადიანება, გვ. 112.

2 იქვე, გვ. 113.

გვერდესო. ეცადეთ, რომ ქართული დაიციწყოთ და მა ეს სასწაულოთ, რომელიც ღვთის ენაა და რომლითაც ლაპარაკობდა ჩეხინიშვილებით. ქართული წიგნებიც ან დაწვით, ან წყალშეკრიულებული დაგანაც უწმინდურია.

ასეთ ეროვნულ ტრაგედიას განიცდიდა აჭარა 1878 წლამდე, როდესაც დიდმა რუსეთში შესძლო ისმალების დამარცხება, შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობა, პათუმის ალება და აჭარის შემოერთება. ქართველთა შორის ამან ვამოიწვია დიდი სიხარული. რაც დიდი ხნით გათიშულ მოძმევებს აძლევდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ნაციონალური გაერთიანების საშუალებას. ამას კარგად ხელავდნენ თურქეთის მოსკოდული აგრძელები და მათი დამქაშები — ხოჯები და მოლები. რომელნიც ახლა დაფაცურდნენ და დაწყებს რუსეთისა და ქართველების წინააღმდეგ პროპაგანდა. ისინი აჭარლებს ურჩევდნენ ისმალეთში გადასახლებას, რომ ამით თავი დაეღწიათ ძალად გაერთიანებისაგან. ბევრი გაუთვით ცნობიერებელი აჭარელი წამოევო მათ ანკუსზე და ლაწყო ისმალეთის შორეულ პროიექტში გადასახლება (მუჰაჯირობა).

მაგრამ ამ შემთხვევაშიც აჭარლებშიც გამოჩნდნენ თვედა-დებული მამულოშვილები. რომელიც სალხს მოუწოდებდნენ სამშობლოში დარჩენის და მიღმდლის მიწა-წყლის შერჩევნებას. ასეთები იყენები: შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, აბმედ-ეფენდი ხალვაში, გულო-ალა კარაულშვილი, აბმედ-ეფენდი ხალაუაშვილი, თუფან-ბეგ შერიფშეძე და სხვ.

ეს მოწინავე და შეგნებული გვრცი დალებითად იცავებდა აჭარის შემორთებას რუსეთთან და ხალხს ურჩევდა: „ჩავბარდეთ რუსეთს, მათ ხელში ჩვენ ცული არა მოგველის რაო. აბმედ-ფაშა ხიმშიაშვილი ერთ-ერთ ანდერძში თვის შვილის შერიფ-შეგ-საღმი აშბობს: -იცოდე შერიფ, რომ იზრე თუ ვვინ, ჩვენს მხარეს დაიპყრობს რუსეთი ისე. როვორც დაიპყრო ხალციხე და სხვა მხარეები. იქნენ მეგობრობა რუსებთან და მოსაზღვრე შცხოვნებლებთან, ჩვენი ბედ-ლბალი რუსებზე იქნება დამოკიდებული იცოდე, რომ ჩვენი გზა იქნება იქით და არა სტამბოლისაუნ“-ო!

ამას მოწმობს შერიფ-ბეგ სიმშიაშვილის ვულ-წრაფელი წერილი. რომელიც მან მოთვავსა იმდროინდელ ქართულ გაზეთ ღრმოვნებაში: „მეღდი ეცდელობდი ჩემის თვეს და ჩემის შობმეთა გამოხსნას ჩემის ქვეყნითურთ ისმალოს ხელიდან და რუს ხელმწიფის ქვეშევრდომათ შესვლას, რომლის მფარველობის ქვეშ

იყვნენ დიდი ხნის მოღმა ჩემი უმრავლეს საყვარელ მოძმე მხარეთ  
ქვეყნები: იმერეთი, ქართლი, კახეთი, მესხეთის მცირე ხრწილი და  
სხვა, მაგრამ არ იქნა, არ მელირსა.

1853 წლის ომიანობისა, ცოტა რამ იმედი მომეცა, ვამობილი.  
აერ ახლა გამოვალ ოსმალების ქვეშევრდომობისუდინ ჩემიანუბეს  
და ჩემს ქვეყანასაც გამოვისხნი ისმალთ მტარეალებულისტერისტერ ქვე-  
დებულ რუსეთს შევუერთდები. მაგრამ, საუბედუროდ, ყოველი  
საშუალება გამიშვდა, გზა-კვალი დამეხშო, ყოველგვით ხელი მომე-  
ცარა...“

ამ წერილს იგი ასე ამთავრებს: „შეერთებულიყოთ მტკიცედ,  
ძმურად, ჩვენი დიდიხნით აქეთ დაშორებული მრავალრიცხვოვან  
ძმებთანა სულითა და გულითა და ყოველი კეთილგანწყობილებითა,  
ხელი ხელს მიეცეთ და გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯი, როთაც  
განთქმული იყვნენ ქრისტიანობის დროს ჩვენი წინაპარნი საქვეყ-  
ნოდ“-ო!

\* \* \*

მართალია, მეფის რუსეთის რეჟიმი ხელს არ უწყობდა აჭარ-  
ლების ეროვნულ გათვითცნობიერებას, მაგრამ აჭარლებს რუსეთთან  
გაერთიანებულ საქართველოში ფართო ასპარეზი მიეცათ კულტუ-  
რულ-ეკონომიურად დაწინაურებისა. ამან ხელი შეუწყო ამ მხარის  
ნაციონალურ-ეროვნულ აღორძინებას, რომლის სრულ შესაძლებ-  
ლობას მან მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.


მაგრამ ახლა, როცა საბჭოთა სამშობლოს ცაზე ბნელი ჩამოწვა,  
როცა ჰიტლერულმა გერმანიამ ვერაგულად დაარღვია ხელშეკრუ-  
ლება, როცა ფაშისტური ურდოები თავს დაესხნენ ჩვენს წმინდა-  
თა წმინდა სამშობლოს, აჭარლები, საქართველოს სხვა შვილებთან  
ერთად მხარში ამოუდგნენ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებს ვი-  
რაგი მტრის გასანადგურებლად.

დავუგდოთ ყური საბჭოთა აჭარის პატრიოტ მწერლებს, თუ  
როგორ ასახავენ ისინი შექმნილ თანამედროვე ვითარებას, როგორ  
აღანთებენ სამამულო ომის ფრონტზე მყოფი მეომრის გულს, რო-  
გორ დამლერიან საბჭოთა სამშობლოს:

„მამულის ტრიუმბით ამევსო გველი  
და თითო სუნთქვა გრიგალად იქცა,  
შენი დღეგბით ვარ ანთებული,  
შენ შემოგვევლე, სამშობლო შიწავ“.

1 გან. „დროება“, 1879 წ. 2 თიბათვე.

(პ. ი თ ს ე ლ ი ა ნ ი. „წემო მიწავე“)  
„მინდა მტრის ურდოს ისე პევთაველი,  
რომ შემი შელავის სიძაგრე იკას.  
მინდა ბოლომდე სისხლის წვეთამდე,  
უცალე მკერდით საშობლო მიწას.“  
(ნ. მ ა ლ ი ა ნ ი ა. „წითელაზრის გიგანტის ეპიდემიაზ  
შევის“)



საბჭოთა აქარიდან მრავალი თავდადებული პატრიოტი იბრძვის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, იცავს საბჭოთა საშშობლოს ლიტერატას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. — „ქართველმა ხალხმა თავის წრიდან ბევრი სახელგანთქმული ოფიცერი და მებრძოლი მისცა წითელ არმიას, მათ შორის აქარიდანაც“.<sup>1</sup>

„კურსკის ოლქში შემოიტრნენ ფაშისტი ურდოები. აწილებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, წვავლნენ, ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ერთერთ ნაწილს ებრძანა გარეკოს მტერი და გაართავისუფლოს საბჭოთა ტერიტორია. შეძახილით — საშშობლოსათვის! მებრძოლები ეკვეთნენ ფაშისტ დამპყრობლებს. ნაწილის მეთაურის გვერდით იბრძვის ბოლშევიკ კომისარი ჯემალ ბაკურიაძე. ის პირადი მაგალითით თან იყოლებს მებრძოლებს, სჩეხს ფაშისტ არამზადებს, ხიშტზე აგებს მათ. ნაწილმა სასახელოდ შეასრულა საბრძოლო დავალება.<sup>2</sup>

„ახალგაზრდა დ. ჩხიკვიშვილს საპასუხისმგებლო დავალება მისცეს: უნდა დაბომბოს ფაშისტების მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტი. პირველად შედის ბრძოლაში, პირველი საბრძოლო დავალებაა, მაგრამ ის შეუპოვრობით და უშიშრობით ასრულებს მას. ამოისუნთქა კმაყოფილებით, მოაბრუნა თვითმფრინავი. ვერმანელთა სვავები ესხმიან თავს. უფროსი სერეანტი, რადისტი-მსროლელი დ. ჩხიკვიშვილი მოხერხებულია. მტრის თვითმფრინავი მოუშეა ახლოს და შემდეგ ტყვიამფრქვევის რამდენიმე წყებით იგი ალმოდებული დაუშვა ძირს. თვითონ კი უვნებლად ბრუნდება თავის ნაწილში“.<sup>3</sup>

სამამულო ომის ფრონტებიდან მზიური აქარის მშრომელთა შეილების მეტად ამაღლევებელი და პატრიოტული წერილები მოდის. აი, რას სწერს სამამულო ომის მონაწილე ახმედ საგინაძე მშობლებს:

„ძვირფასო დედავ და მამავ, ჩემო ძმებო და დებო. მე უკვე ორი წელია მონაწილეობას ვლებულობ ბრძოლაში. ამ ორი წლის განმავლობაში მე გამოვიწროე, როგორც ფოლადი. ახლა ლეიტენან-

1 გან. „საბჭოთა აქარა“, 17 მარტი, 1944 წ.

2 გან. „საბჭოთა აქარა“, 18 მარტი, 1942 წ.

3. იქვე.

ტი ვარ, ჩემო საყვარელო დედავ. გულში არ გაიღლო შიში. მტკრი  
ჩენ ვერაფერს დაგვაკლებს. ჩემი ჯვრი არ გექნეთ.  გორც სალი კლდე.

უკველ-დღიურად წინ მივიწევთ და დაუნდობლად გულში მტკრი ში-  
შისტ ოკუპანტებს. ხიშტე მტრის სისხლი არ შრება. გრძელი გულში გვი-  
გვრმანელს ვაგებ პირადად ჩემ ხიშტე. თასობით გრძელი გულში რიც-  
რისკაცი გადმოდის ჩენს მხარეზე. უაშისტი ყაჩალების დღეები და-  
თვლილა.

საყვარელო მშობლებო, თავდაცებულად იმუშავეთ კოლმეურ-  
ნეობაში და ამით დახმარება გაუწიოთ ფრონტს. დარწმუნებული  
იყავით ჩენს გამარჯვებაში. იცოდეთ. გაგახარებთ და ცველას გა-  
სახელებთ, აუცილებლად.

თქვენი საყვარელი შვილი ახმელი.<sup>1</sup>

ან კიდევ: სამამულო ომის მებრძოლმა — მერჯონ მემე-  
დის ძე მიქელა ძე მ პატრიოტული გრძნობით გამოსარი წე-  
რილი გამოგზავნა საქ. კ(ბ) ხულოს რაიკომში. აი რას წერს ამხ.  
შიქელაძე თავის ბარათში:

„მინდა მოგწეროთ ჩემს შესახებ. ჩენ ხუთი ძმანი ვართ, სხა-  
ლოთის სასოფლო საბჭოს სოფ. ნენის წითელი არმიის სახელო-  
ბის კოლმეურნეობის კოლმეურნენი. ორი ძმა სამამულო ომის  
ფრონტებზე ვართ და უურტყამთ სახიზღარ ფაშისტ ყაჩალებს. ვა-  
შაყობთ, რომ ჩენი აყვავებული სამშობლოს დამცელნი ვართ.  
შორს არ არის ის ლორ, როდესაც პირსისხლიანი ფაშიზმი ერთხელ  
და საბოლოოდ იქნება განაცემურებული. წითელი არმია. რომელიც  
შესანიშნავად არის შეიარაღებული, მუსრს ავლებს მტერს და ჰიტ-  
ლერის ტილიან ბანდებს დასავლეთისაკენ მიერევება. ვერმანელ  
ფაშისტებთან მედგარ ბრძოლაში მეორედ დავიწერი, მაგრამ ათ-  
ჯერ რომ დავიწერა კიდევ, შინ მაინც მანამ არ დავბრუნდები, სანამ  
ყველა ფაშისტი იკულებილი არ იქნება.

მე მოვუწოდებ ხულოს რაიონის ახალგაზრდობას. ყველა  
შშრომელს: კიდევ უფრო გააძლიერეთ დახმარება ფრონტისადმი,  
სანიმუშოდ და უმოკლეს ვადაში ჩატარეთ საგაზაფხულო თესვა.

წითელარმიელი მ. მიქელა ძე<sup>2</sup>.

„საქვეყნოდ ცნობილი გახდა, — ვკითხულობთ, საბჭოთა აქა-  
რის 23 წლისთვით დაკავშირებით სახელმისაბჭოს თავმჯდომარის  
ამხ. ფუტკარაძის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში, — სამშობლოს

1 ხელო, გან. „კოლექტივის შრომა“, 11 იანვარი, 1942 წ.

2 გან. „კოლექტიური შრომა“, 15 მარტი, 1942 წ.

მგზნებარე პატრიოტის, საბჭოთა კავშირის გმირის, აურელი მთა-  
ნავის, უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ქემალის მარან-  
კარაძის საბრძოლო დამსახურება. ის მსახურობდა ერთერთ  
სავიაციო ქარხანაში გამომცდელ მფრინავად. პარტია-  
ოტმა ფრონტზე წასვლა მოიხვევა. მისი სურჟილ დაქარის-  
ლეს და იგი მოიერიშე ბომბდამშენ თვითმფრინავზე დანიშნეს. მა-  
შაცმა მეომარმა გმირობა გამოიჩინა და სამშობლოსათვის თავდა-  
დება გვიჩვენა. მისი საბრძოლო თვითმფრინავი რისხვას წარმოა-  
ღენდა მტრისათვის. მან მეტად რთულ და ძნელ პირობებში მოახ-  
დინა 92 საბრძოლო გაფრენა. პირადად მოსპო და დაზიანა მტრის  
82 ავტომანქანა, 27 ტანკი, 6 თვითმფრინავი აეროდრომზე, სა-  
ჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდო 1 თვითმფრინავი, ჩაახშო სახენიტო  
არტილერიის 10 წერტი: საველე არტილერიის 5 ბატარეა, ნაღმსატ-  
ყორცნა 3 წერტი. მის მიერ მოკლული, დაჭრილი და გაფანტუ-  
ლია 880-მდე მტრის ჭარისკაცი და ოფიცერი. თვითმფრინავთა  
გგუფში მოქმედებისას ააფეთქა 6 საწყობი საომარ მასალიანად.

გმირის სახელშოდების მინიჭებამდე ი. ქ. ჭინჭარაძე და-  
ჯილდოებული იყო წითელი ვარსკევლავისა და სამამულო ომის პი-  
რველი ხარისხის ორდენებით. მიღებული აქვს: თავდაცვის სახეო-  
ბის 4 მადლობა, ფრონტის სარდლის 2 მადლობა, არმიის სარდლის  
5 მადლობა, კორპუსისა და დივიზიის მეთაურების 7 მადლობა".<sup>1</sup>

სამამულო ომის ფრონტზე მედგრად იბრძვის და ულმობლად  
ანადგურებს მტერს კატერის მეთაური ახმედ სულეიმანის  
ძე წუწუნავა (ბათუმის რაიონიდან), რომელიც დაჯილდოე-  
ბულია სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით და მედლით „სე-  
ვასტოპოლის დაცვისათვის".<sup>2</sup>

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულები-  
სათვის პოდპოლკოვნიკი ასლან იუსუფის ძე ბაგელი-  
ძე (ქობულეთის რაიონიდან) დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის  
ორდენით, წითელი დროშის ორდენით, მონღოლეთის სახალხო რე-  
სპუბლიკის ორდენით და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდე-  
ნით.

ავარის ასრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პოდპოლკოვნიკი  
ხუსეინ მურადის ძე ბერანიძე (ქობულეთის რაიონი-  
დან) სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე ფრონტებზეა. მან სა-  
ხელი მოიხვევა, როგორც წითელი აზმის უნარიანმა და გამჭრიახმა  
მებრძოლმა, უშიშარმა ოფიცერმა განსაკუთრებით ისახელა თავი  
ყუბანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საბრძოლო დამსახუ-

1 გამ. „საბჭოთა აჭარა“, 17 მარტი, 1944 წ.

2 გამ. „საბჭოთა აჭარა“, 18 მარტი, 1944 წ.

რებისათვის ამხ. ხუსეინ ბეკანიძე დაჯილდოებულია წითელი ლო-  
შისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით ბულია ლეიტენანტი ხასან მამუდის დეჭაფრიძე (ქო-  
ბულეთის რაიონიდან), რომელმაც გამოიჩინა მამაცუტეჭაფრიძე სა-  
ლოსათვის თავგანწირებით იმპოდა ლაშოს სახეტეზე ქართული  
ნულ რაზმში სმოლენშინაში, გოგოლიოვის და ორიოლის ოლქებში.

კაპიტან აბდულ მემედის დეწულუკიძემ (ქო-  
ბულეთის რაიონიდან) სახელი გაითქვა, როგორც უშიშარმა მებრ-  
ძოლმა მეთაურმა. მან შესცვალა ფრონტზე ბატალიონის მეთაუ-  
რი, რომელიც დაიკრა, წაუძლვა ჯარს და გამარჯვება მოიპოვა.  
სახელოვანი მებრძოლი ამხ. აბდულ წულუკიძე დაჯილდოებულია  
სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორ-  
დენებით.

გვარდიის მამაცი ტანკისტი მემედ დურსუნის დე  
კორაძეს სად არ უბრძოლნია: სტარაია რუსა, ნოვოსოკოლ-  
ნიკი, ველიერ ლუკი. იგი თავისი ტანკით ყველგან მოწინავე იყო.  
მემედ გორაძეს ბრძოლებში 7 მძიმე და 30 მსუბუქი ჭრილობა  
აქვს მიღებული. ერთხელ სტარაია რუსას რაიონში საბჭოთა ექვსი  
ტანკი ეკვეთა მოწინააღმდეგის 18 ტანკს. ოთხი ტანკი გრიგალისე-  
ბური ცეცხლით მარცხნა ფლანგზე მოქცეულ ტანკისაკენ წამოვი-  
და, რომელსაც მემედ გორაძე მართავდა. ოსტატური მანევრირებით  
მემედმა ფლანგიდან შემოუარა მტერს. ქვემეხების პირდაპირი მოხ-  
ვედრებით მტრის ორი მანქანა გამოიყვანა მწყობრიდან, მესამე ტა-  
ნკი გატარნა, ხოლო მეოთხე ტანკმა იკადრა გაქცევა, მაგრამ მემე-  
დის ტანკიდან დაშენილმა ზალპმა ისიც გააქვავა აღგილზე. სტალინ-  
გრადიდან კურსკამდე ამ მამაცმა ტანკისტმა 752 ფაშისტი განგი-  
რა. გვარდიის მამაცი ტანკისტის — მემედ გორაძეს მკერდი ამშე-  
ხებს მედლები: „მამაცობისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“  
და სამკერდე ნიშანი „წარჩინებული ტანკისტია“. იგი პატრიოტული  
ნინის ორდენზეა წარდგენილი.

ჩრდილოეთ კავკასიისა და უკრაინის განთავისუფლებისათვის  
ბრძოლების აქტიური მონაწილეა ლეიტენანტი აბდულ მევა-  
ლუდის დიასამიძე (ხულოს რაიონიდან). იგი დაჯილ-  
დოებულია წითელი დროშის ორდენით.

ლენინგრადის ფრონტზე გულადობისა და მამაცობის გამოჩენი-  
სათვის დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“ წითელარ-

მიელი არიფ მევლუდის ძე ბერიძე (ქედის არამოდან).

კაპიტანი — ქირურგი ავნი მემედის ძე ლიანიშვილი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით უზრუნველყოფი „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

სულეიმან ხასანის ძე ცინ ცაძე (ქედის რაიონიდან) დაჯილდოებულია მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“.

სერეანტი ასლან მურადის ძე მევავანაძე დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

სერეანტი ჭაზიშ აბდულის ძე ხარატოლი დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

უმცროსი ლეიტენანტი ასლან ბეჟანიძე დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

სამშობლოს ბაზი სიცვარული, გულადობა და თავგანშირეა გამოიჩინეს და ბრძოლაში თავი ისახელეს აგრეთვე ორდენის ნებმა: ყედირ დოლიძემ, ჭემალ ჩხაიძემ, ჭეფერ სურმანიძემ, ოსმან ბაჟელიძემ, ოთარ ჭინჭარაძემ და მრავალმა სხვებმა.

1946 წ.

## ილია მავავაძე და აპარა

მიმდინარე წლის სექტემბერში, ჩვენს სახელოვანსა და ღიაბერებოვან ადამიანს, მეცხრამეტე საუკუნის ფიქრთა მპყრობელს — ილია გრიგოლის ძე პავლევაძეს დაბადებიდან ასოცი წელი, ხოლო გარდაცვალებიდან ალმარმაციათი წელი შეუსრულდა.

არ დარჩენილა არც ერთი დარგი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრებისა, რომ ჩვენი დიდი მწერლისა და საზოგადო პოლვაწის — ილიას მადლიანი კალამი არ შექვებოდეს.

ამავამად ჩვენ ვლაპარაკობთ იმ დიდ ლვაწლზე, რომელიც ილია პავლევაძემ დასდო თურქეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების საქმეს.

გამოხატავდა რა ქართველი ხალხის ნება-სურვეილი, ჭერ კიდევ მეოვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ჩვენი სახელოვანი ერეკლე მეორე უაღრესად დაინტერესებული იყო სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებით, მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა განხორციელებულიყო ქართველი ხალხის სანუკვარი სურვეილი, მთლიანად სამხრეთ საქართველო, კერძოდ კი აჭარა, თურქეთის ულლისაგან განთავისუფლებულიყო.

შეცხრამეტე საუკუნის სამოცაინი წლებიდან დაიწყო ფართო მოძრაობა სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი ქართველი მოცხადები: ილია ქავეაძე, გრიგოლ ორბელიანი, ავაკი წერეთელი, ავაკი უმიკაშვილი, სერგეი მესხი, ღიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგიაშვილი, ვიორგი წერეთელი, მამაცაშვილი, ანდრონიქიშვილი და ბერძენიშვილი.

რესი მხედრობის დახმარებით, ქართველ ხალხს დიდი ხნის ნატვრა შეუსრულდა. სამხრეთ საქართველოს ნაწილი — აჭარა დედასა-შძობლო — საქართველოს შეუერთდა.

ქართველმა ხალხმა მრავალი რბევა და აწიოკება განიცადა. საქართველოს ოდიოთვანევე თავს ესხმოდნენ: არაბები, სპარსელები, მოხვდები, თურქები, ბიზანტიელები და სხვ. საქართველოს მიწა-წყალს ფლეთინენ და აქუცმაცებდნენ, ქართველებს ძალით თავს ახვევდნენ მისთვის მიუღებელ სარწმუნოებასა და ადათ-წესებს. ქართველები თავდაცვით, სამართლიან ბრძოლებს აწარმოებდნენ. მაგრამ ყოფილა საქართველოს ისტორიაში ისეთი მომენტიც. როცა საქართველო განვითარებისა და ძლიერების უმაღლეს მწვერვალზე ასულა, მასაც ჰყოლია ქვეშევრდომი და მოკავშირე ქვეყნები, მაგრამ ისტორიას მაინც არ ახსოეს, რომ ქართველებს თავს მოეხვიოთ სხვა ხალხებისათვის თავიანთი ადათ-წესები და სარწმუნოება. პირიქით, საქართველოს აუკავებისა და გაფურჩქვნის პერიოდში, ქართველი მეფეები თავშესაფარს აძლევდნენ ყველა დევნილო და შევიწროვებულო და მოწიწებით იცავდნენ მათ ადათ-წესებსა და სარწმუნოებას.

შეცხრამეტე საუკუნის დიდი მეოსანი და გამოჩენილი მოღვაწე ილია ქავეაძე ამ თვალსაზრისს შესანიშნავად ავითარებს თავის წერილში. იგი ამბობს:

„სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველება, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხები, ებრაელი, თვით მაკმაღიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრები, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვადრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილი და ჩაგრული აქ — ჩვენში პოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა“...!

1 ი. ქავეაძე, თხზულებაზი, 11, 1941, გვ. 311-312.

როგორც ცნობილია, თურქეთის ბატონობის დროს ფარაუზის ხა-  
ხალხო მეურნეობა ძალზე დაეცა. მთლიანად განადგურდა ჩირქეთის  
სოფლის, ისე ქალაქის მეურნეობა. არტანუჯი და სამხრეთ საქართ-  
ველოს სხვა ქალაქები აღრე დიდ როლს ასრულებული კუთხის კუ-  
ლეთ და დასავლეთ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებით უშესე-  
შების მიერ ჩვენი მხარის დაპყრობის შემდეგ კი საქალაქო წარმოე-  
ბის მაჯისცემა შეწყდა, ჩავდა სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთის  
ქვეყნებთანაც. დამცყრობლებს არ აინტერესებდათ აღვილობრივი  
ხელოსნური წარმოების განვითარება. მევენახეობა, რომლის ხვედ-  
რითი წონა სახალხო შემოსავალში დიდი იყო, თურქებმა მოსპეს.  
მათ აჩენეს ბალ-ვენახები და გააჩინავეს.

ისედაც აუტანელ მდგომარეობაში მყოფი ფარლები, რუსეთ-  
თურქეთის ომების დროს კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩაცვიდ-  
ნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აქარა დიდი ხნით იყო ჩამოშორებული  
თავის დედასამშობლო საქართველოს, სხვა ქართველი ტომების სიყ-  
ვარული აქარლებისადმი და მათი ურთიერთ მისწრაფება საუკუნე-  
ებით არ ჩამჩრალა. როცა ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, რო-  
გორც შშობლიურნი, დიდ სიხარულსა და აღფრთოვანებას განიცდი-  
დნენ. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ გიორგი წერეთლის  
შეხვედრა აქარლებთან.

„მე ხშირად დავდიოდი ქობულეთში და ბათუმშიც. იქ ვხედა-  
ვდი ბეგებს, უფროს კაცებს. სიტყვა-პასუხით, ყოფაქცევით, ზრდი-  
ლობით, კეთილი გულით, პურმარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს  
დანახვაზე იმათ მოლრუბლულ სახეს სინაოლე გადაპქრავდა ხოლ-  
მე. მე ვიყავი ქრისტიანი, ისინი მაჲმადიანები; მაგრამ ჩვენ მაინც  
ნათესაობის და ტომობის სისხლს ვგრძნობდით, ერთმანეთის ნახვა  
თითქო იმ ღრმა გულის კრილობას აჩენდა, მეც რომ მტანგავდა და  
რძათაც კიდევ ერთიანად უფრო აწუხებდა, თითქოს იმ ერთ წუთს  
აუტანელი მწუხარების ცეცხლი თრთავეს ვვიქრებოდა“.<sup>1</sup>

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე, 1875 წელს სამხრეთ საქა-  
რთველოს ქართველების შესახებ გაზირ „დროებაში“ სერგეი მესხი  
წერდა: „ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართვე-  
ლი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია, სახე ნამ-  
დვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველო-  
სი, ხალხი, თუმცა დიდი ხანია გამაჲმადიანებულია“.

მესხი თავის წერილში აქარლების და ლაზების მდგომარეობას

<sup>1</sup> გ. წერეთელი, განვეთი „დროება“, № 24, 1879.

ვანიხილავს და იქვე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენ მათ სათანადოდ ვერ ვეხმარებოდით.

იგი იმავე სტატიაში დასძენს: „დიდი ხანია მას აქეთ რაც ჩვენ უკველი კავშირი გავწყვიტეთ ოსმალოს საქართველოსთან<sup>1</sup> მეტყველები ქართველ ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქმულა იპოზუს მერშე<sup>2</sup>“

ილია ჭავჭავაძე, რუსეთ-ოსმალეთის იმის დაწყებამდე, სამხრეთ საქართველოს შემოერთებასთან დაკავშირებით, დიდ სიხარულს გამოთქვამდა და აღტაცებით ამბობდა: „არ გვაშინებს-მეტქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაპმადიანის სარწმუნოება უკირავთ, ოღონდ მოვიდეს კელავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ძველანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ნნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საკიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინაარეს ვერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ თუ ქართველი უკუდრება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა შამა-პაპათა“<sup>3</sup>.

ილიას ეს სიტყვები უაღრესად ბევრის მოქმედია. იგი საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის სანუკვარი სურვილი და მოწოდებაა.

ჭარლებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი რუსეთის საშუალებით შეერთებოდნენ დედასამშობლო საქართველოს. ამას საუკუთხესოდ ადასტურებს გრიგოლ არბელიანის წერილი ოგლობეიოსადმი: „ოსმალთა 300 წლის მფლობელობამაც-კი მაგრა ვერ მოიკიდა ფეხი და მხოლოდ ახლადა ილიარებენ მცირედად მას ადგილობრივნი მცხოვრებნი, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლად ცხოვრობენ თავიანთვის და არ შექრევან ისმალთ, თუმცა მაინც იყო დრო, როდესაც ქობულეთლებს თავიანთის ნებით უნდოდათ ჩვენი მთავრობის მმართველობის ქვეშ საქართველოსთან შემოერთება“.<sup>4</sup>

„ქართველი ხალხი ხედავდა რა შექმნილ მდგომარეობას, ყოველ ლონეს ხმარობდა აჭარლებთან კავშირის დასამყარებლად, ომის წინ ქართველი პატრიოტები მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდნენ სამხრეთ საქართველოს ქართველებთან. ომის წინ, სამხრეთ სა-

1 გაზეთი „დროება“, № 76, 1875.

2 ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1941, გვ. 311-312.

3 ი. შეუნარვია, „ქართველი შექრლები“, ტ. I, 1941, გვ. 120.

ქართველოში იმოგზაურეს: დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგი, ა. დევისაშვილია, ი. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვებია. მა ართული პრესა გატაცებული იყო იმ აზრით, რომ ჭრის რეანი ქართველები მაღვ მოსწრებოდნენ თავისი ძმების გულჭრის მიმართ.

თანაბმად ბერლინის ტრაქტატისა, ყარსის და მარტინის მიმართ და ბათუმის ოლქები შეუერთდა რუსეთს და დაიწყო რუსეთის ჯარების შემოსვლა ბათუმში ორი გზით: ზემო აქარის ხეობიდან ბათუმში შემოვიდა ვენერალი კომაროვი და ქობულეთის მხრიდან ვენერალი — სეიატოპოლის-მირსკი. ართენის, შავშეთისა და სხვა მხარის მოსახლეობა ბათუმში მიმავალ რუსეთის ჯარებს გზებში ჰურმარილით ხვდებოდა. ასევე ქობულეთიდან მიმავალ ჯარებს მთელი ქალაქის მოსახლეობა შეეგება მახინჯაურში, ბარცხანაში და დიდი ზემით ჩამოაყილეს ისინი ბათუმში.

ომის დამთავრებამ ხალხში დიდი სიხარული და ზემით გამოიწვია..

„შედგა თოფების, ზარბაზნების

ქუხილი, ელეა...“

ქრისტიანების, ისმალების,

შედგა სისხლის დერა...“

და ითქვა სიტუა, სიტუა ტყბილი:

შეეისვენოთ

და ესოდენი ცრემლი, სისხლი

ხალხს ვაკმაროთ.“?

აქარის რუსეთთან შეერთებით მოხდა უდიდესი აქტი. ამ აქტით აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება. ამ აქტით აქარლებმა თავი დაალწიეს სრულ გადაგვარებას, ამ აქტით აქარლები დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას, დაუბრუნდნენ ლვიძლ ძმებსა და დებს, შეუერთდნენ დედასამშობლო — საქართველოს.

საქართოდ სამხრეთ საქართველოში, კერძოდ კი, აქარაში რუსეთის შემოსვლის წინ გაზეთებში იწერებოდა, რომ სამხრეთ საქართველოში შემოსვლა უნდა მოხდეს სრული წესიერების დაცვით, რათა ხალხი არ დაფრთხეს და ინგლისისა და სულთნის აგრძებს არ მიუცეთ საშუალება ეს მდგომარეობა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონ. განეთ „დროებაში“ ეს აზრი სერვეი მესხმა ასე ჩამოაყალიბა:

1. რუსეთის ჯარი უნდა შეეიღეს კეთილშობილურ დამოკიდებულებით. ისინი დასაჩაგრავად კი არ მოდიან, არამედ როგორც შოძმე და მეგობრები მათი.

1 ბ. ახვლედიანი, სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, გვ. 116.

2 გან. „დროება“, № 26, 1878.

2. ქარს უნდა მოუძღვებოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც  
იცნობენ მათ ჩვეულებას, ასეთები არიან: თ. გრ. გურიელი და უკან  
მეფისოვი.

3. ჩვენმა მთავრობამ უნდა გამოუშვას პროკლამაციაზე და გადაწყვეტილების  
ჩვენ მათი მტერი არა ვართ, არამედ მეგობრები და კერძოდ მსუბუკი  
ვალები ვართ და სხვა.

ქართველი მოლვაწეები გულწრფელად და მონდომებით მოუ-  
წოდებდნენ ხალხს ახლად შემოერთებული ქართველების საკეთილ-  
დღეო საქმიანობისაკენ.

1878 წლის 20 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძისა და ღიმიტრი ყიფი-  
ახის ინიციატივით, ქართველმა საზოგადოებმა თბილისში მოიწვია  
აქარის დელეგაცია და მათ გაუმართა ბანკეტი მუხრან-ბატონის სა-  
სახლეში. ილია ჭავჭავაძე, საპატიო მიზეზის გამო, ამ ნაღისს არ და-  
სწრებია.

მასპინძელთა შორის იყვნენ: გრ. ოჩბელიანი, დ. ყიფიანი, აკ-  
წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, გ. წერეთელი, მამაცაშვილი,  
ანდრონიქაშვილი და სხვები. სამხრეთ საქართველოს მაპმადიანებ-  
იდან დელეგაციაში მონაწილეობდნენ: ხუსეინ-ბეგ ბეგან-ოლლი,  
შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ხასან-ბეგ ბეგან-  
ოლლი, სული-ბეგ-ზადე მაკახლელი, ახმედ-ეფენდი ხალებში (მა-  
რადიდელი), ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), ასპან-ალა-  
მაჯრიალელი (გონიდან), ემინ-ეფენდი მუფტიზადე (არტანუჯიდან),  
მუფთი-ეფენდი სურმანიძე (ქედიდან), მუფთი-ეფენდი, სალიხ-ეფე-  
ნდი-ზადე და სხვა.

ნაღისზე გრიგოლ ოჩბელიანმა წარმოთქვა ღრმა პატრიოტული  
და მკრძნობიარე სიტყვა. აი ეს სიტყვა:

„ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა  
გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოადგენს სა-  
სიხარულოს მას სანახვას. როდესაც ერთი დედისა შვილი, შავი  
ბედისა გამო განშორებული, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგუ-  
ლი, ანაზღეულად, მოულოდნელად შეხვდნენ. იცნეს ერთმანეთი და  
გადაეცვივნენ გულითადის სიყვარულითა. ჩვენცა ეგრეთვე საქართ-  
ულოს შვილი ვიყავით, დაკარგული ერთმანეთისათვის საუკუნეე-  
ბის განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება  
გამოვარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვვიწყებია დაშორებული ჩვე-  
ნი ძმები. თვალი გვეკირა თქვენთქვენ, ბატონებო, და ვნატრობდით  
როდის აღმოვა მზე შეერთებისა! და აი, გვისმინა ღმერთმაცა,  
დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა და მოხარულნი

ვმადლობთ ღმერთსა და ვეცელრებით, რომ შეერთება / ჩა ჩვენი  
იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად“.<sup>1</sup>

ნადიმზე აგრეთვე მეტად მგრძნობიარე, ამაღელვეჭვლი და გუ-  
ლში ჩამწევლომ სიტყვა წარმოიქვა აკაკი წერეფერენციული წული

„დღეანდელი ლხინი, ვხედავთ, სხვაგარუს ჭრაშესტეჭუაქუნა-  
კლო და სიხარული ულრუბლო! და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმ-  
ცა თვითეული თქვენთაგანიც გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტ-  
ყვი, რომ ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებული ჩვენი  
მოძმების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს  
ხელ-ახლა შემოერთება და ძლიერად შეკავშირება. დიახ, ბატონებო,  
დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან  
და დავსძხოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიღუდებია!  
და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?... ეს ანდერძი იყო: დედაენა და  
ერთობა!... პირველი, ე. ი. ენა, ესე მდიდრულად შეუკაზმავთ და  
ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი  
დავიწყება და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმებასაც, რომლებიც რამო-  
დენიძე საუკუნეების განმავლობაში დაშორებულები გვყავლენ, იძათაც კი შერჩენიათ დედაენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ე. ი. ერთობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და  
ისეთგვარად აუბეჭდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუ-  
თრად ქართველის ერის საკუთვნელი ნიშნები, რომ დღესვე ქარ-  
თველი ერთი შეხვედრისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია  
ჩვენს მოძმებასაც. ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ წავალთ, —  
საქმარა, რომ აქვე, აი სუფრაზედ მივიხედ-მოვიხედოთ. ახლა ვხე-  
დავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შემო-  
ნახულია და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე  
არასოდეს არ ყოფილა მოშლილი.

დიახ, დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს  
უფრო ადვილად და ძლიერად ავსრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ  
ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მი-  
ზანს. აქ ესეც უნდა მოვიხსენოთ, რომ იმ ჩვენს სამაგალითო მამა-  
პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ლირსება ჰქონიათ: მტრის და მო-  
ყვრის პასუხისებება; ვისგანაც კი რა კეთილი დაუნახავთ. ერთი  
ათასად გადაუხდიათ. ამ ლირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებუ-  
ლი... თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას,  
ნურც ჩვენ ვიქნებით თვალდახუჭულნი — მზად ვიყოთ, რომ ბედს,  
საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გავულოთ, — და უბედობას ვეწი-  
ნაალმდევოთ! ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა!

1 გან: „დროება“, № 239, 1878.

მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩევნო თა  
ეი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვაღევნოთ თუ  
თა ვითარებას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ცნობა  
გიას და ცოდნას, მამებსაც დავახმაროთ ჩევნი გამოცდილებას რაზე  
ისე შეერთებულად ვოლვაწოთ, რომ ჩევნს წინაპრებთან და მართვის  
არ დავრჩეთ”...<sup>1</sup>

აკაკი წერტელი ამ ისტორიულ სიტყვაში ხახს უსამდა იმ  
გარემოებას, რომ საზოგადოდ სამხრეთ საქართველოს ქართველე-  
ბი, კერძოდ კი აკარლები შეიძლება გატყდნენ, მაგრამ არ მოიდ-  
ბი, რიკნენ! აღნიშნულია ქართველთა გამძლეობა, მათი ღვაწლი ქარ-  
თული ენისა და კულტურის შენარჩუნების საქმეში, ორივე მხა-  
რის მაპმადიანი ქართველებისა და ქრისტიანი ქართველების მიერ-  
მამა-ჰაპათა ანდერძის ფაქიზი შესრულება — დედაენის შემონა-  
ხვა და ერთობის აღდგენა.

ამავე ნადიმშე დიმიტრი ყიფიანი სამართლიანად ამბობდა: „ვინ  
იცის, კიდევ ამდენხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დი-  
დი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი, იმისმა ზრუნვამ ხალხისათვის  
მოგვმადლა ეს შეერთება ამდენი ხნის დაშორებულებს“...<sup>2</sup>

ეს ნადიმი ამაღლვებელ ზეიმად იქცა. დაკარგული ძმები, —  
სტუმრები და მასპინძლები, — ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდ-  
ნენ. ერთმანეთთან შეერთება და დაახლოვება გულწრფელად განი-  
ცადეს! შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი.  
მან ძარლვიანი, ლაზათიანი სუფთა ქართულით მიმართა დამსწრებებს:  
„კი იქნება ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყენენ შე-  
მოერთებული, მაგრამ თუ ის არ მოხდა, საცა უნდა იქნეს, ვინატ-  
როთ ბედნიერად იყვნენ. განათლება ეჭირვება, ბატონებო. იმათ,  
ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, წალით, გაი-  
ცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ; სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე  
უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე აბდლურად დატოვებთ!“.<sup>3</sup>

გართალია, ილია ჭავჭავაძე, როგორც ითქვა, არ დასწრებია.  
მაგრამ იგი შემდეგ აჭარლებისაღმი დახმარების ორგანიზაციას მე-  
თაურობდა და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა:

„აბა, ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს  
შენს ახლად შემოერთებულ ძმებს, ახლა შენ იცი, როგორ დაუმტ-  
კიცებ ქვეყანას მამაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა, შავი დღის-  
თვისაო“.

1 თ. სახოჯა, მოგზაურობანი, 1950 წ. გვ. 154-155.

2 იქვე, გვ. 154.

3 გაზეთი „დროება“, № 126, 1878.

ნამეტნავად აჭარა თურქეთისა და რუსეთის ჯარების სახელმძღვანელო მოედანი გახდა. ომების შედეგად განადგურდა ნაციონალურობიდება, დოვლათი. მთებში შეხიზული აჭარლები მიმშორებული უსახლკარობით სულა ღაფავლნენ. ისინი არსაიდან შემოიწვია და დაღნენ.

„დროების“ № 32-ში კარგად არის აღწერილი გ. წერეთლისა-გან ის საცოდაობა, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმედაც.

ილია მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას, რომ მარტო მთა-გრობის ზრუნვა და დახმარება საკმარისი არ არის ამ შემთხვევაში, რომ მდგომარეობა მეტისმეტად რთულია. — დასძენს ილია, — იქიდანაც ჩანს, რომ თეთონ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს იმი-სი გამოცხადება საქვეყნოდ. ვინ არ იცის, რომ ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ექნელება და ემშიმება ხოლ-მე. სჩანს, მართლა დიდი უბელურება უნდა ტრიალებდეს კინტრი-შის მაზრაში...

„ჩეენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, — განავრძობს ილია, — რომ რავი მთავრობა ამისთანებში მოვალე და ყოვლად შემძლებე-ლი ღონე, ჩეენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულგრილად ვუყუ-როთ ჩეენი ძმების უბელურებას. გულგრილად და თუნდ ცარიელის გულისტკივილიდაც შევყუროდეთ, როგორ თრთის და იქრუნჩხება შიშველი ბავშვი სიციისაგან, როგორ უკვდება ივი კალთაში შიმ-შილისაგან ძუძუგამრალს დედას, როგორ ტყის ნადირსავით დაკ-რწის ღონემიხდილი დამშეული მამა, იმედ-დანთქმული, რომ რი-თიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა, გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისი თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზე მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თა-ვისი ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა. არ გაიკონოს თავისის ყურით ამო-ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“, საცოდავი კნა-ვილი ბავშვისა: „მამავ, პური, მამავ პური“... გარბის თვითონაც და-მწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს!...

— აბა, ახლა წარმოიდგინეთ, — ამბობს ილია, — ეს ჯოჯოხე-თი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რო-მელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმას, რომელსაც შეელა, ცოტად თუ ბევრად, შეუძლიან და არ შეელის. ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ დაკარგული იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანევ მოვიდნენ... ლარიბნი ვართო, ვიძებით,

მაგრამ ქვეყანაზე მარტო ლარიბმა იცის: რა არის შეელა, რა იტეს  
ძმობა გაჭირებაში.

„ივერიისა“ და „დროების“ ჩედაქციები სისტემატურად გამოიწვია დებლენენ შემოწირულებებს აქარაზე დასახმარებლად.

ბერლინის ხელშეკრულების თანახმად, მაპმადიან ქართული მუნიციპალიტეტი თურქეთში მუჰაკირად წასვლის უფლება ეძლეოდათ მუნიციპალიტეტი თურქეთში. ეს მდგომარეობა თურქეთის აგნტებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა მოსახლეობა გაერევათ ოსმალეთში. აერცელებდნენ სხვადასხვა სახის პროცესაციებს, რათა ხალხი დაუშინებინათ რუსეთის მმართველობით. ისინი ხალხს არწმუნებდნენ: რუსეთის მფრველობის ქვეშ თქვენი ყოფნა შეუძლებელია, რადგან დაუშვებელია მუსლიმანი ქრისტიანთა სახელმწიფოს ქვეშვრდომი იყოს, ვინც იქ დარჩება მისი სული სამოთხეში ვერ შევაო.

თურქები და ინგლისელები პროვოკაციულ ღონისძიებებსაც მიმართავდნენ. მაგალითად, სოფელ ქედაში თურქებმა 600 ჯარისკაცს გადააკეს სამოქალაქო ტანსაცმელი და ვითომც აჯანყებულები, დასძრეს ზემო აქარის სოფლებისაკენ. როცა ადგილობრივმა ხალხმა ვაიგო, რომ ისინი თურქი ჯარისკაცები იყვნენ. სროლა აუტეხეს მათ და ბრძოლით მდი კოროხის მარცხენა ნაპირისაკენ განდევნეს!“

მოსახლეობის გადასაპირებლად და თურქეთში წასაყვანად თურქები უმთავრესად იყენებდნენ ხოჯა-მოლებს და აღვილობრივ ბეგებს. ასე, მაგალითად: ალ-ფარა თავდგირიძე დაინტერესებული იყო აქაურ მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლებით იმის გამო, რომ სულთანთან შეთანხმების საფუძველზე მას გადასახლებულთა უზროსობას პპირდებოდნენ. მოსახლეობის ნაწილი სხვადასხვა დაპირებებით დაიყოლის მუჰაკირობაზე, ზოგნიც ძალით გარეეც თურქეთში. მათი უმეტესი ნაწილი გზაში დაიხოცა. ამგვარი თუ სხვაგვარი ხერხებით სამხრეთ საქართველოდან ძალით გადასახლებულთა რაოდენობა, ზ. ჭიჭინაძისა და მოსე ჯანაშვილის გაღმოცემით, ნახევარ მილიონს აღემატებოდა.

უკეთებდა რა ანალიზს აქარაში შექმნილ ვითარებას, კომაროვი დასძენდა: „ბათუმისა და კოროხის მიდამოების მცხოვრებლების ნაწილი თურქებს მხოლოდ შიშით ემორჩილებოდა, ძირითადი მამაკი სრულ მზადყოფნას აცხადებს ემსახუროს რუსეთს“.

1 ვ. მეგრელიძე, აქარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956, გვ. 72.

გრიგოლ გურიელი და სერგეი მესხი დიდ მუშაობას ატარებდნენ მუპაჭირობის წინააღმდევ. ისინი ხალხს ეხმარებოდნენ სერსათით, ტანსაცმლით, ფულით და სხვა საშუალებებით, რის გამო იდე მაღლობას იმსახურებდნენ ხალხისაგან.

ილია. ჰავეჭავაძეს მუპაჭირობასთან დაკავშირდებოდა წუშებით საქართველოს ქართველების ბედი დიდად აწუხტებდნენ, უაქტე შემზრდებით და გულის წუხილით კითხულობს: რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავისი დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღითგანვე, რისთვისაც ილწვის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეპხარის, რასაც დღესასწაულობს, — დიახ სტოვებს და მიღის სად?... ოსმალეთში!...

ეს, რა ამბავია, რა ამბავია!... ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ვეღარიყენებს, ვეღარ იშვნევს, ვეღარ ითვისებს! ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ ბინიდამ იშლება და მიღისო... ეს დაუკერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ერყყვიან: ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი ააღებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის, საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებაზედ, ამ სასოწარკუთილებამდე? რამ და იმანო ამბობენ, ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია, თურმე, ყველა კალიაზედ უფრო მსუნავი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძლარი წვრილი ჩინოვნიკია“...

უმაღლესი მთავრობა, თუნდ კარგიც იყოს, — განავრძობს ილია, — შესაძლოა „მოხელეების წყალობით, ხალხმა აითვალწუნოს... და იმდენად დაფრთხეს, რომ მამაპაპეული ბინაც მოშალოს და ცხრამთას იქით გადავარდეს, ოლონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, — შეაღვენს ერთს იმისთვის უპირველეს და აუცილებელს საკიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვაგლეჭაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამაპაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემ

დევი ისტორიული განცვილებეს, ჩვენ კი ეს გულისტკივილით შევ-  
ნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში<sup>1</sup>.

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე შეშფოთებულია იმ ამით, რომ სამხრეთ საქართველოს ქართველები — აჭარლეზე მართვული ტოვებდნენ თავიანთ მამულს, სახლ-კარს და თურქეთში გადამდებარებულ ნენ, სახლდებოდნენ: ვართალია, მუჭაჭირობა ნებაყოფლობით ვადა-სახლებას ნიშნავს, მაგრამ ქართველების მუჭაჭირად წასვლა, როგორც ამას შესანიშნავად ასაბუთებს ილია ჭავჭავაძე, ხდებოდა ძალა-დატანებით, იძულებით. ჯერ ერთი, მოსახლეობა დაშინებული და დამფრთხალი იყო წვრილი მოხელეებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ამას ერთვოდა ინგლისისა და თურქეთის აგენტურა, რომლებიც, ძალით თუ ნებით, ქართველ მოსახლეობას თურქეთისაკენ მიერევე-ბოდნენ.

საქართველოს მოწინავე აღამიანებმა 1878 წლიდანვე ღაიწყეს სამზადისი და ზრუნვა აჭარაში ქართული სკოლების გახსნისათვის. 1880 წელს სტიპენდია დაენიშნა და უმაღლეს სასწავლებელში გაი-გზავნა ორი ქობულეთელი მოსწავლე. ამის შესახებ უკრნალ „თეა-ტრსა და ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

„ნიკო ცხვედაძე გულმესურვალედ ადევნებდა თვალყურს ქარ-  
თველ მაჰმადიანთ ძეთა სწავლა-განათლების საქმეს. ამის მეცადინე-  
ობით 1880 წ. მუხრან ბატონში არი სტიპენდია გაუჩინა გულო-აღა  
კაიკაციშვილის შეილს, ისმაილს და დედე-აღა ნიკარაძის შვილს“...  
ისინი უმაღლეს სასწავლებელში მიღებული იქნენ ქართველთა შო-  
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საშუალებით.

ი. გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელე-  
ბელ საზოგადოებას დაჩქარებით მოეგვარებინა აჭარის ყველა კუთ-  
ხეში სკოლის გახსნის საქმე.

სამხრეთ საქართველოში სკოლების გახსნით უაღრესად დაინ-  
ტერესებული ყოფილი ილია ჭავჭავაძე. იგი 1881 წლის მარტში  
ყოფილა გამოგზავნილი ბათუმში სკოლების გახსნის საქმეზე. მისი  
თხოვნით, ბათუმის გუბერნატორმა კომაროვმა ადგილობრივ აჭარ-  
ლებს დაავალა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მი-  
ერ გახსნილ სკოლაში გამოეგზავნათ თავიანთი შეილები. ილიამ  
დიდი მუშაობა გასწია ბათუმის სკოლის გახსნისა და სკოლაში მო-  
წავლეთა მიზიდვის საქმეში.

ილია ჭავჭავაძე 1879 წელს აჭარაში სკოლების გახსნის აუცი-  
ლებლობის შესახებ წერდა: „ეს შეოლები სხვა ყოველს საშუალება-

1 ილია ჭავჭავაძე, ტ. 5, 1955, გვ. 34-35.

ზედ მეტად სულით და გულით შემოვეირთებენ აჭარას... აუსევ-  
ისე ძმურს სიყვეარულს ჩამოავდებს ჩვენშიო".<sup>1</sup>

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე, ეს მე-19 ხაუკუნის გამოცემისას მო-  
ღვაწე და დიდი მგოსანი, მთელი არსებით, მთელი უკუკუში მდგრა-  
დებით იღვწოდა იმისათვის, რომ სამხრეთ საქართველო უჩინეს მერქანტულ-  
ლები — აჭარლები დაბრუნებოდნენ დედასამშობლო საქაოთველს,  
რომ აჭარლები არ ვადახვეწილიყვნენ თურქეთში და ბოლოს, რომ  
აჭარლები კულტურულად გაოვითცნობიერებულიყვნენ და უფროს  
ძმებს მხარში ამოსდგომოდნენ.

და დღეს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 წლისა და გარდა-  
ცვალებიდან 50 წლისთავზე, თამამად შეიძლება მივიღეთ ილიას  
საფულავთან და ვუთხრათ:

დიდო მგოსანო, ჩაგრულთ მფარველო და მოამავევ! შენმა ნალ-  
ვაწმა სათანადო ნაყოფი გამოიღო, დღეს აჭარლები, მშობლიურ  
ქართველ ხალხთან ერთად აშენებენ ახალ — კომუნისტურ საზო-  
გადოებას.

ბათუმი, 1957.

### აკაპი ჭვრითელი პატშაში

მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები ამჟამად დღესასწაუ-  
ლობენ დიდი ქართველი მგოსნის — აკაპი წერეთლის და-  
ბადებიდან 100 წლისთავს. აკაპი მთელი თავისი სიცოცხლე და  
ნიკი ქართველი ხალხის კეთილდღეობას შესწირა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამატრცელებელ საზოგადო-  
ებას ბათუმში თავისი განყოფილება ჰქონდა. ამ განყოფილების  
ინიციატივით ბათუმში გახსნილა ქართული სკოლა. ამ სკოლის სა-  
სარგებლოდ ყოველი წლის 14 იანვარს (ნინობის დღე) იმართებო-  
და საღამო. საზოგადოებას საღამოზე მონაწილეობისათვის მიუმარ-  
თავს აკაპისათვის. აკაპიც სიხარულით დათანხმებულა.

აკაპი ბათუმში 1897 წელს ჩამოსულა. ამა წლის 14 იანვარს გა-  
მართულ პროგრამაში წერია:

1 ა. ჭავჭავაძე, თბილებანი, ტ. 5, გვ. 46.

აყავი 1898 წელს და 1902 წლის 14 იანვარს გამოიტარა სამო-  
შობიაც იხსენიება, როგორც სალამოს მონაწილე, მაგრამ შესაბუთია,  
ეს მეტი შემოსავლისა და ეფექტის გამოწვევისათვის მომიღებულ  
საზოგადოებამ.

### ურარცხული

დოკუმენტებიდან ირკვევა. რომ აყავი ოფიციალურად მიმდევად  
ეწვია ბათუმს: — პირელად 1897 წელს და მეორედ 1909 წელს  
— მისი მოღვაწეობის 50 წლისთავზე გამართულ იუბილესთან და-  
კავშირებით.

თუ როგორი პატივისუმითა და სიყვარულით შეხვდნენ ბათუ-  
მის ვარომელები, მოწინავე საზოგადოება აყავის, მას იასონ საბახ-  
ტიაშვილის მოგონებაც ნითლად ატეკიებს. იასონი ბათუში დიდი  
ხანია ცხოვრობს და აღნიშნული საზოგადოების აქტიური წევრი იყო.

იასონი შემდეგს მოგვითხრობს აყავიზე:

— ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-  
დოებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული კულტურის მო-  
ამაგე, დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე, პქონდა განყოფილება ქ. ბა-  
თუში.

ამ განყოფილების, თუ საზოგადოების უშუალო ხელმძღვანე-  
ლობით, ქ. ბათუში დარსებულ იქნა პირველი ქართული სკოლა  
(ახლანდელი რუსთაველის სახელობის № 2 სკოლა). მეფის მთავრო-  
ბის აღვილობრივი ხელისუფლება სკოლას არავითარ დახმარებას არ  
უწევდა: სკოლას ინახავდნენ ბათუმის მოწინავე პირები, რომელ-  
საც გული შესტკიოდათ ქართულ კულტურაზე, ქართულ ენაზე, ქარ-  
თულ სკოლაზე.

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა სკოლას მუშაობა. მას არ  
გააჩნდა არავითარი სახსარი, თუ არ მიიღებდა მხედველობაში იმ  
თანხებს, რომლებსაც ვაგროვებდით ოჯახებში ან სალამოებზე სკო-  
ლის სასაჩვებლოდ.

სკოლის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა 14 იან-  
ვარს, ნინობის ღლესასწაულთან დაკავშირებით გამართულ საღა-  
მოზე შემოსული ფული.

1897 წლის 14 იანვარს საღამოსათვის გადაწყვეტილ იქნა სახა-  
ლხო პოეტის აყავი წერეთლის მოწვევა.

მხცოვან პოეტს გაეგზავნა მოსაწვევი ბარათი. მოლოდინი გაგ-  
ვიმართლდა. დიდი სიხარულით გვეწვია აყავი. ახლაც თვალწინ მი-  
დგას მისი ლამაზი, თეთრი, მომლიმარე და მეტად მიმზიდველი სახე.  
რამდენი სიყვარული და სითბო გამოიხატებოდა მის თვალებში!

აყავის ჩამოსვლის ბათუში საზოგადოება დიდი სიხარულით  
შეხვდა. ყველანი გულის ძეგრით მოველოდით პოეტის გამოჩენას  
სცენაზე.

გამოჩნდა პოეტიც. რომლის გამოსვლა დაფარა ჰუსტინელი-  
მა ტაშმა. მეტად გულთბილი იყო პოეტისა და ხალხის შესაცდა-  
ვაკის უსათუოდ უსაზღვროდ უყვარდა მშრომელი ხალხი და ასევე  
ხალხსაც — აკაკი. წერაკითხვის უკოდინარმა გლეხქრქმა მინდესტ-  
ქსი ზეპირად იცოდა.

აკაკიმ წაიკითხა ლექსი „სიზმარი“. იგი ლექსს კითხულობ-  
და უბრალოდ, სადაც, მას არ ახასიათებდა ყალბი პათოსი, ხელებს  
ამოძრავებდა შესაფერისად.

დიდი, ძალიან დიდი ხანია მას შემდეგ, მაგრამ ახლაც მესმის  
მის მიერ ტკბილად და მგრძნობიარედ ნათქვამი სიტყვები:

„ეს ცხოვრება ისე ვიცი,  
როგორც ჩემი ხეთი თითო,  
ბევრი კნახე  
მე ამ ჰევენად  
სიყვარუს მაგალითი“... .

არ შემიძლია არ მოვიგონო, აგრეთვე. ერთი მომენტი აკაკის  
გამოსვლიდან. როდესაც აკაკი აღნიშნულ ლექსს კითხულობდა, შე-  
ნიშნა აუდიტორიაში წინ მჯდომი თავადის (ზე რიძისა და  
გურიელის) ქალები, რომლებიც ჩატული იყვნენ ევროპულად.  
ქართველი ქალების ნიშნაწყალი არც ერთ მათგანს არ ემჩნეოდა.  
აკაკიმ დაინახა, თუ არა ისინი, მოხდენილად, თითქოს იქით შემთ-  
ვევით გაეშვიროს ხელი, თქვა:

„აღარც ნინო, არც თამარი,  
აღარც ნესტან-დარეგანი,  
აღარც ერთს არ ემჩნეოდა,  
ქართველობის რამ ნიშანი“...

შეორედ აკაკი მოწვეული იყო 1909 წელს, როდესაც აღინიშნა  
აკაკის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე.

ამ დროს კიდევ უფრო დიდი იყო მზადება. პოეტის საპატივ-  
ცემლოდ დიღმა ხალხმა მოიყარა თავი სადგურზე. იქ იყვნენ მოსუ-  
ცები, ახალგაზრდებიც და ბავშვებიც. მოსულიყვნენ თაიგულებით,  
გამოჩნდა პოეტიც, გაისმა ხალხში ერთამული: შეძახილები: „აკაკი!“  
— „აკაკი!“.

პოეტი ჩასვეს საგანგებოდ მორთულ ეტლში. ეტლის წამოყვანა  
სასტუმრომდის მეეტლის ნაცვლად ქალებმა იქისრეს.

ქალების ამგვარმა პატივისცემამ აკაკი ძალზე შეაწუხა. — ივი  
თავს უხერხულად გრძნობდა.

აკაკის იუბილესადმი მიძლვნილ სალამოს პროგრამაში ვკითხუ-  
ლობთ:

„ქალ. ბათუმი

XVI

შართული საღამო

24 იანვარს, 1909 წ.

პროგრამა



## I განცოცილება.

1 ქართველი საზოგადოების სახელით მისალმება აკაკი წერეთელი.

2 მისალმება რუსულად

3 აკაკის პატივსაცემად ფალიაშვილის მიერ შედგენილ „მრავალე ამიერას“ იმღერებს ხორო ხ. ს. კსენოფონტოვის ლოტბარობით.

4 „სიმღერა“ და „პატარა მურია“ — ლექსი აკაკისა, წაიკითხავს კალანდაძე.

5 „მუშის ნატვრა“ და „მგელი და კრავი“ — მისივე, წაიკითხავს ქარცივაძე.

6 ქართულ ხმებს: „მიღის გემი“, „მუმლი მუხასა“, „ვახტანგ მეფე“, „ჩუხჩუხხით ჩამორბოდა“, „დღეს მერცხალი შემოფრინდა“ — იმღერებს ხორო ხ. ს. კსენოფონტოვის ლოტბარობით.

## II განცოცილება.

„პატარა კაზი“

ისტორიული დრამა აკაკის — ქუთ. დრამ. დასი.

## III განცოცილება

„დივერტისმენტი“

ღამსაწერებული არტისტის ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით და ლეკური, უკროპული ცეკვა, ლეკური და უზუნდარა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბეჭედვა ნებადართულია.

სტამბა ხ. მ. შმავესკისა.

როგორც პროგრამიდან ჩანს, აკაკის მოღვაწეობისადმი მიძღვნელი 50 წლის იუბილე XVI ქართულ საღამოზე გადაუხდიათ. აქედან მეორე საეკითხო ირკვევა, სახელდობრ: ბათუმში ამგვარი საღამოების მოწყობა 1894 წლიდან დაუწყიათ. აკაკი მოუწევევით პირელად მე-4 საღამოზე 1897 წელს, ხოლო 1909 წლის 14 იანვარს საღამო სპეციალურად აკაკისათვის მიუძღვნიათ.

ჭაბ. „ინდუსტრიელი ჭურაისი“, 1940 წ. 18 ივნისი.

დურსუნ იუნისის ქ ტაკიძე, შეახევის რაიონის ჭვანის საბუნო  
ფლო საბჭოს სოფელ ტაკიძების მცირდრს, 79 წლის მოხუცი, წარ-  
სულში ობლობა და დიდი გაჭირვება გამოუვლია, ჟურნალზე მუ-  
ვალ აღვილას მოგამაგირედ უშუშავინია.

დურსუნ ტაკიძეს მეტად მდიდარი ფოლკლორული მასალა შე-  
მოუნახავს; მისი რეპერტუარიდან ასორმოცი გვერდი ჩავიწერეთ,  
მაგრამ ვერ ამოვწურეთ კი. დურსუნ ტაკიძის რეპერტუარს უცხო  
გავლენა არ ემჩნევა, იგი ხალას აღვილობრივ მასალას წარმოად-  
გენს.

ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში ცხოვრობს 80 წლის მოხუ-  
ცი დურსუნ რომანის ქ მამუკაძე. მოხუცის მაღლიანმა მესხიერებამ  
შემოვვინახა უამრავი ზღაპარი, გადმოცემა და ისტორიული ამბავი.  
სხვათა შორის, თქმულება „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ — ავა-  
რული ვარიანტი — „დედგალ ოხრუჭის“ სახით, — მისგან ჩავი-  
წერეთ.

დურსუნ მამუკაძემ თურქულ-არაბულის კითხვა იცის და  
მისივე გადმოცემით „დედგალ ოხრუჭი“ ხსენებულ ენებზე წიგნალ  
არის გამოცემული.

ბინალი აზმედის ქ ფუტკარაძე შეახევის რაიონის შებნის სა-  
სოფლო საბჭოს სოფელ დაჩჩიძეების მცხოვრები, 35 წლისაა. მა-  
საც მდიდარი რეპერტუარი გააჩნია. იცის ბევრი ზღაპარი, ანდაზა,  
გამოცანა. ამას გარდა თხზავს საუკთარ ლექსებს და თავის განუყ-  
რელ საზრე ასრულებს სიმღერას, წარმატებით გამოდის სცენაზე.

თოფია აქიფის ქ ქათამაძე, ცნობილი ხალხური პოეტი, შუა-  
ხევის რაიონის ჭვანის სასოფლო საბჭოს სოფელ ვარჯანულიდა-  
ნაა. იცის ძველი და ახალი თემატიკის ლექსები, ზღაპრები, გადმო-  
ცემები, აეტორია აგრეთვე მრავალი ლექსისა.

ხუსეინ ხულეიმანის ქ ხაბაზი (ქამჯარაძე) ქობულეთის რაიო-  
ნის აქციისთავის სასოფლო საბჭოს სოფელ აჭყვისთავიდანაა. ივი  
მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა. ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნებშე მრა-  
ვალჯერ ჰყავს მოხსენებული.

ჭველაზე მეტად ხალხში გავრცელებულია და დიდი პოპულა-  
რობით სარგებლობს ხუსეინ ხაბაზის ისტორიული ლექსები.

ესქპედიციების მუშაობის შედეგად აჭარაში მრავალი სახალხო  
მთქმელი გამოელინდა. საჭიროა მათი რეპერტუარი ცალკე გამოქ-  
ვენება.

თაჯულებაზი და გადმოცემაზი აპარაზი არსებულ  
ისტორიულ ძეგლებზე



საქართველო, კერძოდ აჭარა, მატერიალური კულტურული წესის  
ლებით მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ჩეეჭიშვილი<sup>1</sup> ეს  
ისინი სამ გულფად უნდა დაიყოს: ისტორიული ძეგლები, რომლებიც  
მთის წვერებზეა გაშენებული, ბარის ძეგლები და ე. წ. ქალაქური  
დასახლება.

მთის წვერებზე გაშენებული მატერიალური კულტურის ძეგ-  
ლები — ეკლესიები, მონასტრები თუ ციხეები, წმინდა გიორგისა და  
ელია წინასწარმეტყველის სახელს ატარებენ. ასე, მაგალითად, ივ-  
ჯავახიშვილის მოწმობით, ხინოშვინდის ეკლესია ქობულეთის რაიო-  
ნში, გიხანჯური და ოთოროსანი გვარაში, წმიდა გიორგის სახელი-  
თაა ცნობილი. „დასავლეთ საქართველოში შემდეგ აღვილას იცის  
განთქმული წმიდა გიორგის დღეობები: სოფ. ჩხარში, სადაც მდე-  
ბარეობს მთვარი მოწამის ბეკი... სოფ. ხინოში, სოფ. აჭარის მახ-  
ლობლად..... ს. გიხანჯურის წმ. გიორგი“ ცნობილია აგრეთვე მთას  
წვერზე გაშენებული ციხეები, როგორიცაა, მაგალითად, ელიას ცი-  
ხე, ხირხათის ციხე და სხვა.

ბარის ძეგლებად აჭარაში შეიძლება დავასახელოთ გონიოს  
ციხე — ეს გრანდიოზული და ბუმბერაზი ნაგებობა და ამჟამად და-  
უნგრეველი სხალთის ეკლესია.

ქალაქური დასახლების ტიპად აჭარაში უნდა მიეკინიოთ ქა-  
ლაქის ნაგრევები ბეშუმის ახლოს, რომელიც ვეებერთელა ფარ-  
თობზეა მოფენილი, ბობოვყათი — ციხისძირიდან დაწყებული, ვა-  
დრე მდინარე კინტრიშამდე, და ფიქვნარის, ჩოლოქის, ცეცხლაუ-  
რისა და გიხანჯურის ქალაქური დასახლებანი, სადაც მატერიალური  
თუ სულიერი კულტურის მრავალი ძეგლია მიმოფანტული. ფიქვ-  
ნარში ნაპოვნი სამსხვერპლოები, ჩოლოქში, ცეცხლაურსა და გი-  
ხანჯურში შიკელებლი მეტალურგიის ექიმი, რენის საღნობი ქუ-  
რები აშეარად მეტყველებენ ცხოვრებისა და კულტურის მაღალ  
დონეზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ისტორიულ ძეგ-  
ლებს: — ციხე-სიმაგრეებს, მონასტრებს, ეკლესიებს, ხიდებს ხალ-  
ხი, როგორც წესი, მე-12 საუკუნეს თამარის დროს მიაწერს.

1914 წლიდან, პირადად რომ მახსოვეს, ქობულეთის ბარის მო-  
სახლებას თრჩერ მოუხდა მთებში გახიზნა. ამ დროს, სახელდა-  
ხელოდ რაც წაიღებოდა, თან მიგვექნდა. საოჯახო ნივთებს, პრი-

1 ივ. ჯევახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 49.

დუქტებს მიწაში ჩაფლულს ვტოვებდით. საშიშროება რომ გადმო-  
და, უკან ვპრუნდებოდით, დამარხულ ნივთებს თუ პოლოუეტებს  
ამოვილებდით და მოვიხმარდით.

ვინ იყის, მტრის შემოსევების გამო ჭართველი ნამდებელი გადა-  
ჰქერ ვახიზნულა მთებში და, რაც კი რამ ებაღა და თან ამ წარლე-  
ბოდა, მიწაში მარხავდა. ამიტომ ჩვენი კულტურის მაუწყებელი  
ძეგლები უნდა ვძებნოთ როგორც მიწის ზედაპირზე, ისე სიღრმეში.

აქარაში ისტორიულ ძეგლებზე მრავალი თქმულება და გადმო-  
ცემაა ხალხში შემონახული. ხინო წმიდის ეკლესიას, მაგალითად, დი-  
დხანს, თითქმის მე-20 საუკუნემდე მოჰყვა „სამკურნალო თვისებები“.  
პირადად მახსოვეს სოფ. თხინალიაში (ახლანდელი მუხაესტატე) მურად  
ალის ძე ქათამაძეს ერთად ერთი ვაჟი ავად გაუხდა. დიდხანს იავა-  
დმყოფა და გარდივალი. იმისთვის, რომ ვაჟი გადაერჩინა, მურად  
ქათამაძემ სახლიდან წაიყვანა დიდი წითელი მამალი, წაიღო ფული,  
გამომცხვარი ტაბლები, ლურსმანი, უხმარი ქსოვილი და ყოველივე  
ეს შესწირა წმიდა ხინოს ეკლესიას.

ასეთივე „სამკურნალო“ მნიშვნელობა ჰქონდა იქცვისსავაში  
ქამეარაძეების ეკლესიას. იმ დროს, როცა საქართველო-თურქეთის-  
საზღვარი მდ. ჩოლოქზე გადიოდა, საქართველოში გაერცებული  
ყოფილი ტყვეთა მტაცებლობა. ტყვეთა მტაცებელს აღგილობრივი  
მცხოვრებლებიც უწყობდნენ ხელს; მოტაცებულის ჰირისუფლები  
მათ წყვევლიდნენ. დაწყვევლილი ოჯახი, ფათერაკი რომ მოეცილები-  
ნა, ქამეარაძეების ეკლესის ეზოში იხდიდა „სამხოოს“; მოწვევდა  
მღვდელს ან ხოჯას, სხვა გვარის შვიდ წვერიან მოხუცს და კაცის-  
მაგივრად ცხოველის ჩონჩხს მარხავდა.

ხინოს ეკლესიაზე ასეთი გადმოცემაც არსებობს: ეს მოხდა  
დაახლოებით მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. მას შემდეგ, რაც ეკ-  
ლესის კედლები საქართველო ჩამოინგრა, ხინოში ერთ გლეხს განუზ-  
რახავს სახლის აშენება ისე, რომ პირველი სართული ქვისა ყოფი-  
ლიყო, ხოლო მეორე — ხის. მოუყვანია ოთხი ქვის მტეხელი და  
დაუვალებია ეკლესის კედლების მონგრევა.

ოსტატები სამუშაოდ ეკლესიაზე დილით მიღიოდნენ. ხოლო  
შემდეგ სადილი მასპინძელს აქენდა. ერთ დღეს მასპინძელმა სა-  
დილი მოვევინებით წაიღო, ეკლესის რომ მიუახლოვდა, გაოცე-  
ბული შეჩერდა — გარშემო ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ეკლესიაში შევი-  
და და ირგვლივ მიმოყრილი სამუშაო იარაღები დაინახა. ოსტატები  
არსად ჩანდნენ. სავარაუდოა, რომ მათ განძი იპოვეს კედელში, გაი-  
ტაცეს და გაიქცნენ.

სხალთის ეკლესიაზე ასეთი გადმოცემა შენახული. გადმოცემას

„თურმე, პირველად, როცა დაწყებს ეკლესის ავება, ამ დღის ეკლესის საფუძველი გამოზომილ იქნა ყინჩაურის შუა ცანკოში. ამ ცენტრთან ერთი დიდი სხალი ყდომილა, ძალიან მსუბუქი და მოჭრა მოუნდომებიან. დაუწყიან ჭრა, სიმსხვილის გამო 4ჯაში მცირებულ კაცს უკრია და ვერ მოუკრია. როდესაც ჭრილნენ, იმ დღეს დარჩებოდა მოუკრელი. მეორე დღეს რომ მოვიდოლნენ, მიღულებული ყოფილა. ამ დროს ერთ გამოცდილ კაცს შეკითხებიან, რომ ჩენ ვერ ვამთავრებთ მის მოჭრას, როცა მოვალთ, ისევ მიღულებულია და როგორ მოვიქცეთო. ამ დროს ერთგვის ეს გამოცდილი კაცი - ცულები შით შეტიქ, ნუ გამოილებთ და არ შედუღებათ“.

მართლაც დატოვეს ცული, წავიდნენ, როცა დილას მოვიდნენ. რომ ნამდვილად არ მიღულებულა. ასე მოიკრა ის სხალი. დაწყეს იქ საფუძველი.

— სად კეთდება ეკლესია? — ერთმანეთს ეკითხებოლნენ. უპა-სუხებლნენ — სხალთან. — ამით დარჩენილა სახელწოდება „ს ხა-ლთა“.

ეკლესის მასალა გადმოტანილი ყოფილა თენნარიდან, თენნარის სერიდან. აქ ყოფილია ქვის მარავი და მახარაით გადმოუზიდვან. მისი საფუძველი იმ ეკლესის კიდევ იქვენ არი. იმ ქვის ნაშთი კი-დევ იქვენ არი ქვის მარავთან. იქ გამოდებულია რკინის ზენჯირი. იმ ადგილს კი ეწიოდება „ზენჯირი კლდე“.

ამ მუშაობის პერიოდში გაყოფილი იყო უსტიები ორ ნაწილად — მშენებელი და მასალის დამამზადებელი. როცა დამთავრების პერიოდში მიღდა საქმე, ამ დროს მშენებელმა შეუთვალა, რომ „მე მჰირდება ამდენეთი მასალა“.

იმან მოსწერა ხამან, რომ „შენ მაგდონი კი არ გვირდება, ნამდვილად გვირდება ამდონეთი“. დაგემვის გამოანგარიშებით სწორათ უთხრა ქვის დამამზადებელმა.

ამ დროს, როცა ეს წერილი უსტას მოუტანეს; ამ უსტას უფიქრია, რომ ამ მასტერს ჩემზე მეტი სცოდნია გამოანგარიშებითო. დუფიქრია და ჭავრი მუტანია და თითქოს გადმოვარნილა შენობიდან. მისი საფლავი ეკლესის გვერდზე იყო.

ამ ეკლესის უმოქმედია რამდონიმე ხანს და როცა სამუსლი-შანო შემოსულა, მაშინ კიდო დარჩენილა ეს ეკლესია და ერთი პაპი ყოფილა. იგი დადიოდა. ამ პაპიდან დარჩენილა გვარი პაპოშვი-

ლები. იგი ახლა სოფლის სახელია. იგი, პაპი, ეკლესიაში დაიმოდა, ლოცულობდა“!

სხალთის ეკლესიაზე არსებობს გადმოცემის მეორე კანიანტი, რომელიც ჩვენ ჩავიწერეთ. ამ გადმოცემის მიხვდეთ ეს ქალაქის ეკლესია აუშენებია ორ ძმას. ერთი მათგანი საშენებლის დაუშენებლად, მეორე ეკლესიას აეთებდა. მათ ჰყოლიათ ერთი ხარი, რომელსაც მთელი საშენი მასალა მარტო, აღამიანის დაუხმარებლად, გადმოუზიდია. ძმებს წინასწარ გამოითვლიათ საშენი მასალა. როგორ უმცროსმა უფროს ძმას ხარით უკანასკნელი ქვა გაუგზავნა, შეუთვალა, მეტი მასალა აღარ გვირდებათ. მაგრამ, თურმე, მუშებს გამოსაცდელად ერთი ქვა გადაუმალავთ, ამიტომ უფროს ძმას გაუგზავნია ხარი და შეუთვლია ერთი ქვა მაკლიათ. ძმას ხარი ცარიელი გამოუგზავნია, მეტი არ გვირდებათო. ამასობაში მუშებს გადამალული ქვა გამოუჩენიათ. უფროს ძმას ეს უკანასკნელი ქვაც დაუშენებია, მაგრამ ჯავრით, უმცროსმა ძმამ როგორ მაჭობაო, ეკლესიიდან გადმოვარდნილა და მომკედარა.

შეტად საინტერესო გადმოცემა არსებობს ხიჭაურის ციხის შესახებ. როგორ ფეოდალურ ხანში ქობულეთი უმეთაუროდ დარჩენილა, ოლქაბა დაუწესებიათ. ოლქაბაზე იქრიბებოდნენ მუქიფასოულში, დიდ მინდობრზე, ან ოჩხამურში, მუხის ხიდთან. მაშინ, თურმე, პირველობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ გვარები: ცეცლაძე, ნიკარაძე, გუგუნავა, ართმელაძე, ლომაძე და სხვები. რომ ვეღარ შეთანხმებულან, გურიელისათვის შეუთვლიათ, მოვკეცით ვინმე მთავრადო. დელეგაციისათვის გურიელს უთქვას, ხიჭაურის ციხეში თურქებს ტყვედ ჰყავთ გურიიდან წამოყვანილი მამუკა თავდგირიძე, გამოიხსენით და მეთაურად დაისვითო.

დელეგაციის ეს აზრი მოსწონებია.

ქობულეთიდან საქმის მოსაგვარებლად ხინიქაძე და ჯინვარაძე გაუგზავნიათ. მათ ათი მარჩილი დასჭირვებით მამუკას გამოსახსნელად. მთელი ქობულეთის საზოგადოებას უძებნია ათი მარჩილი (ძარჩილი — დაახლოებით ათი კაპიკი) და, ბოლოს, სოფელ ჭახათში, ვინმე ცეცხლაძის ოჯახში უპოვნიათ თორმეტი მარჩილი. ხინიქაძეს და ჯინვარაძეს ციხის უფროსისათვის ათი მარჩილი მიუციათ, ხიჭაურის ციხეში ვოღორი ბაშრით შეუგზავნიათ და მამუკა თავდგირიძე ციხიდან ვოდრით გადმოუშვიათ. მამუკა თავდგირიძე ჩამოუყვანიათ სოფელ ქობულეთში და იქ დასახლებულა. ასე გამატონდა თავდგირიძების გვარი ქობულეთში.

1 ზ. თანდილავა, ინსტ. ფ. 17, გვ. 71-72.

ხიჭაურის ციხეზე მეორე გადმოცემაც არსებობს. ახლა კი დღებით მოხუცებს, რომლებიც ამბობენ ამა თუ იმ ციხეში, ეს სიაში, გვირაბში, თუ სხვაგან, შესვლა აკრძალულია.

ეს აკრძალვა ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო ჭარბის ტექურის ან ცრუმორწმუნებობის გამო, ან კიდევ ძეგლის დაცუშვის მიმმართ წარმატებას ნათ ნაკრძალ აღვილებში შესვლას ვერავინ გაბედავდა. ისევე არავის შეეძლო შესვლა ხიჭაურის ციხეში. ალბათ იმიტომ, რომ არსებობდა გადმოცემა, თითქოს ხიჭაურის ციხეში განი ინახებაო, სამ გაბედულ ახალგაზრდას გადაუწყვეტია ციხეში შესვლა. დიდი ყოფილი უყავანის შემდეგ ერთი, ყველაზე უფრო გამბედავი, შესულა ციხის შიგნით და ბარი დაუკრავს. იგი მაშინვე გაშემდა; მის ამხანაგებს შიშით ენა ჩავარდნიათ და უკან გამოქცეულან. მკვდარი ამხანაგის გამოსატანად შიგ რომ ვერ შესულან, გარედან თოკი უსვრიათ, მოუბამთ და ისე გამოუთრევიათ.

ამგვარი თქმულებები და გადმოცემები, ალბათ, იმიტომ შექმნა ხალხმა, რომ მატერიალური კულტურის ძეგლები განადგურებისაგან დაცუა.

ერთი რამ გარკვევით შეინიშნება აღვილობრივ მოსახლეობა-ში: ისინი ისტორიულ ძეგლებს დიდი მოწიწვებით და პატივისცემით ეპყრობიან და სათანადოდ უვლიან.

როდესაც ოცდათი წლის წინათ სოფელ ვერნებში პირველად მივიღა ექსპედიცია, ჩვენი ყურადღება მიიქცია მეტად საინტერესო გარემოებამ. ერთი დიდი, ბრტყელი ქვის გარშემო (ეტყობოდა, ეს ქვა ეკლესიის კარის თაღი იყო) მოხუცებს ე. წ. სალაყბო მოუწყვევით და ამ ქვას დიდი მოწიწვებით უვდინდნენ. ნაწერი მხარე რომ არ დაზიანებულიყო, ქვა გადაუბრუნებიათ. მხოლოდ ჩვენი თხოვნით გვიჩვენეს ნაწერი მხარე.

როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, აჭარაშიც ისტორიულ ძეგლებს დიდი, თამარის სახელს უკავშირებენ. თალიანი ხილების, ეკლესიების, მონასტრების, ციხეების აგებას ქართველები თამარ მეფეს მაწერენ.

ხალხური თქმულება გადმოგვცემს, რომ თამარს იმდენი ჯარი ჰყოლია, რომ აჭარისწყლილან ჩამწერივებულან, ციხის საშენი მასალა ხელიდან ხელში გადაუციათ და ასე აუშენებიათ ხირხათის ციხე.

ხალხური თქმულებით, ხირხათის ციხეში თამარს უკანასკნელად უცხოვრია და საბოლოოდ იქ მოუწამლავს თავი. ერთ-ერთ შაპი თამარის ცოლად შერთვა განუზრახავს. თამარს უარი შეუთვლია. შაპი დიდი ჯარით თამარის წინააღმდეგ წამოსულა. ყველა ციხე

თამარს, თურმე, მაშინ აუშენებია. როცა შაპს საქართველოს კეფი ერთ ციხეში მიუგნია, იქიდან თამარს მეორე ციხის თვალს მოუფრე- ბია თავი, უკანასკნელად ბირჩათის ციხეში მისულა და ის გაუმავ- რებია. შაპი მისდომით ბირჩათს, მაგრამ ციხის აუქშემი ციხეში მიმდინარე კერძო მოუხერხებია, ბოლოს, თამარის მაღლიდან კუმის ჯულის მექანიზმი ქმნის სულა შაპთან და უთქვამს, თუ დიდ საჩიურებს მომცემთ, ციხეს გა- ვაღებინებო. შაპი დაპირებია. მოუყვანიათ ათასამდე თეთრი თხა. ამ თხებისათვის რქებზე სანთლები დაუმაგრებიათ, ბნელ ღამეში აუნ- თიათ და თხები ბირჩათის ციხისაევნ გაურევათ. ეს რომ თამარს დაუნახავს, უთქვამს, ჩემი ჭარი მაგათ ვეღარ გაუმკლავდებათ, შეპ- რუნებულა ციხეში და თავი მოუწამლას.

თამარის ციხის შესახებ არსებობს ასეთი გადმოცემა: ეს ციხე ადრინდელი ბათუმის ბასტიონს უნდა წარმოაღენდეს. ციხე შემა- ღლებულ ბორცვზე გაშენებული. ერთხელ თურმე აქ თავისი ლაშ- ქრით თამარ მეფეს გაუვლია და დაბანაკებულა. ლაშქარს ქოშები გაუწმენდია, ერთად შეუგროვებია და ამრიგად წარმოშობილა ბო- რცვი. მეორედ გამოვლის დროს თამარ მეფის ბრძანებით ამ ბორც- ვზე ციხე აუშენებიათ, რომლისთვისაც თამარის სახელი ღაურქმე- ვიათ.

ასეთი თქმულებები და გადმოცემები ხალხში მრავლად მოიპო- ვება. საჭიროა მათი შეკრება და სათანადოდ დამუშავება.

### თქმულება ქაიხოსრო ხელოზის ხალხის შესახებ

თქმულება „ქაიხოსრო ხელმწიფის შესახებ“ ჩვენს მიერ ჩაწე- რილია ქობულეთის რაიონის სოფელ წყაროკაში 72 წლის მოხუცის — მემედალი ხუშუტის, ის რომანაძისაგან.

მას ეს ზღაპარი უცველეს ზღაპრად მიაჩნია. მემედალი 17 წლის ყოფილა, როცა მას ეს ზღაპარი გაუგონია სოფელ ლელვას მცხოვრებ ხულუს ჩაუში მესხიძისაგან, რომელიც, მისი თქმით, 70 წლის იქ- ნებოდა.

ჩვენ შევეცალეთ გამოგვერკვია, იცოდა, თუ არა მემედალმა რაიმე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს უკანასკნელი მას არ ქონდა გავონილი.

მისი თქმით ეს „ქაიხოსრო ხელმწიფის“ ზღაპარია.

წინამდებარე თქმულება შერწყმას წარმოადგენს შოთა რუსთა- ველის „ვეფხისტყაოსნის“ და ხალხური „ტარიელი“-სას.

თქმულებაში არის მომენტები ხალხური „ვეფხისტყაოსნი“-დან,

ზოლო უმეტეს შემთხვევაში შინაარსეულად იყო ლიტერატურული „ვეფხისტყაოსანს“ მოყვება.

მსგავსება შოთას „ვეფხისტყაოსანს“ და ამ თქმულებას შოთის საქმიანობა აშენაა. სიუჟეტურად ისინი თითქოს იდენტური სახელდობრი: ნესტან-დარეჯანის დაკარგვა, ტარიელის შემცირებულება ძებნა, ტარიელის მისვლა დევთა გამოქვაბულში და გამოქვაბულის დასაკუთრება, ავთანდილის ტარიელიდან გამგზავრება და ბრძოლა მეკობრეებთან, ფატმანთან შეხვედრა, ავთანდილის მიერ ჩანჩავირის მოკელა. ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა. ნესტან-დარეჯანთან კაშირის გაბმა და მრავალი სხვა.

მაგრამ თქმულება „ქაიხოსრო ხელმწიფის შესახებ“ მაინც საქმიანობ განსხვავდება როგორც ლიტერატურული, ავტორუ ხალხური „ვეფხისტყაოსნიდან“.

განსხვავება ოვით მომქმედ პირებშია. ფარსადანის მაგიერ ქაიხოსრო ხელმწიფე გამოყვანილი. ნესტან-დარეჯანის მაგიერ — შელტონ-დარეჯანი, ავთანდილის უშეური ცვლის და ფრიდონის მაგიერ სასულიერო პირი — ხოგაა გამოყვანილი.

ტარიელი ქაიხოსრო ხელმწიფის მოურავია: ჯალათები, მელტონ-დარეჯანთან ერთად, ასმათსაც აგდებენ ზღვაში, მაგრამ ტარიელი მოუსწრებს და გადაარჩენს. სამი კაციდან, რომლებიც ტარიელის დაპერას მოინდომებენ, ტარიელი ორს მოკლავს და ერთს მეფესთან ამბის მისატანად გაუშევებს. როცა უშეური ველზე ორ მკვდარ მხეცთა შორის იპოვის მკვდარ ტარიელს, ღმერთს ევედრება: ღმერთო, თუ ტარიელს გაცოტლება უწერია, ამ ისარს გავტყორცნი ცაში, ისარმა რაიმე სულიერი არსება მოკლას და იმის სისხლმა გააცოტლოს ტარიელი:

მართლაც გატყორცნილი ისარი ცაში თევზს კლავს, რომლის სისხლით ტარიელი ცოცხლდება.

მელტონ-დარეჯანის გამოსასხსნელად სამნი მიღიან: ტარიელი, უშეური და ხოჯა. მაგრამ ტარიელი ხოჯის მიერ ნაჩუქარი ქარის ცხენით გაფრინდება. აიღებს ციხეს, შემოისვამს მელტონ-დარეჯანს ცხენზე და უშეურსა და ხოჯას შუა გზაზე მოეგებება.

\* \* \*

ეს თქმულება სამხრეთ საქართველოში უნდა იყოს წარმოშობილი. ეს იქიდან ჩანს, რომ ფატმანი უშეურს უამბობს მელტონ-დარეჯანის შესახებ და ეუბნება, რომ ერთხელ ის ზღვის პირად ერთერთ ქალაქში ჩავიდა და იქ მეფეურნესთან, ვიღაც მოსული ხალხი — კანები ლაპარაკობდნენ მელტონ-დარეჯანის — ელქაჯების

მიერ შეპყრობის შესახებო. თვით ხულუს ჩაუში მდინარე და მისი შთამომავლობა ქობულეთის რაიონში, წარმოშობის მესხები არიან.

საინტერესოა ვიკითხოთ: ხომ არ უნდა იყოს ეს თქმულება უძველესი თქმულება, რომელიც საჩიხულად დაედვენისტებოდა მასწავლის უკავ ქმნილებას „ვეფხისტყაოსანს?“ ბერძის მიუწერ

მაგრამ მანამდე საჭიროა გავარკვიოთ ერთი საკითხი: საერთოდ საქართველოში და კერძოდ სამხრეთ საქართველოში, ისტორიულად ხომ არ არის ცნობილი ვიხე მეცე, ან მთავარი ქაიხოსრო?

### თავიულება „ამირადეარეჯანიანის“ შესახებ

აქარული ნადური სიმღერების ტექსტების შესწავლამ საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა. ამ ხასიათის ლექსებში ერთგან „წინ მელანი“ და მეორეგან „იმ მელანმა“ დამკვიდრებულა.

რით უნდა აიხსნას ეს? იგი საყოველთაოდ ცნობილი თქმულების „ამირანიანის“ სახეცვლა? დილხანს ვფიქრობდით ამაზე. ვზაგავიყვლია შედარებითი მეთოდის მომარჩევებამ.

რამდენადაც ხელი მიგვიშედება, ქართულ ხალხურ პოეზიაში მამაკაცის სახელად „მელანი“ და ისიც გმირის სახელწოდება, არ-სად ცნობილი არ არის. „მელანო“ ქალის სახელი შეიძლება შეგვხედეს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ხოლო „მელანი“ კაცის სახელად მგონი არა ვვაქვს. ნადური სიმღერების ორ ლექსში „ბერი კაცი ჩაჩ(ქ)ნა ბერი“ და „ყარანაში“ ეს გამონათქვამები ნახმარია ასე.

...წინ მელანი შეეცარა,  
შეემუშტრა ცხენშიდაო.

ან კიდევ:

„დეიხეა იმ მელანმა,  
წაუძგეფა ვირსა კული“.

უნდა იყითხებოდეს:

...მირანი შეეცარა,  
შეემუშტრა ცხენშიდაო.

და

„დეიხეა მირანმა,  
წაუძგეფა ვირსა კული“.

როგორც მკითხველი შეამჩნევს, „მელანი“ რომ „ამირანის“ ფარდი ყოფილიყო, ამისათვის „მელანს“ ერთვის „წინ“ ნაწილავი და მეორეს ჩეენებით ნაცვალსახელი „იმ“; ორივე შემთხვევაში ვღებულობთ ოთხმარცვლიან სიტყვას: „წინ მელანი“ — „ამირანი“.

სერგი მაკალათის შეტენი ახალციხეში მოპოვებული ლექტრ „ამირან და ჩრდილოველი“ ისეთივეა, როგორც აჭარულ-ფაფუა „მლე-ჩებში ნახმარი „ბერი კაცი ჩაჩ(ქ)ნა ბერი“. იქ „ამირანის“ სახელი, აქ კი „წინ მელანი“. ამას ზურგს უმავრეს ავრეთვე ის ფარი, რომ ხალხური „ამირანიანის“ ბოლო ნაწილში გვაქვს „კრისტენებულობელი“. ეს ივიცეა, რაც აჭარულში გაერცელ ტექსტი მქონება „ჩაჩ(ქ)ნა ბერი“.

ჩვენი იძრით, ისტორიული კითარების გამო, აჭარულებს პოეზიაში „ამირანის“ სახელწოდება დავიწყიდათ, ხოლო შემდევ მის მა-გვრად „წინ მელანი“ შეუტანიათ.

რაც შეეხება პროზას, აქ შეტად თავისებურ მოელენასთან გვაქვს საქმე.

აჭარული ზღაპრების შეკრების დროს ხშირად გაგვივინია და კიდევ ჩაგვიწერია სახელწოდებები: „რომ ვა ვი“ (უნდა იყოს „როკავი“ საგან წარმომდგარი), „ჯერ ჯალი“, „დიდ ჯა-ლი“.

შინაარსით ეს ზღაპრები ხალხური „ამირანიანის“ კვალს მის-ლევს, მაგრამ სხვაობა ის არის, რომ ქართულ მითოლოგიაში „ამი-რანი“ ბოროტი სულების წინააღმდევ მებრძოლ გმირად ცხადდება, ხოლო აჭარული „რომპაპი“ (როკაპი), „ჯერჯალი“ და „დედგალი“ ბოროტი სულების დამცველად გამოიდიან.

აჭარაში ორ ადგილას — შეახვის მარეთის ხეობასა და ქედის რაიონის სოფელ ცხმილისში — ესპედიციის წევრებმა ჩაიწერეს ზღაპრი „დედგალ ოხრუჭი“. ეს კი შინაარსით იგივეა, რაც ხალხუ-რი „ამირანდარეგანიანი“.

დაკვირვებამ და საყითხის შესწავლამ იმ დასკვნამდე მრგვიყვა-ნა, რომ „ჯერჯალი“ და „დედგალი“ არაბულ თუ თურქულ ენებში ვადატანილი ქართული „ამირანდარეგანია“.

როგორც ვიცით, არაბები მეშვიდე საუკუნიდან შემოვიდნენ საქართველოში: თურქები კი მე-13 საუკუნიდან გაჩინდნენ მცირე აზიაში და ქართველებს თავს ესხმოდნენ.

როგორც ჩანს, ქრისტიანული სამყაროდან მაპმაღიანერ ხამყა-როში წაუღიათ თქმულება „ამირანდარეგანიანის“ შესახებ და „და-რეგანიანი“ „ჯერჯალად“ თუ „დედგალად“ მოუნათლავთ, მისთვის შინაარსიც კი შეუცვლიათ.

აჭარლებს, როგორც ირკვევა, ისევე როგორც პოეზიაში, დაავი-წყდათ „ამირანის“ სახელწოდება, ხალხურ პროზაშიც დაკიწყნიათ „დარეგანის“ სახელწოდება, სამავიეროდ მათ ქართული მითოლოგი-იდან არაბულსა თუ თურქულში შესული დარეგანის სახელწოდება „ჯერჯალისა“ და „დედგალის“ სახით მიუღიათ.

ჭოვანი ბოკაჩიოს „დეკამერონში“ (ნაწ. I, ამბევრი გვ. 1) მო-  
ტ.ნილი აქვს ზღაპრი — „დასჯილი მატუურა ანუ გამოსახული-  
ლი ცოლი“, რომლის მსგავსი ზღაპრი ჩვენს მომ უკანასკნელ  
ში. 1936 წლის 12 ნოემბერს ჩვენმა თანამშრომელთა — იმავე მა-  
მოლლიმ, სოფელ ორთაბათუმში (ახლანდელი ჩაისუბანი) ჯემალ ჩა-  
მოლლისაგან ჩაიწერა ზღაპრი — „ვაკარი“.

ამ თრი ზღაპრის ერთმანეთთან შედარება დაგვარწმუნებს. რომ  
ისინი შინაარსობრივად ერთი და იკვევა. მათი კვანძები და ამ კვან-  
ძების ვახსნაც ერთნაირია.

ორივე ზღაპრში ვაკრები ხელებიან ერთმანეთს ჭალაქად. თრი-  
ვეში საუბრობენ ცოლების შესახებ, აქც და იქც წითელი ზოლი-  
ვით აღნიშნულია ვაკართა კლასის შეხედულება ქალშე საერთოდ.  
ორივეში გამოჩნდა ვაკართა შორის „უცნაური“ კაცი. რომელიც  
ცოლს იცავს სახალხოდ, რომ მისი ცოლი პატრონიანია და მის არ  
უღალატებს, რაც ვაკრებს აღელვებს. ორივეში მოქმედებს ქალთან  
დაახლოებული დედაბერი. ორივეში — ზანდუქში ჩაეყტილი ვაკარი  
შეპყავით ქალის საწოლ თიახში. ორივეში თითქმის ერთი და იგივე  
ნივთების მობარეა ხდება. ორივეში გაწილებული ვაკარი თავის  
შხლებელს ცოლის მოკლას ივალებს. ორივეში ცოლი ცოცხალი  
რჩება, ორივეში ცოლი გახსნის საქმეს და მატუურა დაისწება.

ვაწარმოოთ ამ ორი ზღაპრის ტექსტობრივი შედარება.

#### ჭოვანი ბოკაჩიოს შიხედვით:

1 პოლოს იმ საგანს შეეხო,  
რამედაც ლამარაკი ჩამოსუგდეს  
და იფიცა: დედამიწიშე მსგავსი  
პატიოსანი და ნამესიანი ქალი არ  
მოიძებნებათ.

2. და თუმცა სხვა ვაკრები  
ბევრს ცეალნენ საქმე რომ ჩაშ-  
ლილიყო. რადგან იყოდნენ, ეს  
შეიძლება, ძალიან ცედად გათავ-  
დესო, მაგრამ ორი მონაძლევე ვა-  
კარი ამ ზომამდევ გაცხარდა, რომ  
სხვათა ჩჩევის ური არ ათხო-  
ეს.

3. ამასობაში ერთი ლარიბი დე-  
დაყაცი გაიცნო, რომელიც ქმი-

#### აჭარული ზღაპრის შიხედვით:

1 რომ ილა იქნა, ამ ახალგაზ-  
რდა ვაჭარმა შეიფიცა თავის  
ცოლშე, რომ ეს საქონელი ამ  
ფასისადაც.

2. ასც, რომ დანიზლავდენ. ვინც  
წააგდებს შიგებულს უნდა ჩიაბა-  
როს თავისი ქონება. ამ ვაეის  
ამხანაგმა ბევრი ეცადა, რომ არ  
დარიშლებულიყენ, მარა ვა-  
რაფერს ვერ გახტა.

3 ამ შინწით შივდა ერთ შახ-  
ლილელ სოფელში და ნახა ერთი  
მოსული დედაბერი და იშას უოხ-  
რა, რომ სეოთი საქმე შექვეს და

1 ჭოვანი ბოკაჩიო, „დეკამერონი“, აშავი შეტრ. გვ. 211-212.

რაღ დაღიოდა ბარისას სახლში  
და რამელსაც შეჩრდის ცოლი  
ძალით პშევლოდა. შეკუტრებ  
კი კერძო დაყიდვის ფრენა შეი-  
სციდა. თავის გვაჩიტ გაკვთებულ  
ზანდუში ჩადა და ეს ზანდუები  
მმ დადაცაცა შეატანინა არა მარტო  
სახლში, არამედ თვით ქალის  
საწლო რომელიც.

4 მურა მოუმართდა სწოლს...  
ნებ-ნება საბაზი გადამხადა და  
დაინახა. რომ ჭილა შემცელოც  
ისევე ლამიზი ყოფილი, როგორც  
ჩატული. ტანხე ნიშანი ვერაუ-  
რი უნისა, გარდა ერთისა, მის-  
ხედი რედეს ქვემოთ ეს იყო ხა-  
ლი. რომლის გარშემო ამოსული  
იყო ასმენები იქნისტუტი ზე-  
სუსი. ეს რომ დაინახა, ჩემაცევ  
ისევ დამსურა საბაზი.

(იქვე, გვ. 216).

5 მორგებული გასაღებით ზან-  
დუები გააღო და ჩიტათ რომელი  
ამოვიდა. ჭილის უზრილიან ამო-  
ლო ქისა, წელშე წამოისახმი, რა-  
მდენიშე ბეჭედი და ქამიარი: ყვე-  
ლაფერ თვის ზანდუში ჩაწულ  
და მირა თვითონაც მიგ ჩემიღა  
და იმწირადა დაყარება, როგორც  
წინათ იყო.

6 მოლაპარაკების თანამიაღ ღვ-  
ავაცმა ზანდუები წამოილო და  
ისევ თავის ალაგას მოიტანა.

7 ნათევამის დასამტკიცებლად  
კერ აღწერა თვით რომელის მდე-  
ბარეობა, მისი კედლის მხატვრო-  
ბა, მეტე უჩვენა ჭილის რომელიან  
წამოლებული ნივთები და არწმუ-  
ნებდა მსენილთ, ჭილის მომცაო.

8 ჩემის აზრით ესეც საქმირისი  
უნდა უოფილიყო. მაგრამ ჩაეგი-  
გინდა, უფრო მეტი გითხრა, მა-  
ტონი ხარ, მათაც გვტყვები: შენს  
ცოლს ძინევრას მარტენა მუ-  
რას ქვემოთ კარგა მოდიდო ხა-  
ლი აქვს, რომლის გარშემო ამო-

რაღაც გაური შემცირდება ამ სა-  
მცირი და ფრენ მოვარდ ამავ-  
ნიც განდაგ, დებარებული გამო-  
ეს ამავეც, გავრდიობული და  
უზრისა ვეტერი, რომელიც გა-  
მომდინარებული ჩატარება და მე-  
ტევანი, ი ჭალა ჩემი გამოტა-  
ლივება, პირდაპირ შის რომელი უ-  
ციცერონი.

4 საღმოს ამ კაცის ზედგე ქა-  
ლმა მიყმადა ტანის ღამისანდ.  
გამმადა დადი ლევენი, შორტია  
ლევა წარალი, წალეტა კარები  
და ლინერი ტანის ბანა, ამ ღამის  
ეს გაჭირო იაშევრდან იყურება.  
შევეგ ერა ჯხარხე აე ნიშანი,  
ფიფი, მოსალილი, ფერათ შევ,  
ესეც შეამნია ამ ვაჭირვი, ამასო-  
ბაში ჭალმა ტანი დაიმსახა, ჩეიკუა  
საცავი და დაწევა ლოვინში. სა-  
ვარცალი და ბეჭედი ია სტოლ-  
ზე დაღვა, სავარცალი მეცებ უ-  
ფლილ იქნის, როგორლი ნაყიდი  
უოფილა, ჭილის.

5 ჭალმა რომ დაწევა და ლევ-  
რია, ამ ვაჭირმა ნება ვააღო ია-  
ზევი, დევა და სავარცალი და  
ბეჭედი მოიპარა, მეტერ მობრუნ-  
და დაძირება იაშევრდი, ვაჭირი თან  
ფერობს, რომ ეს საქმარისია  
ნისლევას მოსავებათო.

6 ამასობაში მოვდა დედაბერიც,  
წელი ეს იაშევი და წელია.

7 შე ბლავეო, ქალს რომ ნიღ-  
ბდი და ხალხში იხსენებდი. ნახე  
თუ არა, ახორ ას გვერნიო მეტე.  
ლო გიბიდან ბეჭედი და გადასცა.  
— ი ხომ შენი ცოლის ბეჭედია?  
ვაეს გავეკირდა — კიო ამინდო  
სავარცალი. როგორლი შისი ნა-  
ყიდი იყო. ესეც მისია, ხომ ამა-  
ზე თლათ მოეშეა საწყალმა.

8 კალე თუ ვინდა უფრო სე-  
რიონელს გეტვივი, ზენ ქალს  
ფხარხე შევი ნიშანი ხომ აქესო!

1 ქ. ნოღაიდელი, ჭარის ხალხური სიტყვიცრება, წიგნი შეორე, 1940 წ., 33, 94.

სულია ვეკირ ღერისცერი ბე-  
სუსი.

9 ცოდს თავის ჩამოსკელას დე-  
ყონისძინებდა და უფლიფა, ამ მა-  
ხურს წამოსკევით. მოსიმსახურე  
კი დაარიგა: როცა წამოიყვნი, სა-  
და ტმე უშიშარ დაგილას შევსრა-  
ლებდად მოქველი და შერე ჩემ-  
თინ დაძრუნდიო.

როგორც შედარებიდან დავინახოთ, გოვანი ბოკაჩიოს ზღაპარსა  
და მის იყარულ ვარიანტში შესანიშნავად არის დახასიათებული ქა-  
ლი ბურჯუაზეულ საზოგადოებაში. ორივეში აღნიშნულია, რომ ქა-  
ლი, ნებისყოფის სიმტკიცეში, მამაკაცს ვერ გატოლდება, რომ ქა-  
ლი მამაკაცისათვის გართობისა და დატყბობის საგანია, რომ ქალი  
არ შეიძლება არ წამოეგოს ცდუნების ანკესზე და ბევრი სხვა.

ამგვარად მოაზროვნე ვაჭართა შორის გამოჩნდება ერთი ვიღაც  
„თავხედი“, რომელიც ბედავს და ქალს საქვეყნოდ იცავს, რომ მისი  
ცოლი პატიოსანია და მას არასოდეს არ ულალატებს. ახალგაზრდა  
ვაჭრის თავხედური ვანცხადება სხვა ვაჭრებს სასაცილოდ არ ჰყო-  
ფხით, დასცირნიან მას და ბრაზით ცოფს ჰყრიან — როგორ გაბე-  
და საქვეყნოდ ქალის (ცულისხმება ცოლი) დაცვით.

საქმე იქამდე მიღის, რომ ეს ახალგაზრდა ვაჭარი ნიზღავს  
დებს მოწინააღმდევე ვაჭართან. თუ წააგებს, — გოვანი ბოკაჩიოს  
„დასჯილი მატუარა ანუ ვამარჯვებული ცოლის“ მიხედვით, შან უნ-  
და გადაიხადოს ხუთი ათასი ფლორინი ოქროთი, ხოლო მოწინააღმ-  
დევებ — ათასი ფლორინი. რაც შეეხება აქარულ ვარიანტს. აქ აღ-  
ნიშნულია, რომ მოწინააღმდევენი თავიათ ქონებაზე დანაზღაუ-  
ლენონ.

ახალგაზრდა ვაჭარი-ბერნაბო ლრმად არის დარწმუნებული, რომ  
თვითონ გაიმარჯვებს. ხოლო მოწინააღმდევე ვაჭარი რის ვაჭარია,  
თუ რამე საშუალებით საქმეს თავის სასარჯვებლოდ არ შემოატრი-  
ალებს. მართლაც ივი მოტუცებითა და ფარისევლობით ახერხებს იმ  
ახალგაზრდა, პროტესტანტი ვაჭრის დამარცხებას.

საინტერესოა ვიკიოთხოთ, როგორ მოახერხა მონაძლევე ვაჭარმა  
ბერნაბოს დამარცხება? რომ ვერაცერი მოახერხა, რომ არა თუ ბე-  
რნაბოს ცოლს დაუკავშირდა, სახლშიაც შესვლა ვერ შეძლო, გოვანი  
ბოკაჩიოს ზღაპარშიცა და მის აქარულ ვარიანტშიც წითელ ზოლი-  
ვით გასდევს ხერხი, რომელსაც გამარჯვებას მოწყურებული ვაჭა-  
რი მიმართავს. ორივეგან ვაჭარი იპოვის ქალის მახლობელს —  
მოხუც დედაკაცს. ორივე შემთხვევაში ვაჭარი დედაბერს შეჰყავს

კი ბატონი. შენი მიუღია  
9 რაღა ექნა სიუადას, მაგრა  
მის ამხანგას და უორის: რა წა  
დი ახლავა, ჰელუ რენი 1963 უზე  
სერიანგი სისხლში გამოიწვია მომა-  
რის, იმისთვის უძინება და მომი-  
კოხე მეუერთან.

ქალის ოთახში — ყუთში (ზანდუკი) ჩაკეტილი, ისე რომ ამ გვარის  
შეუძლია მიგნიდან კლიტით გაალოს ყუთის კარი, მიზოდეს აკეთი-  
დან და ოთახში რაც მას სურს, ის გააკეთოს.

დეკამერონისა და აქარულ ვარიანტშიც ვაკეარი პრიმიტიული  
ლებელ ნივთებს, მიწნევს ქალის სხეულზე ხალს. კუმისტური კულტ  
მიხედვით ქალს უპოვის სხეულზე, მარცხენა ძუძუს ქვემოთ ხალს,  
რომლის გარშემო მოსული იყო რამდენიმე ოქროსფერი ბუსუსი;  
ხოლო ვარიანტის მიხედვით ქალს ფხარზე აქ ნიშანი, დიდი მოზრ-  
დილი, ფერათ შევი.

ასე ამრიგად მარჯვებს მოწინააღმდეგე ბერნაბოზე. მაგრამ  
ამით არ მთავრდება ყველაფერი. თუ ვაკეარმა ბერნაბო ეკონომიუ-  
რად და მორალურად გაანადგურა, თუ სიმღიდორე და რწმენა წაარ-  
თვა, ამერიდან იწყებს მის სულიერ მოსპობას. იგი დასკინის ხალ-  
ხში, ხაქეებინდ. ჯოვანი ბოკაჩიოს მიხედვით ერთგან ამბობს: „მე  
მისი ცოლი ჩავიგდე ხელში და სანაძლეოც მივიღე. იმას, იმის მა-  
გიერად, რომ თავის უყეყებობისათვის თავის თავი დაესაჭანა, მოუნ-  
დომნია ცოლი დაეხაზნა იმისათვის, რასაც ყველა ქალი შერება“.

აქარული ზღაპრის მიხედვით ამბობს: „შენ ხახლს რომ გლიშამ  
ყორე არტყია, აქ მივეღი, ცხენით, გავაჭენ-გამოუაქენე და თითონ  
კი ფანჯრიდან მიცემეროდა, ბოლოს დამიქნია პლატოვი, მეც შევარ-  
ბენიე ეზოში ცხენი და მივეღი მასთან. ორ-სამ დღეს სულ ერთად  
ვიყავითო“.

ბერნაბო, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, გაბოროტებული  
დაბრუნდა თავის ქალაქში და „ცოლს თავის ჩამოსვლას ატყობინე-  
ბდა და უთვლიდა, ამ მსახურს წამოჰყევიო. მოსამსახურე კი დაა-  
რიგა: როცა წამოიყვან. საღმე უშიშარ აღგილის შეუბრალებლად  
შოპები და მერე ჩემთან დაბრუნდოო.

აქარული ვარიანტის მიხედვითაც ამგვარი დავალება მიიღო:  
რადა ექნა ამ საწყალს, დაუძაბა მის ამხანავს და უთხრა, შენ წა-  
დი აქლავე, ქალს თავი მოშეარი, პერანგი სისხლში გასეარე და  
შომიტანეო. მე კი, აქ რომ მეფე არის, იმასთან ვიქნები და მომიკი-  
თხე მეფესთანო“.

ჩერნ აქმდე ვარკვევდიო მსგავსებას ამ ორ ზღაპრის შორის.  
მიუხედავად ტერიტორიულად დიდი მანძილისა, მიუხედავად  
სხვადასხვა ხალხში წარმოშობისა ამ ორ ზღაპრში ბევრი სიერთო  
ვიპოვეთ. მაგრამ მათ შორის საქმაო განსხვავებაც არის. თუ გნე-  
ბავთ — ვანსხვავებულია დანიშლავების პირობები. ბოკაჩიოს მიხე-

დევით წავებულმა ხუთი თასი ფლორინი უნდა გადაიხადოს. ე. ი. ბერნაბომ, ხოლო მოწირეალმცემ ათასი ფლორინი. მათ კი მის ხედვით კი ორივე მხარე მთელ თავის ქონებას აგებს.

მეორე მხრივ, საემაოდ განსხვავებულია მათი ფინალურ დასა-  
რული ატარულის მიხედვით: - მეფემ დედაბერს ჰქინი 1367 უზური  
აქ ჩამოდი, რა საჩუქარი გრძა ჩემგანო, დანა, ჰქი გადამიშევ

— შეილო, დანა რათ მინდა, დანები მეც მაქ, თუ მაჩიტებ, —  
ცხენი მაჩუქე, შევედები და წავალო, კარქიო, მეფემ დაუძიხა მოსამ-  
სახურებს და უთხრა, რომ ეს დედაბერი წერიყვანეთ და კარქ გამ-  
ეცვალ ცხენებს კუდზე მუაპით და გააქციეთ ცხენი ისე, რომ ნაპერ-  
ნივრათ დევგლივოსო.

ამ ვაპარზეც უთხრა ჭალათებს, რომ წერიყვანეთ და ჩამოახრი-  
ვეთო. მხოლოდ ეს მებატე გააგზავნა აბანოში, მეუკერა ტანისამო-  
სი, იშვილია და გამეფა მის მაგირი".

ბოკაჩის მიხედვით კი — „ამის შემდეგ სულთანმა ბრაზნა: ამ-  
ბროკოულო დაუყოვნებლივ წევუანათ საღმე ქალაქის მოძალულო  
იდგილია, ექ ბორზე მიებათ მზის გულზე, ტანზე თაფლი წაეცხოთ  
და აქედან მინავ არ მოეხსნათ. სანამ თვითონ არ წატეცვოდა.  
ამის შემდეგ ბრაზნება გასცა: რაც ამ ქონება ჰქინდა ამბროგო-  
ულოს, ყველაფერი მანევრას მოეციოთ... ლხინის შემდეგ ცოლ-ქმრი-  
სთვის ხომალური მოამზადებინა და ნება მისცა, თუ უნდოდათ. ენც-  
აში დაბრუნებულიყვნენ".

როგორც ცნობილია, „დეკამერონი“ ნაწილი პირველი, იტა-  
ლიურით თარგმნილი თ. სახუკის მეტ, ქართულ ენაშვ გამოიცა  
1934 წელს. აჭარული ზღაპარი — „ვაპარი“ კი გაგონილია სო-  
ფელ ირთაბათების მცბოვრებ ქვემალ ჩამოლლისაგან 1936 წელს,  
წერა-კითხვებს მცერე მცოდნესაგნ. დაბეჭდვილია განსხვავებულია  
ორი წელი, რომ მომთხრობს დეკამერონი წაეკითხა, მაშინ ამოდენა  
განსხვავება არ იქნებოდა. მაშისალამე, გავლენის ეს მხარე გამორიც-  
ხულია.

მაშინ ბუნებრივიად ისმება კითხვა: როგორ უნდა განერილიყო  
მსგავსი ზღაპრები საქართველოსა და იტალიაში? ხომ არ შეიძლე-  
ბოდა „დეკამერონი“ გავლენა მოეხდინა აჭარის ხალხურ შემოქმე-  
დებაზე, ანდა პირიქით? ცხადია არა, ეს შეუძლებელია. მით უმე-  
ტეს შეუძლებლად მიგვაჩინია, რომ აჭარული მოახდენდა გავლენას.

მაშ, როგორ მოხდა, რომ გენუასა და საქართველოში ასეთი  
მსგავსი ზღაპრები გაჩნდა? მათი განენისა და მსგავსების სათავე ან  
აღმოსავლეთში უნდა უდიოთ, ან არა და იმ იტალიელი მისიონე-

რების მოგზაურობაში. რომელიც XIV საუკუნიდან მოითხოვდა  
საქართველოში დაწილდნენ.

როგორც ცნობილია, ინდოეთი, ეგვიპტე, ირანი, ჩინეთი, კონკისტადო  
წარმოადგენენ მითოლოგიის იმ დრო აუზს. საიდანაც კონკისტადო  
რეობდნენ მდინარეები. რომელიც რწყავდნენ კაცობრიობას.

ჭოვანი ბოკაშით მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როდესაც ევრო-  
პა და საუთრივ იტალია „ჯვაროსნული ომების“ შთაბეჭდილებე-  
ბით სუნთქვადა. როდესაც ევროპა და საუთრივ იტალია „სამკვდ-  
რო-სასიცოცხლო“ ბრძოლებით იყო გაბრუებული.

ბრძოლები, როგორც ცნობილია, მცირე აზიაში, „წმინდა ად-  
გილებში“ წარმოებდა. იქ იტალიელებს და კერძოდ გენუელებს ხან-  
სგრძლვად ყოფნა უხდებოდათ.

გარდა იმისა, რომ იტალიელები აღმოსავლეთის ხალხს „ჯვა-  
როსნული ომების“ დროს დაუახლოვდნენ და გეცვნენ, ცნობილია  
აგრეთვე ვენეცია-გენუის სავაჭრო გზები აღმოსავლეთში. გენუა-  
უნეციის სავაჭრო გზებით დასერჩოლი იყო მცირე აზია, — შავი  
ზღვის სანაპიროები.

აქარაში ახლაც მოიპოვება ვენეცია-ვენუელების შეირ აშენე-  
ბული უბოძო. მრუდე ხიდები, რომელთა აშენებას ხალხი თამარის  
დროს XII საუკუნეს მიაწერს.

იმის შესაძლებლობა, რომ მსგავს სოციალ-ეკონომიკურ პირობე-  
ბში მსგავსი ზღაპრები გაჩენილიყო. მოხსნილია, რადგან სხვადა-  
სხვა ხალხში და მით უმეტეს, ასე დიდი მანძილით დაშორებულ ხა-  
ლხში შინაარსობლები და სიუკეტურად ერთნაირი ზღაპრები გაჩე-  
ნილიყო. თუმცა უნდა ითქვას, ხალხს, რომელთაც ვაჭართა კლასი  
ჰყოლია, არ შეიძლება მსგავსი ზღაპრები არ გაჩენილა.

მავალითად, აქარაში, გვაქვს — ზღაპრი, — „მოხერხებული  
ქალი“, რომელშიც შემდეგი აზრია გატარებული:

„ერთ ქალაქში, დიდ ვაჭრებს შორის გამოჩნდა ერთი ახალგაზ-  
რდა, „თავეხედი“ ვაჭარი, რომელიც ცოლის პატიოსნებას იცავს. შე-  
დგება კომისია, რომელიც ავალებს ერთ ლამაზს და მოხერხებულ  
ოფიცერს. — სოფელში ჩემოდნებით ფული წაიღოს, ის ქალი შეა-  
ცდინოს და უკან დაბრუნდეს...“

ოფიცერი სოფელში ქალს ჩემოდნებით ფულს შეუგზავნის. ქა-  
ლი მიხვდება, რაშიდაც არის საქმე და თაღარიგს შეუდგება: უპი-  
რესელს ყოვლისა, თვითონ თვიცერს ლამის ორ საათზე დაიბარებს.  
შემდეგ შეაცერინებს ლეიბს, რომელშიაც ნემსები იქნება ჩატანებუ-  
ლი. თუ იგი ლეიბზე დაწვება, დაიჩხელიტება. ეს რომ მოაგვარა,  
ქალი წავიდა და ლამის 12 საათისათვის ხუცესი დაიბარა; შემდეგ მი-

ვიდა მღვდელთან და იგი 1 საათზე დაიბარა. ბოლოს მოუსიქის  
კოპოსთან და მას იბარებს 2 საათზე. მანვე ცოტა აღზუ ჩემოდნები  
დაცალა, ფული შეინახა და ცარიელი ჩემოდნები უკარისის შემდებრები  
ლებში დააღავა.

12 საათზე მოდის ხუცესი, ცოტა დრო რომ გავა და მღვდე-  
ლი მოაკავუნებს, ხუცესი შეშინდება, ქალი მას ერთ ჩემოდანში  
ჩაქერავს. შემოდის მღვდელი. ცოტა დრო გაივლის და ეპისკოპო-  
სი მოაკავუნებს. მღვდელს მეორე ჩემოდანში ჩაქერავს. შემოდის  
ეპისკოპოსი. მალე ოფიცერიც მოაკავუნებს. ეპისკოპოსს შესამე ჩე-  
მოდანში მოათავსებს. შემოდის ოფიცერი; ქალი წინადადებას აძ-  
ლევს ოფიცერს, რომ გაიხადოს და ჩაწვეს ახლად დამზადებულ  
ლოგინში. ოფიცერი წვება, მაგრამ ვაი უბედურებას, როგორც კი  
დაწვა ან გადაბრუნდა, ნემსებმა უჩხვლირეს. საშველი რომ არ და-  
დგა, გამწარებული წამოვარდა ზეთ. ხაზინას მაინც ფულებს არ და-  
უკარგავო, დასტაურა მის ჩემოდნებს ხელი და მოუსვა ქალაქისაკენ.

ქალაქში კომისია გაფაციცებით მოელოდა ოფიცერის გამოცხა-  
დებას. გამოცხადდა ოფიცერი და კომისიას მოახსენა: — იმ ქალთან  
ვერაფერი გავაწუვე, სამაგრეროდ, ფული უკან წამოვიდეო.

გახსნეს ერთი ჩემოდანი, იქიდან განაწამები ეპისკოპოსი წამო-  
დგა, გახსნეს მეორე ჩემოდანი, იქიდან მღვდელი ამოიყვანეს, ხოლო  
შესამე ჩემოდნიდან ხუცესი გამოძვრა. ამდენი რამ მოახერხა დაქა-  
დებული ქმრის ცოლმა. ამ ზღაპარშიაც იგივე აზრია გატარებული,  
მაგრამ როგორც ხედავთ, ჯოვანი ბოკაჩიოსთან ქალი შედარებით  
პასიური მომქმედია, ხოლო აქ. იქტიურია.

მაშასადამე, უნდა ვიფარიოთ: ამ ზღაპრის სათავე უნდა ვეძი-  
ოთ აღმოსავლეთში, საიდანაც იტალიელებმაც და ქართველებმაც  
გაიცენეს ეს ზღაპარი. შეიძლებოდა აგრეთვე, საქართველოში ეს  
ზღაპარი იტალიელ მისიონერებს შემოეტანათ; ჩეენ უფრო დამაჯე-  
რებლად გვეჩენება მეორე გზა.



ՀԵՑԵԲՑՈՅՑ

## რესთაველობის მიზანები და უძლებელობები

(ი. შეგრძელებები, რუსთაველი და ფოლკლორი).

შეიძლობა და მრავალფეროვანია ქართული ფოლკლორი. მასში უაღრესად შეისწოდებანი ადგილი უკირავს ლეგენდებსა და თქმულებებს ისტორიულ პირებზე; ვახტანგ გორგასალზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, ერის საყვარელ მეფე ერეკლეზე, გიორგი სააკადემიურ და სხვებზე.

ხალხურ სიტყვიერებაში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე საგმორო ეპისტე, როგორიცაა, მაგალითად, „ამირანის“ ციკლი, „როსტომიანი“, „აბესალომ და ეთერი“, „ტარელი და ნესტანი“ ანუ „ტარელიანი“ და სხვა მრავალი.

ქართული ზეპირსიტყვიერების ზემოაღნიშნული ორივე ციკლიდან შეიძლობა მასალა და სათანადო ვრცელი მეცნიერებული გამოკვლევაა წარმოდგენილი ცნობილი ქართველი ფილოლოგის იოსებ შეგრძლივის ნაშრომში „რუსთაველი და ფოლკლორი“, რომელიც ამას წინათ გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ რუსულ ენაზე.

მასში მეცნიერულად დამუშავებული დოკუმენტაცია ქართულადაც არის წარმოდგენილი.

წიგნის წინასიტყვაობასა და შესავალში აღნიშნულია შრომის მიზანდანიშნულება და შედგენის პრინციპები. ფოლკლორისა და მწერლობის ურთიერთობის, მწერლის ხალხურობისა და სხვა საკითხები. აქვე შესანიშნავადაა დახასიათებული მე-12 საუკუნის საქართველო და მის ფონზეა გაშლილი რუსთველოლოგიური საკითხების კვლევა-ძიება.

წიგნის პირველი თავი შეიცავს საინტერესო ხალხურ გადმოცემებს რუსთაველის დაბადების ადგილის, მშობლებისა და აღზრდის, მისი პიროვნების, საზოგადოებრივი საქმიანობისა და სიყვარულის შესახებ.

ასეთი მასალები ი. მეგრძელიდეს 30 წლის განმავლობაში უგრძოვებია საქართველოს ყოველ კუთხეში და მათ შორის აქარაშიც, არქივებში დაცულ ხელნაშერებსა და გამოცემულ წიგნებშიც.

12 პრიზაულ ტექსტს ორი ლექსიც ახლავს.

ი. მეგრელიძე სწორად იღნიშნავს, რომ რუსთაველი მომოქმედითი ბიოგრაფია არ შემონახულა. მაგრამ ქართველი ხალხი მოგონებები უანდერძებია თაობიდან თაობისამეტარი მიზანების დავი შეიღის შესახებ.

გადმოცემათა მიხედვით „რუსთაველი იყო ტომით მესხი, ცნობილი და მოწინავე, შეძლებული გვარიშვილი. ის ადრე დაობდა, აღზარდა ბიძამ. შოთაშ სწელა საქართველოში დაწყო, განვიღობოთონწე, იყო იერუსალიმშიც. მშობლიური ქართული ენის გარდა შეისწავლა ბერძნული, არაბული, სპარსული. საქართველოში ის იყო თამარ მეფის მეპურჭლეთუხცესი (ფინანსთა მინისტრი), მის ცხოვრებაში აღვილი ჰქონდა ოჯახურ უსიამოვნებას და პყავდა მოწინა- აღმდევენი პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ შეხედულებებში, მას ებრძოდნენ ფეოდალური იერარქიისა და სასულიერო წოდების ის- ეთი კონსერვატორები, რომელმაც რუსთაველი თძულეს სამშობ- ლოდან გადაცვეშილიყო, ცხოვრობდა ხანგრძლივ და გარდაიცვალა ღრმა მოქცევი სამშობლოს გარეთ“ (გვ. 286).

იმავე თქმულებათა მიხედვით „რუსთაველი იყო ვენიონი, უდი- დესი პოეტი, მცენარმეტყველი და ენამოსწრებული. შესანიშნავი ფილოსოფოსი, სამშობლოს დიდი პატრიოტი, კარგი მუსიკოსი, გა- ბედული პიროვნება და იშვიათი მოჯირითე, საცკეთესო მოისარი, გარეგნულად ახოვანი და ლამაზი“ (გვ. 287).

რუსთაველის ბიოგრაფია, თქმულებათა გამოყენებით, შეტანი- ლია ცნობილი რუსთველოლოგის თეიმურან ბატონიშვილის სათა- ნაოდ ნაშრომში, რომლისგანაც შემაჯამებელი ნაწყვეტი წარმოდგე- ნილია ი. მეგრელიძის ნაშრომში (გვ. 78-79).

გადმოცემათა ქართულ-რუსულ რექსტს ახლავს ღრმა შეცნიე- რული გამოკლევა.

ნაშრომის მეორე თავი არევევს „ვეფხისტყაოსნისა“ და ფოლ- კლორული „ტარიელიანის“ ურთიერთობის საკითხს.

ი. მეგრელიძე ამტკიცებს, რომ ქართულმა და პოეტისათვის ცნობილმა მსოფლიო ფოლკლორში გავლენა მოახდინა. რუსთაველზე, რაც გამოიხატა პოემის ცალკეულ ეპი- ზოდებსა და აფორიზმებში, მაგრამ სიურავეზე კი რუსთაველის შექმნილია. მეორე მხრივ, ავტორი ამ- ტკიცებს, რომ რუსთაველმა უფრო მეტი და ძალზე კათილის მყოფელი გავლენა მოახდინა ქარ- თულ ფოლკლორსა და ქართულ მწერლობაზე. ავტორი დასკვნის, რომ რუსთაველმა გამოიყენა ხალხური სი-

ბრძნის ბევრი საუკეთესო ნიმუში, მაგრამ მანვე  
ხალხს.

ავტორისავე მტკიცებით, „ტარიელიანი“ და მისი  
წიგნურ „ვეფხისტყაოსნიდან“ გადასულა ფოლკლორის მეცნიერება

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ ვინე ამაღლებულა, თუ ვინეს  
გაძლიერებული და თამამი აზრი გამოუთვევამს, მას უთუოდ ფოლკლორ-  
ში აქვს ფეხსვები გადგმული.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ამბავი, რომ ი. შეგრელიძეს  
სათანადოდ გაუმახვილებია ყურადღება ქართულ მუსიკა-  
ლურ ფოლკლორზე. იგი წერს, რომ ხალხური მომღერლები  
რუსთაველის ლექსიბს იყენებენ საიმპლეროლო (გვ. 136-140).

წიგნის მესამე თავი წარმოადგენს რუსთაველის აფორიზმების  
საფუძვლიან გამოკვლევას. ავტორს მიუგნია რიგი აფორიზმების  
ფოლკლორული და ლიტერატურული საწყისები.

ნაშრომის უკანასკნელი, მეოთხე თავი მიმოიხილავს დავით ალ-  
მაშენებლისა და თამარ მეფის ეპიტაფებად ცნობილ ხალხურსა და  
წიგნურ ლექსებს, მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერე-  
სოა 1898 წელს ქობულეთში ჩაწერილი თამარის ეპიტა-  
ფი.

ათისი კაბა ცხა შუაედა  
უკელანი იქროს ლილითა,  
ვაჭმევდი დედალ ბოსობსა,  
ვასმევდი ბროლის ჭიქითა.  
ვანცა შეჩება, შეაები  
ალალითა და ჭიქითა,  
აწი თქვენ იცით, მეცენო,  
ვინც დარჩით ამას იქითა.  
(გვ. 276).

ეს ისეთი მაღალმხატვრული და ლრმააზროვანი ლექსია. რომ  
შეს ყველა ცნობილი პოეტი მოაწერდა ხელს. ხალხური პოეზიის ეს  
საუკეთესო ნიმუში აქარამ გვიანდება.

ი. შეგრელიძის წიგნი, რომელიც ცნობილი ფოლკლორისტის  
პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციითაა გამოცემული, ქართული ფილო-  
ლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

გან. „საბჭოთა ეკარა“ № 229 (11038), 1960 წ. 22 ნოემბერი.





მოსე გოგიძერიძის ნაურობთა კრებული ითხი უნივერსიტეტის  
გან შედგება:

1. რუსთაველი (ცკვლავი პოეტის მსოფლმხედველობისა  
და შემოქმედების სხვადასხვა მხარეები),
2. პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა,
3. ქართული ფილოსოფიის პრელუდიები.
4. მ. გოგიძერიძის ბიოგრაფია, ნაწერების სია,  
შენიშვნები.

წიგნში უმთავრესად თავმოყრილია მ. გოგიძერიძის ისეთი ნაშ-  
რომები, რომლებიც აშენებენ რუსთაველის ესთეტიკის, ქართული  
ლიტერატურის, ქანდაკებისა და მუსიკის საკითხებს.

ნაშრომთა ნაწილი, მაგალითად, შოთა რუსთაველის ნეოპლა-  
ტონიზმთან ურთიერთობა, პოეტის მსოფლმხედველობის სათავეები.  
უხენავის არსებობის ცნება „უეფხებისტყაოსანში“, რიგი წერილებისა  
რუსთაველის ხელოვნების, ფილოსოფიისა და ესთეტიკის საკითხე-  
ბზე და პეტრიწები წინათაც იყო გამოცემული. დანარჩენები — „ვი-  
ფხისტყაოსანის“ სიუკერზე, შედგენილობაზე და სხვა. ივრეთვე  
პრელუდიები (რამდენიმე წერილი) — პირველად ქვეყნლება.

„გენია რუსთაველისა, — ამბობს მ. გოგიძერიძე. — იმაშია,  
რომ მან „საშუალო საუკუნეების პირველში და ქრისტიანული კუ-  
ლტურის ფონზე პირველმა გაარღვია რკალი, მან პირველმა იქადაგა  
ადამიანის ამქვეყნიური უფლება. იგია პირველი ჰუმანის-  
ტი და ახალი დროის დამწყები“. —

მ. გოგიძერიძეს შეცდომად მიაჩნია, როდესაც რუსთაველს  
ნეოპლატონიზმის ან სხვა ფილოსოფიურ, გინდ ლიტერატურულ  
მიმღინარეობათა გამგრძელებლად, ან ძველის აღმდგენად თვლიან.

ავტორი წერს: „რუსთაველი თვითონ არის ორი ი-  
გინალი და დამწყები“. მან ევროპის ცივილიზაციაშე  
ასილე წლით ადრე უარი თქვა იმქვეყნიურობაზე და იქადაგა ამ-  
ქვეყნიური ცხოვრებისათვის.

მ. გოგიძერიძე ამბობს, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობა  
არის რუსთაველური და არა ნახესხები.

ავტორი წერს, რომ რუსთაველს საერთო არაფერი აქვს მანი-  
ქველობასთან, არც წარმართობასთან. მ. გოგიძერიძის თქმით, ეს იქ-  
ნებოდა უკან დახვევა. ქრისტიანობა იმ დროს უფრო პროგრესული  
იყო ისევე, როგორც ფეოდალიზმი მონათმფლობელობასთან შედა-  
რებით.

რუსთაველს ოც პოემის სიუკეტის სესხება არ სჭირდება — „ვეფხისტყაოსნი“ ეს ქართული ამბავია, ქართველი თქმული, იმდროინდელი საქართველოს დამსურათებელი.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდის ანალიზის ანალიზის წერილი შე მ. გოგიძერიძე ამტკიცებს, რომ რუსთაშემცირებული ისეთივე დიდი მხატვარი, როგორც პოეტი და ფილოსოფოსი.

იქვე განხილულია საკითხი — რუსთაველის ხელოვნების ფილოსოფია და ესთეტიკის მეცნიერება; დიდი სიძლიერითა დაწერილი ნესტან-დარჯვანის მიერ ქავეთის ციხიდან სატრფოსადმი მიწვრილი წერილის ანალიზი.

განცოცილებაში პეტრიწის შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოა ბარაგრაფები: „საქართველოს სახელმწიფო მე-11-12 საუკუნეებში“, „პეტრიწის განათლებისა და ფალოსოფიური მსოფლმხედველობის წყაროები“, „იოანე პეტრიწი და ქართული კულტურა“.

„იოანე პეტრიწმა. — წერს მ. გოგიძერიძე, — გაიარა ის ისტორიული სკოლა, რომელმაც ნიადაგი მოამზადა ქართული კულტურის იმ დიდი აღორძინებისათვის, რომელიც ასი წლის შემდეგ რუსთაველმა განახორციელა.“

სრულად, თავისებურად და მეტად საინტერესოდაა დაწერილი „პრელუდიები“. მასში მ. გოგიძერიძე იძლევა ნ. ბარათაშვილის „მე რა ან ის“ ესთეტიკურ-შინაარსობლივ ანალიზს. ნაჩვენებია, რომ ბარათაშვილი არის ბედის წინააღმდეგ მებრძოლი, თავისი ეპოქის დიდი მოაზროვნე, არა მარტო პოეტი, არამედ ფილოსოფოსიც და საზოგადო მოღვაწეობი.

„ნ. ბარათაშვილის მერანზე ზის მსოფლიო მოქალაქე“, მისი თოთქოსდა პესიმიზმი არა პირადული, არამედ სოციალური ხასიათისაა, თვით პოეტი დიდი ოპტიმისტია. ამ მაღალი იდეურობით ბარათაშვილი მსოფლიო გენიოსებს უკავშირდება.

საყურადღებოა აეტორის წერილები ზ. ფალიაშვილის შესახებ. ინტერესით იყითხება წერილი სკულპტორი იაკობ ნიკოლაძეზე და მის მიერ შექმნილ ჩახრუხაძის ბიუსტზე.

ი. მეგრელიძის მიერ შედგენილ ბიოგრაფიაში, რომელიც წიგნს თან ერთვის, კრიტიკულად და გულთბილადაა დახასიათებული მ. გოგიძერიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, იქვე დაბეჭდილია მისი ნა-

წერების სი — მონოგრაფიები და მეცნიერული და პულა-  
რული ხასიათის 70 ნაშრომი.

ი. მეგრელიძეს უთუოდ კეთილშობილური საქმე და მეცნიერებია,  
რომ ეს კრებული შეუდგენია, დასაბეჭდად მოაწეროს და მეცნი-  
შენებითვე გამოუცია.

გან. „საბოლოო იქარა“, 1961 წ. 8 ოქტომბერი, № 199.



## პომარტიარები და შენიშვნები

## პოლიტიკური და უცნობელი

დიდი ქართველი პედაგოგის, საბაკემეო მწერლის, პეტლიცისა და საზოგადო მოღვაწის — იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილსა და მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოქმედ სასკოლო სახელმძღვანელოსა და საერთო საკითხავ წიგნ „ბუნების კარში“ (1868-1918 წლები) ეწერა და ოქტომბრის ჩევოლუციაშველ საქართველოში ასე ციცლნენ, რომ „აჭარას უკირავს ჩრდილოეთის ნაწილი მესხეთისა და ისაზღვრება: ჩრდილოეთით — გურიით, აღმოსავლეთით — ახალციხის მხრითა და გაფახტით, სამხრეთით — კარხალის, ანუ შავშეთის, ქედითა და ჭოროხით, დასავლეთით — შავი ზღვით“.

ცნობილია საბჭოთა აჭარის ტერიტორიაც. როგორც სპეციალურ წერილში ვწერადით,<sup>1</sup> აჭარლები მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონშიც ცხოვრობენ.

იმავე წერილში ჩვენ საკუთრივ აჭარის მცხოვრებთა კულტურულ წარსულსა და ჩოხატაურის რაიონის სოფლებში — ქვაბლასა, ზოტსა და ჩხაკოურაში მცხოვრებ 250-ზე მეტი აჭარელი კოშლის შესახებაც ცნობებს ეიძღვოდით.

ჯემალ ნოღაიდელი სწავლობდა საკუთრივ აჭარის მცხოვრებთა ყოფისა და სულიერი კულტურის საკითხებს. სათანადო წიგნის გამოცემის განხრახების ვამო, საჭირო გახდა იმ მასალის გათვალისწინებაც, რომელიც ზოტ-ჩხაკოურაში შეიძლებოდა შეღარებულყოფნა.

ამიტომ ჩვენ 1967 და 1969 წლების ზაფხულში ვიყავით იქ, და როგორც ზემოთაც ალვნიშნეთ, შევამოწმეთ წიგნის მასალები, ისინი შევავსეთ და ზოგიერთი პარალელიც დავძებნეთ. ზოტ-ჩხაკოურას აჭარელთა ყოფის, ფოლკლორისა და კილოკავის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მასალა არ მოიპოვება. ჩვენ ასეთებიც შევკრიბეთ. ზველა ეს — კ. ნოღაიდელისა და ჩვენ მიერ შეღარებული მა-

<sup>1</sup> ი. ჩვენი წერილი „აჭარის მეზობები“, ქურნ. აღმტერატურული აჭარა, № 3, 1969.

სალა — ქობულეთის, ქედისა და ხულოს რიგ მკვიდროს სამუშავებრივ შევამოწმეთ ბათუმში.

მეტყველებისა და ზეპირსიტყვიერების პირველ წიმუშებად აკვ ზოგიერთ ტექსტსა და სალექსიკონი მასალასაც უსისისული

აქარლები ზოტისა და ჩხაკოურაშიც ცხოვტრიშვილის მიზანზე  
ნოგრაფიულ დახსინათებას ოღარ დავიწყებთ: სათანადო ტერმინები  
მოიხსენიება მეორე წიგნში კილოს საკითხებთან დაკავშირებით,  
შევხერდებით მხოლოდ მათ მოთლოვიურს, ზოგიერთ სხვა წარმო-  
დგენისა და ცალკეულ რიტუალზე.

ზოტში 1967 წლის აგვისტოში ჩეენ თან გვერდა ჭ. ნოღადე-  
ლის წიგნის — „აქარლი ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის  
მასალების“ — საკორექტურო ფურცლები, მასში, როგორც და-  
საწყისშივე ვთქვით, გაიგვევებულია როკაპი და რომპაპი, ეგვე —  
დედაბი, დერგალი. წიგნში წერია: აქარლების წარმოდგენით,  
„ქაგებსა და კულიანებს ჰყავთ მეთაური, რომელსაც როკაპი ეწო-  
დება. აქარაში როკაპს ზოგიერთგან „რომ პაპი“ ჰქვია“.

წიგნის წინასიტყვაობაში ჩეენ როკაპისა და რომპაპის ცვევო-  
ბა ეცვის ქვეშ დავაყენეთ და მართლაც ისინი განსხვავებული ზღა-  
პრული სახეები არიან. ჩეენი ვარაუდი, დედაბი ეგვებ ხალხური  
აშირანიანის დარეჯანის ფონეტიკური სახეცვლილება იყოს. არ  
დადასტურდა (იხ. ქვემოთ), ისინიც განსხვავებული არიან. ზო-  
რელებმა რომ პაპი მამაკაც იყიან; როკაპი კი — დე-  
დაკაცად, კულიანების უფროსად.<sup>1</sup> კულიანებს ჯაზებს, კინკებს,  
ტყისკაცებასაც (უფრო მდედრობოთი სქესის ტყის ასებებს) უწო-  
დებენ.

ზემოხსენებული ნურიალი ანთონის სიტყვებით, „როკაპი  
ავენვანი ქალია, ლომ პაპი, რომპაპი კი არის დედაბი —  
ტყის ბოროტი კაცი“.

ჩხაკოურელთა თქმით, როკაპი ფინთი დედაბერი, ავი ძა-  
ლლია. ლომ პაპი — ძლიერი, ღომიერი (!) კაცი.

ჰუსეინ შერალის ძე ტუნაძე (1904 წ. დაბად., მხოლოდ ხელის-  
მოწერის მოღწევა) იქით-აქეთ ღმარტოლ მაღალ მოებზე მიგვითი-  
თებს და ამბობს: „დედაბი ამ გორიდან იმ გორაზე ფეხს გადაა-  
ბიჯებს. ივი სულთამხეთავია. ერთ კედაროს (მხარეს) სამოთხე აქ,  
შეორეს კი — გოგონეთო. სა გაცხოვროო: კითხავს მკვდარს... სხვე-  
ბი ამბობენ: ასე გაგვიგონია, რომ დედაბი მიბმულია პალიზე,

1 საქართველოს სსრ შეცნიერებათა ავადების სამოცავოებრივ შეცნიერების  
გახურულებასთან არსებული ფრთხოების საკორდინირებულ საბჭოს VIII სა-  
შეცნიერო კონფერენციის შემთხვევის გვერდზე, თმ., 1968, გვ. 30.

კუნცრუქა (ისმის კუნცრუქა-ც — კინცრაქა; ი. მ.) ახელობს გა-  
ჯალს, — უფრენს გვერდით, უჯდება პალოზე; დედგალი ჩიტი გვე-  
სწვება, ურო აქვს, პალოზე დამჯდარ ჩიტს იმას დაჭროული და  
გათავისუფლების მაგიორ უმფრო მაგრათ იმბამს თავს კრიკერული

აღრინდელი ჩანაწერითაც: ერთმა მონადირემ ჭერბირებულები  
ქალი) იპოვა, შინ მოიტანა და სკივრში ჩადო. მონადირე სახლიდაა  
წავიდა. მის ცოლს სკივრიდან ლაპარაკი ესმის. ქალმა სკივრი გახს-  
ნა. ნახა, რომ ეს ხოკერი ლაპარაკობს. ქალმა ის დაწვა, დააფქვა და  
უკანვე ჩადო. ქალს გოგონა წამოეზარდა. ამან ნახა ეს ფხვნილი.  
გასინჯა ენის წვერით — ეს მარილია, თუ უმარულიო. ქალიშვილი  
დაორსულდა და შობიარობას გადაძყვა. ბავშვი უზარბაზარი გა-  
იზარდა, — „სამოზდაათი არშინი“. მას ჯერგალი (რომპაპი) უწო-  
დეს. ვერ იმორჩილებდნენ, ზღვის კუნძულზე (აღაზე) დაბქს.

მიუჩინეს „მაბზაუნაი ჩიტი. იი რომპაპი ცოილობს გეითავისუ-  
ფლოს თაეი და პალოს ეკიდება, რომ მოთხაროს. რომპაპს ახლოს  
ურო უდევს. პალო რომ მოთხრაზე მიღდება, მიურინდება მაბზაუ-  
ნაი, დაუდება პალოზე და დეიწყებს კუდის ქანებას. რომპაპს ლო-  
ნია (ჰევნია) პალოს მისობსო. დაატანს უროს ხელს და შამოხერავს.  
შაბზაუნაი გაასწრობს. ურო მონტება (მოხვდება) პალოს და ჩიერ-  
ვობა მიწაში. ამით იბავდა თავს.

იი რომ ეიხსნის, ქვეყანას დასწუვერს, მარა ღმერთის პრანე-  
ბით ქრისტე მოქლავს იმას“.<sup>1</sup>

წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით, უდავოა, რომ ჯერ ჯა-  
ლი (რომ პაპი) მიიჩნიას ორეულია და არა როკაპის.

ჯ. ნოღაიდელის ამ პუბლიკაციის იყენებს პროფ. მ. ჩიქოვანი,<sup>2</sup>  
ოღონდ იგი ტექსტშიც მოხსენებულ ჯერ ჯალ-სიტყვაზე აღარა-  
ცერს ამბობს! აეტორი იმერულ როკაპისა და აქარულ რომპაპს ეხება  
და აღნიშნავს, რომ ვაღმოცემას „როკაპზე“ სიუჟეტური მოთხრო-  
ბის სახე არა აქვს. ის რწმენას ემყარება და მარტივ მითს წარმო-  
დგენს.<sup>3</sup> „აქარული რომპაპი, იმერულთან შედარებით, ბოლო ნაწილ-  
ში ამირანს უფრო პგაეს“... (ექვე, გვ. 21).

მ. ჩიქოვანი ასკენის: „იმერულ-აქარული როკაპი ამირანის  
ორეულია“, თუმცა ისრი „დამოუკიდებელი წარმოშობის პერსონა-  
ლიურია“, თუმცა ისრი „დამოუკიდებელი წარმოშობის პერსონა-

1 ქ. ნოღაიდელი. აქარის ხალხური სიტყვეერება, წ. 11, ბათუმი, 1940, გვ. 160.  
ჩანაწერილია სიმონ შევიშვილის მიერ 110 წლის ხელის სანიკიძის სიტყვი-  
შით ქმბდებულის რაობის ს. კონატში, 1934 წ. 15 აგვისტოს.

2 შიხ. ჩიქოვანი. მიწერული ამირანი, თბ., 1947, გვ. 121; მისივა. ქართული  
ეკლესი, 1. თბ., 1959, გვ. 41; მისივა

3 ექვე, ციტ. ქართული გამოცემა, გვ. 120-121.

ევგრამი, „როკაპი გარევევეთ ბოროტი ძალაა“. ამირანი კი კეთილი: „აქარტულ „რომპაპს“ ჭადოსნური ზღაპრის მოტივები ჩასიათებს, ასეთია თავის გოხესა და უმანქოდ ჩასახეოს მოტივი“ ასეთიანის თავეგადასავალი კი საგმირო თქმულებას წარმოადგენს. პირველი მითიური ორსებაა. მეორე კი ეპიკური გმირია მარტინ კონტავალი.

მიჯავეულობისა და თავის განთავისუფლებისათვის ბოროლის სახით, ალ. ხახანაშვილის მიერ დასახელებული როკაპი (და არა საერთოდ როკაპი) და რომპაპი მართლაც ამირანის ორეულნი არიან. შაგრამ არა შეუძლებელი. რომ აქ ჩამწერის შეცდომასთან გვქონდეს საქმე. — მას როკაპის მაგიერ შეიძლება რომპაპი ჩავწერა ან თვით ხალხშია ეს ორი ცნება აღრეული ისევ სიტყვათა სიახლოების გამო...

პროფ. მ. ჩიქოვანი სარგებლობს პროფ. ალ. ხახანაშვილის რესულ ენაზე გამოცემული წერნის ქართული თარგმანით.<sup>1</sup> რომ ამ ბობის: ხახანაშვილი როკაპს აიგვებს რომპაპთანაო! მაგრამ ალ. ხახანაშვილი წერნის დედანში ლაპარაკობს ი იმპერატორი ამირანი ე ჯენის ლიუტი როკაპი ან იმერეთის მემკონი. <sup>2</sup> Смешение — აღრევა და გაიგრება კი ერთი და იგრევ არა. როკაპი — ВЛАДА, кол. სხვაა. ამირანი და მცირ იმერეული<sup>3</sup> რომპაპი. იგრევ და დაზიალი, დარგალი კი — სხვა, — „ნუვინ გამრევეთ ერთმანეთსაა“...

ჩენენ. აღმათ, სხვა ღრმის მოგეიხდება ლაპარაკი ამ ორი არსების შესახებ. აქ მოკლე ერტყეოთ. რომპაპი აქარტულია და კანურ ზეპირსიტყვერებაშიც ლომპაპის ლორმითაც გვხვდება. კანკი ჩას ლომპაპიდ და ლომპაპად და ხომპაპად წარმოთქვამენ (ხოლო ზ. თანდოლავას ცნობა).

მას ორივეგან თხრუჭსაც უწოდებენ (ქობულეთში — იქრუჭი). შელოცვაშიც იტყვიან:

„ოხრუჭ, ოხრუჭ, ოხრუჭ!... (ან „ოქრუჭ, ოქრუჭ, ოქრუჭ...“).

ხელს ხელზე დარტყამენ და ხელზევე სულს წაიბერავენ, — იყი სული შორს ჩეენგანაო, ნიშნად... (=თუურ, ეშმაქსაო!).

გამოთქმაც ორსებობს: ესა და ეს დერჭალიერით ან

1 ალ. ხახანაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1904, გვ. 31.

2 А. С. Хаханов. «Очерки по истории грузинской словесности». Тбилиси, 1895, გვ. 41.

3 მშ. ჩიქოვანს თავის წიგნში ამირანში არა აქვს გამოყენებული ს. პეტერბურგ, 1897, რომელიც შეავალებოდა საუკალებოში.

ოსრუ ჭივით ვაეყალი არის ან ცური. მასვე დერგალდება, და დარგალდება, დედალდება. დერგალდება.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დედგალზე წარმოდგენილი კუთხები ნეთში ამ კუთხეების მცხოვრებთა გამაპმალიანებამ უდიშესასტურებელი არ იქნებოდა (რომ თორები თქმულებაში ქრისტეს ხსენება არ იქნებოდა - ამშეს დედგალმარ. კვეყანას დასწუვებს, მარა ღმერთის პრძნებით ქრისტე მოკლავს იმას"-ო).

ამ კიბრები თავდაც არ არის და დაგალა და ვსაც უწიდებენ.  
აღვნიშვნეთ, რომ დედგალს დავსაც უწიდებენ.  
ეს კიდევ ერთი საბუთია მისია, რომ მისი როგორთან გაიგრება ამ  
შეიძლება! ამირანის ორეული მხოლოდ მამაკაცი შეიძლება იყოს  
და დევად. ძალის მიხედვით, ამირანსაც ასახელებენ, — ამირანდევ-  
გმირი.

ქართველი ტომები მრავალი სახელწოდების დევებს იცნობს. ქართველი ტომები მრავალი სახელწოდების დევებს იცნობს. რიგი მათგანი გურია-აჭარაშიცაა გავრცელებული. წინამდებარე სტრიქონების ფრენის კარგად ახსოვს, რომ გურიის სოფ. ხიდის-თავის, ხრიალეთის (სუფსა-ნატანებს შორის) და სოფელ ქობულე-თავის მეგრელიძეები სახლივალობრნენ (ნათესაობდნენ) და მისვლა-შოსელა ქონდათ ერთმანეთში.

„ერთ-ერთი რომ მყორესთან ცხენს მიაქროლებდა, მასცინძლის  
სახლთან მიახლოებული, ხმის გასაგრძი მანძილიდან დაიძახებდა:  
„ლევი ლევისა!“...

„დეპუ” ლექცია ... მასპინძელი იმის მიხედვით შეეხმარებოდა, თუ ერთ მოდიოდა, რას ეძახდნენ სტუმარს „შეტსახელად” — „ბაყბაყდვავი კა- ჭან დე ვისას, „ავირან დე ვისას”-და ა. შ.

თუ მომსკლელი შედარებით ტანმორჩილი იყო ან სიარულის მოსიყვარულედ თელიფრენ, ასეის მასპინძელი შეეხმარებოდა: „ჩეუცერდე ვი“ ან „ძუნძულდე ვი“ ამისას და ამისასთვის (თავისთვე ასახელებდა) და ა. შ.

ისევ სტუმარი დაიძახებდა: „მოვედი, გამრავლდა შენ ან — ჩვენი) გვარი!...“

მასპინძელი უპასუხებდა: „ამინ იყოს“ ან „გესმინოს უფლის“ და ა. შ.

ამას მეგრელიძეების მისალმებას ეძახდნენ უსუკე, როგორც დასახელებულ მიღამოებში ცნობილი იყო აგრეთვე მეგრელიძეების სურდო (ცხვირს მაგრად აცემინებდნენ და იმიტომ; დევებსაც იმიტომვე ეძახდნენ, ტანად იყვნენ ზორბებით).

საყურადღებოა ისიც, რომ დევების სახელებში იხსენიებოდა ჯანჯალდევი და ტანტალდევიც. ჯანჯალდევი უცნობი სახელის — ჯერ ჯალდევის გააზრიანება ხომ არაა?

გვართან დაკავშირებული ყოველივე თქმული სხვათა შორის იყოს, და მაინც საინტერესოა: ამირანს და დერგალს რატომ უწოდებენ დევესაც. როლებსაც საერთოდ მიჯავაული დევი არაა ზღაპრული სახე.

ალქაგებს, როგორც ზემოთ ითქვა, ჯაზებს, ტყისკაცებსაც უწოდებენ, მაგრამ უკანასკნელ კომპოზიტში რომ სიტყვა კაცი შედის, აქ იგი არა მამაკაცს, არამედ ადამიანს ნიშნავს, ე. ი. აქ სქესს არ ესმის ხაზი, პირიქით, ჯაზი მდედრობითი სქესის არსებად წარმოუდგენიათ უფრო და მან სახეც შეიძლება იცვალოს, მაგ., კატად იქცეს...

ზოტელებმა იციან თავსურების მთის მწვერვალზე მდებარე ჯაზისტბა. ის მათაც ჯაზების სამყოფელ ადგილად წარმოუდგენიათ ისევე, როგორც მეგრელებს და ქვემო იმერლებს — ტაბაკონის მთა. ამ ჯაზ-სახელის ჩვენ ჯაზ-ფორმით (ცან.-მეგრ. სიტყვა გურულში, ნიშნავს ძერას, დიდ ქორს) ახსნა ვცადეთ, მაგრამ აქ ფორმა ჯაზ უნდა იყოს მთავარი და არა ჯაჯ...

ქაშატობა (ჯ. ნოღაიდელის დასახ. წიგნი, გვ. 60-61, იხ. ზემოთ) აქაც იციან. საინტერესოა გამოთქმა: „აპრილის პირველი შაბათი ქაშატი ღლეა, — ლაპარაკობს ზოტელი, — მუშაობას ვიბრძნით (გურ. კიბრძნით, კიბძნით, იხ. ქვემოთ), ხოჭები ქაშატ ღლეს ხარის შებმას გვიშლიდენ, ამ დღეს მიწა არ გეითხრება (გაითოხნება), ამინდი გაფუჭდებაო, ნოღრო წაგვილებსო. როგორც გურულებისათვის, ისე ზოტელ მამია ირემაძის თქმით, — ნოღრო აღიდებული წყალია, მიწა და ქვა რომ მოაქვს კოხისა (სეტყვის) და წვიმის შემდეგ. ქობულეთში ნოღროს მწვანე ისრს უწოდებენ (ა. ქათამძე).

ნოლრო ნიაღვარია, დელგმის გამო მდინარის აზიდება და თა-  
გურიაშევე ნოლრო ნოლოროდაც (ნოლრო — იშენთად-  
ნელრო) წარმოითქმის.

ბრძნობა, ბძნა (ზემოხსენებული ვიბრძნული უნდა იყოს  
საბრძნელი, საბრძნელი აკრძალული უნდა იყოს მატებული  
ლი რამაა. მაგ., გველის ეზოში მოკვლის იბრძნიან, ეზოს იქით უნ-  
და მოკლაო. გველის ხსენებასაც იბრძნიან, მას უხსენებელს უწიდე-  
ბენ. გზაზე უცნობ ქალთან დალაპარაკება აჭარლისათვის საბრძნელია,  
მცვდრის ერთ დღეზე მეტს შინ გაჩერებას აჭარლები ვი-  
ბრძნითო, გურული მორშმუნე ქალი პარასკევს უველს არ გასცემდა,  
წველა გადაპყვებაო და სხვა.)

ჩხაფორულებმა ჩამომითვალეს: „რომ დავწოდით, დილის 4 სა-  
ათამდე თუ მამალმა იყიდვლა, ვიბრძნით, — ოჯახს ცუდი რამე შეემ-  
თვევა ან თუ ზამთარია, დიდი თოვლი მოვა“. როცა ძალი  
ყმუის, რომელ მხარესაც გაპყურებს, იქეთ ოჯახს უბედურება მოე-  
ლის; ძალის ყმუის საერთოდ ვიბრძნით, ამას ძალს უუკრა-  
ლავთო. საქონლის ან ჭირნახულისა და საერთოდ სურსათის თოხ-  
შაბათს ან პარასკევს გაყიდვას, ბავშვის დაბადების ან თუ ოჯახი-  
დან მამაკაცია წასული, იმ დღეს ოჯახიდან რისამე გაცემას ან გა-  
ყიდვას, პარასკევს ცხენის ან ხარის ხედნას, იმავე დღეს ტყეში სა-  
მუშაოდ წასვლას („ორშაბათს და შაბათს ბინის მოცვლას“) ან ოჯახი-  
დან ცხოველთა სხვაგან წაყვანა-გადენას, ორშაბათსა და ოთხშაბათს  
ქალის მოყვანას (შეკრეპას), თმის შეკრეპასა და ა. შ. ვიბრძნითო.

საბრძნელი ანუ საბრძნელი, არის ავრეთვე: ქალის  
მიერ ფრინველის ან ცხოველის დაკვლა (თუნდაც მაშინაც კი, ასე-  
თი რომ კვდებოდეს); სადაც მიცვალებული ასევნია, იმ ოჯახში რი-  
სამე გაკვთება (საჭმელიც კი, მოგვარებ ან მეზობელმა ოჯახმა უნ-  
და მოიტანოს), გათხოვება ძველ, ანუ „დალეულ“, მთვარეზე  
(ახალ-აღმავალ მთვარეზე უნდა შეიქმნას ოჯახი), გამოსაჩეკალ  
ქვერცხის ხესხება, რძლის მამამთილთან დალაპარაკება და სხვა მრა-  
ვალი.

ოჯახიდან თესლის ან ნერგის გაცემაც არ შეიძლებაო მანამ,  
სანამ ის ოჯახს არ გამოუყენებია თუნდაც ერთი მარცვალი.

კანოხი თესვის დაწყების დღეა. სამშაბათს ან ხეთშაბათს  
უნდა ჩაგდო თესლი მიწაში; შემდევ აღარ იბრძნიან, — აღარ  
აქვს დღეს მნიშვნელობა, — უოველდღე შეიძლება თესვა, ოღონდ

5 იხ. ჩვენი „რესოციელი და ფოლეორი“, 1960, გვ. 212 (რესულ ენა).

თესლი კი მაინც საშშაბათსა და სუთშაბათს გაფშვნილი (აზრჩეული) უნდა იყოსო.

კრუნის დასმისას კვერცხს ერთი მთვარისას, ვ. ა. ბირველი 15 დღისა შეარჩევენ. შეურჩეველს ვიბრძნით. ურკვეტული ხის მოქრა ახალ მთვარეზე შეიძლება, ძველებულების მიზანით რას ვიბრძნით, — რეილი გაუჩნდება.

ლაზარია<sup>1</sup> (იბ. ზემოთ) ამინდის გამოსწორების რიტუალი,<sup>2</sup> ზოტში აღარ სრულდება. მაგრამ მისი წესები მოხუცებს ახსოვთ: ახალგაზრდებმა აღარც ეს წესები იციან. ოღონდ მათ თამაშში გაიგონებთ ლაზარიას მოფერებით ფორმას ლაზარიკოს.

ვსხედვართ ზოტში ნური და ახმედ ანთაძე, მუხამედ და რეჯებ ართმელაძე, ედემ (ეროდი) და მამია ირემაძე, ხემზე ქათამიძე, მე და სხვები. ვეკითხები მათ ლაზარიას შესახებ. აზრზეც კი უკრ მოვიდნენ. მოშორებით მდგომი 15-16 წლის გოგონა ასლო რეჯების ასულმა ართმელაძემ მოქრა ამას ყური. წავიდა და წაიმლერა: „ლაზარიკო, ლაზო!...“

ამის შემდეგ ამინდსნეს: ლაზარიკო ბავშვების სიმლერა-თამაშია, შეიძლება წყალი შეასხან ან მტვერიც შეაყარონ ერთმანეთს და ერთობიანო.

მხოლოდ ამისავე შემდეგ ნური-ალი ანთაძემ გაისცენა ლაზარი ბა, მოყვა ისე, როგორც ეს გ. ნოლაიდელის მიერაა აღწერილი (იბ. ზემოთ), ოღონდ „შესათხოვარი“ თუ „შესალოცავი“ ლეგენდის უკეთესი ვარიანტი თქვა. ერთი ეს წინათ გამოქვეყნებულშია, აი, ესეც:

„ლაზარიკო, ლაზო,  
აზანზალეფს თვალო.  
ჩენ არ გვიჩდა წევმა-წყალი,  
ღმერთო, მოგვე მისია თვალი!“

მეორე მოხუცმა „შეუსწორა“: თუ გვალვა აღარ უნდოდათ, ამ ლოცვას ასე შეცვლილნენო, და ლაზარიკო მეორე პირად წარმოადგინა:

„ლაზარიკო, ლაზო,  
აზანზალეფ მისია,  
ჩენ არ გვიჩდა მისია თვალი,  
ღმერთო, მოგვე მისია წყალი!“.

ერთ-ერთმა იქვე მყოფმა ამასაც შეუსწორა

1 ვერნ. „პორობი“, გათემი, 1970 წ. № 4, გვ. 90.

2 ი. მეგრელიძე, ლაზარიას ვარაზი. — იქ. ფილიშვილი, ქართული ერის ასტრონომია, I, თბ., 1960, გვ. 77.

„აზანზალეფ მთასო“ კი არ უნდა, „აზანზალეფ ცაკვა“  
უნდა იღებასო.

ეგვიპტი ჩხაკოურელ ბავშვების წარმოქმაში ავრცელდის.

—ლაზარიქო, ლაზო,

აბანისლევ იუთიო.

ჩვენ არ ვერდა წმინა-წყალი.

ლმერიო, მოვავ ზიხა რვალი!

ურმილული

შემზებრიმის

ვეკითხებით: რა ზიზა? უფროსთა დამარების ვარეშე ვე-  
ლა განმარტავენ. ცხადია, ესაა მზისა (თვალი).

სიტყვა ლაზიოს მნიშვნელობა არ უფროსებმა არ იციან.   
ცხადია, იგი ლაზარეს ან მოფერებითი ლაზარიკოს მოკვეცი-  
ლი ფორმაა.

ჩხაკოურაში ეს თამაშად და ივრე ავერტერეს: „ბალვები (ბავშ-  
ვები) აეთებენ ჩუქელს (ფიტულს) საფრთხობელასავით ჯარიშობ-  
ზე და თამაშობენ. წინათ ეს დროშასავით ეპირათ და დაღიოდენ  
სოლელში. „ლაზარიქოს“ მიმღერდენ და მათ ოგანები საჩიქრათ  
უვდეს. კარავს, კვერცხს, ხილულს აძლევდენ. ბოლო თჯახისა-  
გან საჩუქარს არ იღებდენ. შეგროვილს იქ გაკეთებდენ და ერთად  
კამფენ. ჭამაზე თამაშის არმონაწილე ბალვებიც იყვენ.

ზოტ-ჩხაკოურაშიც ბავშვთა ერთ-ერთი გასართობია ბილაი. მუ-  
კში ჭოხი უჭერიათ და ზედ ჯერად ბილა უდევთ. აავლებენ ბილას და  
ჭოხს გაქრავენ. დათქმული ადგილი („ცეცხლი“) მეორემ უნდა  
დარცვას ჭოხითვე, ქედან ის ბილას ჭოხის დარტყმით აპრონებს.  
„თუ ეერ მეიგერიებს, ნიშანში მოხედება“, მაშინ „მეერე“ დაი-  
წვება—„გამოვა“, გამოვარდნილია და სხვა ჩაღვება. არსებითად თა-  
მაში ბილაი რიკტაფელია (გერ. ჭაფარიკა, ლილ, ჭი-  
ბორიკი). უკითხები ბავშვებს: რა არის ბილაი?

მიპასუხებენ: „ერებდი და ეერ ნახევდი, ესაა ბილაო... ბილა  
ჭოხი, რიცია.

ეს თამაში აქ მხოლოდ ორს შორის კი არ ხდება, არამედ ათა-  
საც გვითამაშიათ. — გვეუბნებან. ჩავშირივდებით, გადავითვ-  
ლით ერთ-ორზე, შემდეგ წყვილები ერთად ვართ, კენტები ერთად,  
ვთამაშობთ შენაცვლებით.

თამაშის წესს ასე აზუსტებენ. „მანძილს გადავზომევდით, ბი-  
ლაის (რიცის) სადებ და სასროლ ადგილ დავნიშნევდით. ნიშანში  
თანამდგომი ბილაის დაკრავს ჭოხს და თუ დანიშნულ მანძილს  
ვერ დაფარავს, გამოვარდება (თამაშიღამ). ასე მცირდება წრე და  
ერთ-ერთი მხარის გამარჯვების შემდეგ, თამაში ხელახლა იწყება“.

დადებისათვისაც იყო დაასლოებით ასეთივე გასართობი (ოდე-

სლაც, ალბათ, სამხედრო წრთობა), რომელსაც გურიაში კუნი ეწოდებოდა. ზოტელებმა ეს ვერ დამიხსინა ჟო, ქორელების ებმა კი იციან. კომბლის მაგვარ (თავმსხვილ) ჭოხა ურთეავით 15-25 წლის ვაჟები რიქს და საბოლოოდ, ვინც უფლის მარტინი რცნიდა რიქს, ის იმარჯვებდა. ჭ აკუ ნი ის ჭმიუა: მას მეტაც დიდი ჭოხი მცირებზე დარტყმისას გამოსცემს ან როცა წალდით ან ნაგაზით რასმეს ჭრიან და ხმას გამოსცემს (უჭაკუნებს ან აჭაკუნებს, იტყვიან).

ქათმისფერხვა (მეკვლეობა, იხ. ზემოთ) აქაც, ისე როგორც გურიაშიც 2 იანვარს დილით იცოდნენ. გურიაში იტყოდნენ: ამან და ამან მი ფერხე ვაო. ზოტში ამბობენ: მე ფერხად ვაო.<sup>1</sup> მფერხავი, — ამბობს მთხრობელი, — საჩუქვარს მიღებს: კაი გულის იყოს ჩვენზეო.

შენიშვნავენ: „ფერხვაზე ღამითვე მივლენ ან დილა აღრე: მეფეხადეს წინდას ან რაცხა ასეთ საჩუქვარს მისცემენ, ბორაო და პურ-მარილი წავა“.

ჩხაკოურელი ალი ისკვნდერის ძე პაიჭაძის თქმით, ფერხვა საქონლისაც შეიძლება, ახალი წლის პირველი ორშაბათია ქათმის ფეხადობის დღეო (ძვ. სტ.). მაპმადიანური ახალი წელი მარტშია, მაგრამ აქ (ჩხაკოურაში) საერთო ახალ წელს ვემორჩილებითო.

ახალ წელს (ე. ი. 1 იანვარს და არა ორს) ვინც პირველი მოვა, ისაა ფეხადი: იგი დაუპატიჟებელიც შეიძლება იყოს (ეს საერთოდ მეკვლეა და არა მხოლოდ ქათმის მფერხავი, ი. მ.).

რვა იანვრობა (იხ. ზემოთ) ზოტში ფუთუ ნაის სახელწოდებითა ცნობილი. ამ დღეს ზოტელებიც „იბრძნიან“, — ერიდებიან შორს წასელას. თუ ვინმე შორს წავაო, ქარ-ბუქში შეიძლება მოხვდეს და დაილუპოსო.

ამ წარმოლგენის გამო ლექსია თქმეული:

„იანვრის რვასა  
ნე ენდობი მთასა,  
ნურცა სიძე-სიმამრსა,  
ნურცა ცოლის ძმასა“.

ეს ზოტშიაც პოპულარულია. ვეკითხები მათ: რატომ არ უნდა ენდო სიძე-სიმამრს, ცოლისძმას?!.

გიპასუხებენ: „სხვისი შვილია, გილალატებსდა“!....

ცოლისძმისადმი უნდობლობა ანდაზაშიც გვხვდება. გურიაში

1 გურიის ხილისთავ-მეტიერში ფერხვა კალანჭაძის ერთი მოღვაწის მეტსახელია.

აშავე პორნოგრაფიულ ანდაზაში ჭვის ლია დასახელებული ყველა ძმებისო ან სიძე-სიმმარის დაქურილი მგელი (ან ტრი) მწერებს გაექცათ, ან გააქციესო.

რწყილის, ანუ პწყილის გადალოცვის შესახებ მუსიკის შოთ შეიცავს გამოთქმა „პწყილის ყვერვას“. ეს ზოგიც ჟურნალის რდებმა აღარ იციან; მოხუცებს კი ახსოვთ. „ახლა დუსტა ქვეყანაზე, — მეუბნება ერთი მოხუცი, — ამის ბალახს ქედის მთიეთში აგროვებენ, რაღაც გვინდა პწყილის ყვერვა! უწინ კი ტყიერშიც არ გვასვენებდა პწყილი, ჩვენ საქონელს ვახთით, მათ მუდამ პწყილი ახთა“ (ახლდა)...

ალ. ისკ. პაიჭაძე (1901 წ. დაბად. 4-კლასდამთავრებული) ჩხაკოურაში გვეუბნება (1969 წ. ავეისტო), რომ პწყილის გადალოცვას ნასესხებში ვაკეთებთ, — პირველ მარტს, და ლექსიად ვიტყვითო:

„მარტი, მარტი, მარტიშეტი,  
ჩვენთან პწყილი ორც ურთა,  
გურიას ნიჩიუთ სახვეტი...“

ვეანაშიც, — განაგრძობს იგივე, — ასე ამბობენ: „გურიას ნიჩიუთ სახვეტი“.

აქ მაგერიდენ, აღარ გათხრენ: პწყილები გურიასო... პწყილის ყვერვა მე არ ვიცი, მაგი პუსეინს ათქმიეო, ლექსი კიო.

„იანერისა რესონა  
წე ენიცონი შობისო,  
ხერც ცოლისძისო...“

შეც გამიღონიაო.

ნასესხებშე ასეც ვიტყვითო:

„გამევალა მარტიო,  
გამოვარი სასრული,  
კოთამ შენ რა მომაჯლი,  
კოთა თოვნის წლარტო!“.

ა. პაიჭაძე და პუსეინ მურადის მე ტრნაძე (1904 წ. დაბ.. წ. კ-რ იცის) ამბობენ: ქაშარტობა ამირილის პირველს ვიციო, უქეშეა, — ნათესი არამია, დაკარგება ან წყალი წარლებს, ან ქარი მოსპოოს, მიშაც არ უნდა დააპო, სხვის ყანაშიც არ უნდა გეიარო, შიწა გეიკაწრება და ცოდვათ დაგედობა, იბრძნიან“.

ვიციო ფერცვალებაო. წყალში ყინვა ჩავარდება, ხის ფოთელი იცვლის ფერს, ზამთრისაკენ წავა, ჩამოცივა, უკვე სიცხე არ იქნება, ბარში კაცს აღარ გაცივებს, წლის ღრის ცვალებაო.

თვალნაცე მი. ამათაც სწიამთ.

ზოტში ერთი მოხუცი და ჩხაკოურაში მეორე გვიაპილისა. თო-  
თქოს, მათ მოსვლოდეთ: „ხარი მყავდა, ავმა თვალია არა ქალი. რა-  
დენი ბალანი აქ, იმღენი კაკალი ოფლი გამოსდომო შეარჩეული  
დედაბერს, ვაჭამე ცომი და გადარჩა.“

შემდეგი მომარტინება

ერთმა მათგანმა დასძინა: თვალნაცემი ამის შემდევ ვიწამეო.

ნასესხები (იხ. ზომოთ) ზოტში მარტება დაც იწოდება.  
ევე შემდევი თქმულება ჩავიწერეთ: „შეცხვარეს დიელია თვა 28  
მარტს, 28-დან სესხი იწყება. სამი დღე ისესხა კიდემ მარტმა აპ-  
რილიდან. გაუთოვდა. თვა რომ აღარ ხქონდა და თხა-ცხვარი შე-  
წუხთა, შეცხვარემ ცხვარს ჩამოუკიდა კატა. აგი კუაოდა, ეს ცხვარი  
დაფიხა. — დარბოლა ახორში იქით-აქეთ. გევდა მარტი, გამოუდა  
დარი. გოუშვა ამან ცხვარი (საძოვარზე). ნახა, რომ ერთი ცენიანი  
კაკანაი (ბატყანი) მომკვტარა. მაშინ (მეცხვარემ) მოულექსა მარტს:

„მარტი, მარტი, მარტშეტა,  
სამი ლილ გაღმარტა.  
შე ვეცერი მომაყელ  
მენიანი თუნის შეტი.“

